ბიზნესის უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პროცესში ერთერთი ცენტრალური ასპექტია. ქვეყანას უნდა ჰქონდეს ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგია, რომელშიც განსაზღვრული იქნება საშიშროების ხასიათი, ბიზნესის მდგომარეობის კრიტერიუმები და პარამეტრები, ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიმართული გაწერილი პოლიტიკის მექანიზმები, ღონისძიებები და ა.შ. ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, პირველ რიგში, კომპლექსურად მოსაზრებული ბიზნესპროცესია, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა გამოწვევა და მზად იყოს დანაკარგებისა და ყველა დარღვევისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარით. იგი სამუშაოს ასრულებს განსაზღვრულ პირობებში, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან სამუშაო გარემოს. მდგრადი გარემოპირობების შექმნა შეიძლება მხოლოდ სისტემურ რეჟიმში სახელისუფლებო ინსტიტუტების მოწესრიგებული საქმიანობით.

მოქმედ ბიზნესში კონკურენციის გამოწვევებს ბევრი ვერ უძლებს და ტოვებს ბაზარს. ბიზნესის წარმოება რთული და მგრძნობიარე პროცესია. მას ესაჭიროება სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული მხარდაჭერა უსაფრთხო საქმიანობისთვის შესაბამისი პირობების შექმნის თვალსაზრისით [7].

დიდი მნიშვნელობა აქვს, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფასთან ერთად, ქვეყანაში როგორ არის გადაწყვეტილი ბიზნესის უსაფრთხოების დაცვის პრობლემა. ეროვნული უშიშროების კონცეფციაში ჩაწერილია, რომ „საქართველოს ეკონომი-

კური პოლიტიკა უზრუნველყოფს ბიზნესის საქმიანობაში ხელისუფლების ჩაურევლობას, ეკონომიკური თავისუფლებისა და მისი საკუთრების დაცვას, საგადასახადო სისტემის გაუმჯობესებას და კონსერვატიული სახაზინო პოლიტიკის გატარებას“ [8].



აქ ვერ იქნება გამოყენებული სიტყვა „უშიშროება“, რომელიც იხმარება იმ შემთხვევაში, თუ საფრთხის თავიდან აცილება მოითხოვს სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის წინმსწრებ მმართველობითი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას (პოლიტიკის დასახვა, სტრატეგია, დაგეგმვა, კონცეფცია და სხვ.) ანუ დაკავშირებულია სოციალურ-პოლიტიკურ მმართველობით საქმიანობასთან.[1] ამიტომაა რომ სწორედ წარმოშობის წყაროდან და საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე იხმარება, მაგალითად, ტერმინები: ეროვნული უშიშროება; ეროვნული უშიშროების საბჭო; სახელმწიფო უშიშროება [3]; ეკონომიკური უშიშროება (მაგრამ ეკონომიკური უშიშროებაში შინაარსობრივად სხვადასხვაა: სასურსათო უშიშროება და სასურსათო უსაფრთხოება); ენერგეტიკული უშიშროება (აქ იგულის-

[1] ტერმინი „ეროვნული უშიშროება“ პირველად 1904 წელს გამოიყენა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა წერილში ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი. ამ მიმართვაში იგი პანამის არხის ზონისადმი პრეტენზიას აშშ-ის „ეროვნული უშიშროების“ ინტერესით ასაბუთებდა.

ხმება დარგის განვითარების მართვა, პოლიტიკის შემუშავება... მაგრამ სხვა არის ელექტროტექნიკური უსაფრთხოება, ანუ დენის დარტყმა ფიზიკურად რომ აირიდო) და სხვ.

ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფა უდავოა, რომ არის ქვეყნის განვითარების, მისი წარმატების მიღწევის გარანტია, ქვეყნის დამოუკიდებლობის, საზოგადოების სტაბილური განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობის პირობა. ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფას მეცნიერება მოიაზრებს უმნიშვნელოვანესი ეროვნული პრიორიტეტების ნუსხაში [2].

ბიზნესის უსაფრთხოება არის ნებისმიერი სახის ბიზნესსაქმიანობის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გულისხმობს პერსონალის, ფინანსური და მატერიალური რესურსების, ასევე ინფორმაციული მასივების დაცვის უზრუნველყოფას სხვადასხვა სახის საფრთხისაგან, ეს არის პირობებისა და ფაქტორების, სტაბილურობისა და მდგრადობის ერთობლიობა, მუდმივად განახლებისა და თვითსრულყოფის უნარი. სამართლებრივი, ეკონომიკური და საწრმოო ურთიერთობანი, ინტელექტუალური, მატერიალური და ინფორმაციული რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის სტაბილურ ფუნქციონირებას, შესაბამისად, მაქსიმალური მოგების მიღებას და კოლექტივის სოციალური ინტერესების რეალიზაცია წარმოადგენს უსაფრთხოების დაცვის ძირითად ორიენტირს.

მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ბიზნესის უსაფრთხოებასთან განსაკუთრებულად არის მჭიდრო კავშირში ეკონომიკური უშიშროების სისტემა და მასში შემავალი ქვესისტემები (კომპონენტები): სამრეწველო-ტექნოლოგიური უშიშროება, საფინანსო უშიშროება, საბიუჯეტო უშიშროება, საგარეო-ეკონომიკური უშიშროება და სხვ. მაგალითად, ფინანსური სექტორის უარყოფითი ტენდენციები პირდაპირ აისახება ბიზნესზე (და პირიქით) და გამოიხატება საბრუნავი კაპიტალის დეფიციტით, გადაუხდელობაში, საჭირო პირობებით სესხის მიღების შეუძლებლობაში და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას ეკონომიკური უშიშროების სხვა კომპონენტზეც.

საბაზრო ეკონომიკას ახასიათებს წინააღმდეგობრიობა, გამკლავება უწევს კონკურენციასთან და მრავალ გამოწვევასთან. ბიზნესის უსაფრთხო წარმოებისათვის აუცილებელია მდგრადი იყოს შემდეგი ფაქტორები:

პოლიტიკური: – ქვეყანაში, ასევე რეგიონში არსებული პოლიტიკური გარემო. მთავრობის პოლიტიკით განსაზღვრული საბაზრო-ეკონომიკური რეფორმების კურსი: კომპანიის მიერ წარმოებული ბიზნესის ხელშეწყობა, საკუთრებითი პოლიტიკის დემოკრატიზაცია, ხელისუფლებაში კორუფციისა და ქვეყანაში კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა;

ეკონომიკური: – მდგრად განვითარებას განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემო. რადგან იგი განაპირობებს კომერციული საქმიანობის მართვის წესებსა და პირობებს. მათ შორისაა კონკურენციის ხარისხი და მონოპოლიების არსებობა, აგრეთვე ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა. რამდენია კრედიტზე პროცენტი, ინფლაცია, სატრანსპორტო ნაკადებისა და ენერგომდგენელების ტარიფები და სხვა;

სამართლებრივი: – ბიზნესის საქმიანობა ხორციელდება განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული საგადასახადო და სამეწარმეო კოდექსი, მოქმედი შეღავათები და ფინანსური დახმარებები. ბიზნესის მხარდასაჭერად გატარებული კონკრეტული ღონისძიებები, კერძო საკუთრების დაცვის იურიდიული ასპექტები და სხვა;

თავისდაკვალად ბიზნესკომპანია ყოველთვის უნდა მოქმედებდეს სამართლებრივად გამართული ბიზნესის, მარკეტინგის, ასევე სარეკლამო პოლიტიკის შესაბამისად და ატარებდეს ყველა საჭირო ზომას ბიზნესის უსაფრთხოებისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად. გამორიცხული უნდა იყოს მომხმარებლისთვის პოტენციურად მავნე ან დამაზიანებელი პროდუქციის წარმოება, გავრცელება, გაყიდვა [6].

გარკვეულწილად, ბიზნესის უსაფრთხოება ნიშნავს ეროვნული ეკონომიკის უნარს, უზრუნველყოს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა, ასევე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მდგრადობა როგორც შიგა, ისე საგარეო საფრთხეების პირობებში [1].

ბიზნესის უსაფრთხოებას ხელს უწყობს სამი ელემენტი:

1. იყოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისა და შესრულებისას, რაც ქმნის წარმატების პირობებს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების განხორციელებისათვის;

2. ბიზნესის სტაბილურობა;

3. თვითგანვითარებისა და პროგრესის უნარი.

სტრუქტურული თვალსაზრისით, ბიზნესის უსაფრთხოება არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც განაპირობებენ ბიზნესის დამოუკიდებლობას, სტაბილურობასა და მუდმივი განახლების უნარს. ერთი სიტყვით, ესაა საშინაო და საგარეო პირობების ერთობლიობა, რაც ხელს უწყობს ეროვნული ბიზნესის ეფექტურ და დინამიკურ ზრდას, მის უნარს, დააკმაყოფილოს სახელმწიფოს, საზოგადოების, ინდივიდის მოთხოვნილებები, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე, გარანტირებული დაცვა მრავალი სახის მუქარისა და დანაკარგისაგან.

თანამედროვე პირობებში დიდ ყურადღებას მოითხოვს მრავალ სფეროში პოლიტიკური და ეკონომიკური უშიშროების მაჩვენებლები, მათ შორის: ბიზნესის ნორმალურ და ექსტრემალურ პირობებში ფუნქციონირების უნარი, ფინანსური სისტემის მდგრადობა, მოსახლეობის ცხოვრების დონე, საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა და ა.შ.

ეკონომიკური წინსვლისთვის გადამწყვეტია მცირე ბიზნესის განვითარება ქვეყანაში, რადგან იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს, მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) სტრუქტურას, ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლებს და სხვ. გრძლევადიანი და სტაბილური ეკონომიკური წინსვლა უნდა იყოს სახელმწიფოს მთავარი ინტერესი, წარმოებული სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გადამწყვეტი მიმართულება. ეკონომიკური წინსვლის პირობა კი არის ბიზნესის უსაფრთხო განვითარება [6].

ბიზნესის უსაფრთხოებამ, როგორც საქართველოს ეროვნული უშიშროების უმნიშვნელოვანესმა ელემენტმა, ძირითადმა მატერიალურმა ბაზამ, უნდა უზრუნველყოს ქვეყნის დამოუკიდებლობა, დაადგინოს ბიზნესის განვითარების პოლიტიკის გან-

ხორციელების, პროგრესული, მდგრადი სოციალური და ეკონომიკური ფორმირების შესაძლებლობები გეოპოლიტიკური რისკების პირობებში. დღეს, ერთიან მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისას, ბიზნესის უსაფრთხოების საკითხს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია საქართველოს პოლიტიკაში.

ქვეყნის უშიშროების გარკვეული პრობლემების განხილვისას ბიზნესის განვითარების ასპექტების გვერდის ავლა შეუძლებელია [4]. საქართველომ უნდა მიაღწიოს ეროვნული ბიზნესის იმ მდგომარეობას, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ქვეყნის ეტაპობრივი განვითარება, მისი სოციალური, ფინანსური და პოლიტიკური სტაბილურობა, თავდაცვისუნარიანობა უარყოფითი გარე და შიგა ფაქტორების გავლენის ვითარებაში, ეფექტური მართვა-გამგეობა, ეკონომიკური ინტერესების განმტკიცება შიგა და მსოფლიო დონეზე.

ბიზნესის უსაფრთხოების სრულყოფაზე ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება იმისთვის არის საჭირო, რომ ქვეყნის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა ნამდვილად გახდეს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უკრიზისო და სტაბილური განვითარების პირობების შექმნის პროცესი, რომელიც შესაბამისობაში მოვა პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების, ქვეყნის სუვერენიტეტის განვითარებისა და განმტკიცების მიზნებსა და ამოცანებთან, რაც გააუვნებელყოფს და თავიდან აირიდებს საფრთხეებს, რომლებმაც შეიძლება ნეგატიური, მადესტაბილიზებელი ზემოქმედება მოახდინონ ხალხისა და ქვეყნის განვითარებაზე, რომელიც აღმოფხვრის საზოგადოების, ცალკეული სოციალური ჯგუფებისა და ინდივიდის ინტერესებს შორის წინააღმდეგობებს და ა.შ.

უნდა შემუშავდეს ღონისძიებათა სრულყოფილი სისტემა, რათა შეიქმნას ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა პირობების ერთობლიობა, რომელიც ორიენტირებული იქნება ბიზნესის სფეროში ეროვნული ინტერესების დაცვაზე, ზეგავლენას მოახდენს და აქტიურად შეეწინააღმდეგება გარე და შიგა საფრთხეებს; დაიცავს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს მის სარესურსო პოტენციალთან მიმართებით; გააძლიერებს როგორც შინაგან იმუნიტეტს, ისე გარე დაცულობას მადესტაბილიზებელი ზემოქმედებისაგან; შეძლებს სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზრებზე და მიაღწევს ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობას; უზრუნველყოფს ნამდვილად ღირსეული ცხოვრების პირობებსა და პიროვნების მდგრად განვითარებას.

დასკვნა

ბიზნესის უსაფრთხოება ორგანულად არის ჩართული ეროვნული უშიშროების სისტემის ისეთ ჩამონათვალში, როგორებიცაა: სახელმწიფოს საიმედო თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, სოციალური მშვიდობის შენარჩუნება საზოგადოებაში, ეკოლოგიური საფრთხეებისაგან დაცვა. ამ შემთხვევაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია, ერთი მიმართულება ავსებს მეორეს, მაგალითად, ვერ იქნება უზრუნველყოფილი ქვეყანაში სამხედრო უშიშროება სუსტი, არაეფექტიანი, განუვითარებელი ბიზნესის პირობებში ისევე, როგორც ვერ იქნება ვერც სამხედრო უშიშროების უზრუნველყოფა, ვერც ეფექტიანი ეკონომიკა სო-

ციალური კონფლიქტებით გაჯერებულ საზოგადოებაში. ამ ურთიერთკავშირში გასათვალისწინებელია, რომ მასში მნიშვნელოვანი როლი ბიზნესის უსაფრთხოებას ენიჭება. ერთი სიტყვით, ეროვნული უშიშროების ყველა ქვესისტემის გამართული უზრუნველყოფა გარკვეულწილად დამოკიდებულია ბიზნესის განვითარებასა და მისი უსაფრთხოების ხარისხზე.

ბიზნესის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ერთიან სისტემაში (სახელმწიფო უშიშროება, ეკონომიკური უშიშროება, საინფორმაციო უშიშროება, სამხედრო უშიშროება, ეკოლოგიური უშიშროება, ენერგეტიკული უშიშროება, სამართლებრივი უშიშროება და ა.შ.) მოიაზრება, როგორც ერთგვარად გამოცალკევებული და ამ ერთიანი სისტემის უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი ელემენტი, თანამედროვე ეპოქის განვითარების პროცესის მნიშვნელოვანი ფაქტორი, მიზეზი და მამოძრავებელი ძალა.

ბიზნესის უსაფრთხოება არის საქართველოს ეროვნული უშიშროების ერთ-ერთი საყრდენი ელემენტი და ასრულებს მნიშვნელოვან როლს, რადგან ეროვნული უშიშროება ვერ იქნება უზრუნველყოფილი ბიზნესის მხარდაჭერის გარეშე. ამიტომაა აუცილებელი ბიზნესისა და სახელისუფლებო ინსტიტუტების ურთიერთობაში ისეთი მდგომარეობის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ინტერესების უპირობო გარანტირებულ დაცვას.

ლიტერატურა

1. Daniels von, L. (2024). *Economy and national security: US foreign economic policy under Trump and Biden*. SWP Research Paper 2024/RP 11, 28.06.2024, 40 pages. https://doi.org/10.18449/2024RP11
2. Business Council of Canada. (2023). *Economic security is national security: The case for an integrated Canadian strategy*. https://thebusinesscouncil.ca/report/economic-security-is-national-security/
3. Chikobava, A. (Ed.), Abashidze, I., Metreveli, R., Dzidziguri, S., & Chabashvili, M. (Eds.). (1986). *Explanatory dictionary of the Georgian language* (in one volume). Georgian Academy of Sciences, Institute of Linguistics. Tbilisi: Georgian Soviet Encyclopedia. (In Georgian)
4. Mitha, F. (2021). *Why small businesses are essential to U.S. national security*. U.S. Department of Defense. https://www.defense.gov/News/News-Stories/Article/Article/2906490/why-small-businesses-are-essential-to-us-national-security/
5. Otinashvili, R. (2021). *Security in company management*. *Works of GTU*, (2)520, 67–75. https://www.shromebi.gtu.ge (In Georgian)
6. Otinashvili, R. (2025). *Business security* (Learning book). Tbilisi: Technical University Publishing House. https://drive.google.com/file/d/1bZ7qL1ThL5FWho-pco4N5UK1pin0ANQv/view (In Georgian)
7. Otinashvili, R., & Vanishvili, M. (2020). *Competitive strategy in business* (pp. 127–134). Cognum Publishing House. https://sci-conf.com.ua/wp-content/uploads/2020/11/THE-WORLD-OF-SCIENCE-AND-INNOVATION-11-13.11.2020.pdf
8. Parliament of Georgia. (2011). *National security concept of Georgia* (Resolution No. 5589-rs, 23.12.2011). https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1555410?publication=0 (In Georgian)

UDC 330.1; 339.15
SCOPUS CODE 1401
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-43-50

Business Security in the National Security System of the Country

Ramaz Otinashvili Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: r.otinashvili@gtu.ge

Mariam Kuprashvili Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: mariam_kuprashvili@yahoo.com

Reviewers:

A. Sichinava, Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, GTU
E-mail: asichinava@gtu.ge

L. Grigalashvili, Professor, Faculty of Business Technologies, Acting Head of the Department of Business Administration, GTU
E-mail: l.grigalashvili@gtu.ge

Abstract. The issue concerns the description of the problems of business security protection in the unified system of ensuring national security. It is considered as a separate and most important supporting element of this unified system, an important factor, cause and driving force of the development process of the modern era. It is also worth considering the fact that the process of increasing globalization has created new risks for business security. Current processes indicate that it is important to find out new challenges, analyse the dangers, risks and threats to business security associated with new circumstances arising in a transforming world. The article analyzes the factors of indirect and indirect environmental impact, as well as political risks, which can significantly affect the safe development of business. The presented research allows us to see the place of business security in the national security system in a new way. The separate allocation of this problem for research is in line with the situation in economic sciences. A specific contribution will be made to define the strategic assessments of all the possible trends in the field.

Keywords: Business security; Business; Economic challenges; National security; Security technologies.

განხილვის თარიღი 25.03.2025
შემოსვლის თარიღი 04.04.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 336.2.094(73)
SCOPUS CODE 1401
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-51-55

საგადასახადო დავის რეფორმები ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი ეპოქა საგადასახადო სისტემაში

დავით ბიბიჩაძე ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: d.bibichadze@auditex.ge

ელენე გაბაძე ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: elenegabadze2@gmail.com

რეცენზენტები:

ბ. გოდერძიშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: b.goderdzishvili@gtu.ge

ე. მალანია, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: e.malania@gtu.ge

ანოტაცია. ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმები მიმდინარეობს, რომლებიც მიზნად ისახავს ეფექტიანობის ზრდას, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვასა და სამართლიანობის უზრუნველყოფას. განხილულია ამერიკაში არსებული საგადასახადო დავების ძირითადი მიმართულებები, ისეთი საკითხები, როგორიცაა საგადასახადო სირთულეები, დავების განხილვის დაგვიანება, ასევე სისტემის ხელმისაწვდომობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის აუცილებლობა. ყურადღება გამახვილებულია ციფრულ ინსტრუმენტებზე, ალტერნატიული დავის გადაწყვეტის მეთოდებზე (ADR), გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის გაძლიერებასა და დამოუკიდებელი აპელაციის ოფისების შექმნაზე. მოცემულია რეფორმების შედეგად დამდგარი გამოწვევები, კრიტიკა და მათი გავლენა გადასახადის გადამხდელზე, ასევე სახელმწიფო ეფექტიანობაზე.

საკვანძო სიტყვები: ალტერნატიული დავების გადაწყვეტა (ADR); აშშ-ის საგადასახადო კოდექსი; გადასახადის გადამხდელის უფლებები (TBOR); დავის გადაწყვეტის პროცესი; საგადასახადო დავების აპელაცია; საგადასახადო დავის რეფორმები; საგადასახადო სისტემის ეფექტიანობა; შემოსავლების სამსახური (IRS).

შესავალი

ამერიკის საგადასახადო დავების სისტემას დიდი ხნის განმავლობაში სირთულეები ჰქონდა, ამიტომ გადასახადის გადამხდელები ხშირად აწყდებოდნენ გარკვეულ პრობლემებს, როგორიცაა შეფერხებები, გაურკვევლობები პროცესის მიმართ, რაც უკმაყოფილებასა და დავების გადაჭრის გაჭიანურებას იწვევდა შემოსავლების სამსახურთან. კანონების ცვლილება და მათი გამკაცრება ზრდიდა დავების სიხშირეს, რის გამოც საჭირო გახდა რეფორმის ჩამოყალიბება. ასეთი განვითარების ფონზე აშშ-ის მთავრობამ რამდენიმე რეფორმა წამოიწყო, რომელიც მიზნად ისახავს პროცესის გამარტივებას, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის ზრდას და სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესებას. ასეთი ცვლილებების გატარება შეფასდა, როგორც საგადასახადო დავების გადაწყვეტის ახალი ეპოქა, რომელიც ორიენტირებულია სამართლიანობაზე, ხელმისაწვდომობასა და ეფექტიანობაზე.

ძირითადი ნაწილი

საგადასახადო დავების რეფორმების საჭიროების განხილვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამერიკაში საგადასახადო დავების რეფორმის აუცილებლობა უკავშირდება საგადასახადო კოდექსის სირთულეს. ხშირი ცვლილებები, ახალი რეგულაციები და რთული წესები პრობლემებს იწვევს, რაც აისახება საგადასახადო დავების სიმრავლეზე. ასეთ სირთულეებს გადამხდელები ხშირად ვერ უმკლავდებიან, რაც სისტემის გადატვირთვას იწვევს და პრობლემებს ქმნის. მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა არის დავების დაგვიანება. შემოსავლების სამსახური ხშირად ვერ ახერხებს დავების დროულად განხილვას, რაც შემდგომში შეფერხებებისა და უკმაყოფილების მიზეზი ხდება. გადასახადის გადამხდელის უფლებები განსაკუთებით მნიშვნელოვანია დავების პროცესში. მათი დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ სისტემა მათ წინააღმდეგაა და შემოსავლების სამსახური ფლობს უპირატესობას მათ წინაშე. სწორედ ასეთმა შეხედულებამ განაპირობა რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვასა და მათ თანასწორობას. ცვლილების ძირითადი ათვლის წერტილია ის, რომ ყველა გადამხდელს ჰქონდეს თანაბარი და სამართლიანი მიდგომა და მხარდაჭერა, მიუხედავად მათი ფინანსური მდგომარეობისა.

მთავარი რეფორმები საგადასახადო დავის გადაწყვეტაში. შემოსავლების სამსახურმა რამდენიმე რეფორმა გაატარა, რომლებიც ხელს უწყობს დავების პროცესის გამარტივებასა და ეფექტიანობის ზრდას. ცვლილების სახით მოხდა ციფრული ინსტრუმენტების დანერგვა, როგორიცაა დავების წარდგენისთვის ონლაინპორტალები. ასეთი სისტემა პროცესს უფრო სწრაფსა და გამჭვირვალეს ხდის. ასევე შემუშავდა პროცედურების გამარტივების გზები, რომელიც განვითარების საფეხურზეა. როგორც დაკვირვებამ აჩვენა, საგადასახადო დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდებში იგულისხმება მედიაცია და არბიტრაჟი, რომელიც მეტად ეფექტური და ნაკლებად კონფლიქტურია, ვიდრე ტრადიციული სასამართლო პროცესი. ამაზე დაყრდნობით შემუშავდა ცვლილება. ასეთი მეთოდების გამოყენება საგადასახადო დავებში ხელს უწყობს უფრო სწრაფი და ხელსაყრელი გადაწყვეტის მიღწევას. ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი ნაწილი რეფორმებში საგადასახადო გადამხდელის უფლების დაცვაა (TBOR). TBOR ცვლილებები განსაზღვრავს გადამხდელის ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობას, ხარისხიან მომსახურებას და IRS-ის გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

რეფორმების გამოწვევები და კრიტიკა. მიუხედავად რეფორმების დადებითი მიზნებისა და მათი წარმატებით განხორციელების პოტენციალისა, პროცესში სირთულეებმა იჩინა თავი. ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა შემოსავლების სამსახურის შეზღუდული რესურსები. საგადასახადო კანონმდებლობის სირთულე და მასშტაბი, რომელიც ხელს უშლის რეფორმების სწრაფ და ეფექტიან განხორციელებას, მათ შორის ციფრული პლატფორმების და ახალი სისტემების დანერგვას, მნიშვნელოვან გამოწვევებს ქმნის. ამ ცვლილებების ფარგლებში შემოსავლების სამსახურს უწევს როგორც არსებული საგადასახადო კანონების სრულყოფილი შესრულება, ისე ახალი რეფორმების ზედამხედველობა, რაც მნიშვნელოვან ძალისხმევას და რესურსს მოითხოვს, რომელიც არ აქვთ.

გარდა ამისა, ციფრული სისტემების დანერგვა, მიუხედავად იმისა, რომ მოდერნიზაციას უწყობს ხელს, რთული პროცესია. გადასახადის გადამხდელს, განსაკუთრებით მას, ვისაც არ აქვს დიდი გამოცდილება, ტექნოლოგიების სფეროში შეიძლება გაუჭირდეს თანამედროვეობასთან ფეხის აწყობა და პრობლემები შეექმნას ახალი სისტემის გამოყენებაში. ამ ყველაფერმა კი შეიძლება გამოიწვიოს დაბრკოლებები სისტემაში წვდომისა და დავების გადაწყვეტის მიმართულებებით.

მოუხედავად იმისა, რომ ციფრული პლატფორმები და ონლაინპორტალები შექმნილია საგადასახადო დავების უფრო ხელმისაწვდომობისა და სწრაფად გადაწყვეტისათვის, ეს სისტემები მოითხოვს, რომ ყველა მოქალაქესა და ბიზნესს შეეძლოს მათი ადვილად გამოყენება. ამიტომ, ეს პროცესი საჭიროებს მეტი სწავლებისა და მხარდაჭერის დანერგვას, რათა სისტემამ უფრო ეფექტიანად იმუშაოს.

კრიტიკა ზოგიერთ რეფორმაზე. მოუხედავად იმისა, რომ ალტერნატიული დავის გადაწყვეტის მეთოდები, როგორიცაა მედიაცია და არბიტრაჟი, ფართოდ არის აღიარებული და მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს. ზოგიერთი კრიტიკოსი თვლის, რომ ეს მეთოდები ყოველთვის არ უზრუნველყოფს სამართლიან გადაწყვეტას, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც გადასახადის გადამხდელს საკმარისი კვალიფიკაცია არ გააჩნია საკითხის მიმართ. ალტერნატიული დავის გადაწყვეტა უფრო მოქნილი და ნაკლებად კონფლიქტური მიდგომაა ტრადიციული სასამართლო პროცესისგან განსხვავებით, თუმცა მოითხოვს გარკვეული დონის ცოდნასა და მოლაპარაკების უნარს, რასაც ყველა მოქალაქე არ ფლობს.

ამას გარდა, ზოგიერთი საგადასახადო ექსპერტი თვლის, რომ ეს რეფორმები ორიენტირებულია საქმის გამარტივებასა და პროცესის ხარისხზე. იმ პროცესების გამარტივების მცდელობები, როგორიცაა საქმის ბლოკირების შემცირება, შეიძლება გამოიწვიოს აჩქარებული და დაუფიქრებელი გადაწყვეტილებები. კრიტიკოსები ასევე აღნიშნავენ, რომ ეს რეფორმები შესაძლოა მხოლოდ დროებით შედეგებს იძლეოდეს, რადგან ისინი არ მოქმედებს საგადასახადო სისტემის ფუნდამენტურ პრობლემებზე, როგორიცაა საგადასახადო კანონმდებლობის სირთულეები და მისი არასათანადო გამოყენება იურისდიქციაში.

კრიტიკოსებისგან განსვავებით, მთავრობის თვალსაზრისით, ბოლო წლებში საგადასახადო დავის რეფორმებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შემოსავლების სამსახურის ეფექტიანობის ზრდასა და გადატვირთულობის შემცირებაში. ამ რეფორმების წინ შემოსავლების სამსახური დიდი მოცულობის საქმეებით იყო გადატვირთული, რაც შეფერხებებს იწვევდა როგორც გადასახადის გადამხდელებისთვის, ისე მთელ სისტემაში. ამიტომ, ციფრული ინსტრუმენტების და ავტომატიზებული სისტემების დანერგვით შესაძლებელია პროცესების გამარტივება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს საქმეების განხილვის დროებს.

დასკვნა

საგადასახადო დავების რეფორმები ამერიკაში მნიშვნელოვანი და აუცილებელი გარდამტეხი გზებია. რეფორმებმა მკაფიოდ აჩვენა, რომ ისინი მიმართულია უფრო ეფექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემის შექმნისკენ. ამ ცვლილებამდე გადასახადის გადამხდელები ხშირად ხვდებოდნენ ხანგრძლივ შეფერხებებს, არათანაბარ გადაწყვეტილებებსა და გაურკვევლობას, რაც ქმნიდა უსამართლობისა და უკმაყოფილების შეგრძნებას. პროცესის გამარტივება, ციფრული ინსტრუმენტების გაუმჯობესება და გადამხდელის უფლებების გაძლიერება შედარებით ხელმისაწვდომ და თანასწორობით განწყობილ მიდგომას ქმნის, რაც ხელს უწყობს სისტემაში ნდობის აღდგენას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ რეფორმების სრულად განხორციელებისთვის კვლავ არსებობს გამოწვევები, შეგვიძლია ცვლილებების გავლენა დადებითად შევაფასოთ. გადასახადის გადამხდელი და ასევე ბიზნესი მნიშვნელოვან სარგებელს მიიღებს ამ რეფორმებისგან. ახლა უფრო მარტივად მიიღებს დავის გადაწყვეტის მექანიზმებზე წვდომას, მეტი შესაძლებლობა ექნება უფლების დაცვისთვის და პროცესიც ნაკლებად კონფლიქტური, უფრო თანამშრომლობითი იქნება.

მთავრობის თვალსაზრისით, ამ რეფორმამ არა მხოლოდ შეამცირა დავების განხილვის დრო, არამედ გააუმჯობესა საგადასახადო სისტემის საერთო ეფექტურობა. ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით შემოსავლების სამსახური უფრო სწრაფად და ეფექტიანად ახერხებს დავების განხილვას. ეს ყველაფერი კი ზრდის რეაგირების სისწრაფეს და ამცირებს ხარჯებს.

სამომავლოდ, საგადასახადო სისტემის განვითარება დამოკიდებული იქნება გამჭვირვალობის, ეფექტიანობისა და სამართლებრივი საკითხების უწყვეტ განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ პირველი რეფორმა წარმატებით განხორციელდა, საჭირო იქნება მუდმივი ძალისხმევა ახალ გამოწვევებთან შესაჭიდებლად. ეს ყველაფერი მოითხოვს მთავრობისა და საგადასახადო ორგანოების მუდმივ მხარდაჭერას, რათა სისტემა იყოს ადაპტირებული ეკონომიკისა და საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების პროპორციულად. ამ პრინციპებზე ფოკუსირებით საგადასახადო დავების გადაწყვეტა შეიძლება გაგრძელდეს, როგორც უფრო სამართლიანი, ეფექტიანი და საიმედო მექანიზმი, რომელიც უკეთ მოემსახურება საგადასახადო სისტემას, მთავრობის ინტერესებს და ხელს შეუწყობს ჯანსაღ ეკონომიკასა და საზოგადოების ნდობის გაძლიერებას საგადასახადო სისტემაში.

ლიტერატურა

1. Internal Revenue Service. (2024). *IRS overview of taxpayer rights*. https://www.irs.gov
2. Internal Revenue Service. (2024). *IRS digital tools and process improvements to resolve tax disputes*. https://www.irs.gov/newsroom
3. National Taxpayer Advocate. (2023). *Annual report to Congress: Taxpayer issues and recommendations*. https://www.taxpayeradvocate.irs.gov
4. Tax Foundation. (2022). *A guide to tax disputes and dispute resolution in the United States*. [Missing URL]
5. U.S. Department of the Treasury. (2023). *Taxpayer bill of rights: Ensuring fairness for all taxpayers*. https://www.treasury.gov

UDC 336.2.094(73)
SCOPUS CODE 1401
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-51-55

Tax Reforms In the United States: A New Era In the Taxation System

David Bibichadze Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: d.bibichadze@auditex.ge

Elene Gabadze Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: elenegabadze2@gmail.com

Reviewers:

B. Goderdzishvili, Associate Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: b.goderdzishvili@gtu.ge
E. Malania, Associate Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: e.malania@gtu.ge

Abstract. The United States is undergoing substantial reforms in its tax system aimed at enhancing efficiency, safeguarding taxpayer rights, and ensuring fairness. This article reviews the key areas of tax dispute resolution in the U.S., focusing on issues such as the complexity of tax regulations, delays in dispute resolution, and the critical need to improve accessibility and fairness within the system. Special attention is given to the role of digital tools, the implementation of alternative dispute resolution (ADR) methods, the strengthening of taxpayer protections, and the establishment of independent appeals offices. The article also analyzes the challenges and criticisms associated with these reforms, as well as their impact on taxpayers and the overall effectiveness of tax administration.

Keywords: Alternative Dispute Resolution (ADR); dispute appeals; Internal Revenue Service (IRS); Tax dispute reforms; Tax system efficiency; Tax dispute resolution process; Taxpayer Bill of Rights (TBOR); taxpayer rights; U.S. Tax Code.

განხილვის თარიღი 14.04.2025
შემოსვლის თარიღი 15.04.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 339.5(100):341.63
SCOPUS CODE 1403
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-56-60

GATT-ის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში

თათია ღურწკაია ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: t.gurtskaia@gtu.ge

კარლო ღურწკაია ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: k.gurtskaia@gmail.com

რეცენზენტები:

ლ. ბახტაძე, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: lela.bakhtadze@tsu.ge

ა. კურატაშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: anzorkuratashvili@yahoo.com

ანოტაცია. GATT-ის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის არსებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გარკვეულწილად განპირობებული იყო მრავალ ქვეყანაში ამკრძალავი ტარიფების და კვოტების შემოღებით, ასევე პროტექციონისტული ღონისძიებების გატარებით, რაც საქონლის იმპორტის წინააღმდეგ იყო მიმართული.

იმისათვის, რომ მსგავს სატარიფო ომებს არ ჰქონოდა ადგილი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1947 წ. ყველაზე გავლენიანი სავაჭრო სახელმწიფოების წარმომადგენლები ჰავანაში(კუბის დედაქალაქში) შეიკრიბნენ **საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის დასაფუძნებლად (International Trade Organization)**. სამწუხაროდ, ამ ორგანიზაციამ ვერ დაიწყო პრაქტიკული საქმიანობა, მის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობების გამო. შესაბამისად, **ITO**-ს მისია დაეკისრა **გენერალურ შეთანხმებას ტარიფებსა და ვაჭრობაზე (GATT)**.

GATT-ის არსებობის განმავლობაში მოლაპარაკებათა რვა რაუნდი გაიმართა. შედეგად განვითარებული ქვეყნების მიერ დაწესებული ტარიფები საშუალოდ შემცირდა 40%-ით 1948 წლიდან, დაახლოებით 3%-მდე 2003 წ.

ტარიფების შემცირებასთან ერთად ქვეყნებმა გააცნობიერეს, რომ არანაკლებ სერიოზულ დაბრკოლებად იქცა არასატარიფო შეზღუდვები საერთაშორისო ვაჭრობის გზაზე. ამიტომ, ურუგვაის რაუნდის ფარგლებში დიდი ყურადღება დაეთმო არასატარიფო შეზღუდვების შემცირებას. ამასთან, ურუგვაის რაუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა გახდა გადაწყვეტილება **„მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“** შექმნის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: GATT; კვოტები; მოლაპარაკებათა რაუნდები; საერთაშორისო ვაჭრობა; ტარიფები.

შესავალი

პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის არსებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გარკვეულწილად განპირობებული იყო მრავალ ქვეყანაში ამკრძალავი ტარიფების და კვოტების შემოღებით, ასევე პროტექციონისტული ღონისძიებების გატარებით, რაც საქონლის იმპორტის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ ვითარებაში საერთაშორისო კომპანიებს სულ უფრო უჭირდა საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვა და ინვესტიციების განხორციელება. 1930 წ. აშშ-ის მთავრობამ გადაწყვიტა მრეწველობის სამამულო დარგების დაცვა უცხოური კონკურენციისგან და საბაჟო ტარიფები გაზარდა საშუალოდ 53%-მდე. ამასთან, როდესაც აშშ-ის სავაჭრო პარტნიორებმა იგივე ზომები გაატარეს, ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ მიიღო მოსალოდნელი კონკურენტული უპირატესობა.

ძირითადი ნაწილი

იმისათვის, რომ მსგავს სატარიფო ომებს არ ჰქონოდა ადგილი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1947 წ. ყველაზე გავლენიანი სავაჭრო სახელმწიფოების წარმომადგენლები ჰავანაში(კუბის დედაქალაქში) შეიკრიბნენ **საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის დასაფუძნებლად (International Trade Organization)**. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მისია საერთაშორისო ვაჭრობის მხარდაჭერაში მდგომარეობდა. სამწუხაროდ, ამ ორგანიზაციამ ვერ დაიწყო პრაქტიკული საქმიანობა მის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობების გამო. შესაბამისად ITO-ს მისია დაეკისრა **გენერალურ შეთანხმებას ტარიფებსა და ვაჭრობაზე (GATT-ს)**. 1947-1994 წწ. GATT-ის ხელმომწერმა ქვეყნებმა აქტიური ქმედებები განახორციელა ბარიერების ლიკვიდაციისთვის საერთაშორისო ვაჭრობის გზაზე.

GATT-ის მიზანი საერთაშორისო ვაჭრობისთვის ეფექტიანი გარემოს შექმნა იყო, რაც დაეფუძნებოდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტული ბრძოლის პრინციპებს, შესაბამისად სარგებელს მოუტანდა ეფექტიან მწარმოებლებს. ამ მიზნის მისაღწევად GATT-ის ფარგლებში გაიმართა მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკების რვა რაუნდი ტარიფების, კვოტების და სხვა არასატარიფო ბარიერების შემცირებაზე. რადგან მაღალი ტარიფები თავიდანვე სერიოზული ბარიერს წარმოადგენდა საერთაშორისო ვაჭრობის გზაზე, GATT-ის ხელმომწერი სახელმწიფოების ყურადღება მიმართული იყო სატარიფო პროტექციონიზმის შემცირებისკენ. GATT-ის თითოეულ წევრ-სახელმწიფოს ორგანიზაციაში ერთი ხმა ჰქონდა. გადაწყვეტილებები მიიღებოდა ხმათა

უმრავლესობით, გარდა გამონაკლისისა, როდესაც საჭირო იყო გარკვეული ვალდებულებიდან გადახრის სანქცირება. ასეთ შემთხვევებში საჭირო იყო ხმათა 2/3-ის მხარდაჭერა. სავაჭრო დავების გადასაჭრელად შეიქმნა სპეციალური კომისიები. GATT-ის არსებობის პერიოდში განვითარებული ქვეყნების მიერ დაწესებული ტარიფები საშუალოდ შემცირდა 40%-დან 1948 წ. დაახლოებით 3%-მდე 2003 წ.

GATT-ის ფარგლებში განხორციელებული მოლაპარაკებათა რაუნდები

რაუნდი	თარიღი	მონაწილეთა რაოდენობა	ტარიფების შემცირების საშუალო მაჩვენებელი
ჟენევა	1947	23	35
ანესი	1949	13	-
თორკი	1950-1951	38	25
ჟენევა	1956	26	-
დილონი	1960-1962	45	-
კენედი	1964-1967	62	35
ტოკიო	1973-1979	99	33
ურუგვაი	1986-1994	117	36

მსოფლიო ბაზარზე კონკურენტულ ბრძოლაში ხელშეწყობის მიზნით GATT-ის წევრები ცდილობდნენ საერთაშორისო კომპანიებისთვის უზრუნველეყოთ არადისკრიმინაციული პირობები საერთაშორისო ვაჭრობაში, რაც შესაძლებელი გახდა **უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის** გამოყენებით. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ ნებისმიერი ერთი ქვეყნისთვის შეთავაზებული საბაჟო შეღავათი ვრცელდება სხვა ქვეყნებზეც. მაგალითად, თუ აშშ შეამცირებდა ტარიფს ბრიტანულ სატვირთო ავტომანქანებზე 15%-ით, იმავე მოცულობით უნდა შეემცირებინა იმპორტზე ტარიფები ამავე კლასის ავტომანქანებზე GATT-ის სხვა წევრებისთვის.

GATT-ს საფუძვლად ედო თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობის პრინციპი. მიუხედავად ამისა, ამ პრინციპის მომხრეები აცნობიერებდნენ, რომ შიგა პოლიტიკური ზეწოლის შედეგად სახელმწიფოები იძულებული გახდებოდა გადაეხვია თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკისგან. ამასთან, GATT-ის წესებში იყო გარკვეული „ხვრელები“, რაც ქვეყნებს დისკრიმინაციული კვოტების და სხვა არასატარიფო შეზღუდვების დაწესების საშუალებას აძლევდა, GATT-ის შეთანხმებით გათვალისწინებული მოთხოვნების ფორმალური დარღვევის გარეშე. მაგალითად, კვოტები არაქისზე, შაქარსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რაც აშშ-მა 1995 წ. შემოიღო GATT-ის წესებიდან გამონაკლისის სახით, მოქმედებდა ათეულობით წლებში. გამონაკლისი დასაშვები იყო ეროვნული უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე ან საგადასახდელო ბალანსის პრობლემების მოსაგვარებლად. გარდა ამისა, GATT-ის ფარგლებში სახელმწიფოებს უფლება ჰქონდა გარკვეულ გარემოებებში მრეწველობის სამამულო დარგები დაეცვა „ძლიერი“ კონკურენციისგან.

დასკვნა

GATT-ის ფარგლებში მოლაპარაკებათა მერვე რაუნდში იმპორტზე ტარიფები შემცირდა 4,3-დან 3%-მდე. ტარიფების შემცირებასთან ერთად ქვეყნებმა გააცნობიერა, რომ არანაკლებ სერიოზულ დაბრკოლებად იქცა არასატარიფო შეზღუდვები საერთაშორისო ვაჭრობის გზაზე. ამიტომ, ურუგვაის რაუნდის ფარგლებში დიდი ყურადღება დაეთმო არასატარიფო შეზღუდვების შემცირებას. ამასთან, ურუგვაის რაუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა გახდა გადაწყვეტილება **„მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“** შექმნაზე.



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ვაჭრობა მკვეთრად გაიზარდა. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის მთლიანმა მოცულობამ 2012 წ. შეადგინა $18,4 ტრლნ. ანუ 2012 წლის მსოფლიო მშპ-ს დაახლოებით 26%. მომსახურებით ვაჭრობა იმავე წელს იყო $4,4 ტრლნ. ევროკავშირზე, აშშ-ზე, კანადასა და იაპონიაზე მსოფლიო სასაქონლო ექსპორტის 46,8%, ჩინეთზე – 11%, სხვა ქვეყნებზე 42,1% მოდიოდა.

ლიტერატურა

1. Griffin, R. W., & Pustay, M. W. (2022). *International business: A managerial perspective* (8th ed.). Pearson.
2. Cameron, R., & Neal, L. (2022). *A concise economic history of the world* (5th ed.). Tbilisi. *(In Georgian)*
3. Krugman, P. R., & Obstfeld, M. (n.d.). *International economics: Theory and policy* (9th ed.).
4. Griffin, R. W., & Pustay, M. W. (2022). *International business: A managerial perspective* (8th ed.). *(Duplicate of source #1)*
5. United Nations. (n.d.). *Legal resources*. https://legal.un.org

UDC 339.5(100):341.63
SCOPUS CODE 1403
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-56-60

The Role and Importance of GATT in International Trade

Tatia Gurtskaia Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: t.gurtskaia@gtu.ge

Karlo Gurtskaia Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: k.gurtskaia@gmail.com

Reviewers:
L. Bakhtadze, Associate Professor Faculty of Economics and business, TSU
E-mail: lela.bakhtadze@tsu.ge
A. Kuratashvili, Associate professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: anzorkuratashvili@yahoo.com

Abstract. The global economic crisis between the First and Second World Wars was to some extent caused by the introduction of prohibitive tariffs and quotas in many countries, as well as protectionist measures aimed at combating the import of goods.

To avoid such tariff wars, after the Second World War, in 1947. Representatives of the most influential countries in trade gathered in Havana (the capital of Cuba) to establish the International Trade Organization. Unfortunately, this organization was unable to start its practical activities due to objections to its authority. Accordingly, the it mission was assigned to the General Agreement on Tariffs and Trade (GATT-s).

During the existence of the GATT, eight rounds of negotiations have been held. As a result, tariffs imposed by developed countries decreased from an average of 40% in 1948 to about 3% in 2003. With the reduction of tariffs, countries realized that non-tariff restrictions on international trade had become no less serious obstacles. That is why much attention was paid to reducing non-tariff restrictions in the framework of the Uruguay Round. However, one of the important achievements of the Uruguay Round was the decision to establish the World Trade Organization

Keywords: GATT; international trade; negotiation rounds; quotas; tariffs.

განხილვის თარიღი 17.02.2025
შემოსვლის თარიღი 18.02.25.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 658.012.2
SCOPUS CODE 1405
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-61-72

ბიზნესმოდელის შაბლონი

არჩილ სამადაშვილი საწარმოო ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: a.samadashvili@gtu.ge

ნიკოლოზ სიმაევი შპს „ჯი-ეს-სი“, საქართველო, 0186, თბილისი, მინდელის 5
E-mail: nika.simaevi@gmail.com

რეცენზენტები:

ნ. ბებიაშვილი, სტუ-ის ენერგეტიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: n_bebiashvili@gtu.ge

გ. ნაჭყეპია, სტუ-ის ენერგეტიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: nachkepia@yahoo.com

ანოტაცია. ბიზნესმოდელის შაბლონის შედგენის საკითხები ახალ ბიზნესწამოწყებას ან არსებულის რეორგანიზების სამეწარმეო ჩანაფიქრს კომპონენტთა სტანდარტიზებული ჯგუფების შინაარსისა და მათი ურთიერთმიმართების მეშვეობით წარმოგვიდგენს. შემოთავაზებულია Dragon 1 პროგრამული პაკეტით სარგებლობა ასეთი მოდელის სიმულაციური კვლევისთვის და მისი შედეგების გამოსაყენებლად ბიზნესის ორგანიზაციული ტრანსფორმაციის პროექტებში. ხაზგასმულია მოდელის შედგენამდე შესაბამისი სტრატეგიული კონცეპტის წინასწარი არჩევის აუცილებლობა, რაც მე-4 ინდუსტრიული რევოლუციის სამრეწველო შეთავაზებების გათვალისწინებით და მცირე მაღალტექნოლოგიური ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნდა ხდებოდეს.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესმოდელი; ინოვაციური ტრანსფორმაცია; ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა; ციფრული ტრანსფორმაცია.

შესავალი

კონიუქტურის, ტექნოლოგიათა და მომხმარებელთა პრეფერენციების სწრაფი და ხშირი ცვლილება გლობალურ ბაზრებზე თანამედროვე ბიზნესს გამუდმებით სთავაზობს ახალ-ახალ შესაძლებლობებს და მის წინაშე ახალ გამოწვევებს აყენებს. მეწარმეებს და მათ პოტენციურ ინვესტორებსაც ესაჭიროებათ

ანალიტიკური ინსტრუმენტი, რათა სწრაფად და მარტივად შეაფასონ ამ შესაძლებლობებსა და გამოწვევებზე შესაძლო რეაგირების ალტერნატივათა პოტენციალი. სწორედ ასეთად აღიქვა სამეწარმეო სამყარომ შვეიცარიელი ბიზნესმენისა და თეორეტიკოს ა. ოსტერვალდერის (A. Osterwalder) მიერ შემოთავაზებული *ბიზნესმოდელის შაბლონი* (Business Model Canvas, BMC) [1].

ძირითადი ნაწილი

ვიზუალურად BMC შაბლონს ხშირად 1-ელ სურზე ნაჩვენები გრაფიკული გამოსახულების სახით წარმოადგენენ, რომლის თითოეული უჯრედი ბიზნესმოდელის ერთ-ერთ კომპოზიციურ კომპონენტს აღწერს. მათი შინაარსის ფორმირებას ბიზნესმოდელის შემქმნელი შესაბამის კითხვებზე (სურ. 1) პასუხის გაცემით ახდენს, კომპონენტების ნუმერაციის ზრდადი მიმდევრობის დაცვით: იწყებს "მომხმარებელთა სეგმენტების" (1) განსაზღვრით, აგრძელებს "ღირებულების შეთავაზებით" (2) და ა.შ. დასაწყისში, მოდელის ბაზური ვარიანტის შედგენისას, ამ მიმდევრობის დაცვა აუცილებელია, ვინაიდან თითოეული კომპონენტის შინაარსი გავლენას ახდენს მომდევნოზე. ეს კი ბიზნესმოდელის ინიციატორებს ეხმარება უკეთ წარმოიდგინონ და შეაფასონ საკუთარი სამეწარმეო წამოწყების პოტენციალი. თუმცა ბიზნესმოდელის მომდევნო განვითარებას შეიძლება ახალ-ახალი იდეების გაჩენა მოჰყვეს, მის კომპონენტებს შორის სხვა ურთიერთმიმართებებით და ამ მიმდევრობის დაცვა უკვე აღარ ხდება საჭირო. მოკლედ დავახასიათოთ ბიზნესმოდელის შაბლონის ამ კომპონენტებიდან თითოეული:



სურ.1

1. მომხმარებელთა სეგმენტები (Customer Segments, CS). ადამიანთა ან ორგანიზაციათა სამიზნე ჯგუფები, რომლებსაც საერთო სამომხმარებლო პრობლემა ან მოთხოვნილება აქვთ და რომლებიც მის გადაჭრას ერთსა და იმავე ან მსგავსი პროდუქტის/სერვისის (ანუ ღირებულების) შეძენით გეგმავენ. ბიზნესმოდელის ინიციატორი კომპანიის ძირითადი მიზანი სწორედ ამ ღირებულების შექმნა და მომხმარებელთა შერჩეული სეგმენტისთვის მიწოდება ხდება, რაც მომდევნო კომპონენტის შინაარსში აისახება.

2. ღირებულების შეთავაზება (Value Proposition, VP). **ეს** პროდუქტის/სერვისის ის კონკრეტული ნაირსახეობაა, რომლის შეძენა **CS** მიზნობრივი სეგმენტის წარმომადგენლებს საუკეთესოდ დაუკმაყოფილებს სამომხმარებლო მოთხოვნილებებს. ეფექტურ VP-ს გამოარჩევს თვისებათა მნიშვნელოვანი კომბინაცია: შემძენს საგრძნობი უპირატესობის შეგრძნებას უჩენს სხვა მომხმარებლებთან შედარებით, მკაფიოდ ასხვავებს ანალოგიური შეთავაზებისგან, იდეალურ შემთხვევაში კი იყოს უნიკალური, თავადვე მოახდინოს საკუთარი უპირატესობის დემონსტრირება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ კომპონენტის ფორმირებისას მოდელის შემქმნელის ყურადღების ცენტრში მომხმარებელთა წინაშე არსებული გამოწვევებია და არა მათი გადაჭრის კონკრეტული გზები.

3. განაწილების არხები (Channels of Distribution, CD). **ეს კომპონენტი აღწერს ყველა იმ საშუალებასა და შესაძლებლობას, რომელთა გამოყენებითაც ბიზნესმოდელის ინიციატორი კომპანია შედის ინფორმაციულ და ფიზიკურ კონტაქტში საკუთარ მომხმარებლებთან. ესენია: არსებული საკომუნიკაციო გზები და მათი განვითარების პერსპექტივები, პროდუქტის/სერვისის შეძენა-მიწოდების არხები, მათი შედარებითი ეფექტურობა და ა.შ.**

4. მომხმარებლებთან ურთიერთობა (Customer Relationships, CR). ეს კომპონენტი ორიენტირებულია კომპანიისადმი კლიენტების ლოიალურობის მოპოვებასა და შენარჩუნებაზე. შესაბამისი მოქმედებების მაგალითებია მყიდველების პირადი მხარდაჭერა, შესყიდვების ავტომატიზებული მომსახურება, პროდუქტის მომხმარებელზე პერსონალურად მორგება, გაყიდვის შემდგომი მომსახურების გათვალისწინება და ა.შ.

5. შემოსავლის ნაკადები (Revenue Streams, RS). **ეს კომპონენტი** აღწერს კომპანიის მიერ მისაღები ფულადი სახსრების სავარაუდო რაოდენობებს და მიუთითებს სათანადო წყაროებს, რომელთა შორისაა პროდუქტის გაყიდვა, მომსახურების გაწევისთვის მიღებული საზღაური, საკუთარი აქციების ვაჭრობით მიღებული თანხა, გამოუყენებელი აქტივების გაქირავების ქირა, ლიცენზიების შეძენის გადახდები, საშუამავლოები და ა.შ.

6. ძირითადი რესურსები (Key Resources, KS). **ეს კომპონენტი აერთიანებს ყველაფერ იმას, ადამიანების ჩათვლით, რაც აუცილებელია კომპანიის ნორმალური ოპერირებისთვის.** მთავარი კითხვები, რომლებსაც ბიზნესმოდელის ამ კომპონენტის შედგენისას პასუხობენ, ასეთია: *რა ძირითადი რესურსებია საჭირო, რათა კომპანიამ შეძლოს მომხმარებლისთვის სასურველი ღირებულის შექმნა და შეთავაზება? რა აქტივები და ურთიერთობები შეუწყობს ხელს არსებული მომხმარებლების შენარჩუნებასა და ახლების მოზიდვას?*

7. *ძირითადი ქმედებები (Key Activities, KA).* **ეს კომპონენტი მოიცავს ბიზნესის შედეგის შემქმნელ**

ისეთ აქტივობებსა და პროცესებს, როგორიცაა საწარმოო ოპერაციები და სამუშაო ნაკადები, ანალიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, ვაჭრობა, მომსახურება და ა.შ. ამ კომპონენტის შინაარსმა უნდა აღწეროს თუ რა და როგორ უნდა კეთდებოდეს, რათა კომპანიის სამომხმარებლო შეთავაზებამ საკმარისი მიმზიდველობა შეიძინოს? რამდენად საჭიროა მისი საქმიანობის დივერსიფიცირება? რა სიხშირით უნდა ხდებოდეს კომპანიის მოქმედების განმსაზღვრელი მიმართულებების გადახედვა?

8. ძირითადი პარტნიორები (Key Partners, KP). ამ კომპონენტში აღიწერებიან მასალების, მაკომპლექტებლების და საბოლოო პროდუქტის სხვა კომპონენტების მომწოდებლები, საერთო ბიზნესპროცესებში მონაწილე გარე კომპანიები, პარტნიორულ ურთიერთობებთან დაკავშირებული რისკები, ოპერაციული საქმიანობის ის ნაწილი, რომელიც აუტსორსინგით გადაეცემა სხვებს შესასრულებლად, ის სტეიკჰოლდერები, რომელთა სიცოცხლისუნარიანობაზეა დამოკიდებული კომპანიის ბიზნესის სტაბილურობა.

9. ხარჯების სტრუქტურა (Cost Structure, CS). ბიზნესმოდელის ეს კომპონენტი იმ დანახარჯებს აერთიანებს, რომელთა გაწევა თან ახლავს ღირებულების შექმნას კომპანიის მიერ, კლიენტებისთვის მის მიწოდებას და გაყიდვის შემდგომ მომსახურებას. ამ კომპონენტის ანალიზის საფუძველზე აფასებენ ფიქსირებული და მიმდინარე (ცვლადი) ხარჯების მოცულობას, წარმოების მასშტაბებისგან ეკონომიის მიღების შესაძლებლობას, საქმიანობის დივერსიფიკაციასთან დაკავშირებულ დამატებით გასავლებს და ა.შ.

კონკრეტული ბიზნესისთვის, შაბლონის შედგენის დაწყებამდე, სასარგებლოა წინასწარი მოსაზრების საფუძველზე, ე.წ. *სტრატეგიული კონცეპტის*[1] *შერჩევა, რომელმაც მის ინიციატორებს უნდა უკარნახოს თუ რა მიმართულებით ეძებონ ბიზნესის ეფექტურობის გზები. კონცეპტის მიხედვით* ბიზნესმოდელებს ოთხ ძირითად ჯგუფად აკლასიფიცირებენ [2]:

1. *პროდუქტზე ორიენტირებულების, რომლებიც მთავარ ამოცანად საკუთარი შეთავაზებების მომხმარებელთა მოლოდინებისთვის მაქსიმალურ მორგებას მიიჩნევენ;*
2. *კლიენტზე ორიენტირებულების, რომლებიც კლიენტებთან* სათანადო ურთიერთობების დამყარებას განმსაზღვრელ სტრატეგიულ დავალებად განიხილავენ;
3. *ინოვაციებზე ორიენტირებულების, რომლებიც საკუთარ მთავარ* მიზნად ბაზრის ლიდერობის მიღწევასა და შენარჩუნებას მიიჩნევენ, ახალი პროდუქტების/მომსახურების და პროცესების კონკურენტებზე ადრე შექმნისა და ბაზარზე გატანის მეშვეობით;
4. *ინფრასტრუქტურაზე ორიენტირებულების, რომელთა ბიზნესი* მიმართულია პლატფორმის - სხვა მეწარმეებისთვის საერთო სამოქმედო ასპარეზის შექმნაზე, რათა მათ შორის განმეორებადი მასშტაბური კომერციული ურთიერთობები გაიშალოს.

[1]კონცეპტი: ცნება, რომელიც გამოიყენება მოვლენების, ობიექტების და სიტუაციების კლასიფიკაციისთვის, არსებით ნიშანთა ერთობლიობის შესაბამისად.

ბიზნესმოდელის ფორმირება შერჩეულ კონცეპტთან შესაბამისობაში, ზემოაღწერილი კომპონენტების შინაარსის სათანადო შერჩევით და მათ შორის კავშირებში გარკვეული პრიორიტეტულობის დაცვის მეშვეობით ხორციელდება. დასაშვებია ბიზნესმოდელის ორიენტირება ერთდროულად ორ ან მეტ კონცეპტზე, თუმცა ეს არ არის სასურველი: თითოეულს წარმატებულობის განმსაზღვრელი საკუთარი ფაქტორები გამოარჩევს, რომელთა ერთი ორგანიზაციის წიაღში ერთდროულმა ამოქმედებამ შეიძლება ბიზნესის შედეგიანობაზე ნეგატიური გავლენის მქონე შიგა კონფლიქტები აღძრას.

პროდუქტზე ორიენტირებულების კონცეპტით მოსარგებლე კომპანიების მთავარი ამოცანაა პროდუქტების და მომსახურების მორგება საკუთარ მომხმარებელთა განსხვავებულ გემოვნებასა და პრეფერენციებზე. ამ კონცეპტის შესაბამისი ბიზნესმოდელების რაოდენობა და მრავალფეროვნება ყველაზე დიდია, რაც იმ შესაძლებლობების სიმრავლით აიხსნება, რომელსაც უქმნის მეწარმეებს მასზე დაყრდნობა. ამერიკული კომპანია Caterpillar[2] ერთ-ერთია, ვისი ბიზნესმოდელიც ამ კონცეპტის გამზიარებელია (სურ. 2). ჩანს, რომ ძირითადი მიზანი, რომლის მიღწევაზეც მიმართულია მისი კომპონენტები, ხარისხიანი პროდუქტიული სიახლეების შეთავაზებაა მომხმარებელთა დივერსიფიცირებული სპექტრისთვის სამშენებლო, სამთო-მომპოვებელი, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და ზოგადსამრეწველო ინდუსტრიებში.



სურ. 2

[2] Caterpillar Inc. არის ამერიკული კომპანია, რომელიც აწარმოებს სამშენებლო, სამთო და სხვა საინჟინრო ტექნიკას. იგი Fortune 500-ის სიაში 73-ე ადგილზეა, ხოლო გლობალურ Fortune 500-ის რეიტინგში 265-ე ადგილზე.

კლიენტზე ორიენტირებული კონცეპტის მიმდევარი ბიზნესების მთავარი ამოცანა საკუთარ მომხმარებელთა ბაზის მაქსიმალური გაფართოებაა ერთი, ამასთან საკმარისად უნივერსალური სამეწარმეო იდეის გამოყენების საფუძველზე. ასეთის მაგალითია ე.წ. *"გრძელი კუდის" (Long-Tail) კონცეპცია,* რომელიც გულისხმობს გაყიდვების ე.წ. „ჰიტთან" – ძირითად პროდუქტთან ერთად მისგან უმნიშვნელოდ განსხვავებული „მონათესავე" ნაწარმის მცირე პარტიების შეთავაზებასაც, სპეციფიკური მოთხოვნილებების მქონე მომხმარებლებისთვის (სურ. 3).



სურ. 3

ამ კონცეპტით მოსარგებლე კომპანიას უნდა შეეძლოს, პოპულარული ნაწარმის მასშტაბურ გამოშვებასთან ერთად, იგივე სამომხმარებლო ნიშის შედარებით იშვიათად მოთხოვნადი პროდუქტების ფართო ჩამონათვალის წარმოებაც. იმისთვის, რომ მას არ სჭირდებოდეს მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევა, პროდუქციის ფართო ასორტიმენტის მარაგების შენახვაზე, კომპანია უნდა ფლობდეს წარმოების ერთი ნაწარმიდან მეორეზე სწრაფი გადაყვანის ოპერაციულ უნარს. ამიტომ, ამ კონცეპტის გამოყენება მე-4 ინდუსტრიული რევოლუციის მსვლელობაში განსაკუთრებით მიმზიდველი გახადა ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი „ჭკვიანი" საწარმოების გამოჩენამ, როგორიცაა 3D ბეჭდვა, ლაზერული ჭრა, კომპიუტერული კონტროლით ფრეზირება (Computer Numerical Control, CNC), წარმოება „ციფრული ტყუპების" გამოყენებით და ა.შ. შესაბამისად აღჭურვილ მცირე სამრეწველო კომპანიებს დღეს შეუძლია ნაკეთობების რაოდენობრივად უმნიშვნელო პარტიებით ან სულაც ერთეულებით გამოშვება პროდუქციის თვითღირებულების ეკონომიკურად მისაღებ დონეზე შენარჩუნებით.

ინოვაციებზე ორიენტირებული კონცეპტის მიმდევარი კომპანიების ყურადღება პირველ რიგში რადიკალურად განსხვავებული ახალი პროდუქტებისა და პროცესების განვითარებისკენ არის მიმართული, რომელთა საფუძველი როგორც საკუთარი, ისე სხვების ორიგინალური იდეების გამოყენება ხდება. ამ ჯგუფს ვენჩურულ ბიზნესებსაც მიაკუთვნებენ, რომლებიც მხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების ან აქტივების შექმნითაა დასაქმებული, რომელთაც ბაზარზე მასშტაბური რეალიზებისთვის უკვე გარე პარტნიორებს გადასცემენ. *სათანადო მაგალითად შეიძლება კომპანია InnoCentive*[3] *დავასახელოთ, რომელიც რთული კვლევითი, თუ საწარმოო ამოცანების გადაჭრით დაინტერესებულ ორგანიზაციებს იმ მეცნიერებთან და ინჟინრებთან აკავშირებს მთელ მსოფლიოში, რომელთათვისაც, ფინანსური ან სხვა სახის მიმზიდველობის გამო, (პრესტიჟი, პატენტმფლობელობა და ა.შ.) საინტერესოა შესაბამისი პრობლემის გადაწყვეტა (იხ.* სურ. *4).*

[3] **InnoCentive** არის ღია ინოვაციისა და კრაუდსორსინგის კომპანია, რომელიც საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს წარმოადგინონ მათი გადაუჭრელი პრობლემები და დაუკმაყოფილებელი საჭიროებები.



სურ. 4

10. Ceballos Lascuráin, H. (1996). *Tourism, ecotourism, and protected areas: The state of nature-based tourism around the world and guidelines for its development*. Island Press.
11. Black Sea Cross-Border Cooperation Programme. (2021). Soil participants booklet. Retrieved from https://blacksea-cbc.net/wp-content/uploads/2021/11/BSB142_BioLEARN_6b_Soil_Participants-Booklet_GE.pdf:contentReference[oaicite:44]{index=44}
12. Grzelishvili, N., & Kvaratskhelia, L. (2023). Perspective of rational use of recreational resources in Georgia. *International Scientific-Practical Journal "Business and Legislation", 1*, 13–70.
13. Grzelishvili, N., & Kvaratskhelia, L. (2022). Tourist-recreational resources (Part One). *Publisher "Mtsignobari"*, 244. Tbilisi.

UDC 338.48
SCOPUS CODE 1409
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-103-113

Aspects of Assessing the Positive and Negative Impacts of Tourism

Nodar Grzelishvili I. Jordania Georgian Center for the Study of Productive Forces and Natural Resources, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 69[a], M. Kostava str.
E-mail: regioni.ge@yahoo.com

Laura Kvaratskhelia I. Jordania Georgian Center for the Study of Productive Forces and Natural Resources, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 69[a], M. Kostava str.
E-mail: kvlaura@mail.ru

Reviewers:

N. Chitanava, Doctor of Economic Sciences ,Academician of the Academy of Agricultural Sciences, GTU
E-mail: n.chitanava@gtu.ge

I. Archvadze, Chief Specialist, Professor at the Central European University I. Jordania Georgian Center for the Study of Productive Forces and Natural Resources, GTU
E-mail: daswreba@yahoo.com

Abstract. The article is devoted to the analysis and assessment of the positive and negative effects of tourism development that accompany it. This sphere of services has a significant impact on the ecological environment and socio-economic development of the receiving territories.

The article analyzes the main positive and negative consequences of tourism, both on the environment of the regions, and on socio-economic indicators of impact. The impact of tourism on the environment is discussed. Based on the conducted studies, specific recommendations are presented in the form of a conclusion, the implementation of which can reduce the negative consequences of tourist and recreational activities. The main content of these recommendations lies in the effective management of resort and recreational areas, regulation of tourist behavior, compliance with sanitary norms and rules by participants in the tourist and recreational services market.

Keywords: Destination; environment; environment; host area tourism; negative consequences; recreation; socio-economic impact; sustainable development.

განხილვის თარიღი 10.02.2025
შემოსვლის თარიღი 21.02.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 658: 330.3
SCOPUS CODE 1410
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-114-122

სოციალური და მწვანე ბიზნესების გამოწვევები საქართველოში

ხათუნა ხარხელაური ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: kh.kharkhelauri@gtu.ge

ნინო ძნელაძე ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: dzneladze.nino22@gtu.ge

საბა წიკლაური ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: tsiklauri.saba21@gtu.ge

რეცენზენტები:

ბ. გოდერძიშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორი
E-mail: b.goderdzishvili@gtu.ge

ნ. მაზიაშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: n.maziasvili11@gtu.ge

ანოტაცია. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა სულ უფრო მეტად ფოკუსირდება მდგრად განვითარებაზე, რაც სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესებს წამყვან პოზიციებზე აყენებს. საქართველოში ბოლო წლებში აქტიურად იზრდება ინტერესი როგორც სოციალური, ისე მწვანე ბიზნესების მიმართ. თუმცა, მათი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი გარემოს არსებობა. განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში აღნიშნული მოდელები ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზეა და საჭიროებს საკანონმდებლო, ფინანსურ და საგანმანათლებლო მხარდაჭერას.

მწვანე და სოციალური ბიზნესების განვითარება გულისხმობს ისეთი ეკონომიკური მოდელების შექმნას, რომლებიც გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას ემსახურებიან. ეს მოიცავს ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების შექმნას, რომლებიც კლიმატის ცვლილებებისა და გარემოს დაბინძურების პრობლემებს ამცირებენ.

სტატიაში განვიხილეთ მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელიც ასევე ცნობილია როგორც „Triple Bottom Line“ მიდგომა. მწვანე ბიზნესები

ხშირად იყენებენ 3P მოდელს (ადამიანი, პლანეტა და მოგება), რაც გულისხმობს არა მხოლოდ ფინანსური სარგებლის მიღებას, არამედ გარემოსა და საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვას. მაგალითად, კომპანიები, რომლებიც ნარჩენების გადამუშავებასა და განახლებადი ენერგიის გამოყენებაზე აკეთებენ აქცენტს, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკოლოგიური პრობლემების შემცირებაში.

სტატიაში განვიხილეთ რამდენიმე სხვადასხვა ტიპის მდგრადი ბიზნესმოდელი, რომლებსაც კომპანიები იყენებენ საზოგადოებასა და გარმოზე დადებითი გავლენის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარების კონცეფცია; მწვანე ბიზნესი; „Triple Bottom Line“ Model.

შესავალი

სოციალური ბიზნესი პირველ რიგში საზოგადოებრივ სარგებელზეა ორიენტირებული. მას შეუძლია შეიმუშაოს ისეთი მდგრადი ბიზნესმოდელი, რომელიც გააერთიანებს ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობასა და სოციალურ მისიას. მწვანე ბიზნესი კი ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მატარებელია და ცდილობს გარემოზე ზემოქმედების შემცირებას — იქნება ეს დაბინძურების კონტროლი, საწარმოო ნარჩენების მართვა თუ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.

მსოფლიოში ამ ორი მიმართულებისადმი ყურადღება მნიშვნელოვნად გაიზარდა. განვითარებული ქვეყნები აქტიურად ქმნიან ინოვაციურ პოლიტიკასა და სტიმულების მექანიზმებს ამ სფეროში ჩართული კომპანიებისთვის. ორივე სფერო მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გლობალური მიზნების მიღწევისთვის (მაგ. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები), არამედ ქვეყნის შიდა ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობისთვის.

ძირითადი ნაწილი

“მდგრადი ბიზნესმოდელი” არის ბიზნესის კეთების კონცეფცია, რომელიც ქმნის სარგებელს არა მარტო მისი მფლობელის, არამედ ყველა მონაწილისთვის. იგი შექმნილია იმისათვის, რომ დააბალანსოს კომპანიის მომგებიანობა გარემოზე ზემოქმედებასა და სოციალურ პასუხისმგებლობასთან. „მდგრადი ბიზნესმოდელები“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ გრძელვადიანი სარგებლის შექმნას, პლანეტასა და საზოგადოებაზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას. „მდგრადი ბიზნესმოდელების“ გაგება მოითხოვს აზროვნების შეცვლას. ეს არის იმის აღიარება, რომ მომგებიანობა და მდგრადობა არ არის ერთმანეთის გამომრიცხავი, არამედ ისინი ავსებენ ერთმანეთს. მომგებიანობა უზრუნველყოფს ბიზნესის ფუნქციონირებას და კონკურენტუნარიანობას, ხოლო მდგრადობა – მის გამძლეობასა და შესაბამისობას სულ უფრო მეტად ეკოლოგიურად პასუხისმგებლიან სამყაროში.

დიაგრამა: მდგრადი განვითარების კონცეფცია



წყარო: [3].

ბიზნესის მდგრადობა ეფუძნება სამ ე.წ საყრდენს: ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას, სოციალურ თანასწორობასა და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას, რომლებიც ქმნიან მდგრადი ბიზნესმოდელების საფუძველს. თითოეულ საყრდენს აქვს თავისი მნიშვნელობა და ურთიერთდაკავშირებულია სხვებთან, რაც ქმნის მყარ სტრუქტურას ბიზნესისთვის, რომელსაც სურს მიაღწიოს წარმატებას დღევანდელ მუდმივად განვითარებად და ცვალებად ბაზრის ლანდშაფტში.

ის ასევე ცნობილია როგორც „Triple Bottom Line“ მიდგომა (სამმხრივი ფუნდამენტური მიმართულება), რომელიც მოიცავს:

- *ხალხს* – სამართლიანი მოპყრობა თანამშრომლების, მომხმარებლებისა და თემების მიმართ.
- *პლანეტას* – გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაცია ნარჩენების, გამონაბოლქვის/დაბინძურების და რესურსების გამოყენების შემცირებით.
- *მოგებას* – გონივრული მოგების მიღება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბიზნესმა შეძლოს მდგრადი ფუნქციონირების გაგრძელება გრძელვადიან პერსპექტივაში.

რატომ არის ბიზნესის მდგრადობა ასე მნიშვნელოვანი? ბიზნესი, რომელიც ახორციელებს მდგრადი განვითარების სტრატეგიას, ხშირად იღებს ისეთ სარგებელს, როგორიცაა: უკეთესი ბრენდის რეპუტაცია, ხარჯების ეკონომია, მეტი ინოვაცია, კმაყოფილი თანამშრომლები.

დღეისათვის ცნობილია არაერთი მდგრადი ბიზნესმოდელი, რომლის დანერგვითაც კომპანიებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მაგალითად:

1. **რეგენერაციული სოფლის მეურნეობის მოდელი,**[1] არის მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს ეკოსისტემების აღდგენას და მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებას. ეს მოდელი ფოკუსირებულია ნიადაგის მოსავლიანობის პოტენციალის აღდგენასა და შენარჩუნებაზე, ბიომრავალფეროვნების გაზრდასა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შემცირებაზე. იგი გულისხმობს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს ბუნებრივ გარემოს.

ამ მოდელის მთავარი პრინციპებია:

- ნიადაგის მდგომარეობის გაჯანსაღება: ორგანული ნივთიერებების გაზრდა, ნიადაგის ბიომრავალფეროვნების გაძლიერება და ეროზიის პრევენცია.
- მინიმალური ჩარევა: ნიადაგის დამუშავების შემცირება ან საერთოდ თავიდან აცილება, რაც ხელს უწყობს ნიადაგის სტრუქტურის შენარჩუნებას.
- მუდმივი მცენარეული საფარი: ნიადაგის დაცვა ეროზიისგან და ორგანული ნივთიერებების შენარჩუნება.
- მრავალფეროვანი კულტურები: კულტურების როტაცია და მრავალფეროვანი მცენარეების გამოყენება, რაც ხელს უწყობს ნიადაგის მდგრადობას.
- მოსავლის ნარჩენების დატოვება მინდორში: რადგან ისინი ორგანული ნივთიერებების და ენერგიის წყაროა შემდგომი მცენარეებისთვის.
- ცხოველების ჩართვა სასოფლო-სამეურნეო პროცესებში, რაც ხელს უწყობს ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდას.

სარგებელი, რომელიც აღნიშნული მოდელის განხორციელებას ახლავს:

- ნიადაგის, წყლისა და ჰაერის რესურსების გაუმჯობესება და ეფექტური გამოყენება.
- ნახშირბადის შემცირება, მისი შენახვა ნიადაგში, რაც ამცირებს სათბურის გაზების ემისიას.
- ეკოსისტემების აღდგენა, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გაუმჯობესება მათი ამოწურვის ნაცვლად.
- ბიომრავალფეროვნების გაზრდა და ბუნებრივი პროცესების გაძლიერება.

რეგენერაციული სოფლის მეურნეობის მოდელი არა მხოლოდ გარემოსთვისაა სასარგებლო, არამედ ფერმერებისთვისაც, რადგან ის ამცირებს ხარჯებს და ზრდის მოსავლიანობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

2. **სოციალური საწარმოს მოდელი** გულისხმობს ბიზნესსტრუქტურას, რომლის მთავარი მიზანი არის სოციალური, გარემოსდაცვითი ან საზოგადოებრივი გამოწვევების გადაწყვეტა და არა მხოლოდ ფინანსური მოგების მიღება. ეს მოდელი ცდილობს ბალანსი შეინარჩუნოს კომერციულ საქმიანობასა და სოციალურ პასუხისმგებლობას შორის.

მისი ძირითადი მახასიათებლებია:

- სოციალური მიზანი: საწარმოს მთავარი მიზანია გარკვეული სოციალური პრობლემის მოგ-

[1] Regenerative Agriculture Model: Healing the Earth

ვარება, მაგალითად, სიღარიბის შემცირება, განათლების ხელშეწყობა ან გარემოს დაცვა.

- სერვისების/პროდუქტების გაყიდვა: როგორც სხვა ბიზნესი, სოციალური საწარმოები ქმნიან პროდუქტებს ან სერვისებს, რომლებიც მომხმარებლებისთვის ღირებულია.
- შემოსავლის გადანაწილება: მიღებული შემოსავალი ძირითადად გამოიყენება საწარმოს მიზნების განხორციელებისთვის და არა კერძო სარგებლობისთვის.
- ინკლუზიურობა: ხშირად სოციალური საწარმოები ხელს უწყობენ მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებას ან მათთვის სპეციალური სერვისების შეთავაზებას.

სოციალური საწარმოების მოდელი ხშირად არის ინოვაციური და ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას.

3. განახლებადი ენერგიის მოდელი: მომავლის ენერგია

განახლებადი ენერგიის მოდელი, რომელიც ხშირად მოიხსენიება როგორც "მომავლის ენერგია", გულისხმობს ენერგიის წარმოებას ისეთი წყაროებიდან, რომლებიც ბუნებრივად აღდგება და ამოუწურავია. ეს მოიცავს მზის, ქარის, ჰიდროენერგიის, გეოთერმული და ბიომასის ენერგიის გამოყენებას.

მისი ძირითადი მახასიათებლებია:

- ეკოლოგიური სისუფთავე: განახლებადი ენერგიის წყაროები არ წარმოქმნის სათბურის გაზებს და ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას.
- მდგრადობა: ენერგიის ეს წყაროები ამოუწურავია და მათი გამოყენება არ ამცირებს ბუნებრივ რესურსებს.
- ენერგეტიკული უსაფრთხოება: განახლებადი ენერგია ამცირებს დამოკიდებულებას წიაღისეულ საწვავზე და უზრუნველყოფს ენერგიის სტაბილურ მიწოდებას.

4. **ნარჩენების შემცირების მოდელი[2],** არის ინოვაციური მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს ნარჩენების შემცირებასა და მათ რესურსებად გარდაქმნას. ეს მოდელი ეფუძნება ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებს, რაც გულისხმობს რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, გადამუშავებას და ხელახლა გამოყენებას, რათა შემცირდეს ნარჩენების რაოდენობა და გარემოზე ზემოქმედება. კომპანიები იყენებენ ნარჩენებს, როგორც ნედლეულს ახალი პროდუქტების შესაქმნელად. მაგალითად, Bio-bean გარდაქმნის ყავის ნარჩენებს ბიოენერგიად.

მისი ძირითადი მახასიათებლებია:

- ნარჩენების სორტირება და გადამუშავება: მოწინავე ტექნოლოგიების, როგორიცაა მაგალითად ხელოვნური ინტელექტი, გამოყენება ნარჩენების სორტირებისთვის და გადამუშავების ეფექტურობის გასაზრდელად. მათი გამოყენება ახალი პროდუქტების შესაქმნელად, რაც ამცირებს ნარჩენების რაოდენობას და რესურსების გამოყენებას.
- ნარჩენების ენერგიად გარდაქმნა: ტექნოლოგიები, როგორიცაა მაგალითად, ბიოგაზის ან ელექტროენერგიის წარმოება ორგანული ნარ-

[2] Transforming Trash -(Waste-to-Value)

ჩენებიდან, რაც ამცირებს წიაღისეული საწვავის გამოყენებას.

- ორგანული ნარჩენების კომპოსტირება: საკვების ნარჩენებისა და ორგანული მასალების კომპოსტირება, რაც ხელს უწყობს ნიადაგის გამდიდრებას და ურბანული სოფლის მეურნეობის განვითარებას.
- ინოვაციური ტექნოლოგიები: ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, როგორიცაა პლასტმასის მოლეკულურ დონეზე დაშლა ან ნარჩენების ქიმიური კომპონენტების გამოყოფა.
- ეკონომიკური სარგებელი: ნარჩენებისგან მიღებული პროდუქტები შეიძლება იყოს ეკონომიკურად მომგებიანი და ხელს უწყობდეს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.
- საზოგადოების ჩართულობა: მოსახლეობის განათლება და ჩართულობა ნარჩენების მართვის პროცესში, რაც ხელს უწყობს გადამუშავების მაჩვენებლის გაუმჯობესებას.

ეს მოდელი არა მხოლოდ გარემოს დაცვას უწყობს ხელს, არამედ ეკონომიკურ სარგებელსაც ქმნის, რადგან ნარჩენები რესურსებად გარდაიქმნება.

საქართველოში მწვანე და სოციალური ბიზნესების განვითარება ჯერ კიდევ საწყის სტადიაზეა. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს სპეციალური სტატუსი ასეთი ტიპის კომპანიებისთვის, არსებობს რამდენიმე უნივერსალური ინსტრუმენტი, რომლებითაც მათ შეიძლება ისარგებლონ [2].

- **საკანონმდებლო და სტრუქტურული ჩარჩო:** მოქმედი რეგულაციები მცირე და საშუალო ბიზნესებს უჭერს მხარს, თუმცა არ განასხვავებენ სოციალურ ან ეკომიმართულ საწარმოებს.
- **ფინანსური მექანიზმები:** არსებობს პროგრამები, როგორიცაა "აწარმოე საქართველოში", "სტარტაპ საქართველოს" და დონორული გრანტები (მაგალითად, ევროკავშირის ENPARD), თუმცა მათი მიმართულება ხშირად არ არის მკაფიოდ მიახლოებული სოციალურ ან ეკოლოგიურ საწარმოებთან.
- **განათლება და მენტორობა:** მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ვითარდება სტარტაპ აქსელერატორები, რომლებიც სოციალურ მეწარმეობას ხელს უწყობენ. ერთ-ერთი პოზიტიური მაგალითია Impact Hub Tbilisi.
- **საზოგადოების განწყობა:** ახალგაზრდობის ნაწილში მზარდია ინტერესი მდგრადი ცხოვრების წესის, გარემოს დაცვისა და სოციალური სამართლიანობის მიმართ, რაც პოზიტიურ ტენდენციად უნდა შეფასდეს.

საქართველოში უკვე არსებობს რამდენიმე წარმატებული სოციალური და მწვანე ინიციატივა, რომლებიც სხვა სტარტაპებისთვის შთაგონებად შეიძლება იქცეს:

1. **„დადე კაფე"** – სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი სივრცის ეკოლოგიური მართვა.
2. **„ეფექტი"** – ეკომეგობრული შეფუთვების მწარმოებელი, რომელიც ნარჩენების შემცირებაზეა ორიენტირებული;
3. **„რიჩკიდსი"** – სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
4. **თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობებთან** – გარკვეულ რეგიონებში დაიწყო

კომპოსტირების პროექტები და ეკოლოგიური სოფლების კონცეფციების განვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ მზარდია ინტერესი, ქართული მწვანე და სოციალური მეწარმეობის განვითარებას სერიოზული გამოწვევები ახლავს:

1. **სპეციფიკური სტატუსის არარსებობა** – რაც აფერხებს წვდომას საგადასახადო შეღავათებსა და გრანტებზე.
2. **დაფინანსების შეზღუდულობა** – ინვესტორების მხრიდან ჯერ კიდევ სიფრთხილეა მსგავსი ბიზნესების მიმართ.
3. **სისტემური ცოდნის ნაკლებობა** – მეწარმეების უმეტესობას არ აქვს სრულყოფილი ცოდნა სოციალურ ან ეკომოდელების შესახებ.
4. **განსხვავებული კულტურული მოლოდინები** – ქართულ საზოგადოებაში ბიზნესი ჯერ კიდევ ხშირად ასოცირდება მოგებაზე ორიენტირებულ სტრუქტურებთან, რაც ართულებს სოცეკომოდელების გაგებას.

დასკვნა

საქართველოში სოციალური და მწვანე ბიზნესების განვითარების პოტენციალი თვალსაჩინოა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში მზარდი ინტერესის, გლობალური ტენდენციებისადმი ღიაობისა და ადგილობრივი ინიციატივების გააქტიურების ფონზე. თუმცა, სექტორის წინსვლა კვლავ შეზღუდულია სამართლებრივი გაურკვევლობის, ფინანსური წახალისების ნაკლებობისა და სისტემური მხარდაჭერის არქონის გამო.

მდგრადი განვითარების გზაზე სოციალური და მწვანე მეწარმეობა შეიძლება იქცეს გარდამტეხ ძალად, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ ზრდას, გარემოს დაცვას და სოციალურ ჩართულობას. ამისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფომ, აკადემიურმა წრეებმა, კერძო სექტორმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა იმოქმედონ ერთიანი, ინტეგრირებული ხედვით.

ლიტერატურა

1. Chechelashvili, M., & Kharkhelauri, K. (2023). Changing macroeconomics due to the "trust" component. *Norwegian Journal of Development of the International Science*, *103*, 9–14. https://doi.org/10.5281/zenodo.7687797
2. Chechelashvili, M., Chikviladze, N., Iashvili, I., Kajaia, T., Kharkhelauri, K., & Malania, E. (2024). Creation of a strategically oriented social responsibility management system in a Georgian organization. *Qubahan Academic Journal*, *4*(3), 694–697. https://doi.org/10.48161/qaj.v4n3a246
3. Sabatini, R., & Gardi, A. (2023, September 15). Sustainable aviation technology and operations: Research and innovation perspectives. https://doi.org/10.1002/9781118932599
4. Yunus, M. (2008). Creating a world without poverty. *Global Urban Development*, *4*(2). https://www.globalurban.org/GUDMag08Vol4Iss2/Yunus.pdf
5. Schaltegger, S., Hansen, E. G., & Lüdeke-Freund, F. (2016). Business models for sustainability: Origins, present research, and future avenues. https://doi.org/10.1177/1086026615599806

6. Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). (2013). *Green entrepreneurship: Eco-innovation for sustainable development*. https://one.oecd.org/document/CFE/SME(2011)9/FINAL/en/pdf
7. United Nations, Department of Economic and Social Affairs. (2015). *Transforming our world: The 2030 agenda for sustainable development*. https://sdgs.un.org/2030agenda
8. UNDP Georgia. (2020). *Supporting social enterprises in Georgia: Assessment and strategic recommendations*. https://www.undp.org/georgia
9. Datuashvili, E. (2020). *Social entrepreneurship in Georgia: A review of Georgian practice*. Georgian Center for Strategic Studies and Development. https://civilin.org/wp-content/uploads/2021/08/Social_Enterprise_geo.pdf
10. Guruli, N. (2020). *Social entrepreneurship in Georgia: Legal and institutional barriers*. Georgian Institute of Policy (GIP), *Policy Review*, No. 18. https://gip.ge
11. EU4Environment Initiative. (2021). *SME policy index: Eastern Partnership countries 2020*. https://www.eu4environment.org/ka/sme-policy-index-eastern-partner-countries-2020/

UDC 658: 330.3
SCOPUS CODE 1410
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-114-122

Challenges of Social and Green Businesses in Georgia

Khatuna Kharkhelauri Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: kh.kharkhelauri@gtu.ge

Nino Dzneladze Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: dzneladze.nino22@gtu.ge

Saba Tsiklauri Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: tsiklauri.saba21@gtu.ge

Reviewers:

B. Goderdzishvili, Associate Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: b.goderdzishvili@gtu.ge
N. Maziashvili, Associate Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: n.maziasvili11@gtu.ge

Abstract. The modern world economy is increasingly focusing on sustainable development, which puts businesses with social and ecological responsibility in a leading position. In Georgia, interest in both social and green

businesses has been actively growing in recent years. However, the existence of an appropriate environment is important for their development. Unlike developed countries, in Georgia, these models are still at an early stage of development and require legislative, financial and educational support.

The development of green and social businesses involves the creation of economic models that serve environmental protection and sustainable development. This includes creating innovative products and services that reduce the problems of climate change and environmental pollution.

In this article, we discussed the concept of sustainable development, also known as the "Triple Bottom Line" approach. Green businesses often use the 3P model (People, Planet, and Profit), which involves not only obtaining financial benefits, but also caring for the well-being of the environment and society. For example, companies that focus on recycling waste and using renewable energy play an important role in reducing environmental problems.

In this article, we discussed several different types of sustainable business models that companies use to have a positive impact on society and the environment.

Keywords: Green Business; Sustainable Development Concept; „Triple Bottom Line" Model.

განხილვის თარიღი 25.03.2025
შემოსვლის თარიღი 16.04.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 669.2/.8
SCOPUS CODE 1601
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-123-133

ცანის არსენოპირიტული მადნის ჟანგვითი გამოტუტვის შედეგად მიღებული ტუტე ხსნარებიდან ელემენტური დარიშხანის ელექტროკრისტალიზაცია და პროცესის მალიმიტირებელი პარამეტრების შემუშავება

თამარ წილოსანი ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 69
E-mail: tsilosanitamari04@gtu.ge

თამარ ცერცვაძე ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 69
E-mail: tamartsercvadze@gtu.ge

თამაზ ბუჩუკური ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 69
E-mail: t.buchukuri@gtu.ge

ნატა კანთელაძე ინფორმატიკისა და მართვის სისტემების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 71
E-mail: n.kanteladze@gtu.ge

რეცენზენტები:

თ. ლეჟავა, თსუ-ის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი. მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
E-mail: tinsaemili@yahoo.com

მ. დონაძე, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. თსუ-ის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
E-mail: m.donadze@gtu.ge

ანოტაცია. ელექტროქიმიური მეთოდით ელემენტური დარიშხანის მისაღებად საჭიროა ელექტროლიზის ისეთი პირობების შერჩევა, რომლის დროსაც მიიღება მაღალი დენით გამოსავლის, გამორჩეულად თხელი ფენის მქონე დარიშხანი.

სტატიაში განხილულია საქართველოში, სვანეთში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ცანაში არსებული არსენოპირიტული მადნის ჟანგვითი გამოტუტვის შედეგად მიღებული ტუტე ხსნარებიდან ელემენტური დარიშხანის ელექტროკრისტალიზა-

ციის პროცესი. დადგინდა პროცესზე მოქმედი პარამეტრები და მათი ოპტიმალური მნიშვნელობები.

საცნობარო ნაშრომებში კათოდად ვერცხლის-წყალს იყენებენ, რომელზეც დარიშხანი ფხვნილის სახით გამოიყენება. ის არ რეაგირებს ვერცხლის-წყალთან, ადვილად იფილტრება, მაგრამ მისი ნაკლი არის ის, რომ სამრეწველო მასშტაბებში ვერცხლისწყლის კათოდს არ იყენებენ. გარდა ამისა, ელექტროლიტში სპილენძის, ნიკელისა და ანთიმონის იონების ასრებობა ხსნარში გამოყოფილ დარიშხანს აბინძურებს. პროცესის სამრეწველო მასშტაბით განსახორციელებლად კათოდად გამოყენებული უნდა იყოს რომელიმე ვენტილური ლითონი, მაგალითად ტიტანი. იგი რენტაბელურია როგორც წინასწარი დამუშავების გარეშე, ისე ტიტანის ოქსიდით ან ნიტრიდით დამუშავების შემთხვევაში. ასევე ყურადსაღებია საანოდე მასალაც. ძირითადად გამოიყენება ნიკელის, პლატინის ან ორტას ელექტროდი.

თეორიული და ექსპერიმენტული სამუშაოების შედეგად შევისწავლეთ ცანის არსენოპირიტული მადნის ჟანგვითი გამოტუტვის შედეგად მიღებული ნატრიუმის არსენატისა და არსენიტის შემცველი ტუტე ხსნარებიდან ელემენტური დარიშხანის ელექტროკრისტალიზაციის პროცესის ძირითადი მახასიათებელი პარამეტრების: დენის სიმკვრივის, ტემპერატურის, ელექტროლიტში დარიშხანისა და ნატრიუმის ჰიდროქსიდის კონცენტრაციის, ელექტროლიზის პროცესის ხანგრძლივობის და საკათოდე მასალის გავლენა ელემენტური დარიშხანის დენით გამოსავალზე.

თეორიული და ექსპერიმენტული სამუშაოების შედეგების საფუძველზე დადგინდა ცანის არსენოპირიტული მადნის ჟანგვითი გამოტუტვის შედეგად მიღებული ტუტე ხსნარებიდან ელემენტური დარიშხანის მიღების ოპტიმალური პირობები ელექტროკრისტალიზაციის პროცესში. ასევე შემუშავდა ტექნოლოგიური სქემა.

საკვანძო სიტყვები: გამოტუტვა; დენის სიმკვრივე; ელექტროკრისტალიზაცია; ოპტიმალური პირობები.

შესავალი

საქართველოს ძირითად ოქროს საბადოს, რომლიდანაც ოქროს ამოღება ამჟამად მიმდინარეობს, მადნეულის ოქროს კვარციტული საბადო წარმოადგენს, თუმცა, ოქრო ფერადი ლითონების მადნებშიც მოიპოვება, რომელთა ადგილზე გადამუშავება ოქროს წარმოებას გაზრდიდა ქვეყანაში. ერთ-ერთი ასეთი მადანი არის ცანის არსენოპირიტული მადანი, რომლის ჰიდრომეტალურგიულად გადამუშავების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ქვეყანამ არა მარტო ოქროს დამატებითი რაოდენობა, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტიც მიიღოს, როგორცაა ლითონური დარიშხანი. ლითონური დარიშხანი და მისი ნაერთები ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დარგში, კერძოდ ნახევარგამტარულ ტექნიკაში. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მოიცავს რადიოელეტრონიკას, მიკროელექტრონიკას, ლაზერულ ტექნიკას, მზის ბატარეებს და სხვა. ფართოა დარიშხანის ნაერთების გამოყენების არეალი: მინის და ბროლის წარმოება, ბოჭკოვანი ოპტიკა, ელექტროგრაფია, ჰოლოგრაფია, სოფლის მეურნეობა, ხის დამუშავების ტექნოლო-

გია, ვეტერინარია, ქიმიური მრეწველობა, ტყავის დამუშავება და სხვა. დარიშხანისა და ოქროს შემცველი სულფიდური კონცენტრატი და სამრეწველო გადამუშავების ნარჩენები მათი ტექნოლოგიური მდგრადობის გამო ძირითადად პირომეტალურგიული მეთოდით გადამუშავდება, რომლის დროსაც წარმოიქმნება მტვერი და აირადი გოგირდის დიოქსიდი. გამონაბოლქვი აირების გაწმენდა რთულია, ძვირი და ზოგიერთ შემთხვევაში არასაკმარისად ეფექტურიც. გოგირდის დიოქსიდი საწარმოდან ათასობით კილომეტრზე ვრცელდება და მავნე ზეგავლენას ახდენს გარემოზე. ამასთან დაკავშირებით, მთელს მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა სულფიდური მადნებიდან და კონცენტრატებიდან ლითონების მიღებას ჰიდრომეტალურგიული მეთოდით, რომელიც უზრუნველყოფს გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებას. დარიშხანთან დაკავშირებულ პუბლიკაციებში, ძირითადად შესწავლილია დარიშხანის ამოღება ფერადი ლითონების საწარმოებიდან ჩამდინარე წყლებიდან, ფერადი ლითონების რაფინირებისას გამოყენებული ელექტროლიტებიდან [1,2]; ელეტროლიტიდან დარიშხანის ძირითადი რაოდენობის ამოღების მიზნით შემოთავაზებულია ელექტროლიზის ჩატარება უდიაფრაგმო აბაზანაში, სპილენძის კათოდით 50-200 ა/მ^2 დენის სიმკვრივის პირობებში. კათოდზე გამოილექება დარიშხანი სპილენძთან ერთად. არსინის გამოყოფის თავიდან აცილების მიზნით არჩევენ დენის სიმკვრივეს, რაც სპილენძის იონების კონცენტრაციაზეა დამოკიდებული [3,4,5]; ცნობილია ელემენტური დარიშხანის გამოლექვა კოროზიამედეგი დანაფარების მისაღებად. გალვანურ დანაფარებს ღებულობენ მჟავა, ტუტე და ციანური ხსნარებიდან. ამ დროს კათოდზე დაბალი ელექტროგამტარობის მქონე დარიშხანი წარმოიქმნება, რის გამოც ძაბვა ელექტროლიზერზე ნალექის სისქის ზრდასთან ერთად სწრაფად იზრდება. ამ მიზეზის გამო შესაძლებელია მხოლოდ დარიშხანის თხელი დანაფარის მიღება. ამ დროს დენით გამოსავალი სწრაფად ეცემა და შეიძლება პროცესი საერთოდ შეწყდეს [6,7].

ძირითადი ნაწილი

კვლევის მიზანია არსენოპირიტული მადნის ჟანგვითი გამოტუტვის შედეგად მიღებული ნატრიუმის არსენიტისა და არსენატის შემცველი ტუტე ხსნარებიდან ელემენტური დარიშხანის ელექტროკრისტალიზაციის პროცესის კვლევა. პროდუქტის ხარისხსა და დენით გამოსავალზე მოქმედი პარამეტრების - დენის სიმკვრივის, ტემპერატურის, ელექტროლიტში დარიშხანისა და ნატრიუმის ჰიდროქსიდის კონცენტრაციების, პროცესის ხანგრძლივობის და საკათოდე მასალის გავლენის შესწავლა. კვლევის ობიექტია საქართველოში, კერძოდ ცანაში მდებარე არსენოპირიტული მადანი. კონკრეტულად ეს მადანი XX საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან არის შესული ექსპლუატაციაში, სამვალენტიანი ოქსიდის, ეგრეთ წოდებული თეთრი დარიშხანის მიღების მიზნით. აღნიშნული მადნის ჟანგვითი გამოწვის ტექნოლოგიური პროცესი ხორციელდებოდა ქვემო სვანეთში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ცანისა და ყორუნდაშის ქარხნებში. მათი მუშაობის შედეგად წარმოების მყარი ნარჩენებით მნიშვნელოვნად დაბინძურდა მიმდებარე ტერიტორიები. ამასთანავე, ნარჩენებში დარიშხანის არსებობა მიუთითებს ამ უკანასკნელის მნიშვ-

ნელოვან დანაკარგზე. ტექნიკური უნივერსიტეტის ფერადი მეტალურგიის მიმართულების კათედრაზე ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა აღნიშნულ ნარჩენებში დარიშხანის მნიშვნელოვანი შემცველობა, რამაც განაპირობა დაბინძურების პროცესის ქიმიზმის ანალიზის აქტუალობა.

ელექტროქიმიური მეთოდით ელემენტური დარიშხანის მისაღებად კათოდის მასალად ვერცხლისწყლის გამოყენებით შესაძლებელია თავისუფალი დარიშხანის გამოყოფა ფხვნილის სახით, რომელიც ადვილად იფილტრება და არ რეაგირებს ვერცხლისწყალთან. პროცესის ნაკლია ის, რომ სამრეწველო მასშტაბით ვერცხლისწყლის კათოდის გამოყენება ვერ ხერხდება. სამრეწველო მასშტაბებისთვის კათოდის მასალად ვენტილური ლითონი, ტიტანი იქნა გამოყენებული [8,9]. იგი წინასწარი დამუშავებით – ნიტრიდით ან ტიტანის ოქსიდით მუშავდებოდა. ადგილი ჰქონდა მის გამოყენებას დამუშავების გარეშეც [10]. რაც შეეხება ანოდს, გამოყენებული იყო პლატინა, ნიკელი ან ორტას ელექტროდი. კათოლიტად გამოიყენებოდა ტუტე ლითონების, მაგალითად ნატრიუმის ჰიდროქსიდის 50-400 გ/ლ კონცენტრაციის ხსნარი, რომელშიც დარიშხანის შემცველობა 23,9-97,9 გ/ლ ზღვრებში მერყეობდა [11,12]. დარიშხანის წყალხსნარებისათვის მდგრადობის E–pH დიაგრამაზე (სურ. 1) ნათლად ჩანს მისი მდგრადი უბნები. As(V) შემთხვევაში pH მნიშვნელობის გაზრდისას შემდეგი წონასწორობები შეინიშნება:

$$H_3AsO_4 + OH^- \rightarrow H_2AsO_4 + OH^- \rightarrow HAsO_4^{2-} + OH^- \rightarrow AsO_4^{3-}$$



სურ. 1. E-pH დიაგრამა დარიშხანისთვის

როგორც დიაგრამიდან ჩანს, დარიშხანის სტაბილური არსებობა pH ცვლილების ფართო ზღვრებშია შესაძლებელი. წყალხსნარებში კი დარიშხანი არსებობს As(III) ნაერთების სახით [13]. როგორც ცნობილია, მისი სამვალენტიანი ოქსიდი წყალში კარგი ხსნადობით გამოირჩევა, რაც დარიშხანის საწარმოების მახლობლად ეკოლოგიურ პრობლემებს კიდევ უფრო ამძიმებს [14].

საცნობარო ლიტერატურაზე დაყრდნობით და ექსპერიმენტის შედეგებიდანაც დასტურდება, რომ დარიშხანის დენით გამოსავალზე დიდ გავლენას ახდენს პროცესის ხანგრძლივობა (სურ. 2). ელემენტური დარიშხანი კარგი ელექტროგამტარობით არ გამოირჩევა, ამიტომ კათოდზე სქელი დანაფარის სახით მისი გამოლექვა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული [15,16]. დაბალი ელექტროგამტარობის გამო ძაბვა სწრაფად იზრდება და შესაძლებელია ელექტროლიზის პროცესი შეწყდეს. თხელი დანაფარის მიღების შემთხვევაში, იგი ხსნარში იყრება და თავისუფალი კათოდის ზედაპირი განაგრძობს მუშაობას. ხსნარიდან წვრილდისპერსული ელემენტური დარიშხანის გამოტანა პერიოდულად ხდება. პროცესის ხანგრძლივობასთან ერთად კათოდური დენით გამოსავალიც იცვლება. 1სთ-დან 3სთ-მდე პროცესის ხანგრძლივობის პირობებში დენით გამოსავალი 96%-დან 93%-მდე შემცირდა. პროცესის კიდევ ორი საათით გაგრძელება დენით გამოსავალს ამცირებს 80%-მდე.



სურ. 2. ელემენტური დარიშხანის დენით გამოსავლის დამოკიდებულება ელექტროლიზის პროცესის ხანგრძლივობაზე კათოლიტი: C_{As} –71.20 გ/ლ; C_{NaOH} – 400 გ/ლ; ანოლიტი: C_{NaOH} – 80 გ/ლ; კათოდი - Ti; ანოდი - ORTA;

არსენიტებისა და არსენატების ტუტე ხსნარებიდან ელემენტური დარიშხანის ელექტროკრისტალიზაციისათვის გამოკვლეული იყო სხვადასხვა საკათოდე მასალა, კეროდ, ექსპერიმენტები ჩატარდა სპილენძის, ტყვიის, უჟანგავი ფოლადის, ტიტანის და მის ბაზაზე დამზადებული ელექტროდების გამოყენებით. კვლევამ აჩვენა, რომ ელემენტური დარიშხანის ყველაზე მაღალი დენით გამოსავალი (92,86-96,00%) მიიღწევა ვენტილური ლითონის – ტიტანის კათოდად გამოყენების შემთხვევაში (სურ. 3).



სურ.3. ელემენტური დარიშხანის დენით გამოსავლის დამოკიდებულება საკათოდე მასალაზე კათოდი: 1 – Cu; 2 – Pb; 3 - უჟანგავი ფოლადი; 4 – Ti; ანოდი: ORTA. კათოლიტი: C_{As} - 71.20 გ/ლ; C_{NaOH} - 400 გ/ლ; ანოლიტი: C_{NaOH} – 80 გ/ლ;

ელექტროკრისტალიზაციის პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ელექტროლიტის ტემპერატურა და მასში შემავალი დარიშხანისა და ნატრიუმის ჰიდროქსიდის კონცენტრაციები. ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებიდან ჩანს, რომ ტემპერატურის გაზრდით 20-დან 60^{0}C-მდე დარიშხანის დენით გამოსავალი 60-დან 92%-მდე იზრდება, ხოლო ტემპერატურის 80^{0}C-მდე გაზრდით დენით გამოსავალი 98%-ს აღწევს. ტემპერატურის კიდევ უფრო გაზრდა მიზანშეწონილი არ არის, რადგან ამ დროს ორთქლდება ელეტროლიტი (სურ. 4).



სურ.4. ელემენტური დარიშხანის დენით გამოსავლის დამოკიდებულება ტემპერატურაზე კათოლიტი: C_{NaOH} – 400 გ/ლ; C_{As} – 71.20 გ/ლ; ანოლიტი: C_{NaOH} – 80 გ/ლ; კათოდი - Ti; ანოდი-ORTA; T = 80^{0}C; I = 0,4 ა; i = 0,1 ა/სმ^2; τ = 3 სთ.

კათოლიტში დარიშხანის 25 გ/ლ-დან 100 გ/ლ-მდე და NaOH-ის 50 გ/ლ-დან 400 გ/ლ-მდე შემცველობისას ელემენტური დარიშხანის დენით გამოსავალი 60%-ს აღემატება. კათოლიტში ნატრიუმის ჰიდროქსიდის კონცენტრაციის მატებასთან ერთად იზრდება დენით გამოსავალი და მცირდება დარიშხანის აირადი ნაერთის არსინის წარმოქმნის ალბათობა.



სურ. 5. ელემენტური დარიშხანის დენით გამოსავლის დამოკიდებულება კათოლიტში NaOH-ის კონცენტრაციაზე. კათოლიტი: C_{As} – 71.20 გ/ლ; ანოლიტი: C_{NaOH} – 80 გ/ლ; კათოდი - Ti; ანოდი - ORTA; t^0 =80^{0}C, T=3სთ; i = 0,1ა/სმ^2; I = 0,4 ა;

ლიტერატურაში არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები დარიშხანის შემცველი ხსნარების ელექტროქიმიური აღდგენის პროცესში დენის სიმკვრივის გავლენასთან დაკავშირებით. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ 0,05 ა/სმ^2-დან 0,1 ა/სმ^2-მდე დენის სიმკვრივის გაზრდისას დენით გამოსავალი იზრდება 62,545%-მდე, ხოლო დენის სიმკვრივის შემდგომი ზრდა იწვევს დენით გამოსავლის კლებას (სურ.6).



სურ. 6. ელემენტური დარიშხანის დენით გამოსავლის დამოკიდებულება დენის სიმკვრივეზე. კათოლიტი: Cu – 71,20 გ/ლ; C_{NaOH} - 400 გ/ლ; ანოლიტი: C_{NaOH} – 120 გ/ლ; კათოდი - Ti; ანოდი - ORTA; t =65^{0}C; I= 0,4 ა.

ექსპერიმენტი მიმდინარეობდა უწყვეტ რეჟიმში, დროის სხვადასხვა ხანგრძლივობით. ელექტროლიზი ტარდებოდა კათიონიტური მემბრანით MK-40, გაყოფილი ორგანული მინისაგან დამზადებული ერთი ლიტრი მოცულობის მქონე გამათბობლით და სარეველათი აღჭურვილ ცილინდრულ რეაქტორში. სუსპენზიის არევა ხდებოდა თვითრეგულირებად Biosan MM-1000 ტიპის მექანიკური სარევით (სურ. 7).



სურ. 7. ელემენტური დარიშხანის მისაღები დიაფრაგმიანი ელექტროლიზერის სქემა

ამრიგად, ელექტროკრისტალიზაციის პროცესის კვლევის შედეგების საფუძველზე შერჩეულია კათოდის მასალა (ტიტანი). დადგენილია ცანის არსენოპირიტული მადნისა და მისი სამრეწველო გადამუშავების ნარჩენების გამოტუტვის შედეგად მიღებული ხსნარებიდან ელემენტური დარიშხანის გამოლექვის პროცესების ოპტიმალური პირობები: კათოდური დენის სიმკვრივე 0.05-0.1 ა/სმ^2; ტემპერატურა – 65-80^{0}C; კათოლიტის შედგენილობა: Na_3AsO_3 25 – 100 გლ; NaOH 300-400 გ/ლ; ელექტროლიზის პროცესში Na_3AsO_3 და Na_3AsO_4 შემცველი ხსნარებიდან ელემენტური დარიშხანის ელექტროკრისტალიზაცია შეიძლება გამოისახოს შემდეგი სქემით: As (+5) → As (+3) → As (0).

ყოველივე ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, არსებულ ტერიტორიაზე დაკონსერვებული მადნის და მისი ნარჩენების ხელახალი გადამუშავების შემთხვევაში, ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტექნოლოგია მაქსიმალურად უზრუნველყოფს ტერიტორიის ეკოლოგიურ პრობლემას, დარიშხანის ამოღებას და ნარჩენებში მის უტილიზაციას.

დასკვნა

ელექტროკრისტალიზაციის პროცესის კვლევის საფუძველზე კათოდად შევარჩიეთ საკათოდე მასალა – ტიტანი.

ცანის არსენოპირიტული მადნისა და მისი სამრეწველო გადამუშავების ნარჩენების გამოტუტვის შედეგად მიღებული ხსნარებიდან ელემენტური დარიშხანის გამოლექვაზე მოქმედი პარამეტრების ოპტიმალური პირობებია: კათოდური დენის სიმკვრივე 0,05-0,1 ა/სმ^2; ტემპერატურა 65-80^{0}C; პროცესის ხანგრძლივობა 3სთ; კათოლიტი 25-100 გ/ლ.

კვლევა ჩატარდა თსუ-ის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ელექტროქიმიისა და ელექტრომეტალურგიის ლაბორატორიის ბაზაზე. მადლობას ვუხდით ინსტიტუტის ხელმძღვანელობას გაწეული დახმარებისთვის. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ლაბორატორიის ხელმძღვანელს, ბატონ გიგლა წურწუმიას და ლაბორატორიის თანამშრომლებს ექსპერიმენტის ჩატარებისას გაწეული დახმარებისთვის.

ლიტერატურა

1. Afanasev, G. M. (2006). Hydrometallurgical processing of resistant sulfide gold-bearing concentrates. *Comprehensive Use of Mineral Syringes*, 3, 21–28. (In Russian)
2. Alejanto Valenzuela, J. L., & Parga, J. R. (2013). Effect of pretreatment of sulfide refractory concentrate with sodium hypochlorite, followed by extraction of gold by pressure cyanidation on gold removal. *Advances in Chemical Engineering and Science*, 3(3), Article 33942. https://doi.org/10.4236/aces.2013.33021
3. Arens, V. J., Gurevich, Y. D., & Kuricina, L. I. (1969). Studies of the process of dissociating roasting of arsenopyrite ore of the Tsana location. *Problems of Geotechnology in the Development of Mining Chemical Deposits*, 50, 155–163. (In Russian)
4. Gabri, L. J., Newville, M., Croizer, R. A., et al. (2000). Chemical speciation of gold in arsenopyrite. *The Canadian Mineralogist*, 38, 1265–1281.
5. Gupta, C. K., & Mukherjee, T. K. (1990). *Hydrometallurgy in extraction processes* (Vol. 1, pp. 167–176). CRC Press.
6. Lidin, R. A., Molochko, V. A., & Andreeva, L. L. (2007). *Reactions of inorganic substances* (2nd ed., p. 673). (In Russian)
7. Malishevsky, A. O., & Rastengaev, O. Y. (2016). The method of obtaining elemental arsenic (pp. 1–13). (In Russian)
8. Naboichenko, C. C., & MaMachenkov, C. V. (2004). *Arsenic in non-ferrous metallurgy*. Ural State University.
9. Navrocko, J., & Kasprzyk-Hondern, B. (2010). The efficiency and mechanisms of catalytic ozonation. *Applied Catalysis B: Environmental*, 99, 27–42. (In Russian)
10. Novoselov, R. I., Makarchenkov, E. V., & Chuchalin, L. K. (1998). Patent of the Russian Federation for the leaching of arsenic from pyrite-arsenopyrite gold-containing concentrates. (In Russian).
11. Overseas Road Note 8: A user's manual for program to analyse dynamic cone penetrometer data. (1990). TRL Limited. Crowthorne, United Kingdom.
12. Shabalina, A. V., & Fachrutdinova, M. I. (2013). Investigation of the pH change of water during ozonation. *Vestnik Tomsk State University*, 375, 200–203. (In Russian)
13. Smirnov, M. K., Smetani, A. V., & Chernich, I. N. (2003). Isolation of arsenic and its compound by electrochemical method. *Inorganic Materials*, 39(1), 27–42. (In Russian)

14. Smetani, A. V., Pishkin, A. C., & Osipov, G. N. (2007). Isolation of arsenic from industrial waste of non-ferrous metals. *Inorganic Materials*, 10, 1219–1229. (In Russian)
15. Travkin, V. F. (2001). Isolation of arsenic from technological solutions of non-ferrous metallurgy enterprises. *Non-ferrous Metallurgy*, 4, 20–24. (In Russian)
16. Ruitenberg, R., Hansford, G. S., Reuter, M. A., & Breed, A. W. (1999). The ferric leaching kinetics of arsenopyrite. *Hydrometallurgy*, 52, 37–53.
17. The Albion Process Simplicity in Leaching. Copper Applications. (n.d.). Retrieved from https://www.scribd.com/document/382166369/the-albion-process

UDC 669.2/.8
SCOPUS CODE 1601
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-123-133

Electrocrystallization of Elemental Arsenic From Alkaline Solution Obtained From Oxidative Leaching of Arsenopyrite Ore From Tsan and Development of Limited Process Parameters

Tamar Tsilosani Department of Metallurgy, Metals Science and Metal Processing, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 69, M. Kostava str.
E-mail: tsilosanitamari04@gtu.ge

Tamar Cercvadze Department of Metallurgy, Metals Science and Metal Processing, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 69, M. Kostava str.
E-mail: tamartsercvadze@gtu.ge

Tamaz Buchukuri Department of Metallurgy, Metals Science and Metal Processing, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 69, M. Kostava str.
E-mail: t.buchukuri@gtu.ge

Nato Kanteladze Department Informatics and Control Systems, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 71, M. Kostava str.
E-mail: n.kanteladze@gtu.ge

Reviewers:

T. Lezhava, Academic Doctor of Sciences, Rafiel Agladze Institute of Inorganic Chemical and Electrochemistry, TSU
E-mail: tinsaemili@yahoo.com

M. Donazde, Associate professor, Faculty of technologies and metalurgy GTU. Senior research fellow, Rafiel Agladze Institute of Inorganic Chemical and Electrochemistry, TSU
E-mail: m.donadze@gtu.ge

Abstract. The work discusses the process of electro crystallization of elemental arsenic from an alkaline solution obtained by oxidative leaching of arsenopyrite ore in Tsana, Svanety, Lentechi region, Georgia. The parameters applicable to the process and their optimal values were determined. To obtain elemental arsenic by electrochemical

method, it is necessary to select such electrolysis conditions, during which arsenic with high current solution, exceptionally low layer thickness is obtained. In reference works the cathode material is Mercury on which the dissolved arsenic is in a volatile form. The latter does not react with mercury is easy filtered, but its drawback is that on an industrial scale, the mercury cathode has no use. In addition the melting of copper, nickel and antimony ions in electrolyte degrades the arsenic released in the solution. To carry out the process on an industrial scale some ventilated metal, such as titanium, must be used as a cathode. It is cost-effective without pretreatment as well as when treated with titanium oxide or nitride. It's also a great way to get a look. Mainly nickel, platinum or ORTA electrode is used.

In the work as a result of theoretical and experimental works the main characteristic parameters of the electro crystallization process of elemental arsenic from alkaline solutions containing sodium arsenate and arsenite obtained as a result of oxidative leaching of tin arsenate were studied: current density, temperature, concentration of arsenic and sodium hydroxide in the electrolyte, effect of electrolysis process duration and cathode material on the solution of elemental arsenic current density.

In the work based on the results of theoretical and experimental works optimal conditions for obtaining elemental arsenic from alkaline solutions obtained by oxidative leaching of arsenic ore in the process of electro crystallization were established. A technological scheme was also developed.

Keywords: Current density; Electro crystallization; Leaching; Optimal conditions.

განხილვის თარიღი 10.04.2025
შემოსვლის თარიღი 15.04.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 303.725:32:005.311
SCOPUS CODE 1702
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-134-147

საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასება მოდელირებით

ოლეგ ნამიჩეიშვილი ხელოვნური ინტელექტის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: o.namicheishvili@gtu.ge

ჟუჟუნა გოგიაშვილი კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: j.gogiasvili@gtu.ge

რეცენზენტები:

მ. კიკნაძე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: m.kiknadze@gtu.ge

ო. თავდიშვილი, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: tavdishviliotar08@gtu.ge

ანოტაცია. საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასება დიდწილად ეფუძნება სამეცნიერო მიდგომას, რომელიც მიმართულია ჩვენი ცოდნის გაღრმავებისკენ, საზოგადოებრივი პოლიტიკის უამრავი ვარიანტის ზემოქმედების შესახებ. ამ მიდგომის საწყისი წერტილია ჩვენი უმეცრების ხარისხი სათანადო სფეროში - ის, რისი აღიარება ყოველთვის ადვილი როდია - და, ამრიგად, შეფასების ჩატარების შედეგად, ჩვენი ცოდნის გაღრმავება იმ მიზნებისკენ მიმავალი გზების შესახებ, რომლებიც სახალხო განხილვის შედეგად წამოიჭრება და დაისახება.

წარმოდგენილია საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასების მიზნები, ტექნიკური და ინსტიტუციური პრობლემები. შეფასების ამოცანებია სამეცნიერო ცოდნის გაფართოება, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების დახმარება და დემოკრატიულ სახალხო განხილვებში წვლილის შეტანა. შეფასება არ ზღუდავს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებას ექსპერტების მცირე ჯგუფის მიერ და, პირიქით, არის აუცილებელი პირობა საზოგადოებრივ დებატებში გამოკვეთილი რაციონალური აზრის მისაღებად, ყველა მოქალაქის მიერ. ექსპერტიზა უნდა ითვალისწინებდეს შეფასების ისეთი მეთოდების არჩევა-

საც, რომლებიც დამოკიდებულია არსებულ მონაცემებსა და შესაფასებელ პოლიტიკაზე. ამავდროულად წარმოდგენილია ამჟამად მისაწვდომი მეთოდების არატექნიკური მიმოხილვა, რომელიც ამ მეთოდების უპირატესობებისა და შეზღუდვების შედარებას ახდენს. საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასებაში მონაწილე ინსტიტუციებზე შეჩერების შემდეგ განიხილება გასაღების მორგება შეფასებათა ინსტიტუციურ წარმატებებზე.

საკვანძო სიტყვები: მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა, საზოგადოებრივი პოლიტიკა, სოციალური ინოვაციები, შეფასების მეთოდები, წინასწარი (*ex ante*) და მომდევნო (*ex post*) ზემოქმედებათა შეფასები.

შესავალი

დავიწყოთ იმით, რომ საზოგადოებრივი პოლიტიკისადმი მიდგომა სრულებითაც არ გულისხმობს ექსპერტთა მთავრობის შექმნას. პირიქით, მისი მიზანია სათანადო ცოდნის წარმოჩენა, რომელიც აუცილებელია იმ არჩევანის დასაბუთებისათვის, რომლის მიღება მოქალაქეებს უხდებათ და მათ მიერ ნდობით აღჭურვილ წარმომადგენლებს. ამ მიზნის მისაღწევად საკმარისი არ არის შეფასების ყველაზე მოწინავე მეთოდების გამოყენება; ასევე აუცილებელია, რომ იყოს უტყუარი, სარწმუნო, ხორციელდებოდეს პოლიტიკური ძალაუფლებისაგან დამოუკიდებელი მონაწილეების მიერ და ხელს უწყობდეს - ფართო გავრცელების გზით - სამეცნიერო შედეგების ინტეგრაციას საზოგადოებრივ დისკუსიაში. სწორედ ეს წარმოაჩენს იმ შეფასებათა ინსტიტუტების სარგებლობას, რომლებიც ყველა ამ შეზღუდვას ითვალისწინებს.

არსებობს საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასების მრავალი მეთოდი, რომლებიც გულისხმობს რაოდენობრივი, სტატისტიკური ან ეკონომეტრიული მიდგომების გამოყენებას. ჩვენი მიზანი მასალის არა ტექნიკური აღწერაა[1], არამედ თითოეული მეთოდის უპირატესობებისა და შეზღუდვების მოკლე მიმოხილვა. იგი არსებითად იმ მიდგომებს ეყრდნობა, რომლებიც წარმოდგენილია ჟურნალ «საზოგადოებრივი ეკონომიკის» თანარედაქტორის (co-editor of the Journal of Public Economics), ფრანგ-შვეიცარიელი ეკონომისტ ანტუან ბოზიოს (Antoine Bozio, დაბ. 1978) საეტაპო ნაშრომში [1] და ეხება საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასების პრობლემებს, მეთოდებსა და ინსტიტუციებს.

ეფექტური შეფასება დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, მისაწვდომი მეთოდების მთელი სპექტრის სწორად გამოყენებაზე, კონკრეტული შეზღუდვების გათვალისწინებით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

შეფასებათა მეთოდებს შორის, ჩვეულებრივ, გამოყოფენ *ex ante* და *ex post* შეფასებებს. *ex-ante* შეფასება პოლიტიკის გატარების დაწყებამდე ხდება და ამ პოლიტიკის პოტენციური შედეგების ანალიზში მდგომარეობს; *ex-post* შეფასება კი მიმართულია მისი რეალური ზემოქმედების გაზომვაზე ძალაში შესვლის შემდეგ. სხვადასხვა მეთოდის გადმოცემის შემდეგ წარმოგიდგენთ მესამე მიდგომასაც, რომე-

[1] ამჟამად მისაწვდომია მრავალი სტატია და წიგნი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამ მეთოდების რეალიზება [2, 3, 4, 5, 6, 7].

ლიც აღწერილი მიდგომების გაერთიანებას ისახავს მიზნად წინა შეფასებათა შედეგების ეკონომიკური ანალიზის საშუალებით, რათა განისაზღვროს საზოგადოებრივი პოლიტიკის არქიტექტურის ისეთი არჩევა, რომელიც შეიძლება იყოს ოპტიმალური დასმული მიზნების გათვალისწინებით.

ძირითადი ნაწილი

ზემოქმედების წინასწარი (*ex ante*) შეფასება

წინასწარი (*ex ante*) შეფასება მდგომარეობს მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფის მიმართ პოლიტიკის დანერგვის მოდელირებაში. იგი გულისხმობს მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებას მიმდინარე ცოდნის თვალსაზრისით. განსაზღვრების თანახმად, *ex ante* შეფასება გულისხმობს შესაფასებელი სიდიდის «თეორიული ზემოქმედების» ცოდნას.

გამოყენება საზოგადოებრივი პოლიტიკის რეალიზების დაწყებამდე

ზემოქმედების, გავლენის შეფასების ძირითადი მიზანია ცვლილებათა მოდელირება რთულ საკანონმდებლო აქტებში, როგორიცაა დაბეგვრა (გადასახადის შეწერა) ან საპენსიო სისტემა. პირველი ნაბიჯი იმ მოსახლეობის დადგენაა, რომელზეც გავლენას მოახდენს შემოსაღები ცვლილება. ამისათვის, ჩვეულებრივ, გამოიყენება მიკროიმიტაციური მოდელები [8]. შეფასების ეს ფორმა ეფუძნება იმ ეკონომიკური სივრცის მეტად თუ ნაკლებად გამარტივებულ წარმოდგენას, რომელშიც მოქმედებენ ე.წ. აგენტები და გამოიყენება დაგეგმილი საზოგადოებრივი პოლიტიკის გავლენის მოდელირებისათვის შესაბამისი ეკონომიკური აგენტების (ინდივიდები, შინამეურნეობები, საწარმოები და ა.შ.) რეპრეზენტატულ ამონაკრებზე, ამონარჩევზე. მაგალითად, თუ გინდათ ისეთი საპენსიო რეფორმის გავლენის შეფასება, რომელიც ვარაუდობს სავალდებულო შესატანების (ან სისტემის სხვა პარამეტრის) პერიოდის გაზრდას, მაშინ მოდელირების ასეთი ტიპი უბრალოდ აუცილებელია. სისტემისა და საწყისი მონაცემების (ვთქვათ, ცალკეულ ადამიანთა კარიერის განაწილება) სირთულის გამო, ექსპერტებისათვისაც კი ხშირად შეუძლებელია საპენსიო სკალის (ვინ ზარალდება, როგორია გავლენა საბიუჯეტო ბალანსზე) ცვლილებით გამოწვეული ეფექტის წინასწარმეტყველება, რეფორმის დეტალური მოდელირებისადმი მიუმართავად.

სტატიკური მიკროიმიტაციური მოდელები – სოციალურ-ფისკალური არჩევა

მიკროიმიტაციური მოდელებიდან ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება ე.წ. «სტატიკური» მოდელები - სტატიკური იმ გაგებით, რომ ისინი, ჩვეულებრივ, ქვეყნის სოციალურ-საბიუჯეტო სისტემის მოდელირებას გარკვეული წლისათვის ახორციელებს. ხსენებული მოდელები შეიძლება შეიცავდეს კიდეც ქცევით რეაქციებს (და, ამრიგად, დინამიკური რეაქციის ფორმას), მაგრამ შეზღუდულია მოკლევადიანი რეაქციით.

ეს მოდელები ფართოდ გამოიყენება ფისკალური და საბიუჯეტო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი საზოგადოებრივი უწყებების მიერ იმიტომ, რომ მხოლოდ ხსენებული მეთოდების გამოყენებაა შესაძლებელი სოციალური და ფისკალური პოლიტიკის შესაფასებლად. აკადემიურ ინსტიტუციებს კი შეუძლია სათანადო მეთოდების ახალი სახეების შექმნა ამ პოლიტიკის გავლენის შესასწავლად და გასაანალი-

ზებლად. ფისკალურ კვლევათა ინსტიტუტი (Institute for Fiscal Studies, IFS) ლონდონში ამდაგვარი სამეცნიერო ცენტრის ძალიან კარგი მაგალითია. 1979 წლიდან იგი მუშაობს TAXBEN (ინგლ. the tax-benefit model – საგადასახადო შეღავათების მოდელი) სახელწოდებით ცნობილ მოდელზე, რომელიც გამოიყენება როგორც კვლევითი მიზნებისათვის, ისე ბრიტანეთის საზოგადოებისათვის საბიუჯეტო დებატების დროს, ინფორმაციის მისაწოდებლად ამა თუ იმ საგადასახადო და სოციალური პოლიტიკის არჩევასთან დაკავშირებულ შედეგებზე[2].

ეს მიკროიმიტაციური მოდელები ხასიათდება მონაცემთა სხვადასხვა წყაროს (გამოკითხვისა და ადმინისტრაციული მონაცემების ჩათვლით) გაერთიანების აუცილებლობით, რეპრეზენტაციული ანარჩევის მისაღებად ყველა აუცილებელი ცვლადით [9]. მაგალითად, თუ ვაპირებთ ირიბი საგადასახადო დაბეგვრის შეცვლის შეთავსებას პირდაპირი დაბეგვრის შეცვლასთან, მაშინ აუცილებელია ინფორმაციის მიღება შინამეურნეობათა არა მხოლოდ შემოსავალზე, არამედ მათ სამომხმარებლო კალათზეც.

Technosophy resolves the psycho-emotional crisis caused by the interaction between technology and humans by emphasizing the necessity of transforming quantitative data into qualitative, actionable phases during the information processing process.

Thus, while the postmodern paradigm questions technological and social narratives, the technosophical paradigm focuses on directing technology toward wisdom.

Table 1:

Technosophical Perspective: Technology's Role and Ethical Boundaries

Component	Description
Role of Technology	Technologies should serve the advancement of human well-being and intellectual development.
Human and Technology Interaction	A harmonious relationship where both sides support each other, and technology is not an end in itself.
Technological Progress and Ethical Boundaries	Technologies should be used within ethical boundaries to avoid undesirable outcomes.
Vision of the Future	The relationship between technology and humans in a new harmony, based on the concept of "new symbiosis."
Practical	Development of technologies guided by ethical and social principles; initiatives such as "technological humanism."

Conclusion

Thus, technosophy is a conceptual approach that views new technologies not as an end in themselves, but as ethically governed and socially beneficial tools. It is based on the principles of wisdom and aims to achieve holistic progress, which encompasses human well-being, social justice, and metastable development.

Technosophy, as a philosophical approach, combines technological progress with human ethical and spiritual development. It significantly diverges from both humanist and postmodern traditions. Its core idea is that technologies should not become ends in themselves. Instead, they should serve as tools for promoting long-term human well-being and intellectual growth.

Technosophy recognizes that the relationship between humans and technology cannot be merely mechanical. It must rest on ethical and spiritual foundations that enable a harmonious interaction between the two.

Importantly, technosophy introduces the notion of a "lyrical connection" - a vision in which humans and technologies function freely and harmoniously. This idea demands the creation of specific frameworks to guide such a relationship. One such framework is the model of ethical innovation, which proposes that technologies should not be driven solely by business interests or technical efficiency, but must serve the common good.

Aligned with this model, the concept of ethical innovation should be actively developed. It directs technological advancement toward public welfare and social responsibility. The idea of socially responsible technologies defines how innovation must evolve to address pressing social and ethical challenges.

Technosophy's focus extends beyond technology itself. It emphasizes the psychological and ethical dimensions of the human being. Its purpose is not only to address technological issues, but also to uphold human dignity, ethics, and spiritual growth.

It moves beyond the ethical governance of technology alone. Technosophy calls for new collaborative models in which humans and technologies form a new symbiosis. This creative partnership can take form through initiatives such as technological humanism, where technologies operate not only within economic and technical systems, but also follow ethical principles to help build a more just and orderly society.

In this way, technosophy offers a philosophical response to modern challenges. It envisions a future where technology and human intellect function in a balanced and ethical relationship—ensuring the sustained well-being of society.

References

1. Baudrillard, J. (1994). *Simulacra and simulation* (S. F. Glaser, Trans.). University of Michigan Press.
2. Baylis, F. (2020). *Altered inheritance: CRISPR and the ethics of human genome editing*. Harvard University Press.
3. Bolter, J. D. (1991). *Writing space: The computer, hypertext, and the history of writing*. Lawrence Erlbaum Associates.
4. Capurro, R. (2022). *Digital ethics: Philosophical and cultural perspectives*. Springer.
5. Coeckelbergh, M. (2020). *AI ethics*. MIT Press.
6. Coeckelbergh, M. (2021). *The political philosophy of AI: An introduction*. Polity Press.
7. Coyne, R. (1999). *Technoromanticism: Digital narrative, holism, and the romance of the real*. MIT Press.
8. Dignum, V. (2019). *Responsible artificial intelligence: How to develop and use AI in a responsible way*. Springer.
9. Eubanks, V. (2018). *Automating inequality: How high-tech tools profile, police, and punish the poor*. St. Martin's Press.
10. Fanon, F. (1961). *The wretched of the earth*. Grove Press.
11. Floridi, L. (2014). *The fourth revolution: How the infosphere is reshaping human reality*. Oxford University Press.
12. Floridi, L. (2019). *The logic of information: A theory of philosophy as conceptual design*. Oxford University Press.
13. Foucault, M. (1969). *The archaeology of knowledge* (A. M. Sheridan Smith, Trans.). Pantheon Books.
14. Frankl, V. E. (1959). *Man's search for meaning*. Beacon Press.
15. Greene, D. (2021). *The promise of access: Technology, inequality, and the political economy of hope*. MIT Press.
16. Haraway, D. J. (1991). *Simians, cyborgs, and women: The reinvention of nature*. Routledge.
17. Heidegger, M. (1977). *The question concerning technology and other essays* (W. Lovitt, Trans.). Harper & Row.
18. Ihde, D. (1990). *Technology and the lifeworld: From garden to earth*. Indiana University Press.
19. Kellner, D. (1995). *Media culture: Cultural studies, identity, and politics between the modern and the postmodern*. Routledge.
20. Maslow, A. H. (1954). *Motivation and personality*. Harper & Row.
21. Mittelstadt, B. (2023). Principles alone cannot guarantee ethical AI. *Nature Machine Intelligence, 5*(1), 1–3. https://doi.org/10.1038/s42256-022-00614-x
22. Negroponte, N. (1995). *Being digital*. Vintage Books.
23. Nyholm, S. (2020). *Humane robots: Ethical and philosophical issues*. Routledge.
24. OpenAI. (2023). *OpenAI charter and ethics guidelines*. https://openai.com/charter
25. Poster, M. (1995). *The second media age*. Polity Press.
26. Rogers, C. R. (1961). *On becoming a person: A therapist's view of psychotherapy*. Houghton Mifflin.
27. Ryle, G. (1949). *The concept of mind*. Hutchinson.
28. Sartre, J.-P. (1946). *Existentialism is a humanism* (P. Mairet, Trans.). Methuen. (Original work published in French: *L'existentialisme est un humanisme*)
29. Sharkey, A., & Sharkey, N. (2012). Granny and the robots: Ethical issues in robot care for the elderly. *Ethics and Information Technology, 14*(1), 27–40. https://doi.org/10.1007/s10676-010-9234-6
30. Stiegler, B. (1998). *Technics and time, 1: The fault of Epimetheus* (R. Beardsworth & G. Collins, Trans.). Stanford University Press.
31. Turkle, S. (1995). *Life on the screen: Identity in the age of the Internet*. Simon & Schuster.
32. Zuboff, S. (2019). *The age of surveillance capitalism*. PublicAffairs.

UDC 35
SCOPUS CODE 1702
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-148-156

ტექნოსოფია–ახალი ფილოსოფიური პარადიგმა ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში

მარიამ ცაცანაშვილი
საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობის პრობლემათა კვლევების ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: tsatsanashvilimariam11@gtu.ge

ლეონიდ-ლუკა კაზანჯი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობის პრობლემათა კვლევების ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: leonidluka.kazanji@gmail.com

რეცენზენტები:
ა. ცინცაძე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: aliko123@yahoo.com
გ. ტატიშვილი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
E-mail: tatigia@yahoo.com

ანოტაცია. სტატიაში დასაბუთებულია, რომ ტექნოლოგიური ცვლილებები მოითხოვს ახალ ფილოსოფიურ მიდგომას, რომელიც შეძლებს ადეკვატურად უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს. ამ კონ–ტექსტში ავტორები აყალიბებენ ტექნოსოფიის კონცეფციას, რომელიც ტექნოლოგიურ პროგრესსა და ჰუმანისტურ ღირებულებებს შორის ჰარმონიულ ბალანსს ისახავს მიზნად. ტექნოსოფია ეხმიანება ტექნოლოგიური პროგრესის გავლენას ადამიანის ცნობიერებასა და ქცევაზე, ეფუძნება პროგრესისა და ეთიკური ჰუმანიზმის თანაარსებობას. ავტორები ტექნოსოფიას წარმოაჩენენ როგორც მოდელს, რომელიც აერთიანებს ჰუმანისტურ ღირებულებებსა და პოსტმოდერნისტულ კრიტიკას. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილებები ცვლის ინდივიდის ქცევას და სოციალურ ურთიერთობებს, რაც ადამიანის ავტონომიის შესუსტების საფრთხეს ქმნის. ამ ფონზე ტექნოსოფია წარმოადგენს მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიებისა და ადამიანის ურთიერთობის ეთიკურ და პასუხისმ-გებლიან, სტაბილურ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ეთიკა; პოსტმოდერნიზმი; ტექნოსოფია; ფილოსოფიური პარადიგმა; ხელოვ-ნური ინტელექტი; ჰუმანისტური ღირებულებები.

The date of review 28.03.2025
The date of submission 15.04.2025
Signed for publishing 25.09.2025

UDC 697.923:004.4:62-531.3
SCOPUS CODE 1706
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-157-168

VRV და SPLIT ტიპის კონდიცირების სისტემების გაანგარიშება New Desing Tool კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით

ირინე უგრეხელიძე სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: i.ugrekhelidze@gtu.ge

თათია გორდულაძე სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: teagorduladze@gmail.com

თამაზ ისაკაძე სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: tamazisakadze@gmail.com

რეცენზენტები:

ზ. ჯაფარიძე, სტუ-ის ემერეტუსი
E-mail: zurabjaparidze@yahoo.com

ს. სულაძე, საქართველოს მაცივარაგენტების შეგროვებისა და რეციკლირების ცენტრის დირექტორი ტმდ.
E-mail: sulkhansuladze@gmail.com

ანოტაცია. სტატია ეძღვნება VRV და SPLIT ტიპის კონდიცირების სისტემების გაანგარიშებას New Desing Tool კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით. პროგრამა ამუშავებს გარე და შიგა ჰაერის პარამეტრების მონაცემებს, დატვირთვებს კონდიცირებად სათავსზე და ანგარიშობს ჯამურ თბურ და ტენიან ბალანსს, ირჩევს სისტემის ძირითად კვანძებს დატვირთვების მიხედვით, ადგენს პრინციპულ, სამონტაჟო, ელექტრულ სქემებს და ნახაზები გადაჰყავს AutoCad-ის პროგრამაში. პროგრამას აქვს დაცვითი მექანიზმები, კერძოდ თუ რომელიმე კვანძში მიღებული იქნება პარამეტრები, რომლებიც მნიშვნელოვნად შორდება ნომინალურ მაჩვენებლებს, პროგრამა იბლოკება და წინ წასვლის საშუალებას აღარ იძლევა, ამიტომ აუცილებელი ხდება დაშვებული შეცდომის მყისიერი აღმოფხვრა.

საკვანძო სიტყვები: გარე ბლოკი; მაგისტრალები; მართვის პულტი; შიგა ბლოკი; ჩილერი.

შესავალი

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან კონდიცირების სისტემების მრავალი სახეობა შემუშავდა. „ფანჯრის“ ტიპის კონდიციონერები შეიძლება ჩაითვალოს კონდიცირების სისტემების ერთ-ერთ პირველ სახეობად. პირველი „ფანჯრის“ ტიპის კონდიციონერი გამოუშვა კომპანიამ General Eleqtrik, შემდგომ კი დაიწყეს SPLIT ტიპის კონდიციონერების წარმოებაც, რომელიც წარმოადგენდა ორი განშტოებული ბლოკის მქონე სისტემას, სადაც კომპრესორი, კონდენსატორი და ვენტილატორი განთავსებული იყო გარე ბლოკში და მთლიანად ეს ბლოკი მონტაჟდებოდა კონდიცირებადი სათავსის გარეთ. 1988 წლიდან კომპანია Tosiba-მ დაიწყო პირველი ინვენტორული ტიპის კონდიციონერების წარმოება, ხოლო მოგვიანებით – VRV ტიპის კონდიციონერების გამოშვება, სადაც ერთი გარე ბლოკი ემსახურებოდა რამდენიმე შიგა ბლოკს.

ძირითადი ნაწილი

კომპიუტერული პროგრამა **New Desing Tool** -ის დასაინსტალირებლად აუცილებელია პროგრამის საინსტალაციო პაროლის მოპოვება, რის შემდეგაც გაიხსნება ინტერფეისი (სურ.1). ამის შემდგომ შევდივართ „ოფციებში“ და ვირჩევთ ენას

ღილაკის გამოყენებით, ხოლო რეგიონს – მის გვერდზე მყოფი ღილაკით

. ოფციის ბლოკში მის ქვედა მხარეს ვირჩევთ ყველა ერთეულს SI-ში (სურ.2).



სურ. 1. კომპიუტერული პროგრამა New Desing Tool -ის ინტერფეისი



სურ. 2. კომპიუტერული პროგრამა New Desing Tool -ის ინტერფეისი

ამის შემდგომ ვაწკაპებთ ღილაკზე

და მის ქვემოთ მყოფ ღილაკზე. პროგრამა გახსნის ახალ ფანჯარას, სადაც უნდა შეივსოს ყველა ველი (გარემო ჰაერის ტემპერატურა, ფარდობითი ტენიანობა, სველი თერმომეტრის ტემპერატურა, რეგიონი სადაც განთავსებულია კონდიცირებადი სათავსი და სხვა).



სურ. 3. კონდიცირებადი სათავსის საპროექტო მონაცემები



ღილაკზე დაწკაპების შემდგომ იხსნება ახალი ფანჯარა (სურ.4). ფანჯარაში გამოდის კონდიცირების სისტემების მრავალი სახე SPLIT ტიპის სისტემა, ჩილერ-ფანკოილის სისტემა, ორმილიანი VRV სისტემა, სამმილიანი VRV სისტემა, თბური ტუმბო და სხვა. მაგალითისათვის შევირჩიოთ ჩილერ-ფანკოილის სისტემა წყლით გაცივებით. ვაწკაპებთ ღილაკზე და ეკრანზე გამოდის ფანჯარა სადაც ვირჩევთ გარე ბლოკს თბური დატვირთვის მიხედვით და დასამონტაჟებელი მილების სიგრძეებს (სურ.5).

ღილაკზე დაწკაპების შემდგომ ეკრანზე გამოდის ფანჯარა გარე ბლოკის მახასიათებლებით (სურ.6). ფანჯრის დახურვის შემდეგ კი ეკრანზე გამოჩნდება დაფა, რომელზეც გამოისახება გარე ბლოკი, სადაც უნდა დამონტაჟდეს ჩვენთვის სასურველი შიგა ბლოკების რაოდენობა (სურ. 7).



სურ. 4. კონდიცირების სისტემების ინტერფეისი



სურ. 5. გარე ბლოკების შესარჩევი ფანჯარა



სურ. 6. გარე ბლოკის მახასიათებლები



სურ. 7. კონდიცირების სისტემის სამონტაჟო სქემა

მოცემულ მაგალითში ერთ გარე ბლოკს უნდა მიუერთდეს 4 შიგა ბლოკი. ამისათვის ვირჩევთ ოთხხაზიან გამანაწილებელ კოლექტორს და 4 შიგა ბლოკს ისე, რომ გარე ბლოკის სიმძლავრე მეტი ან ტოლი იყოს შიგა ბლოკების ჯამურ სიმძლავრეზე. ამ დროს ეკრანზე გამოდის შიგა ბლოკის შესარჩევი ფანჯარა (სურ.8).



სურ. 8. კონდიცირების სისტემების შიგა ბლოკების შესარჩევი ფანჯარა

შიგა ბლოკების შერჩევის შემდეგ სამონტაჟო სქემაზე აისახება გარე და შიგა ბლოკების მიერთება (სურ.9)



სურ.9 კონდიცირების სისტემის სრული სამონტაჟო სქემა

იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ პროექტის გაანგარიშების სისწორეში, ვაწკაპებთ ღილაკზე. თუ გაანგარიშებაში არ არის გაპარული რაიმე შეცდომა ეკრანზე გამოვა ფანჯარა (სურ.10).



სურ.10. პროექტის სისწორის დამადასტურებელი ფანჯარა

ამის შემდეგ საჭიროა შევირჩიოთ მართვის პულტები თითოეული ბლოკისათვის. ამისათვის ვაწკაპებთ Control ღილაკზე და ეკრანზე გამოჩნდება პულტების შესარჩევი ფანჯარა (სურ.11).



სურ. 11. მართვის პულტების შესარჩევი ფანჯარა

სასურველი მართვის პულტების შერჩევის შემდგომ პროგრამას ნახაზები გადაჰყავს AutoCad-ში. ამისათვის საჭიროა დავაწკაპოთ ღილაკზე და პროგრამა მოგვცემს AutoCad-ში სამონტაჟო ნახაზს (სურ.12).



სურ. 12. კონდიცირების სისტემის სამონტაჟო სქემა AutoCad-ში

ხოლო ღილაკზე დაკლიკების შემდგომ პროგრამა გვაძლევს სრულ დოკუმენტაციას EXcel-ში

(სურ. 13).



სურ. 13. პროექტის დოკუმენტაცია

დასკვნა

კომპიუტერული პროგრამა New Desing Tool არის ძალზე დახვეწილი და ფართო დიაპაზონში მომუშავე პროდუქტი. ამ პროგრამის მეშვეობით ყოველგვარი სირთულის გარეშე შესაძლებელია ნებისმიერი სახის კონდიცირების სისტემების გაანგარიშება და დაპროექტება. პროგრამა ავტომატურად აკეთებს საანგარიშო დოკუმენტაციას და საპროექტო სამონტაჟო ნახაზებს უახლესი სტანდარტებით და მოთხოვნებით. ამიტომ ამ პროგრამის შესწავლა და გამოყენება დიდად წაადგებათ სამაცივრე და კონდიცირების სისტემებზე მომუშავე სპეციალისტებს.

ლიტერატურა

1. Isakadze, T., & Gugulashvili, G. (2025). *Practical works in automation of technological processes in food enterprises*.
2. New Design Tool. (n.d.). *User manual* [In Russian].
3. Galagan, V. V. (2000). *Calculation and design of air conditioning and refrigeration systems for buildings and technologies* [In Russian]. Moscow.
4. Kuzin, V. U. (n.d.). *Design of air conditioning systems: Textbook* [In Russian]. Retrieved from https://www.litres.ru/book/v-u-kuzin/proektirovanie-sistem-kondicionirovaniya-vozduha-uchebnoe-posobi-67956318
5. Kashkarov, A. P. (2011). *Installation, repair, and maintenance of air conditioners* [In Russian]. Moscow.
6. Merkulov, A. (n.d.). *AutoCAD self-teaching guide: Creating a project from idea to print (AutoCAD 2009–2020)* [In Russian].

UDC 697.923:004.4:62-531.3
SCOPUS CODE 1706
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-157-168

Calculation of VRV and SPLIT Type Air Conditioning Systems Through the New Desing Tool Computer Program

Irine Ugrekhelidze Department of Industrial Engineering and Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: i.ugrekhelidze@gtu.ge

Tatia Gorduladze Department of Industrial Engineering and Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: teagorduladze@gmail.com

Tamaz Isakadze Department of Industrial Engineering and Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: tamazisakadze@gmail.com

Reviewers:
Z. Japaridze, Emeritus gtu
E-mail: zurabjaparidze@yahoo.com
S. Suladze, Director, Georgian Center for Collection and Recycling of Refrigerants
E-mail: sulkhansuladze@gmail.com

Abstract. The article is devoted to the calculation of VRV and SPLIT type air conditioning systems through the New Desing Tool computer program. The program processes data on external and internal air parameters, loads on the air-conditioned room and calculates the total heat and moisture balance, selects the main nodes of the system according to the loads, establishes the principle, installation, electrical diagrams, and transfers the drawings to the AutoCad program. The program has protective mechanisms, in particular, if in any node parameters are obtained that deviate significantly from the nominal value, the program is blocked and does not allow to move forward, therefore it is necessary to eliminate the error made immediately.

Keywords: Chiller; Control panel unit; Mains; Outdoor unit.

განხილვის თარიღი 30.01.2025
შემოსვლის თარიღი 25.03.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 621.3.049.7 + 629.7 + 004.8
SCOPUS CODE 1802
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-169-179

სერვოსისტემების ჰიბრიდული ლოგიკური კონტროლერი S7-1200 პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერის ბაზაზე

ჯემალ გრიგალაშვილი
მართვის სისტემებისა და ავტომატიზაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: j.grigalashvili@gtu.ge

რეცენზენტები:
ს. ხოშტარია, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: s.xoshtaria@gtu.ge
ნ. მაღლაკელიძე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: n.maglakelidze@gtu.ge

ანოტაცია. დღევანდელი ტენდენცია, რომელიც მიმართულია ჭკვიანი მოწყობილობების გამოყენებაზე ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, ითხოვს მათი დაპროექტებისა და დამზადების ავტომატიზაციის მაღალ დონეს. ყველა ეს პროდუქტი ან მათი წარმოების პროცესი გულისხმობს მართვისა და კონტროლის (კონტროლერების) განვითარებული სისტემების გამოყენებას. როგორც ბოლო წლებში გამოსულ ლიტერატურაშია აღნიშნული, კონტროლერების რეალიზაციისათვის გამოიყენება როგორც ანალოგური, ისე ციფრული კონტროლის რეჟიმები. ბაკალავრიატის ტიპურ საინჟინრო სასწავლო გეგმაში შემოთავაზებულია კურსი, რომელიც ასახავს მხოლოდ ანალოგური კონტროლის თეორიის ფუნდამენტურ ცნებებს. იმისათვის, რომ ისწავლონ მართვის ციფრული თეორია, სტუდენტები იძულებულნი არიან გაიარონ დამატებითი კურსი მართვის ციფრულ სისტემებში. ამ სტატიაში შემოთავაზებულია სტანდარტული მექანიკური Feerdback 33-100 სერვომოწყობილობის ბაზაზე სერვოსისტემების ჰიბრიდული ანალოგურ/ციფრული ლოგიკური კონტროლერი პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერის (პლკ) ბაზაზე და განხილულია როგორც ანალოგური, ისე ციფრული ტესტური სიგნალების გენერირებისა და მათი სერვოსისტემაზე ზემოქმედების შედეგები.

საკვანძო სიტყვები: ანალოგური ანალიზი; ანალოგური ბლოკი Feerdback 33-110, მექანიკური ბლოკი Feerdback 33-100; პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერი S7-1200; სერვოსისტემა; სიგნატურული ანალიზი; ფუნქციონალურ/არბიტრარული გენერატორი Hunteck 1025G; შერეული სიგნალების ოსცილოსკოპი Pico Scope 2205 MSO; ციფრული ბლოკი Feerdback 33-120.

შესავალი

ხელოვნური ინტელექტის მოწყობილობები, როგორც სამხედრო და სამოქალაქო დანიშნულების, რობოტები, დრონები, ანიმატრონიკები და სხვ. ძნელად წარმოსადგენია მუდმივი დენის ელექტრომძრავებზე მომუშავე აღმასრულებელი მექანიზმების გამოყენების გარეშე. ასეთი აპარატურის მოძრაობის მართვა მიიღწევა ეგრეთ წოდებული სერვოსისტემის ლოგიკური კონტროლერის (სლკ) მეშვეობით.

სლკ არის კომპლექსური სისტემა, რომელიც ერთ გადაწყვეტილებაში აერთიანებს სერვომძრავას კუთხური მდგომარეობის გადამწოდით, სერვოგამაძლიერებელს (მართვის ელექტრონული ბლოკი) სამუხრუჭე რეზისტორითა და პოზიციონირების კონტროლერით და უზრუნველყოფს ყველა კომპონენტის მაქსიმალურ თავსებადობას. თანამედროვე თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების მართვის სისტემები, პროგრამული მართვის ჩარხები, კომპიუტერების მყარი დისკები მდგომარეობის ავტომატური კონტროლისათვის იყენებს ციფრულ სისტემებს. იგივე პრინციპები შეიძლება გამოყენებული იყოს ობიექტის მდგომარეობის მართვისთვის, მისი თავისუფლების ყველა ხარისხში, რათა ურუნველყოფილი იყოს მოძრაობა სამგანზომილებიან სივრცეში.

სერვოსისტემის მართვის პრობლემა ციფრული კონტროლერის მეშვეობით დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ დღეისათვის გამოიყენება მართვის სხდვადასხვა ფორმა, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი უპირატესობა და ხარვეზები, ასევე სხვადასხვა მოთხოვნილება აპარატულ და პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

ამ სტატიის მიზანია არსებული სისტემის მდგომარეობის მოდელირება და სხვადასხვა მართვის სტრატეგიისა და შესაბამისი ალგორითმების ეფექტუროობის კვლევა. მეთოდები, რომლებიც გამოყენებული იქნება, დამყარებულია სიხშირულ არეში ანალიზზე, სადაც ისინი აღებული იქნება მართვის სისტემების თეორიის უფრო გვიანი ნაწილიდან და რომლებიც ცნობილია როგორც მდგომარეობათა სივრცითი მეთოდები. ეს მეთოდები თავის საწყისს იმავე ფესვებიდან იღებს, საიდანაც იღებს სათავეს სიხშირულ არეში მომუშავე მეთოდები, მაგრამ რჩება დროით არეში და ითვლება საუკეთესოდ მართვის სტრატეგიის ყველა ასპექტში.

აღჭურვილობა: ჩვენს კვლევებში გამოყენებული აპარატურა წარმოადგენს Feedback Instruments Limited-ის (შემდგომში Feedback) ნაკეთობებს, რომელიც აპროექტებს და ამზადებს ლაბორატორიულ აპარატურასა და სასწავლო საშუალებებს ელექტრონიკასა და ელექტროტექნიკაში, უნივერსიტეტებისა და კოლეჯების სტუდენტებისათვის, იგი გამოიყენება აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში და წარმოებაში. აღნიშნული ნაკეთობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სერვოსისტემის ლო-

გიკური კონტროლერი, რომლის ძირითად კვანძს წარმოადგენს 33-ე სერიის მექანიკური ბლოკი Feedback 33-100 [1], გარდა ამისა სერვოსისტემას აქვს ანალოგური Feedback 33-110 და ციფრული ბლოკები Feedback 33-120 (სურ. 1).



სურ. 1 სერვოამძრავების ლოგიკური კონტროლერის საერთო ხედი

მექანიკური ბლოკი (Feedback 33-100) შედგება მექანიკური და ელექტრონული კომპონენტებისაგან, როგორიცაა მუდმივი დენის ძრავა, ანალოგური ტაქომეტრი, პოზიციური პოტენციომეტრი, აბსოლუტური და ინკრიმენტული ენკოდერები, მაგნიტური მუხრუჭი, აგრეთვე ეოდერების წაკითხვის სქემა, თხევადკრისტალური დისპლეი, ციფრული ვოლტმეტრი. მექანიკურ ბლოკში გამოყენებული ელექტრომექანიკური და ელექტრონული კომპონენტები, მათი დასახელებები და დანიშნულება ნათლადაა აღნიშნული და წარმოდგენილი ამ ბლოკის სტრუქტურულ სქემაზე (სურ. 2). ეს სისტემა საკმაოდ მარტივია, მაგრამ მას აქვს მდგომარეობის მართვის პრაქტიკული გამოყენების მრავალი ასპექტი, ისეთი როგორიცაა ინერციული და სიჩქარეზე დამოკიდებული ცვალებადი დატვირთვების ზემოქმედება და სხვ. [2].



სურ. 2. სერვოამძრავის ლოგიკური კონტროლერის მექანიკური ბლოკი Feedback 33-100, სტრუქტურული სქემა

ანალოგური ბლოკი (Feedback 33-110) აღჭურვილია შეცდომის სიგნალის ოთხშესასვლელიანი გამაძლიერებლით, პროპორციულ, ინტეგრალურ, დიფერენციალური დამოუკიდებელი არხების კონტროლერით და ერთეულოვანი გამაძლიერებლის კომპენსაციის სქემით. ბლოკის დამხმარე ელექტრონიკა შედგება სიმძლავრის გამაძლიერებლის, სინუსოიდური, მართკუთხა და სამკუთხა იმპულსების სიხშირის გენერატორისაგან ტესტირების ამოცანების გადასაწყვეტად [3].

ციფრული ბლოკი (Feedback 33-120) წარმოადგენს ინტერფეისს მექანიკურ ბლოკსა და პერსონალურ კომპიუტერს შორის. იგი შეიცავს: ციფრული სიგნალების გენერატორს მექანიკურ ბლოკზე ტესტური ზემოქმედებისათვის, ანალოგურ-ციფრულ (აცგ) და ციფრულ-ანალოგურ გარდამქნელებს (ცაგ), განივიმპულსური მოდულირებული სიგნალის სქემას (გიმ), შემავალ და გამომავალ პოტენციომეტრებს და ციფრულ ენკოდერებს. ბლოკის მართვისათვის გამოიყენება პროგრამული უზრუნველყოფა Discovery [3].

ძირითადი ნაწილი

ზემოთ განხილული სერვოამძრავის ლოგიკური კონტროლერის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ

აქ გამოყენებული ანალგური და ციფრული ბლოკები მყარი ლოგიკის მქონე, რთული და მოუქნელი მოწყობილობებია ავტომატიზაციის დაბალი დონითა და შეზრუდული ფუნქციური შესაძლებლობებით, რაც ითხოვს მაღალი კვალიფიკაციის მომსახურე პერსონალს, რომელთა მომზადება სერვოსისტემების მზარდი და მასობრივი გამოყენების ფონზე ძალზე გართულებული და ხარჯიანია. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ ეს ბლოკები ლიცენზირებული პროდუქტია, რაც ითხოვს ყოველწლიური დამატებითი თანხების დანახარჯებს მათ გამოყენებაზე.

ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, კერძოდ, ანალოგური და ციფრული ტესტური სიგნალების თანამიმდევრობების ოპერატიული ცვლილების მისაღწევად, და მექანიკური ბლოკისაგან მიღებული ანალოგურ/ციფრული სიგნალების დამუშავების გამარტივების მიზნით, ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მოწყობილობაში გამოყენებული გვაქვს არალიცენზირებული ტექნიკური საშუალებები, როგორიცაა: პლკ S7-1200, ფაგ Hantek1025G და შსო Pico scope 2205MSO (სურ. 3).

პლკ არის დღეისათვის კარგად ცნობილი და ფართოდ გავრცელებული კომპანია Siemens-ის S7-1200 კომპაქტური, მოდულური პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერი, ლოგიკური ფუნქციების დიდი ნაკრებითა და გაფართოების მოდულებით, HMI ვიზუალიზაციითა და ქსელების აგების შესაძლებლობით.

სურ. 3. სერვოსისტემის ლოგიკური კონტროლერი აგებული S7-1200-ის, Picoscope-ის და Hantek-ის გამოყენებით

ეს კონტროლერი და მისი პროგრამული უზრუნველყოფა TIA Portal ხასიათდება ვერსიების მრავალფეროვნებით, ამიტომ ჩვენ წინამდებარე ნაშრომში გამოვიყენებთ CPU AC/DC/Rly ცენტრალური პროცესორის მქონე მოდელით (6ES7 212-1BE40-0XB0 მოდიფიკაცია, ვერსია v4.5) და TIA Portal (ვერსია v13) პროგრამული უზრუნველყოფით.

აღნიშნულ მოდიფიკაციას აქვს 75 კილობაიტის მქონე სამუშაო მეხსიერება, რვა 24-ვოლტიანი ციფრული და ორი ანალოგური შესასვლელი, ასევე 6 გამოსასვლელი რელეური არხით. ეს ტექნიკური მახასიათებლები სრულიად საკმარისია სერვოსისტემის მექანიკური ბლოკიდან ციფრული და ანალოგური სიგნალების მიღებისა და გადამუშავებისათვის და მიღებული შედეგების საფუძველზე ციფრული ტესტური სიგნალების გენერირებისათვის.

რაც შეეხება ანალოგურ სიგნალებს, მათი გენერირება და მექანიკურ ბლოკზე გადაცემა ხდება ფაგ Hantek1025G გენერატორის მეშვეობით. ციფრული და ანალოგური სიგნალების ვიზუალიზაცია ხდება შსო Pico scope 2205MSO ოსცილოსკოპის მეშვეობით.

ა. ციფრული ტესტირება: სერვოსისტემა თავისი არსით წარმოადგენს რთულ დინამიკურ ჰიბრიდულ (ციფრული/ანალოგური) სისტემას, ამიტომ მისი ციფრული ნაწილის ტესტური დიაგნოსტიკისათვის გამოყენებული გვაქვს ეფექტური და მრავალგზის გამოცდილი სიგნატურული ანალიზის მეთოდი [4]. ოპტიმალური შედეგის მისაღწევადად, ავიღეთ მაქსიმალური სიგრძის ფსევდოშემთხვევითი სიგნალების მაგენერირებელი 16-თანრიგიანი წანაცვლების რეგისტრი, ამჯამავის (ორის მოდულით) უკუკავშირებით. ამჯამავის მახასიათებელი პოლინომი შეესაბამება $x^{16}+x^{12}+x^{9}+x^{7}+1$ გამოსახულებას. აღნიშნული პოლინომის რეალიზაცია პლკ-ში შეიძლება მოხდეს სურათზე გამოსახული ალგორითმით (სურ. 4).



სურ. 4. ფსევდოშემთხვევითი ციფრული თანამიმდევრობის გენერატორი

სიგნატურული ანალიზი საშუალებას გვაძლევს დადგინდეს ციფრული სისტემების ისეთი ძირითადი ალბათური მახასიათებლები, როგორიცაა: მოცემული დროის ინტერვალში წარმოქმნილი, სისტემის შეშფოთებით გამოწვეული, შეცდომების რიცხვის განაწილების კანონი, მისი მათემატიკური ლოდინი და დისპერსია, ხოლო ისეთი მათემატიკური მახასიათებელი, როგორიცაა შეცდომის აღმოჩენის ალბათობა 16-თანრიგიანი ფსევდოშემთხვევითი გენერატორის გამოყენებით ტოლია 99,998-ის.

ზემოთ აღწერილი სიგნატურული ანალიზატორი წარმოადგენს ერთი შესასვლელის/გამოსასვლელის მქონე ციფრული სისტემის კონტროლის ერთთანრიგა მოწყობილობას. ჩვენს შემთხვევაში კი

გვჭირდება 8-თანრიგიანი პარალელური სიგნატურული ანალიზატორი, რომლის დანიშნულება არის უწესრიგობათა ძებნა მრავალთანრიგა ციფრულ სისტემებში [5].

პარალელური ტესტირების დროს პლკ-ში პროგრამულად ხორციელდება ორის მოდულით მომუშავე ამჯამავების ჯგუფის ფორმირება, პოლინომის წარმომქმნელი წანაცვლების რეგისტრთან ერთად დამატებით ტრიგერების, მაკომუტირებელი და ლოგიკური ელემენტების გამოყენებით.

ბ. ანალოგური ტესტირება: ფუნქციურ/არბიტრარული გენერატორი Hantek 1025G წარმოქმნის სხვადასხვა ფორმის (სინუსური, მართკუთხა, ტრაპეციული, ხერხისებური, ექსპონენციალუტრი და ა.შ.) და არასტანდარტულ (ნებისმიერი ფორმის, რომელსაც მომხმარებელი ხაზავს ეკრანზე) ელექტრულ სიგნალებს სიხშირით 0.1 ჰც-იდან 25 მგჰც-მდე. აქვს მაღალი გარჩევადობის ციფრულ-ანალოგური გარდამქმნელი 200 MS/s შერჩევის სიჩქარით, რითაც განისაზღვრება გენერირებული სიგნალების სიზუსტე, 12-ბიტიანი ვერტიკალური გარჩევადობით, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია აჩვენოს სიგნალის ამპლიტუდა 2^{12} (4096) გარჩევადობით.

ჩატარებული ექსპერიმენტისას გენერირებული სიგნალის ფორმა, მაგალითად, ხერხისებური სიგნალის და მისი ტექნიკური მახასიათებლები ასახულია მე-5 სურ-ზე. მისი პარამეტრებია: სიხშირე 1000.000 ჰც, ამპლიტუდა 2.00 ვ. შემდეგ სურათზე კი ნაჩვენებია იგივე სიგნალი, რომელიც ასახულია Pico scope 2205MSO ოსცილოსკოპზე (სურ. 6).



სურ. 5 გენერატორის ფანჯარა – ხერხისებური სიგნალი



სურ. 6 ოსცილოსკოპზე მიღებული სიგნალი ხერხისებური ანალოგური სიგნალისათვის

ანალოგური სიგნალის მიღება და დამუშავება პლკ-ში. ანალოგური სიგალის დამუშავება ერთ-ერთი საპასუხისმგელო ოპერაციაა სერვოსისტემის ფუნქვიონირებაში. Feedback 33-100 მექანიკური ბლოკიდან მიღებული სტანდარტული ანალოგური სიგნალები, მაგ., 0/10 ვოლტის ან 4/20 მილიამპერის და ა.შ. მიღებისათვის S7-1200 პლკ-ს CPU-ს ყველა მოდელში ჩაშენებულია ორი არხი. ჩაშენებული ანალოგური არხების შესაბამისი ციფრული მნიშვნელობების სიზუსტე ტოლია 10 ორობითი თანრიგისა. გარდაქმნილი სიგნალების ოპერირებისათვის კი გამოიყენება Integer ფორმატი, რომელიც შედგება 16 ორობითი თანრიგისაგან, სადაც უფროსი თანრიგი გამოიყენება რიცხვის ნიშნისათვის, უმცროსი ხუთი თანრიგი არ მონაწილეობს ციფრული სიგნალის წარმოდგენაში. შესაბამისად ამისა, ანალოგური სიგნალის რიცხვითი მნიშვნელობა ნაცვლად 0-დან 1023-ისა ათობით ფორმატში მიიღება 0-დან 27648 დიაპაზონში.

ფორმულა რომლითაც შეიძლება გავიანგარიშოთ გაზომილი ძაბვის მნიშვნელობა OUT, შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:

$$OUT = (HL- LL) / 27648 * Nact + LL \quad (1)$$

სადაც: HL და LL სიგნალის მაქსიმალური HL და მინიმალური LL მნიშვნელობებია, ხოლო Nact სიგნალის მიმდინარე მნიშვნელობაა (იხ. სურ. 7).



სურ. 7. ანალოგური სიდიდის გარდაქმნის ზოგადი ფორმულის გამოსახულება და გრაფიკი

ეს არის გარდაქმნის საერთო ზოგადი ფორმულა, რომლის რეალიზაციაც უნდა შესრულდეს პლკ-ს პროგრამაში. ეს ამოცანა შეიძლება შესრულდეს TIA Portal-ის ჩაშენებული ფუნქციებით NORM_X და SCALE_X.

ამისათვის დაგვჭირდება შესაბამისი პარამეტრების შემოღება: ა) შესასვლელი int ტიპის N პარამეტრი, რომელიც არის შესასვლელი არხის რიცხვითი მნიშვნელობა; ბ) გამოსასვლელი პარამეტრი real ტიპის OUT, რომელიც არის გარდაქმნის შედეგი ფიზიკურ ერთეულებში; გ) P2, P1, N2, N1 პარამეტრები, რომელთაგან P2, P1 real ტიპის პარამეტრებია და უჩვენებს გადამწოდის მუშა დიაპაზონის ზედა და ქვედა სიდიდეებს, ხოლო პარამეტრები N2, N1 - int ტიპის პარამეტრებია და აღნიშნავს P2, P1 პარამეტრების ფიზიკურ მნიშვნელობებს.

გადავწეროთ შედეგის გაანგარიშების ფორმულა შემდეგნაირად:

$$OUT = (N - N1) / (N2 - N1) * (P2 - P1) + P1 \quad (2)$$

ამ ფორმულის პირველი ნაწილი, ანუ OUT = (N – N1) / (N2 – N1) მიიღება ბრძანებით NORM_X, ხოლო შემდეგ, მთლიანი ნაწილი, ანუ OUT = X * (P2 – P1) + P1 ინსტრუქციით SCALE_X. ინსტრუქციების დაპროგრამების გარემოში გადატანისა და მათი პარამეტრიზაციის შემდეგ მივიღებთ სურათს (სურ. 8).



სურ. 8. NORM_X და SCALE_X ბლოკების პარამეტრიზაციის ფანჯარა

თუ ჩავტვირთავთ პროგრამას CPU-ში და გავუშვებთ, მივიღებთ გარდაქმნის შედეგებს და თუ შევადარებთ რეალურ ფიზიკურ მნიშვნელობასთან, ჩვენს შემთხვევაში ძაბვასთან, (რასაც გავზომავთ ტე-სტერის მეშვეობით), დავინახავთ შედეგებს, რომლებიც ემთხვევა ერთმანეთს.

დასკვნა

სტატიაში, სერვოსისტემების არსებული ჰიბრიდული ლოგიკური კონტროლერის კრიტიკული ანალიზის ფონზე, რომელიც შედგება: მექანიკური, ანალოგური და ციფრული ბლოკებისაგან (Feerdback 33-100, Feerdback 33-110 და Feerdback 33-120), ფუნქციური შესაძლებლობების გაზრდისა და მისი

გამოყენების გამარტივების მიზნით, შემოთავაზებულია ჰიბრიდული ლოგიკური კონტროლერი, რომელიც შედგება ზემოთ აღნიშნული მექანიკური ბლოკის, S7-1200 პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერის, ფუნქციურ/არბიტრული გენერატორის Hunteck 1225 და შერეული სიგნალების ოსცილოსკოპისაგან Pico scope 2205, სადაც ზემოქმედების ანალოგური სიგნალების გენერირება ხდება Hunteck 1225 გენერატორის საშუალებით ზემოქმედების ციფრული სიგნალების გენერირება და მიღებული სიგნალების დამუშავება ხდება S7-1200-ში რეალიზებული სიგნატურული ანალიზის მეთოდებით, ხოლო მიღებული ანალოგური სიგნალის დამუშავება – S7-1200-ში რეალიზებული ანალოგური ანალიზის საშუალებით, ამასთანავე:

ანალოგური სიგნალებით კონტროლისას, დავამუშავეთ:

- ანალოგური სიგნალების გენერირების მეთოდიკა ფუნქციურ/არბიტრული გენერატორის Huntec 1025G-ის მეშვეობით და მათი შეყვანისათვის პლკ-ში;
- ალგორითმი ანალოგური სიგნალების ანალიზისთვის TIA Portal-ის დაპროგრამების გარემოში SCALE_X და NORM_X ინსტრუქციებით.
- ალგორითმი პარალელური ციფრული სიგნატურული ანალიზის მეთოდის გამოყენებით მრავალთანრიგა ციფრული სისტემებისათვის TIA Portal-ის დაპროგრამების გარემოში;

ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევებითა და ექსპერიმენტებით დამუშავდება ლაბორატორიული კურსი ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის. კურსი შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე პროფესიული მომზადების სტუდენტებისათვისაც. ანალოგური და ციფრული მართვის სისტემების გაერთიანებული თეორია შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს შეისწავლონ ფუნდამენტური კონცეფციები ერთ კურსში.

ლიტერატურა

1. Feedback Instruments Limited. (n.d.). *Servo fundamentals - 33 series*. Retrieved February 4, 2025, from https://kipdf.com/servo-fundamentals-trainer-series-33_5ac5ad631723dd65d2a8feb0.html
2. Chiu, C. (n.d.). *Assessment of experiments in a controls course*. Retrieved February 4, 2025, from https://sites.asee.org/se/wp-content/uploads/sites/56/2021/01/2020ASEESE39.pdf
3. Gurocak, H. B. (n.d.). *Teaching analog and digital control theory in one course*. Retrieved February 4, 2025, from file:///C:/Users/JPC/Downloads/teaching-analog-and-digital-control-theory-in-onecourse%20(9).pdf
4. Grigalashvili, J., & Grigalashvili, Z. (2011). Complex dynamic digital systems diagnostics by signature analysis method. *STU*, 2, 75–81. Retrieved February 3, 2025, from https://publishhouse.gtu.ge/ka/index/?id=38
5. Zhuk, V. S. (1986). *Parallel signature analyzer* (SU Patent No. 1 451 696). Retrieved February 3, 2025, from https://yandex.ru/patents/doc/SU1451696A1_19890115

UDC 621.3.049.7 + 629.7 + 004.8
SCOPUS CODE 1802
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-169-179

Hybrid logic Controller For Servo Systems Based on S7-1200 Programmable Logic Controllers

Jemal Grigalashvili Department of Control Systems and Automation, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: j.grigalashvili@gtu.ge

Reviewers:

S. Khoshtaria, Associate Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU
E-mail: s.xoshtaria@gtu.ge
N. Maglakelidze, Associate Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU
E-mail: n.maglakelidze@gtu.ge

Abstract. In the article, based on a critical analysis of the existing hybrid logic controller for servo systems, which consists of: mechanical, analog and digital blocks (Feerdback 33-100, Feerdback 33-110 and Feerdback 33-120), in order to increase the functional capabilities and simplify its use, a hybrid logic controller is proposed, which consists of the above-mentioned mechanical block, S7-1200 programmable logic controller, functional/arbitrary generator Hunteck 1225 and mixed signal oscilloscope Pico scope 2205, where analog impact signals are generated by the Hunteck 1225 generator, digital impact signals are generated and the received signals are processed by the signature circuit implemented in S7-1200. analysis methods, and the received analog signal is processed by means of analog analysis implemented in S7-1200, in addition:

- When controlling with analog signals, the method of generating analog signals using the functional/arbitrary generator Huntec 1025G and their input to the PLC was developed;
- An algorithm for analyzing analog signals in the TIA Portal programming environment with SCALE_X and NORM_X instructions was developed.
- An algorithm using the parallel digital signature analysis method for multi-level digital systems in the TIA Portal programming environment was developed;
- A laboratory course for undergraduate, graduate and doctoral students will be developed with the research and experiments conducted in the laboratory. The course can also be used for students of professional training. The unified theory of analog and digital control systems will allow students to study fundamental concepts in a single course.Keywords: servo system, mechanical block Feerdback 33-100, analog block Feerdback 33-110, digital block Feerdback 33-120, programmable logic controller S7-1200, functional/arbitrary generator Hunteck 1225, mixed signal oscilloscope 2205, analog analysis, signature analysis.

Keywords: Analog analysis; servo system; Analog block Feerdback 33-110; Digital block Feerdback 33-120; Mechanical block Feerdback 33-100; Mixed signal oscilloscope 2205; Programmable logic controller S7-1200; Functional/arbitrary generator Hunteck 1225; Mixed signal oscilloscope 2205; Signature analysis.

განხილვის თარიღი 14.03.2025
შემოსვლის თარიღი 18.03.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 004.896:621.43:621.3.049.77
SCOPUS CODE 1802
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-180-189

სერვომძრავას სიჩქარის არამკაფიო ლოგიკური კონტროლერი Arduino Due-ს ბაზაზე

ჯემალ გრიგალაშვილი
მართვის სისტემებისა და ავტომატიზაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: j.grigalashvili@gtu.ge

რეცენზენტები:
ს. ხოშტარია, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: s.xoshtaria@gtu.ge
ნ. მაღლაკელიძე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: n.maglakelidze@gtu.ge

ანოტაცია. სტატიაში ავტორი განიხილავს რეალური დროის არამკაფიო ლოგიკური კონტროლერის დამუშავებას დღეისათვის მეტად აქტუალური მუდმივი დენის სერვომძრავას სიჩქარის მართვისათვის (FPV და ფრთებიან დრონებში, ანიმატრონიკებში და სხვ.), Arduino Due კონტროლერის გამოყენებით. შემოთავაზებული კონტროლერი დაფუძნებულია მამდანის მიდგომაზე და ვერიფიცირებულია MATLAB-ის Fuzzy Logic toolbox-ისა და Simulink-ის გაფართოების პაკეტების რესურსებით. რეალურ დროში მუშაობისას მუდმივი დენის ძრავას ქცევა და არამკაფიო ლოგიკური კონტროლერის რეაქცია ფიქსირდება გრაფიკულად, ხოლო მონაცემები ინახება MATLAB-ში ლოგიკური კონტროლერის მუშაობის წყვეტის გარეშე. ამ მონაცემებზე დაკვირვებების საფუძველზე სისტემის დაყენებისა და ვარდნის დროები გაანგარიშებულია შემავალი ტრაექტორიის ყოველი ცალკეული პერიოდისათვის. დაფიქსირებულია, რომ სისტემის გადარეგულირების დრო შემცირდა აღნიშნული მიდგომის გამოყენებით. სტატიაში გაანალიზებულია Arduino Due-ს მწარმოებლობა მუდმივი დენის სერვომძრავას არამკაფიო ლოგიკური კონტროლის მიდგომის გამოყენებით. სისტემის რეაგირებამ გვიჩვენა დამაკმაყოფილებელი მწარმოებლობა კონკრეტული გამოყენებისათვის.

საკვანძო სიტყვები: Arduino Due კონტროლერი; Arduino Uno კონტროლერი; არამკაფიო ლოგიკური კონტროლერი; არამკაფიო წესების ბაზა; არამკაფიო დასკვნების სისტემა; ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელი; განივიმპულსური მოდულიაცია; დეფაზიფიკაცია; ლინგვისტიკური არამკაფიო ცვლა-

დები; მიკუთვნების ფუნქციები; სერვომძრავა; ფაზიფიკაცია; ფუნქციურ/არბიტრარული გენერატორი; Hunteck 1025G და შერეული სიგნალების ოსცილოსკოპი PicoScope 2205MSO.

შესავალი

ზოგადად სამრეწველო ინფრასტრუქტურაში, კონკრეტულად კი საავტომობილო მრეწველობაში, რობოტოტექნიკაში, დრონების წარმოებასა და სხვაგან, ფართოდ გამოიყენება მუდმივი დენის მაღალმწარმოებლური და გაუმჯობესებული აპლიკაციები მათი მაღალი საიმედოობითა და მართვის სიმარტივიდან გამომდინარე, რაც განპირობებულია მაგნიტური ველისა და ღუზის მაგნიტომამოძრავებელი ძალის განმხოლოებით. მუდმივი დენის აპლიკაციის ან სისტემის ოპტიმალური მწარმოებლობისა და ეფექტურობის მიღწევისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ღუზის მდგომარეობისა და სიჩქარის ზუსტი და უწყვეტი კონტროლი. ამ შემთხვევაში სამრეწველო დინამიკური სისტემის (მანქანები მუდმივი დენის ძრავებით) ოპტიმალური მწარმოებლობისა და ეფექტურობის მიღწევისათვის, კონტროლერს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა სწრაფად მოახდინოს რეაგირება და თვითაღდგენა დატვირთვის მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში და საიმედოდ იმუშაოს სისტემის პარამეტრების ცვლილებისას [1].

სერვომძრავების ტრადიციული კონტროლერები ან იგივე, ძრავების მართვის ტრადიციული მეთოდები, ისეთი როგორიცაა, მაგალითად, პიდ რეგულატორები ჩვეულებრივად ფართოდ გამოიყენება მარტივი სტრუქტურის გამო, მაგრამ ზემოთ ნახსენები კონტროლერის ოპტიმალური მწარმოებლობის მიღწევის საჭიროებისაგან გამომდინარე აუცილებელია მართვის სისტემის ზუსტი და უზუსტესი პარამეტრების გამოყენება (ისეთების, როგორიცაა P, I, D-ს აწყობილი მნიშვნელობები, უკუელექტრომამოძრავებელი ძალის მუდმივა, ღუზისა და აღგზნების გრაგნილის ინდუქტივობა და წინააღმდეგობა და სხვ.). კარგად გაწყობილი პიდ რეგულატორით შესაძლებელია მიღწეული იქნეს სისტემის ზუსტი რეაქციები, მაგრამ სისტემის მწარმოებლობა ძალზედაა დამოკიდებული მართვის განტოლებებსა და სისტემის მათემატიკურ მოდელებზე. კლასიკური მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, არაწრფივი სისტემების მოდელირებისათვის საჭირო მართვის მათემატიკური განტოლებები ძალზე გართულებულია და ითხოვს მდგომარეობათა რთული დამკვირვებლების გამოყენებას.

ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას დამაკმაყოფილებელი კონტროლერი რთული არაწრფივი სისტემებისთვის, სადაც მათემატიკური მოდელირება განმსაზღვრელი არ იქნება. აღნიშნული ინტელექტუალური კონტროლერები უფრო სასურველია, რადგან ნებისმიერი სისტემის კონტროლერი შეიძლება დამუშავდეს რთული მათემატიკური მოდელის გარეშე და შესამამისად გაიზარდოს კონტროლერის ეფექტურობა და საიმედოობა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში დიდი გავრცელება პოვა არამკაფიო ლოგიკაზე დამყარებული მეთოდების გამოყენებამ მართვის სტრატეგიაში (სურ. 1).



სურ. 1. მართვის მეთოდების გამოყენების არეები

როგორც სურათიდან ჩანს, თუ ავიღებთ დეკარტეს კოორდინატთა სისტემას და აბსცისთა ღერძზე გადავზომავთ მართვის ობიექტების სირთულეს, ხოლო ორდინატთა ღერძზე – ინფორმაციის რაოდენობას მართვის ობიექტის შესახებ, ღერძებს დავყოფთ სამ-სამ ნაწილად და ქვედა ნულოვანი წერტილიდან და მისი ჯვარედინი ზედა მაქსიმალური წერტილიდან ფარგლით მოვხაზავთ არეებს როგორც ეს ნაჩვენებია სურათზე, მაშინ როგორც ცოდნა და გამოცდილება გვკარნახობს, ქვედა სეგმენტში, ეფექტურია მართვის კლასიკური მეთოდების გამოყენება, ზედა სეგმენტში – მართვის ხელოვნური ნეირონული ქსელებისა და გენეტიკური ალგორითმების მეთოდების გამოყენება, შუალედურ, ყველაზე ფართო ნაწილში კი მიზანშეწონილი და ეფექტურია არამკაფიო მეთოდების გამოყენება.

აღნიშნული მართვის მეთოდები ტესტირებულია მოდელირების გარემოში, კერძოდ MATLAB-ის სიმულიაციის მოდელებში, არაწრფივი სისტემების ან დანადგარების რეალურ დროში მართვის პირობებში. მაგრამ ასეთი მოდელების გამოცდებისას მიღებული შედეგების მწარმოებლობის შეფასებისათვის, შეუძლებელია გავითვალისწინოთ ყველა ის აღგზნება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას რეალური სისტემის მუშაობისას რეალურ დროში. ამ შემთხვევაში სისტემის ფაქტობრივი მწარმოებლობა და ოპტიმალური ეფექტურობა იქნება სრულად განსხვავებული იმიტაციური გამოცდების შედეგებისაგან [2].

არამკაფიო ლოგიკური მართვის სტრატეგია, დაფუძნებულია არამკაფიო სიმრავლეებისა და მსჯელობების თეორიულ საფუძვლებზე. ამ კვლევების ჩარჩოებში არამკაფიო ლოგიკური კონტროლერი შემოწმებული იყო მუდმივი დენის სერვოძრავას მექანიზმზე Feedback 33-100 (სურ. 2).

კვლევის ობიექტში დროში ცვალებადი არაწრფივობებისა და გაურკვევლობების გამო (მუდმივი დენის ძრავას ლილვის ბრუნვა) მართვის კლასიკურ მექანიზმებს უნდა ჰქონდეს კარგად გაწყობილი პარამეტრები. ამიტომ, სისტემის ოპტიმალური მწარმოებლობისათვის, არამკაფიო ლოგიკური კონტროლერი უნდა ასრულებდეს მკაფიოდ განსაზღვრულ არამკაფიო წესებს. ჩვენს შემთხვევაში არამკაფიო ლოგიკა ძირითადად რეალიზებული იყო მაღალმწარმოებლურ მიკროკონტროლერულ დაფაზე Arduino Due 32-ბიტიანი ბირთვით ARM. განხილული სისტემა შედგება ორი, ერთმანეთთან სინქრონიზებული კონტროლერისაგან, რომელთაგან ერთი, Arduino Due, ასრულებს არამკაფიო ლოგიკური კონტროლერის ფუნქციას, ხოლო მეორე, Arduino Uno - მონაცემთა შეგროვების ფუნქციას რეალურ დროში. ამ შწემთხვევაში მიკროკონტროლერის ორი ცალკეული დაფის გამოყენების ძირითადი მიზანი არის არამკაფიო ლოგიკური კონტროლერის წყვეტის თავიდან აცილება რათა არ მოხდეს კონტროლერის რეაგირების დროის გაზრდა მუშაობის პროცესში სხვადასხვა ხდომილებაზე.



სურ. 2. არამკაფიო ლოგიკური კონტროლერი

ძირითადი ნაწილი

ჩვენ მიერ დამუშავებული არამკაფიო ლოგიკური კონტროლერი რეალიზებული იყო მართვის ჩაკეტილი სტრატეგიის გამოყენებით როგორც ეს გამოსახულია მე-3 სურ-ზე, სადაც *x, y, e* და *ce* სასურველი ან საყრდენი სიჩქარე, ფაქტობრივი სიჩქარე, სასურველ და ფაქტობრივ სიჩქარეთა სხვაობა და ამ სხვაობის ცვლილების სიჩქარეებია შესაბამისად.



სურ. 3. სისტემის ბლოკდიაგრამა

არამკაფიო ლოგიკური კონტროლერი ახდენს სისტემური ცდომილებისა და ცდომილების ცვალებადობის გაანგარიშებას სასურველ და ფაქტობრივ სიჩქარეებს შორის ანათვალის აღების თვითოეული მომენტისათვის k, როგორც ეს ნაჩვენებია ფორმულებში (1,2):

$$e_k = x_k - y_k \quad (1)$$

$$ce_k = e_k - e_{(k-1)} \quad (2)$$

რეალურ დროში მომუშავე ჰოსტკომპიუტერი, მასზე დაყენებული MATLAB-ით, გამოიყენება მონაცემთა მიღებისათვის რეალურ დროში (სასურველი სიჩქარე, სიჩქარის ცდომილება და ცდომილების ცვლილება და სხვ.) კავშირის არჩეული პროტოკოლით, ანუ მიმდევრობითი პორტი RS-232, მონაცემთა გადაცემის სიჩქარით 115200 ბიტი წამში, მონაცემთა შეგროვების დაფიდან DAQ (Arduino Uno) მონაცემთა სისტემურ ბაზაში და მუდმივი დენის ძრავას სასურველი სიჩქარისა და ფაქტობრივი სიჩქარის გრაფიკების ასაგებად რეალურ დროში. ცდომილების კორექცია, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს დროში ცვალებადი შეშფოთებებით, სრულდება არამკაფიო ლოგიკური კონტროლერით. სასურველი სიჩქარის მიღწევისათვის შეცდომების განუწყვეტელი კორექტირებით კონტროლერი მართავს მუდმივი დენის ძრავას ძრავას დრაივერის გავლით [3].

არამკაფიო ლოგიკური კონტროლერი დამუშავდა Arduino Due მიკროკონტროლერის ბაზაზე. მუდმივი დენის ძრავას სიჩქარის ზუსტი მართვისათვის მდგრადი მდგომარეობის მინიმალური შეცდომის საზღვრებში, აუცილებლობას წარმოადგენს ზუსტი ინფორმაციის მიწოდება როგორც სასურველი, ისე ფაქტობრივი სიჩქარის შესახებ არდუინოზე და ამ ინფორმაციის საფუძველზე არამკაფიო კონტროლერის მიერ უნდა იყოს გენერირებული და გადაცემული ზუსტი სიდიდეები მუდმივი დენის ძრავას დრაივერში.

ამ შემთხვევაში, ასეთი ზუსტი და უწყვეტი ინფორმაცია ანუ ანალოგური სიგნალები მიიღება ტაქოგენერატორისაგან და პროპორციულია მუდმივი დენის ძრავას ფაქტობრივი სიჩქარისა. Arduino Due-ში ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელის (აცგ) რეგისტრები აწყობილი იყო 12 ბიტი გარჩევითობის რეჟიმში. ამ რეჟიმში აცგ-ს აქვს ბიჯების 4095 მნიშვნელობა 0,8089 მვ ძაბვის თითოეული ბიჯისათვის. ეს არის უმცირესი ანალოგური მნიშვნელობა ანდა ცვლილება, რაც ამ სისტემას შეუძლია მიიღოს და გააანალიზოს კონტროლერში.

აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ აცგ-ს ეს დიაპაზონი (0-დან 4095-მდე) ლოგიკურ კონტროლერში გარდაიქმნება 0-დან 100-მდე დიაპაზონში განივიმპულსური მოდულირებული სიგნალის გენერირებისათვის (გიმ).

არამკაფიო ლოგიკური კონტროლერის წესების ბაზის ფორმირებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ გიმ-ის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობები მუდმივი დენის ძრავას ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობისათვის. ეს ნიშნავს, რომ არამკაფიო ლოგიკურმა კონტროლერმა უნდა მოახდინოს გიმ-ის უარყოფითი მნიშვნელობების გენერირება. ამ გენერირებული დადებითი და უარყოფითი ნიშნების საფუძველზე არამკაფიო ლოგიკური კონტროლერი გენერირებს ორ სხვასხვა ლოგიკურ მნიშვნელობას: ლოგიკურ „0“-ს 0 ვ ძაბვით და ლოგიკურ „1“-ს 3,3 ვ. ძაბვით, შესაბამისად ისინი გამოიყენება მუდმივი დე-

ნის ძრავას ბრუნვისათვის საათის ისრის მიმართულებით ან საწინააღმდეგო მიმართულებით.

აქტიურ რეჟიმში არამკაფიო ლოგიკური კონტროლერის სასურველი სიჩქარე ანდა მითითებული მნიშვნელობა უშუალოდ მოდებული უნდა იყოს ძრავას დრაივერში და საბოლოოდ, მის მიერ გენერირებული გიმ მნიშვნელობა უნდა დავამატოთ ან გამოვაკლოთ გიმ-ის საბოლოო მნიშვნელობას, როგორც ეს ნაჩვენებია მე-3 განტოლებაში. შესაბამისად, მივიღებთ, რომ:

საბოლოო გიმ = (სასურველი სიჩქარე ± არამკაფიო გამოსასვლელი) (3)

დამუშავებულ პროექტში არამკაფიო ლოგიკური კონტროლერი რეალიზებული იყო ფაზიფიკაციაზე, არამკაფიო წესების ბაზაზე, რომელიც დაფუძნებული იყო ადამიანის ლოგიკურ აზროვნებაზე, არამკაფიო დასკვნების სისტემაზე (FIS) და დეფაზიფიკაციის პროცესზე. ამასთან, FIS და დეფაზიფიკაცია თავის მხერივ ითვალისწინებდა MAX-MIN კომპოზიციასა და ფართობის ცენტრის (CoA) ანდა სიმძიმის ცენტრის (CoG) მეთოდების გამოყენებას.

არამკაფიო ლოგიკური კონტროლერის მწარმოებლობა აქტიურ რეჟიმში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არამკაფიო წესების ბაზაზე. დროის ნებისმიერ მომენტში არამკაფიო შესასვლელების ანალიზის საფუძველზე, რაც ეყრდნობოდა მუდმივი დენის ძრავას სასურველი და ფაქტობრივი სიჩქარეების მონაცემებზე, არამკაფიო სიმრავლეების ცოდნასა და გამოცდილებაზე, ფორმირებული იქნა არამკაფიო წესების ბაზა (ცხრილი).

ზემოთ ნახსენები ციფრული შემავალი მონაცემებიდან (ცდომილება და ცდომილების ცვლილების სიჩქარე) და წესების ბაზიდან ფაზიფიკაციის პროცესის დროს FIS ასრულებს ყველა, მასთან დაკავშირებულ ლინგვისტურ არამკაფიო წესებს, რომელთა დეფაზიფიკაციის პროცესში დროის ყოველი მომენტისათვის მიღებული იქნება გიმ-ის სასურველი გამომავალი მნიშვნელობები, მუდმივი დენის ძრავას დრაივერში მიწოდებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არამკაფიო ლოგიკურ კონტროლერს აქვს ორი შესასვლელი და ერთი გამოსასვლელი ანუ ცდომილება (error), და ცდომილების ცვლილების სიჩქარე (c_error) არის შესასვლელები, ხოლო მუშა ციკლი გიმ (pwmout) – გამოსასვლელი. გიმ-ისგან დამოკიდებულებით მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები ამ შესასვლელ-გამოსასვლელებისათვის შემოსაზღვრულია და შეადგენს +100 და -100 შესაბამისად. ასეთი არამკაფიო ლოგიკური კონტროლერის აგებისათვის არჩეული იყო მიკუთვნების ფუნქციების სამკუთხა ფორმები (სურ. 4, 5, 6.)



სურ. 4. error-ის (ცდომილება) მიკუთვნების ფუნქციები



სურ. 5. c_error (ცდომილების ცვლილების სიჩქარე) მიკუთვნების ფუნქციები



სურ. 6. pwmout (სიჩქარე) მიკუთვნების ფუნქციები

ა. მე-4 სურ-ზე ნაჩვენებია მიკუთვნების სამკუთხა ფუნქციები „ცდომილებისათვის“ ყველა არამკაფიო სიმრავლეებით;

ბ. მე-5 სურ-ზე ნაჩვენებია მიმკუთვნების სამკუთხა ფუნქციები „ცდომილების ცვლილების სიჩქარისათვის“, ისიც ყველა შესაბამისი არამკაფიო სიმრავლეებით;

გ. მე-6 სურ-ზე ნაჩვენებია მიმკუთვნების სამკუთხა ფუნქციები «pwmout ან სიჩქარე» ყველა შესაბამისი არამკაფიო სიმრავლეებით;

ცხრილი

არამკაფიო ლოგიკური კონტროლერის წესების ბაზა

ce / e	NB	NM	NS	ZE	PS	PM	PB
NB	PB	PB	PB	PS	PS	PS	ZE
NM	PB	PM	PM	PS	PS	ZE	NS
NS	PB	PM	PS	ZE	ZE	NS	NS
ZE	PM	PS	ZE	ZE	ZE	NS	NS
PS	PM	PS	ZE	ZE	NS	NS	NM
PM	PS	PS	NS	NS	NS	NS	NM
PB	ZE	NS	NS	NM	NB	NB	NB

რეალური დროის არამკაფიო ლოგიკურ კონტროლერში ცოდნა მართვის პროცესის შესახებ ანდა სისტემის ქცევის შესახებ შეიძლება ფორმირებული იყოს რამდენიმე არამკაფიო წესის სახით, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში, სადაც არამკაფიო შესასვლელებისა და გამოსასვლელისათვის ლინგვისტური ცვლადები აღინიშნება როგორც: უარყოფითი დიდი (NB), უარყოფითი საშუალო (NM), უარყოფითი მცირე (NS), ნულოვანი (ZE), დადებითი მცირე (PS), დადებითი საშუალო (PM) და დადებითი დიდი (PB).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ლინგვისტური ცვლადი არის არამკაფიო და თუ გამოვიყენებთ ამ არამკაფიო მნიშვნელობებს იმ პროცედურებში, რომლებიც აღწერილი იყო ზემოთ, მაშინ მივიღებთ ყველა მათთან დაკავშირებულ მართვის არამკაფიო მნიშვნელობებს. დეფაზიფიკაციის პროცესის მეშვეობით მიღებული მმართველი გიმ მნიშვნელობები მიეწოდება მუდმივი დენის ძრავას დრაივერს, როგორც მკაფიო სიდიდეები.

არამკაფიო დასკვნის მექანიზმი (FIS) იღებს გადაწყვეტილებებს სისტემის მუშაობის პროცესში, ზემოთ ნახსენები არამკაფიო წესების საფუძველზე. თითოეული არამკაფიო წესისთვის და თითოეული დაკავშირებული შესასვლელისთვის (ცდომილება და ცდომილების ცვლილება) FIS გენერირებს გამომავალ მონაცემებს და ეს გამომავალი მონაცემების სიმრავლე გარდაიქმნება მკაფიო გამომავალ სიგნალად დეფაზიფიკაციის პროცესის მეშვეობით.

$$CoA = \frac{\int_{X\min}^{X\max} f(x)xdx}{\int_{X\min}^{X\max} f(x)dx} \qquad (4)$$

დეფაზიფიკაციის ამ მეთოდში კონტროლერი ანგარიშობს მიკუთვნების ფუნქციების ფართობს ცვლადის დიაპაზონის საზღვრებში მე-4 ფორმულის საფუძველზე, სადაც CoA გამომავალი ცვლადის მკაფიო მნიშვნელობაა, *f(x)* აღნიშნავს მიკუთვნების ფუნქციას თითოეული ცვლადისათვის, *x* ლინგვისტური ცვლადის მნიშვნელობაა, Xmin და Xmax აღნიშნავს ლინგვისტური ცვლადის დიაპაზონის მინიმუმსა და მაქსიმუმს.

არამკაფიო ლოგიკური კონტროლერის ალგორითმი, რაც იყო რეალიზებული Arduino Due-ში [4], შემოწმებული იყო ექსპერიმენტული დანადგარით რეალურ დროში (სურ. 1). კონტროლერის მწარმოებლობის ანალიზისათვის რეალურ დროში, გამოყენებულ იქნა ტრაექტორიის სხვადასხვა ფორმა, როგორიცაა: ხერხისებური, სინუსოიდური, დახრილი ანდა მართკუთხა ტალღები. აღნიშნული ფორმები მიღებულ იქნა ფუნქციურ/არბიტრული გენერატორის Hunteck 1225-ის მეშვეობით. მიღებულ იქნა მუდმივი დენის ძრავას სიჩქარის პასუხი და შედარდა საყრდენ ტრაექტორიასთან არამკაფიო ლოგიკური კონტროლერის გარეშე და მასთან ერთად. მე-7 და მე-8 სურათებზე ნაჩვენებია მხოლოდ ერთი ფორმის, კერძოდ მართკუთხა სიგნალის (მეანდრის) ტრაექტორია. აღნიშნული სურათები მიღებულია შერეული სიგნალების ოსცილოსკოპით PicoScope 2205. მე-7 სურათი გვიჩვენებს სისტემის რეაქციას კვადრატული (მეანდრა) ფორმის ტალღაზე კონტროლერის გარეშე, ხოლო მე-8 სურათი – არამკაფიო ლოგიკური კონტროლერის რეაქციას იმ შემთხვევებისთვის, როცა სისტემაზე დატვირთვის სიდიდე უცვლელია.



სურ. 7



სურ. 8

დასკვნა

ამ კვლევებში მუდმივი დენის სერვოძრავას მექანიზმის მართვის სტრატეგია რეალიზებული იყო არამკაფიო ლოგიკური კონტროლერის გამოყენებით. ამ სტრატეგიიდან გამომდინარექ არდუინოს დაფის გამოყენებით ექსპერიმენტი არ შემოიფარგლა მხოლოდ კომპიუტერული მოდელირებით, არამედ მიღებულ იქნა სისტემის რეაგირების ეპიურები რეალურ დროში ექსპერიმენტული სტენდის მეშვეობით.

კონტროლერის მწარმოებლობა ტესტირებული იყო ხუთი სხვადასხვა ტიპის სატესტო ტრაექტორიის გამოყენებით (ხერხისებური, სინუსოიდური, კვადრატული, ტრაპეციული, ექსპონენციალური სიგნალებით). სისტემის მწარმოებლობის ანალიზისთვის გამოყენებული იყო კვადრატული ტრაექტორია. მივიღეთ, რომ არამკაფიო ლოგიკური კონტროლერის გამოყენებით სისტემის დაყენების დრო შემცირებული იყო 25-ჯერ, ხოლო ჩამოვარდნის დრო 12-ჯერ, მაშინ, როცა საყრდენი ტრაექტორიის სიხშირე იყო 2 ჰერცის მახლობლობაში. მიუხედავად დადებითი შედეგისა, აუცილებელია შემდგომი კვლევები, როგორიცაა სისტემის რეაქციის კვლევა დიდი ინფორმაციის მქონე ნეირონულ-არამკაფიო ალგორითმებზე ანდა გენეტიკურ-არამკაფიო ალგორითმებზე.

ლიტერატურა

1. Premkumar, K., & Manikandan, B. V. (2013). Adaptive fuzzy logic speed controller for brushless DC motor. *IEEE International Conference on Power, Energy and Control*, 290. https://ieeexplore.ieee.org/document/6527668 *(Accessed November 27, 2024)*
2. Jayetileke, H. R., de Mei, W. R., & Ratnayake, H. U. W. (2014). Real-time fuzzy logic speed tracking controller for a DC motor using Arduino Due. *IEEE Conference Publication*. https://ieeexplore.ieee.org/document/7069560 *(Accessed November 27, 2024)*
3. Grigalashvili, J. (2011). Imprecise control in mechatronic systems. In *Innovative Technologies and Materials: Proceedings of the International Scientific Conference Dedicated to Academician T. Loladze* (pp. 117–124). Tbilisi: Georgian Technical University. *(In Georgian)*
4. Khurodze, R., & Grigalashvili, J. (2024). *Fundamentals of Programming Programmable Logic Controllers* (ISBN 978-9941-512-39-1). Tbilisi: Georgian Technical University Library, CD–7436, 292 pages. *(In Georgian)*

UDC 004.896:621.43:621.3.049.77
SCOPUS CODE 1802
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-180-189

A Fuzzy logic Controller for Servo Motor Speed Based on Arduino Due

Jemal Grigalashvili Department of Control Systems and Automation, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75, M. Kostava str.
E-mail: j.grigalashvili@gtu.ge

Reviewers:
S. Khoshtaria, Associate Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU
E-mail: s.xoshtaria@gtu.ge
N. Maglakelidze, Associate Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU
E-mail: n.maglakelidze@gtu.ge

Abstract. In the article, the author discusses the development of a real-time fuzzy logic controller for controlling the speed of a DC servo motor, which is currently very relevant (in FPV and winged drones, animatronics, etc.), using the Arduino Due controller. The proposed controller is based on Mamdani's approach and verified with the resources of the MATLAB Fuzzy Logic toolbox and Simulink extension packages. During real-time operation, the behavior of the DC motor and the response of the fuzzy logic controller are recorded graphically, and the data are stored in MATLAB without interrupting the operation of the logic controller. Based on these data observations, the system setup and fall times are calculated for each individual period of the input trajectory. It is observed that the system reset time was reduced using this approach. The paper analyzes the performance of Arduino Due using fuzzy logic control approach for DC servo motor. The system response showed satisfactory performance for the specific application.

Keywords: Analog-to-digital converter; Arduino Due controller; Assignment functions; Defuzzification; functional/arbitrary generator Hunteck 1225; Fuzzification; Fuzzy inference system; Fuzzy logic controller; Fuzzy rule base; Linguistic fuzzy variables; Mixed-signal oscilloscope PicoScope 2205; Pulse width modulation; Servo motor.

განხილვის თარიღი 14.03.2025
შემოსვლის თარიღი 18.03.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 553. 104, 107, 504. 4
SCOPUS CODE 1900
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-190-195

The Problem of Planetary Warming and the Development of Recommendations for Possible Mitigation of Related Cataclysms

George Magalashvili Ir. Jordania Research Center for Industrial Sectors and Natural Resource, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 69 M. Kostava str.
E-mail: maggeo31@gmail.com

Reviewers:
T. Lipartia professor, faculty of mining and Geology, GTU
E-mail: lipartiatornike03@gtu.ge
N. Japaridze, Professor faculty of mining and Geology, GTU
E-mail: japaridzenino03@gtu.ge

Abstract.

The article analyzes the causes of planetary warming. Although most scientists of the world explain these natural phenomena by astronomical reasons, and the author does not deny them, the main reason he considers human intervention in the development of the Earth. The fact is that the Earth "breathes", which is explained by the huge temperature difference between the liquid mantle of the planet and the surface of the Earth. This explains the emergence of "warm fields" and "hot spots" in many places on Earth.If its "breathing" is interfered with, the Earth will react with volcanoes (which the author calls "exhaust valves"). It is logical that the thermal energy that has reached a critical level and accumulated in the lithosphere should burst outward, which is manifested in natural phenomena. Thus, the author considers the "reservation" of the Earth as the main cause of catastrophes. The author suggests a number of ways to mitigate the consequences of cataclysms, including "taming" volcanoes by transferring them to solfataric-fumarolic state, for which it is necessary to drill several wells around them, which, in addition to the function of "breathing" the Earth, will allow to clarify the geostratigraphic section, make correlations, use steam and thermal water (if not, with recirculation) for heating residential buildings and greenhouses. It is also possible to intersect new mineral deposits..

Keywords: Cataclysms; Planetary; Volcano; Warming.

Introduction

Most scientists consider astronomical events to be the cause of planetary warming, while others consider increased carbon dioxide in the atmosphere (the Alatra movement, Khendai, etc.).

We do not deny such events, but we consider human interference in the Earth's development to be

the main cause of warming and related catastrophes. Cataclysms of 2023 covered not only Georgia (rivers Vere, Shovi), but practically the whole world, so the thoughts of geologists and scientists of different fields of science are focused on the problem of what caused catastrophes of such scale. Of course, we had no right not to think about the causes of such events. Since we are dealing with large-scale events, the opinion of almost all researchers is unanimous in the view that the cause of catastrophes is planetary warming. However, there is still no unambiguous answer to the question of what exactly caused it.

Let's not forget that the Earth is developing on its own laws and no one has the right to interfere, much less violate them.

The point is that the Earth “breathes” like any other organism, and this “breathing” (mainly in the form of emanations) is caused by a huge temperature difference - deep and surface.

If we interfere with its “breathing”, the Earth will respond with volcanic eruptions (which we called a “exhaust valve” in our 2018 Nobel Prize submission to Oslo) and other natural disasters.

In the aforementioned work entitled “Saving Our Common Home—Earth,” we put forward completely different, in our opinion, scientifically substantiated causes of planetary-scale warming events and argue that the recently frequent cataclysms are mainly caused by human activity. It would not be amiss to quote R. Horn’s statement that the oceans also “breathe” [1].

Main Part

In ancient times, heat exchange on our planet was relatively balanced. It is noteworthy that there is no less water in the Earth’s mantle than in the oceans and seas. Superheated steam and emanations are trying to rise from the depths of the Earth to the surface, which we observe through the action of geysers in Yellowstone Park, in the form of mineralized hydrothermal vents (Kunashir Island, Tbilisi hydrothermal waters), and periodically through volcanic events. That is, what causes the eruption of magma. Of course, it is logical that the thermal energy that has reached a critical level, which accumulates at the bottom of the lithospheric crust, must be erupted. This is about the intrusion of the viscous substance of the asthenosphere from the Earth's mantle layer into the "weak" structures of the Earth's crust in the form of diapirs, which causes anomalously high geothermal gradients in these parts of the crust. Naturally, in such a case, a volcano (or "exhaust valve") is triggered. By the way, the triggering of volcanoes, or "exhaust valves" as we call them, according to scientists D. Wilson, W. Morgan, R. Larson and P. Olson, is associated with the formation of plumes and superplumes in the mantle. Their action leads to the development of cataclysms on the Earth's surface.

Mantle diapirism is observed predominantly in the regions of large trenches (Anadarko Trench in North America, Mariana Trench in the Pacific Ocean, Black Sea, South Caspian and other trenchys within the Mediterranean fold belt). Scientists consider such fragments to be relics of the Tethys Ocean [2]. It is very important that hundreds or more of such “hot fields and hot spots” are observed in many places on Earth. There is no doubt that in such regions there is an intrusion of the mantle viscous substance into the Earth’s surface (mantle diapirism). The results of geological and geophysical studies [3] show that high values of geothermal gradients are associated with the increased heat flows associated with the mentioned mantle anomalies (mantle diapirs).

According to the author, the warming of the Earth's climate, melting of mountain glaciers and other anomalous events are associated with such natural phenomena.

Undoubtedly, for many years, under concreted surface areas (civil construction and engineering structures, asphalted highways, pedestals), much of the Earth's

other "armored" and critical thermal energy finds weak spots on the surface and generates catastrophic events - earthquakes, volcanic activation, etc.

Thus, in the first part of the work, the author tried to explain the causes of planetary warming, the main of which is the "reservation" of the Earth's surface, that is, the unstoppable "taking away" of its surface. In addition to those scientists who try to explain warming by astronomical events alone and the fact that mankind is powerless to prevent them, the author also sees (and primarily) factors of civilization and believes that mitigating their effects is feasible. The author tried to explain the disasters directly related to the mountains and mountain rivers that occurred in Georgia in 2023 (River Vere, Shovi resort, Guria) [4,5,6]. The author cites the plight of mountaineers when the weather suddenly changes on a snowy mountain section and they are forced to temporarily stop climbing the mountain, but due to the lack of a tent, they build a primitive tent "igloo" from snow. In such a "tent" heat is generated at the expense of human breathing (biological warming).

The example of the "igloo" is a clear analogy with the source of rivers: how snow melts on a mountain slope (Fig. 1). Naturally, every major global event has its own history. Therefore, in order to explain the cause of warming and make its "diagnosis", we must try to decipher the initial stage of its development. In this regard, the mountains, according to the author, have the most clear information, since most cataclysmic events are associated precisely with mountains and their snow cover.

Regardless of the type of rock a mountain is made of (granitoids, basaltoids, etc.), they contain pores (closed, open, or both) and microscopic cracks in varying percentages. "Long ago" (perhaps in ancient times) the first rain filled the cracks and pores and froze.



Fig. 1. 1. (i.e. old frozen snow); 2. Compacted snow ("Firn"); 3. Fresh, loose snow; 4. Warm emanations.

Thus, already at the first rain, the mountain was "reserved" with ice. Such "first ice" (and no longer snow) practically became an integral part of the mountain, since it cemented the outer mass of the mountain. The snow that came later has two structures - its lower part, not very thick, adhering to the ice, has a compacted structure ("firn" snow), while the upper cover is loose and, in case of excess mass, is subject to avalanche formation under conditions of critical slope of the mountain. The intrusion of warm emanations into the

mountain through mountain cracks, heating the "first" layer of ice, causes it to slide down the mountain, which is the main reason for the cataclysm, since the river bed cannot provide for the passage of a suddenly increased water flow in such a short time. In regions where "hot spots" and a high geothermal gradient are observed, the temperature of the inner part of the snow in the mountains is within 0° - 1°C ("igloo effect"), which leads to the melting of the inner layer (ice).

Mount Elbrus		Kazbegi	
°C	km	°C	km
50	1	34	2
100	2	68	4
150	3	102	6
200	4	136	8
250	5	170	10

Fig. 2. The "hot depths" of Elbrus and Kazbegi.

According to monitoring data in similar places [1], in the upper part of the Earth (in particular, in the vicinity of the glacier) at a depth of 10 km, the temperature is recorded as 170°C, and at a depth of 5 km on the Elbrus meridian - 250°C (the Black Sea level is taken as 0 km). For this reason, Mount Kazbegi is included in the list of active volcanoes [3].

Conclusion

The majority of scientists consider astronomical events to be the cause of global warming and argue that similar events have occurred on Earth before (with periodic shifts of the Earth's axis, glaciations, etc.). We do not exclude such events, but we are powerless against them today; Unlike them, we consider humanity to be the cause of the events that have developed in the world in recent years, which has caused great damage to our common home - the Earth - in the process of long-term development. We consider their correction, if not complete, at least partial, to be realistic. As we all know, the past year was very difficult due to the cataclysms that occurred in Racha. Naturally, we had no right not to study the mentioned events, conduct an analysis and develop recommendations in order to prevent similar cataclysms in the future not only in Racha, but also in other “hot spots” (Vere river, Heroes' Square, etc.); As for prevention, first of all, it is necessary to monitor the “hot fields” (Adjara, Guria, Racha, Svaneti, Lechkhumi, mountainous Kakheti, Tusheti, Khevsureti, Kazbegi, Pshavi, Juta, Chiukhi, Jvari Pass, Abudelauri, etc.) in order to detect the possible occurrence of catastrophic events through preliminary observations and take appropriate measures (warning the population, evacuation if necessary, etc.) to mitigate them; We consider one of the real measures to be the triggering of “artificial” avalanches in snowy mountains with appropriate cannons (similar to those used in Kakheti against hail), only in certain “portions” so that a large mass of snow cover does not fall at once. We must not forget that the snow from glaciers feeds rivers; Landslides are a separate subject of study. To prevent them, it is necessary to take into account the lithological composition of rivers or dry canyons, ravines, narrow gorges and floodplains (i.e., to study both the rocks of their structure and the conditions of the slopes of the banks and terraces (according to Professors M.

Protodziakonov and Grigol Khmaladze); Since we have mentioned volcanoes rather mildly in the text, we are obliged to mention their possible taming. Deep wells should be drilled around volcanoes, which, in addition to the function of "breathing" the Earth, will make it possible to specify the geostratigraphic section at the relevant points, make correlations and use steam or thermal water (if not, with recirculation) for heating residential buildings and greenhouses. It is also possible to cross new mineral deposits; By the way, many volcanoes around the world (Yellowstone in America, Mendeleevo and Tolbachik in Kamchatka, etc.) are in such a natural solfataric-fumarolic state state.

References

1. Buachidze, G. I., & Gamkrelidze, I. P. (2004). *Thermal field and neotectonics of Georgia*. Trudy GIN AN Georgia, New Series, 119, 838–839.
2. Gugunava, G. E., Sholpo, V. N., Gamkrelidze, I. P., et al. (2004). On the issue of distribution of thermal fields in the Caucasus and in the waters of the Black and Caspian Seas. *Trudy GIN AN Georgia, New Series*, 119, 834–838.
3. Horn, R. M. (1972). *Marine chemistry: Structure of water and chemistry of the hydrosphere* (389 p.). Moscow: Mir. (Original work published by Sciences of the Earth)
4. Koronovsky, N. V., & Demina, L. I. (2006). Disappeared Pliocene volcanoes of the Main Caucasian Range and the grand explosion of Kazbeki at the beginning of the Late Pleistocene (North Caucasus). In *Problematic issues of geodynamics, petrology and metallogeny of the Caucasus: Proceedings dedicated to the 100th anniversary of A.A. Azizbekov* (pp. 92–104). Baku.
5. Magalashvili, G. (2017, August 1). *Another version of warming* (Depositary receipt No. 7051). Sakpatenti. Tbilisi.
6. Magalashvili, G. (2023, March 11). *Deciphering the causes of planetary warming* (Depositary certificate No. 9195). Sakpatenti. Tbilisi.
7. Magalashvili, G. (2023, September 11). The causes of the cataclysm in Racha and the possibilities of preventing similar events. *Republic of Georgia*, (103), 11.
8. Magalashvili, G. (2023, October 9). Again the problems of the Vere Gorge and Heroes' Square. *Republic of Georgia*, (113/9645), 5–6.

UDC 553. 104, 107, 504. 4
SCOPUS CODE 1900
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-190-195

პლანეტარული დათბობის პრობლემა და მასთან დაკავშირებული კატაკლიზმების შესაძლო შერბილების რეკომენდაციების შემუშავება

გიორგი მაღალაშვილი
ირ. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 69
E-mail: maggeo31@gmail.com

რეცენზენტები:
თ. ლიპარტია, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: lipartiatornike03@gtu.ge
ნ. ჯაფარიძე, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: japaridzenino03@gtu.ge

ანოტაცია. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მეცნიერული მოსაზრებები ბუნებრივ კლიმატურ ცვლილებებს ასტრონომიული ფაქტორებით ხსნის (რასაც ავტორი არ უარყოფს), პლანეტარული დათბობის მთავარ გამომწვევად მიიჩნევა ადამიანის ჩარევა დედამიწის განვითარების პროცესში. სტატიაში განიხილება პლანეტარული გათბობის გამომწვევი ძირითადი მიზეზები.

განსახილველია დედამიწის ე.წ. "სუნთქვის" ფენომენი, რომელიც გამოწვეულია თხევად მანტიასა და დედამიწის ზედაპირს შორის არსებული ტემპერატურული სხვაობით. აღნიშნული დინამიკა განაპირობებს „თბილი ველებისა“ და „ცხელი წერტილების“ ჩამოყალიბებას. ამ ბუნებრივ პროცესში ჩარევა იწვევს ვულკანურ აქტივობას, რაც განიხილება როგორც ლითოსფეროში დაგროვილი თერმული ენერგიის ზედაპირზე გამოღწევის მექანიზმი.

დასკვნის სახით წარმოდგენილია მოსაზრება, რომ დედამიწის ზედაპირის ინტენსიური ათვისება და მისი ბუნებრივი ფუნქციების შეზღუდვა არის კლიმატური და გეოლოგიური კატასტროფების გააქტიურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

მოცემულია რეკომენდაციები კატაკლიზმების შედეგების შესამსუბუქებლად, მათ შორის — ვულკანების აქტივობის მართვა სოლფატარულ-ფუმაროლურ ფაზაში მათი გადაყვანის გზით. ეს გულისხმობს ვულკანების ირგვლივ სპეციალური ჭაბურღილების მოწყობას, რაც უზრუნველყოფს როგორც დედამიწის „სუნთქვის“ შენარჩუნებას, ისე გეოსტრატიგრაფიული მონაცემების დაზუსტებას, თერმული რესურსების (ორთქლი და თბილი წყლები) ენერგეტიკულ და საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის გამოყენებას და პოტენციურად — ახალი წიაღისეული რესურსების აღმოჩენას.

საკვანძო სიტყვები: გარემოს დაცვა; გეოთერმული ენერგია; ვულკანები; კატაკლიზმები; პლანეტარული დათბობა.

The date of review 18.06.2025
The date of submission 23.06.2025
Signed for publishing 25.09.2025

UDC 550.8
SCOPUS CODE 1909
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-196-205

ღვარცოფული ნაკადების ფარდობითი მახასიათებლის გამოთვლა მდ. ჩოხელთხევის და მდ. ნაღვარევისხევის მაგალითზე

ზურაბ ვარაზაშვილი ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი, 0159, სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს ქ. 6
E-mail: z.varazashvili@gtu.ge

ზურაბ კაკულია ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი, 0159, სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს ქ. 6
E-mail: z.kakulia@gtu.ge

გიორგი გაფრინდაშვილი ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი, 0159, სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს ქ. 6
E-mail: gaprindashvili.george@gmail.com

დალი ჩუტკერაშვილი ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი, 0159, სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს ქ. 6
E-mail: d.chutkerashvili@gtu.ge

გოგა ჩახაია ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი, 0159, სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს ქ. 6
E-mail: g.chakhaia@gtu.ge

ირაკლი რამიშვილი ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი, 0159, სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს ქ. 6
E-mail: irakli.ramishvili@gergili.ge

გიორგი ტლაშაძე ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი, 0159, სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს ქ. 6
E-mail: g.tlashadze@gtu.ge

რეცენზენტები:

მ. მარდაშოვა, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: m.mardashova@gtu.ge

ლ. ღლონტი, სტუ-ის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

E-mail: glonti2006@yahoo.com

ანოტაცია. მდ. თეთრი არაგვის მარჯვენა შენაკადების – ჩოხელთხევის და ნაღვარევისხევის ღვარცოფული ნაკადების ფორმირების ფარდობითი მახასიათებლის გამოთვლის შესაძლებლობა და შედეგად აღნიშნულ მდინარეებში ღვარცოფული ნაკადების განვლადობის ხასიათის, სიხშირისა და თავისებურებების შეფასება უაღრესად მნიშვნელოვანია. გამოთვლები ემყარება ამ მდინარეების ხეობებში ჩატარებული აგეგმვითი სამუშაოების შედეგად მიღებულ მონაცემებს 2023-2024 წლებში. ეს მონაცემები შეიძლება ჩაითვალოს ღვარცოფული ნაკადების მაფორმირებელი ფაქტორების მახასიათებელ ფარდობით სიდიდეებად.

მოცემულია საკვლევი ხეობების კალაპოტების მნიშვნელოვანი ჰიდროლოგიური, გეოლოგიური, კლიმატური და გეომორფოლოგიური მახასიათებლების ურთიერთდამოკიდებულება და ამ ფონზე ღვარცოფული ნაკადების წარმოშობის შესაძლებლობები, სიძლიერე და ზემოქმედება არსებულ ბუნებრივ და ტექნოგარემოზე.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით მიღებულია ფარდობითი სიდიდეები, რომლებიც განსაზღვრავს ღვარცოფული ნაკადების წარმოშობის რისკებს და შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს ნატახტარ-მლეთის საავტომობილო გზის საექსპლუატაციო და სამშენებლო საკითხების მოსაგვარებლად.

საკვანძო სიტყვები: გეოდინამიკური მოვლენები; გეოლოგიური აგებულება; კლიმატი; ღვარცოფული ნაკადების ფარდობითი მახასიათებლები; ჰიდროგრაფიული ქსელი.

შესავალი

უკანასკნელ პერიოდში დედამიწაზე მიმდინარე კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე ძალზე გააქტიურდა ისეთი სტიქიური მოვლენები, როგორიცაა წყალდიდობა, ეროზია, ღვარცოფი, მეწყერი და სხვა [1].

ზემოაღნიშნული სტიქია მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს, ანადგურებს შენობა-ნაგებობებს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულებს, აზიანებს სარკინიგზო და საავტომობილო გზებს და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტებს.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ მსგავსი სენსიტიური რაიონები და უბნები საქართველოში მრავლადაა. მათგან, თავისი აქტიურობით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მდ. არაგვის შენაკადები და მათი

ფერდობებიდან მომდინარე სხვადასხვა საშიშროება. ეს ხეობები დროგამოშვებით ხასიათდება ძლიერი წყალმოვარდნებით, რომლებიც ღვარცოფულ ხასიათს ატარებს. საშიშროებას უქმნს ადგილობრივ მოსახლეობას და ხელს უშლის საქართველოს სამხედრო გზის ნატახტარ-მლეთის მონაკვეთზე უსაფრთხო საავტომობილო მიმოსვლას [1].

ამ საავტომობილო გზის ფუნქციონირება და გამტარუნარიანობა მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ამიერკავკასიისა და სამხრეთის სხვა ქვეყნებისათვისაც. ეს დატვირთვები ბოლო წლების მოვლენებმა კიდევ უფრო გაზარდა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, რისთვისაც ჩვენი სახელმწიფო მზად უნდა იყოს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვინდა დავასკვნათ, რომ საქართველოს სამხედრო გზის ნატახტარ-მლეთის მონაკვეთზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარებას და გეოდინამიკური საშიშროებების გამოვლენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის უსაფრთხოებისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის.

ძირითადი ნაწილი

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მთავარი მიზანი იყო მდ. თეთრი არაგვის მარჯვენა შენაკადების მხრიდან მომდინარე გეოდინამიკური საფრთხეების შესწავლა, რომლებმაც შესაძლოა საშიშროება შეუქმნას საქართველოს სამხედრო გზის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. კერძოდ, საუბარია მდ. ჩოხელთხევიდან და ნაღვარევისხევიდან პერიოდულად გამომავალ ღვარცოფულ ნაკადებზე, რომლებსაც არაერთხელ მნიშვნელოვანი ზარალი მიუყენებია ქვეყნის ეკონომიკისათვის (ადრეულ წლებში იყო ადამიანთა მსხვერპლიც) [2,3].

როგორც ჩატარებული საველე კვლევების მონაცემების შესწავლამ და ადრეული წლების საექსპედიციო მონაცემების გაცნობამ გვაჩვენა, ზემოთ აღნიშნულ ხეობებში ღვარცოფული ნაკადების წარმოშობის ხელშემწყობი ფაქტორები შემდეგია: კლიმატი, გეოლოგიური აგებულება, გეომორფოლოგიური, ჰიდროგრაფიული და ჰიდროლოგიური თავისებურებები [3, 4, 5].



სურ. 1. მდ. ჩოხელთხევსა და ნაღვარევისხევში მიმდინარე გეოდინამიკური მოვლენების რუკა

ჩოხელთხევსა და ნაღვარევისხევის ღვარცოფსადინარში დაგროვილი ღვარცოფული ნაკადების წარმოშობის შესაფასებლად, ჰიდროლოგიურ და გეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, შემოგვაქვს ფარდობითი მახასიათებლის სიდიდე, რომელიც გამომდინარეობს ღვარცოფების მძვრელ და შემაკავებელ ფაქტორთა სიდიდეების თანაფარდობიდან. ეს ფაქტორები ამ ხევებისათვის (და ალბათ მსგავსი ტიპის სხვა ხევებისათვისაც) მდინარის კალაპოტის ქანობია, როგორც მთავარი მძვრელი ძალა და კალაპოტის სიმქისე ანუ ხაოიანობა, როგორც შემაკავებელი ფაქტორი. ასეთ შემთხვევაში მათ თანაფარდობას შემდეგი სახე ექნება: $V= tg\alpha/\delta$, სადაც $tg\alpha$ კალაპოტის დახრის კუთხის ტანგენსი ანუ ქანობია; δ - ღვარცოფული კალაპოტის ფარდობითი სიმქისე (ხაოიანობა). ეს უკანასკნელი გამოითვლება $\delta=\delta^1/h$ ფორმულიდან, სადაც δ^1 არის კალაპოტის აბსოლუტური სიმქისე, h–მდინარის წყლის სიღრმე [6].

ეს სიდიდეები განსაზღვრულია ჩოხელთხევისა და ნაღვარევისხევის კალაპოტში საველე კვლევების დროს აღებული მონაცემების მიხედვით და მათი დამუშავების შედეგად აგებულია პროფილები (სურ. 2 და 3).



მონაკვეთი #	1	2	3	4	5	6	7	8	9
ქანობი, tg α	0,32	0,42	0,29	0,34	0,28	0,17	0,21	0,19	0,31
კალაპოტის სიმქისე δ	3,1	2,4	2,2	2,5	1,8	1,6	1,5	1,6	1,5

სურ. 2. ჩოხელთხევის კალაპოტის პროფილი

მონაკვეთის #	1	2	3	4	5	6	7
ქანობი, tg α	0,53	0,34	0,42	0,28	0,19	0,31	0,19
კალაპოტის სიმქისე δ	2,1	2,8	2,2	2,0	1,5	1,3	1,3

სურ. 3. ნაღვარევისხევის კალაპოტის პროფილი

ამ პროფილებზე ღვარცოფული ნაკადების წარმოშობის შესაძლებლობის შეფასების მიზნით ვცვლით ღვარცოფული მასის სიმკვრივეს $\rho_{ღვ}$ ბუნებრივ პირობებთან მიახლოებით. საკვლევი ხევებისთვის, ძირითადად, დამახასიათებელია არასტრუქტურული, წყალტალახქვიანი ნაკადები. მათი სიმკვრივე

იცვლება 1,1 ტ/მ³-დან 2,0 ტ/მ³-მდე [7]. მის ცვალებადობას განაპირობებს ღვარცოფული ნაკადების წყლოვანი შემადგენელი (ატმოსფერული ნალექები და თოვლის დნობა). კალაპოტის ამგები ქანების (ლოდები და მსხვილი კენჭნარი ღორღნატეხოვანი და ქვიშათიხიანი შემავსებლით) სიმკვრივე ბუნებრივ პირობებში $\rho_{ღვ}$ საშუალოდ 1,90-1,95 ტ/მ³ უტოლდება. ამ შემთხვევაში ღვარცოფული მასა ნაკლებად გაწყლოვანებულ მდგომარეობაშია და ნაკადების წარმოშობაც არაა მოსალოდნელი. ვთვლით, რომ ღვარცოფული ნაკადების წარმოსაქმნელად ღვარცოფული მასის სიმკვრივე 1,6 ტ/მ³ უნდა შემცირდეს [7]. ამაზე დაყრდნობით ჩვენ მიერ შემუშავებულია ცხრილები და გამოთვლილია ღვარცოფული ნაკადების ფარდობითი მახასიათებელი V ჩოხელთხევისა და ნაღვარევისხევისთვის.

ცხრილი 1

ღვარცოფული ნაკადების ფარდობითი მახასიათებელი მდ. ჩოხის-ხევის მაგალითზე

მონაკვეთი #	ღვარცოფული მასის სიმკვრივე ρ	კალაპოტის ქანობი		კალაპოტის ფარდობითი სიმქისე δ	ღვარცოფული ნაკადების ფარდობითი მახასიათებელი V	ღვარცოფული მასის სიმკვრივე ρ	კალაპოტის ქანობი		კალაპოტის ფარდობითი სიმქისე δ	ღვარცოფული ნაკადების ფარდობითი მახასიათებელი V	ღვარცოფული მასის სიმკვრივე ρ	კალაპოტის ქანობი		კალაპოტის ფარდობითი სიმქისე δ	ღვარცოფული ნაკადების ფარდობითი მახასიათებელი V
	ტ/მ³	დახრა α გრად	tg α	-	-	ტ/მ³	დახრა α გრად	tg α	-	-	ტ/მ³	დახრა α	tg α	-	-
1	1,6	18	0,32	3,1	0,17	1,5	18	0,32	3,1	0,16	1,4	18	0,32	3,1	0,15
2	1,6	25	0,47	2,4	0,31	1,5	25	0,47	2,4	0,29	1,4	25	0,47	2,4	0,27
3	1,6	17	0,31	2,2	0,22	1,5	17	0,31	2,2	0,21	1,4	17	0,31	2,2	0,19
4	1,6	20	0,36	2,5	0,23	1,5	20	0,36	2,5	0,22	1,4	20	0,36	2,5	0,20
5	1,6	16	0,29	1,8	0,25	1,5	16	0,29	1,8	0,24	1,4	16	0,29	1,8	0,22
6	1,6	10	0,18	1,6	0,18	1,5	10	0,18	1,6	0,17	1,4	10	0,18	1,6	0,15
7	1,6	12	0,21	1,5	0,23	1,5	12	0,21	1,5	0,21	1,4	12	0,21	1,5	0,20
8	1,6	11	0,19	1,6	0,19	1,5	11	0,19	1,6	0,18	1,5	11	0,19	1,6	0,18
9	1,6	18	0,32	1,5	0,35	1,5	18	0,32	1,5	0,32	1,5	18	0,32	1,5	0,32

ცხრილი 2

ღვარცოფული ნაკადების ფარდობითი მახასიათებელი მდ. ნაღვარევის მაგალითზე															
მონაკვეთი #	ღვარცოფული მასის სიმკვრივე ρ	კალაპოტის ქანობი		კალაპოტის ფარდობითი სიმქისე δ	ღვარცოფული ნაკადების ფარდობითი მახასიათებელი V	ღვარცოფული მასის სიმკვრივე ρ	კალაპოტის ქანობი		კალაპოტის ფარდობითი სიმქისე δ	ღვარცოფული ნაკადების ფარდობითი მახასიათებელი V	ღვარცოფული მასის სიმკვრივე ρ	კალაპოტის ქანობი		კალაპოტის ფარდობითი სიმქისე δ	ღვარცოფული ნაკადების ფარდობითი მახასიათებელი V
	ტ/მ³	დახრა α	tg α	-	-	ტ/მ³	დახრა α	tg α	-	-	ტ/მ³	დახრა α	tg α	-	-
1	1,6	28	0,53	2,1	0,41	1,5	28	0,53	2,1	0,38	1,4	28	0,53	2,1	0,35
2	1,6	20	0,36	2,8	0,21	1,5	20	0,36	2,8	0,19	1,4	20	0,36	2,8	0,18
3	1,6	21	0,38	2,2	0,28	1,5	21	0,38	2,2	0,26	1,4	21	0,38	2,2	0,24
4	1,6	16	0,29	2,0	0,23	1,5	16	0,29	2,0	0,22	1,4	16	0,29	2,0	0,20
5	1,6	13	0,23	1,5	0,25	1,5	13	0,23	1,5	0,23	1,4	13	0,23	1,5	0,22
6	1,6	9	0,16	1,3	0,19	1,5	9	0,16	1,3	0,18	1,4	9	0,16	1,3	0,17
7	1,6	11	0,19	1,3	0,24	1,5	11	0,19	1,3	0,22	1,4	11	0,19	1,3	0,21

ფარდობითი მახასიათებლის სიდიდე V ჩოხელთხევის შემთხვევაში, როდესაც ღვარცოფული მასა სუსტადაა გაწყლოვანებული - $\rho_{ღვ}$=1,60 ტ/მ³, იცვლება 0,17–0,35 შორის (მონაკვეთების მიხედვით), ნაღვარევისხევის შემთხვევაში – 0,19–0,41 შორის. საშუალოდ გაწყლოვანების შემთხვევაში, როცა $\rho_{ღვ}$=1,50ტ/მ³, იგი ჩოხელთხევში იცვლება 0,16–0,32 შორის, ხოლო ნაღვარევისხევში – 0,18–0,38 შორის ანუ იზრდება ღვარცოფის წარმოშობის ალბათობა. მნიშვნელოვანი გაწყლოვანების შემთხვევაში, როდესაც $\rho_{მყ}$=1,4 ტ/მ³, ეს მონაცემები ჩოხელთხევისთვის იცვლება 0,15-დან 0,32-მდე, ნაღვარევისხევისთვის – 0,17-დან 0,35-მდე ანუ იგი მაქსიმალურია (იხ. ცხრ 1, 2).

ამ გზით გამოთვლები შესაძლებელია გაგრძელდეს ღვარცოფული ნაკადების უფრო მეტად გაწყლოვანების შემთხვევისთვისაც.

დასკვნა

მდ. თეთრი არაგვის მარჯვენა შენაკადებში – მდ. ჩოხელთხევსა და მდ. ნაღვარევისხევში შეინიშნება ღვარცოფული ნაკადების პერიოდული გააქტიურება, რაც დაბრკოლებებს ქმნის საქართველოს სამხედრო გზის აღნიშნულ მონაკვეთზე.

ღვარცოფული ნაკადების წარმოშობის ძირითად ფაქტორად უნდა დასახელდეს რეგიონებისთვის დამახასიათებელი კლიმატური თავისებურებები, რომელიც გამოიხატება გაზაფხულზე და ზაფხუ-

ლის დასაწყისში ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობით, რაც თოვლის სწრაფ დნობას უწყობს ხელს.

ღვარცოფული ნაკადების ფორმირებაში ძალზე დიდ როლს ასრულებს საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური თავისებურებები, კერძოდ მდინარეების კალაპოტების დიდი დახრილობა, განსაკუთრებით მის წყალშემკრებ აუზში (სათავეების ჩათვლით).

2023-2024 წლებში ჩოხელთხევსა და ნაღვარევისხევში ჩატარებული საველე კვლევების შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა საკვლევი ხეობების კალაპოტების მნიშვნელოვანი ჰიდროლოგიური, გეოლოგიური და გეომორფოლოგიური მახასიათებლების ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა და ამ ფონზე შემუშავებულ იქნა ღვარცოფული ნაკადების ფორმირების ფარდობითი მახასიათებლის გამოთვლის შესაძლებლობა. ამ გამოთვლების შედეგად აღნიშნულ მდინარეებში შეფასებულია ღვარცოფული ნაკადების განვლადობის ხასიათი, სიხშირე და თავისებურებები. ეს მონაცემები შეიძლება ჩაითვალოს ღვარცოფული ნაკადების მაფორმირებელი ფაქტორების მახასიათებელ ფარდობით სიდიდეებად.

მოყვანილი ზოგიერთი ფარდობითი სიდიდე, რომლებიც განსაზღვრავს ღვარცოფული ნაკადების წარმოშობის რისკს, შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს როგორც ნატახტარ-მლეთის საავტომობილო გზის საექსპლუატაციო და სამშენებლო საკითხების მოსაგვარებლად, ისე ზემოქმედების შესაფასებლად არსებულ ბუნებრივ და ტექნოგარემოზე.

ლიტერატურა

1. Gaprindashvili, M., Tsereteli, E., Gaprindashvili, G., & Kurtsikidze, O. (2021). Landslide and mudflow hazard assessment in Georgia. In F. L. Bonali, F. Pasquaré, Mariotto, & N. Tsereteli (Eds.), *Building knowledge for geohazard assessment and management in the Caucasus and other orogenic regions* (pp. 265–279). Springer. https://doi.org/10.1007/978-94-024-2046-3_14
2. Thedoradze, D. (2019). *Study of modern exogeodynamic processes in the Aragvi River basin and engineering-geological evaluation* (Ph.D. dissertation). Georgian Technical University. (In Georgian)
3. Institute of Hydrogeology and Engineering Geology. (2023–2024). *III subproject: Engineering-geological study of the Natakhtari-Mleta section of the Georgian Military Road for transport traffic safety (fieldwork results)*. (In Georgian)
4. Varazashvili, Z., Kakulia, Z., Chutkerashvili, D., Chakhaia, G., & Ramishvili, I. (2024). Factors and analysis of debris flow formation in the rivers Chokhelt-Khevi, Nadibaani-Khevi, and Naghvarevi-Khevi. *Collection of Works of GTU, 2*(532), 187–194. (In Georgian)
5. Varazashvili, Z., Kakulia, Z., Gaprindashvili, G., Chakhaia, G., & Ramishvili, I. (2024). Field and laboratory study of accumulated debrisflow-forming solid mass sediment on the example of River Chokheltkhevi (Mtskheta-Mtianeti Region, Georgia). *Journal of Geoscience and Environment Protection, 12*, 151–160. https://www.scirp.org/journal/gep
6. Chikvashvili, B., Danelia, N., Gvelesiani, L., Kuchaidze, N., & Papashvili, P. (1968). *Hydrology*. Publishing House "Education". (In Georgian)
7. Vinogradov, Y. (1980). *Sketches of mudflows*. Meteoizdat. (In Russian)

UDC 550.8
SCOPUS CODE 1909
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-196-205

Calculation of the Relative Characteristics of Mudflows Using the Example of Chokhelt-Khevi and Naghvarevi-Khevi Rivers

Zurab Varazashvili Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi 0159, Digomi Village, Right of the Apostles St. Nino St. 6
E-mail: z.varazashvili@gtu.ge

Zurab Kakulia Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi 0159, Digomi Village, Right of the Apostles St. Nino St. 6
E-mail: z.kakulia@gtu.ge

Giorgi Gaprindashvili Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi 0159, Digomi Village, Right of the Apostles St. Nino St. 6
E-mail: gaprindashvili.george@gmail.com

Dali Chutkerashvili Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi 0159, Digomi Village, Right of the Apostles St. Nino St. 6
E-mail: d.chutkerashvili@gtu.ge

Goga Chaxaia Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi 0159, Digomi Village, Right of the Apostles St. Nino St. 6
E-mail: g.chakhaia@gtu.ge

Irakli Ramishvili Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi 0159, Digomi Village, Right of the Apostles St. Nino St. 6
E-mail: irakli.ramishvili@gergili.ge

Giorgi Tlashadze Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi 0159, Digomi Village, Right of the Apostles St. Nino St. 6
E-mail: g.tlashadze@gtu.ge

Reviewers:

M. Mardashova, Professor of the Mining-Geological Faculty of the Mining-Geology, GTU
E-mail: m.mardashova@gtu.ge

L. Glonti, Senior Research Fellow of the Hydrogeology Department at the Institute of Hydrogeology and Engineering Geology, GTU
E-mail: glonti2006@yahoo.com

Abstract. The article presents the possibility of calculating the relative characteristics of the formation of debris flows in the Chokhelt-Khevi and Naghvarevi-Khevi right tributaries of the Tergi River and, as a result of these calculations, evaluates the nature, frequency, and peculiarities of debris flows in these rivers. The calculations are

based on the data obtained during fieldwork conducted in the valleys of these rivers in 2023-2024. These data can be considered as relative magnitudes of factors forming debris flows specific to these valleys.

The article provides the interrelation of significant hydrological, geological, climatic, and geomorphological characteristics of the studied riverbeds and, in the context of these interrelations, assesses the possibilities, intensity, and impact of debris flow formation on the existing natural and techno-environment.

Based on these data, certain relative magnitudes have been obtained, which determine the risks of debris flow formation and may be taken into account for resolving operational and construction issues of the Natakhtari-Mleta highway

Keywords: Climate; Geodynamic events; geological structure; hydrographic network; relative characteristics of debris flows.

განხილვის თარიღი 16.02.2025
შემოსვლის თარიღი 18.02.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 556.3
SCOPUS CODE 1907
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-206-213

მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მინერალური წყლების მონიტორინგის ზოგიერთი შედეგი და მათი ანალიზი (შიდა ქართლის ფარგლებში)

ლუდმილა ღლონტი ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი, 0159, სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს ქ. 6
E-mail: l.ghlonti@gtu.ge

ზურაბ კაკულია ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი, 0159, სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს ქ. 6
E-mail: z.kakulia@gtu.ge

ავთანდილ სონღულაშვილი ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი, 0159, სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს ქ. 6
E-mail: a.songhulashvili@gtu.ge

ინგული ნანაძე ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი, 0159, სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს ქ. 6
E-mail: i.nanadze@gtu.ge

მანანა კოპაძე ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი, 0159, სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს ქ. 6
E-mail: m.kopadze@gtu.ge

ლაშა ხვიჩია ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი, 0159, სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს ქ. 6
E-mail: l.khvichia@gtu.ge

რეცენზენტები:

მ. მარდაშოვა, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: m.mardashova@gtu.ge

ზ. ვარაზაშვილი, სტუ-ის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტის ხმელეთისა და ზღვის საინჟინრო გეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
E-mail: z.varazashvili@gtu.ge

ანოტაცია. 2024 წელს ჩატარდა მონიტორინგი ხაშურის, ქარელის, გორის რაიონებში და მდ. ტანას ხეობაში მინერალური წყლის 13 ჭაბურღილზე. მათი უმეტესობა ადრეულ წლებში გაბურღული იყო ნავთობის ძიების მიზნით. ჭაბურღილების წყლების უმეტესი ნაწილი მიეკუთვნება ჰიპერგენეზისის ზონისა და გახსნილი გეოლოგიური სტრუქტურების წყლების ასოციაციას ე. წ. ტერგალური რეჟიმის წყლებს. განხილული იყო მათი გეოქიმიური შედგენილობა, შესწავლილ ჭაბურღილებზე პირველად ჩატარდა მიკროკომპონენტების ანალიზი.

წარმოდგენილია მინერალური წყლების მონიტორინგის ზოგიერთი შედეგი და განხილულია მათი რაციონალური გამოყენებისა და რესურსების პოტენციალის გაზრდის საკითხები.

საკვანძო სიტყვები: მინერალური წყლები; შიდა ქართლი; ჰიდროქიმიური შედგენილობა.

შესავალი

საკვლევი ტერიტორია საქართველოს ბელტის აღმოსავლეთ დაძირვის ზონის მტკვრის მთათაშუა როფი შიდა ქართლის ფარგლებშია. ე. გამყრელიძის (2000 წ.) ტექტონიკური დარაიონების მიხედვით, შიდა ქართლის დეპრესია მოქცეულია ქართლის მოლასური ზონის მუხრან-ტირიფონის ქვეზონაში და აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ცენტრალური ზონის კავთისხევის ქვეზონაში. შიდა *ქართლის ვაკე* ახალგაზრდა სინკლინური დეპრესიაა, რომელიც ძირითადად დაფარულია ნეოგენური და მოლასური ტიპის ნალექებით. შიდა ქართლის ვაკის სამხრეთი საზღვარი თრიალეთის ქედისაგან გამოყოფილია მდინარე მტკვრის ეროზიული ხეობით. აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ჩრდილოეთი ნაწილი ძირითადად შედგება შუა ეოცენური ვულკანოგენური წყებებისაგან და აზევებულია საქართველოს ბელტზე. ეს ტექტონიკური ზონა მნიშვნელოვნად გართულებულია შიგა ადგილობრივი სტრუქტურებით და წყვეტა-შეცოცებითი დისლოკაციებით [1].

ჰიდროგელოგიური დარაიონების მიხედვით (ი. ბუაჩიძე, 1970 წ.) მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო ქართლის არტეზიული აუზისა და თრიალეთის წყალწნევიანი სისტემის ნაპრალოვან და ნაპრალოვან-კარსტული წყების ფარგლებში მდებარეობს. საკვლევ ტერიტორიაზე განვითარებულია არაღრმა და ღრმა ცირკულაციის მიწისქვეშა წყლები. პირველი დაკავშირებულია თანამედროვე მეოთხეული ნალექების და მიოპლიოცენის ასაკის ნალექებთან და ძირითადად მიეკუთვნება აქტიური წყალცვლის ზონას. ეს წყლები უმეტესად მტკნარია და ფართოდ გამოიყენება საყოფაცხოვრებო და სასმელი დანიშნულებით. რაც შეეხება ღრმა ცირკულაციის მიწისქვეშა წყლებს, დაკავშირებულია ოლიგოცენის, ზედა ეოცენის და, ზოგჯერ, შუა ეოცენის ნალექებთან და შედგენილობით მინერალური წყლების ჯგუფში შედის [2].

ძირითადი ნაწილი

მინერალური წყლების წარმოშობისა და რაციონალური გამოყენების საკითხების გადასაჭრელად აუცილებელია ცალკეული ჭაბურღილების და საბადოების მდგომარეობის მონიტორინგი. ამ მიზნით ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის მიერ ხუთწლიანი პროექტის „საქართ-

ველოს მთათაშუა დეპრესიის მინერალური წყლების კვლევა მათი ჰიდროქიმიური მახასიათებლებისა და რესურსული პოტენციალის დადგენის მიზნით“ ფარგლებში 2024 წელს ჩატარდა ქართლის რეგიონის არანახშირორჟანგიანი მინერალური წყლების სავე-ლე და ლაბორატორიული კვლევა. მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გამოკვლეულ იქნა 13 მინერა-ლური წყლის გამოსავლები (სურ. 1). საველე პი-რობებში განისაზღვრა მინერალური წყლის ტემპე-რატურა, დებიტი, pH, არასტაბილური კომპონენ-ტების – HCO_3, გახსნილი CO_2, Fe^{2+}, Fe^{3+}, H_2S, NO_2, NH_4 შემცველობა. სტაციონარულ ლაბორატორიაში გა-ნიზღვრა შემდეგი კომპონენტები: ნატრიუმი+კალი-უმი (K + Na); მაგნიუმი (Mg); კალციუმი (Ca); ქლორი (Cl^-); სულფატი (SO_4^{-2}), და მიკროკომპონენტები.



სურ. 1. საკვლევი ჭაბურღილების ადგილმდებარეობის სქემატური რუკა

მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე (სოფ. მიწობი - ატენის მონაკვეთი) ჩატარებულმა კვლევებ-მა აჩვენა, რომ აქ გავრცელებულ მინერალურ წყლებს თითქმის ერთნაირი გეოქიმიური შედგენილობა აქვს (იხ. ცხრ.). ეს წყლები ძირითადად:

1. სუსტად ან დაბალმინერალიზებულია (M მერ-ყეობს 0.1გ/ლ -დან 2.7 გ/ლ-მდე);

2. სუბთერმულია (20°C-დან 37 °C -მდე), ზოგჯერ თერმული (> 37°C): სოფ: ქვენაფლავი, ბიისი, წრომი;

3. გოგირდწყალბადიანია - თავისუფალი ტიტრი-რებული გოგირდის შემცველობა 4 მგ/ლ-დან 13.6 მგ/ლ-მდეა, ხოლო ბიისის ბანაკის “ტონთიოს“ ჭა-ბურღილის წყალი 20.2 მგ/ლ შეიცავს;

4. აქვს ტუტე რეაქცია (pH 7,8-დან 10,2-მდე მერ-ყეობს).

შესწავლილი მინერალური წყლები იონური შედ-გენილობით ძირითადად ქლორიდნატრიუმიანი (მარილოვანი), ზოგჯერ ჰიდროკარბონატულ-ქლო-რიდნატრიუმიანი (ტუტემარილოვანი) ან კალციუ-მიანია. სულფატ-იონის შემცველობა უმეტეს გამო-სავლებში უმნიშვნელოა.

გაზური შედგენილობის მიხედვით წყლები ძირითად გოგირდწყალბადიანია, ხშირად მეთანისა და აზოტის შემცველობით. ამ წყლებში ბიოქიმიური გაზის არსებობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს არის რელიქტური სედიმენტური წყლები, მეტამორფირებული და შემდგომ შერეული ინფილტრაციულ წყლებთან [3].

უნდა აღინიშნოს, ზოგიერთ ჭაბურღილში რკინის გაზრდილი შემცველობა: გორიჯვარის ჭაბურღილი № 2 - 143 მგ/ლ, ბიისის ბანაკი "ტონთიო" – 50.4 მგ/ლ (სურ.2), ქვენაფლავი - 20 მგ/ლ, წრომის აბანო - 19,9 მგ/ლ.

სურ. 2. ბიისის ბანაკი"ტონთიო"

რაც შეეხება მიკროელემენტებს, მათი რაოდენობა, უმეტეს შემთხვევაში, ბალნეოლოგიური გამოყენებისათვის, ზდკ-ს ფარგლებშია (იხ. ცხრ.). ყველა შესწავლილ წყლებში დარიშხანის შემცველობა მომატებულია და 0.7 მგ/ლ - 0.9 მგ/ლ მერყეობს, რაც შესაძლებლობას იძლევა, რომ ეს წყლები მივაკუთვნოთ სუსტად დარიშხანიანი მინერალური წყლების ჯგუფს (As 0,7 მგ/ლ – 5,0 მგ/ლ). მიჩნეულია, რომ მიწისქვეშა მინერალური წყლების დარიშხანით გამდიდრება ხდება გაძლიერებული გამორეცხვის პროცესში, მომატებული ტემპერატურისა და წნევის პირობებში [4]. დარიშხანიანი მინერალური წყლები სამკურნალო აბანოების მოსაწყობად გამოიყენება.

კვლევებმა აჩვენა, რომ კუროორტები და საზოგადოებრივი აბანოები, რომლებიც პოპულარული იყო არა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობაში, არამედ რეგიონის ფარგლებს გარეთაც, საჭიროებს განახლებას, ზოგან კი – აღდგენას. მაგალითად, ჭაბურღილი სოფ. წრომის აღმოსავლეთით, რომელიც ადრე აბანოდ გამოიყენებოდა, ახლა დაჭაობებულია და არ ფუნქციონირებს, ხოლო მომატებული ტემპერატურის გამო შესაძლებელია აღნიშნული წყალი გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ ბალნეოლოგიური დანიშნულებისათვის, არამედ სასათბურე მეურნეობაშიც.

სურ. 2. სოფ. წრომის ჭაბურღილი

მინერალური წყლების ქიმიური შედგენილობის
ზოგიერთი შედეგი

	ჭაბურღილი	M, გ/ლ	T, °C	D მ³/დღ-ღ	ph	H_2S	As	Fe	Mn	Pb	Cu	Ni	Cr	I	Br	ძირითადი იონების შემცველობა
						მგ/ლ										
	ხაშურის რაიონი															
1	სოფ. მიწობი, აბაწო	0.5	37	17	9,8	10,7	0.9	11.2	0.5	0.2	0.3	0.9	-	1.2	0.1	Cl-HCO_3-Na
2	სოფ. წრომის აბაწო,	0.5	50	არ იზ.	8,8	5,27	0.9	19.9	0.7	0.2	0.9	0.3	0.3	-	0.1	HCO_3-Cl- Na
3	სოფ. წრომის ჭაბ.	0.6	50	46	10,2	11,0	0.7	6.7	0.2	0.4	0.2	0.2	0.1	0.6	0.2	Cl-CO_3- Na-Ca
	ქარელის რაიონი															
4	სოფ. ქობესააწთუბაწი,	0,5	17	1.4	8,6	2,2	0.9	4.2	0.8	0.1	0.7	0.5	0.1	0.8	0.5	Cl-Na
5	სოფ. აფნისი, ბალის ბაღი	0.7	18	არ იზ.	6,6	2,2	0.7		0.8	0.9	0.3	0.9	-	-	0.3	HCO_3- SO_4- Ca-Fe
6	სოფ. ქვეწაფლავი	2,7	45	57.6	7,8	3,9	0.9	20	0.7	0.8	0.1	0.8	0.1	0.6	0.3	Cl-Na-Ca
	მდიწარე ტაწას ხეობა															
7	სოფ. ბიისი	1.3	39	423	8,2	13,6	-	8.0	0.2	0.1	0.4	0.7	0.5	0.6	0.3	HCO_3-Cl- Na
8	სოფ. ბიისის ტურ. ბაწაკი „ტოწთიო“	0.4	17	260	9,1	20,2	-	50.4	0.3	0.2	0.4	0.2	-	0.8	0.2	HCO_3-Fe- Na-Ca
9	სოფ. დიდი ატენი, სიონის უბაწი,	0.1	21	4.8	7,8	13,6	0.9	1.1	0.8	-	0.3	0.9	-	1.5	0.1	HCO_3- Cl- Ca-Mg
	გორის რაიონი															
10	გორიჯვარი №1	1.6	14	არ იზ.	9.1	3,9	0.9	6.1	0.2	-	0.8	0.7	0.4	1.0	0.1	Cl-Na-Ca
11	გორიჯვარი №2	0.9	17		9,2	1,7	0.7	143	0.2	-	0.9	0.3	-	-	0.2	HCO_3-SO_4-Fe-Na
12	გორიჯვარი №3	0.5	18		9.6	0,7	0.9	8.9	0.1	0.4	0.4	0.1	0.4	-	0.1	HCO_3-Na
13	გორიჯვარი №4	0.6	17		9.0	3,2	0.7	6.4	0.4	0.1	0.8	0.4	0.8	0.1	0.3	Cl- HCO_3--Na

სოფ. აფნის წყაროები, რომლითაც ადგილობრივები ტალახის აბაზანებს იღებდნენ, პრაქტიკულად გამქრალია, ტერიტორია ჭაობიანია, მინერალური წყალი კი ნაკადულის წყალშია შერეული.

სურ. 3. სოფ. აფნისი, წყარო

გორიჯვრისა და მიწობის ჭაბურღილების დებიტი საგრძნობლად დაეცა, რის გამოც საჭიროა ჭაბურღილის და ფილტრის გაწმენდა, ხოლო წყალშემცველ ჰორიზონტში, წყლის დონის დაწევის შემთხვევაში, საჭიროა ჭაბურღილის დაღრმავება.

დასკვნა

მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მინერალური წყლების მონიტორინგის დროს პირველად იქნა ჩატარებული მიკროკომპონენტების ქიმიური ანალიზი, დაფიქსირდა ზოგიერთი ჭაბურღილის ჰიდროგეოლოგიური და ჰიდროქიმიური მახასიათებლების ცვლილებები.

საკვლევი ტერიტორია ხელსაყრელია სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარებისთვის. აქ ყველა პირობაა ბალნეოლოგიური კურორტებისა და საკურორტო კომპლექსების შესაქმნე-

ლად: სამკურნალო წყაროების არსებობა, მრავალფეროვანი ბუნებრივი ლანდშაფტი, თბილი კლიმატი, უნიკალური ისტორიული ღირსშესანიშნაობები და სხვა. გარდა ამისა, მაღალი ტემპერატურის წყლები (35 გრადუსზე მეტი) შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბინების გასათბობად და სათბურების მოსაწყობად.

ლიტერატურა

1. Gamkrelidze, I. P. (2000). *Once again about the tectonic dismemberment of the territory of Georgia*. Proceedings of Geology Institute of the New Georgian Academy of Sciences, New Series, № 115. (In Russian)
2. Buachidze, I. M. (1970). *Hydrogeology of USSR, Georgian SSR* (pp. 234–237, 243). (In Russian)
3. World Health Organization. (2006, May 25). *Reducing arsenic loads to ensure groundwater safety: Report of the WHO Secretary*. Executive Committee EB118/14, 118th Session. https://apps.who.int/gb/ebwha/pdf_files/EB118/B118_14-ru.pdf
4. Buachidze, G. I., & Mkheidze, B. S. (1989). *Natural gases of Georgia* (pp. 61, 69, 84–85). Metsniereba.

UDC 556.3
SCOPUS CODE 1907
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-206-213

Some Results of Mineral Waters Monitoring on the Right Bank of Mtkvari River and Their Analysis (Within Shida Kartli)

Ludmila Glonti Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi 0159, Digomi Village, Right of the Apostles St. Nino St. 6
E-mail: l.ghlonti@gtu.ge

Zurab Kakulia Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi 0159, Digomi Village, Right of the Apostles St. Nino St. 6
E-mail: z.kakulia@gtu.ge

Avtandil Songhulashvili Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi 0159, Digomi Village, Right of the Apostles St. Nino St. 6
E-mail: a.songhulashvili@gtu.ge

Inguli Nanadze Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi 0159, Digomi Village, Right of the Apostles St. Nino St. 6
E-mail: i.nanadze@gtu.ge

Manana Kopadze Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi 0159, Digomi Village, Right of the Apostles St. Nino St. 6
E-mail: m.kopadze@gtu.ge

Lash Khvichia Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi 0159, Digomi Village, Right of the Apostles St. Nino St. 6
E-mail: l.khvichia@gtu.ge

Reviewers:
M. Mardashova, Professor of the Mining-Geological Faculty of the Mining-Geology, GTU
E-mail: m.mardashova@gtu.ge
Z. Varazashvili, Head of the Land and Marine Engineering Geology Department, Institute of Hydrogeology and Engineering Geology, GTU
E-mail: z.varazashvili@gtu.ge

Abstract. In 2024 mineral water wells 13 monitoring was carried out in the regions Khashuri, Kareli, Gori districts, in the Tana River valley. Most of them were drilled for the purpose of oil exploration. The main part of the

water wells belongs to the hypergenesis zone and open geological structures association, the so-called tergal regime waters. Their geochemical composition was discussed, and microcomponent analysis was carried out for the first time on the studied wells.

The article presents some results of monitoring mineral waters and discusses the issues of their rational use and increasing the resource potential

Keywords: hydrochemical composition; mineral waters; Shida Kartli.

განხილვის თარიღი 17.02.2025
შემოსვლის თარიღი 18.02.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 556.3 :550.81(0432)
SCOPUS CODE 1907
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-214-223

მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგების შეფასების ერთიანი სისტემის შესახებ

მარინე მარდაშოვა გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: m_mardashova@gtu.ge

თამარ მიქავა გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: t.miqava@gtu.ge

რეცენზენტები:

ზ. კაკულია, სტუ-ის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი
E-mail: zukakulia@yahoo.com

ნ. ფოფორაძე, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: nodar_poporadze@yahoo.com

ანოტაცია. მიწისქვეშა წყლების გამოყენების საკითხი გულისხმობს რთული სამეცნიერო და საინჟინრო ამოცანების მთელ კომპლექსს, რომლებიც მნიშვნელოვანწილად მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგების პროგნოზირებისა და წყალამღების ჰიდროგეოლოგიური გაანგარიშების ამოცანას უკავშირდება. საექსპლუატაციო მარაგების შეფასებისა და ჰიდროგეოლოგიური გამოთვლების შედეგების საფუძველზე დგინდება წყალამღების მწარმოებლურობა და მიწისქვეშა წყლების დონის შემცირების დინამიკა (თავად წყალამღებში და მისი ზემოქმედების ზონაში), რისი გათვალისწინებითაც ხდება წყალამღების ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების დასაბუთება. წინამდებარე სტატიაში განხილულია მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგების შეფასების მეთოდებზე, წყლის რესურსების მართვის ისეთი სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას და ინტეგრირებული/სააუზო მართვის პრინციპების შესაბამისად წყლის რესურსების დაცვასა და მდგრად გამოყენებას, რათა მოხდეს წყლის რესურსების აღრიცხვა, ხელმისაწვდომობა, განაწილება და გამოყენება ქვეყნის ეკონომიკის და შესაბამისად მოსახლეობის სასიკეთოდ.

საკვანძო სიტყვები:გრუნტის წყლები; მარაგები; მიწისქვეშა წყლები; საექსპლუატაციო მარაგები; წყალმიმღები; წყალშემცველი; ჰიდროგეოლოგიის ანგარიში; ჰიდროგეოლოგიური პარამეტრები.

შესავალი

ჩვენს ქვეყანაში წლების წინ შემუშავდა მიწისქვეშა წყლების მარაგების შეფასებისა და წყალმიმღების ჰიდროგეოლოგიური ანგარიშის მეთოდები. მოცემულ საკითხზე ცნობილი შრომები ეკუთვნით ისეთ ავტორებს, როგორიცაა გ. კამენსკი, ნ. პლოტნიკოვი, გ. ბოგომოლოვი, მ. სემიონოვი, ნ. ბინდემანი, ს. აბრამოვი, ა. რომანოვი, ვ. გრიგორიევი, მ. ალტოვსკი, ვ. ბაბუშკინი და სხვ [1]. თუმცა, უკანასკნელ წლებამდე მიწისქვეშა წყლების მოქმედი საექსპლუატაციო მარაგების შეფასება და წყალმიმღები ნაგებობების ანგარიში ძირითადად მხოლოდ მიწისქვეშა წყლების დამყარებული მოძრაობის პირობებში ხდებოდა.

მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგების შეფასება მოითხოვს იმის დამტკიცებას, რომ შეიძლება წყალამღების ექსპლუატაცია განუსაზღვრელად დიდი დროის განმავლობაში გარკვეული მწარმოებლურობით. საექსპლუატაციო მარაგები წყლის ის რაოდენობაა, რომელიც შეიძლება მოვიპოვოთ საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში (ჩვეულებრივ 25 წელი) წყალშემცველი ჰორიზონტიდან ისე, რომ არ მოხდეს წყალშემცველი ფენის გაღარიბება ან გამოფიტვა. ამასთანავე, წყალაღების ნორმა შენარჩუნებული უნდა იყოს ექსპლუატაციის მთლიანი პერიოდის განმავლობაში.

მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგების შეფასება ხდება ჰიდროდინამიკური, ჰიდრავლიკური და ბალანსური მეთოდების გამოყენებით [2].

მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ მიწისქვეშა წყლების გავრცელების ბუნებრივი პირობები იმდენად მრავალფეროვანია, რომ მათი ასახვა მათემატიკურად შეუძლებელია და აბსტრაქციის სფეროში გადადის. თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ, ვერ შევძლებთ ექსპლუატაციის პროცესში წყალამღებ ჭაბურღილებში წყლის დონეების ცვალებადობის პროგნოზს და, აქედან გამომდინარე, ვერც იმას დავასაბუთებთ, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი საექსპლუატაციო მარაგები ბუნებრივი კვების რაოდენობით.

მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგების შეფასების ახალი მეთოდების კვლევა არადამყარებული მოძრაობის თეორიის საფუძველზე და მათი პრაქტიკაში დანერგვა გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში დაიწყო.

ძირითადი ნაწილი

ბოლო წლებში ჰიდროგეოლოგიურ პრაქტიკაში, ისევე როგორც ქვეყნის ეკონომიკის სხვა დარგებში, სულ უფრო მეტად ინერგება მოდელირების მეთოდები ანალოგური ინსტრუმენტების გამოყენებითა და კომპიუტერული გამოთვლებით. ყველა ამ მეთოდის წარმატებით გამოყენება შესაძლებელია მიწისქვეშა წყლების მარაგების შესწავლისა და კვლევის სხვადასხვა ეტაპზე, პროგნოზირების საჭირო სიზუსტის მიხედვით. თუმცა, ამასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჰიდროგეოლოგიური გამოთვლების სიზუსტე და სანდოობა იმ საწყისი მონაცემების სიზუსტისა და სანდოობის პირდაპირ-

პროპორციულია, რომლებიც ბუნებრივი ჰიდრო-გეოლოგიური გარემოს დასახასიათებლად გამოიყენება. აღნიშნული თანაბრად ეხება ანალიტიკურ გამოთვლებსა და მოდელირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალიტიკური გადაწყვეტილებები, გარემო პირობების აუცილებელი სქემატურად გამოხატვის შემთხვევაშიც კი, იძლევა წყალმიმღები ნაგებობების ექსპლუატაციისას სხვადასხვა ბუნებრივი და ტექნიკური ფაქტორების ძირითადი კანონზომიერებებისა და გრუნტის წყლების ნაკადების ფორმირებაში მათი ფარდობითი როლის უფრო სრულად შესწავლის საშუალებას, რისი წყალობითაც, ისინი შეიძლება გამოყენებული იქნეს თავად მოდელირების მეთოდიკის შემუშავების საფუძვლად.

საექსპლუატაციო მარაგებში, ბუნებრივი ხარჯის გარდა, ყოველთვის მოიაზრება მიწისქვეშა წყლების სტატიკური მარაგების გარკვეული ნაწილი, რომელიც აქტიურდება წყალმიმღების ექსპლუტაციისას. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის, რომ წყალშემცველი ფენის ან წყალშემცველი ფენების სისტემის ინტენსიური ექსპლუატაცია ნებისმიერი წყალმიმღები ნაგებობის გამოყენებით იწვევს მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რეჟიმის მნიშვნელოვან ცვლილებებს და ქმნის დამატებითი მარაგების მოზიდვის შესაძლებლობას [2]. ექსპლუატაციის დროს, კერძოდ, შესაძლებელია:

- გრუნტის წყლების მიწისქვეშა წყალგამყოფის გადაადგილება და ამასთან დაკავშირებით წყალმიმღების კვების არეალის გაზრდა (სურ. 1).
- ზედაპირული წყაროების მოქცევა წყალმიმღების ზემოქმედების არეალში;.
- წყლის მოდინების ზრდა წყალშემცველ ფენაში ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციის ცვლილების ხარჯზე წყალმიმღების უბანზე გრუნტის წყლების დონეების შემცირებისას;.
- მიწისქვეშა წყლების გადმოდინება მიმდებარე ფენებიდან. წყალმიმღების ექსპლუატაციისას მრავალფენიან სიზრქეებში ხდება მიწისქვეშა წყლების დაწნევის გადანაწილება, რის გამოც იცვლება ფილტრაციის გზები და ზოგიერთი წყალშემცველი ფენა შეიძლება წარმოადგენდეს იმ ფენის ზებუნებრივი ხარჯის წყალმიმღების კვების დამატებით წყაროს, რომლებშიც ხდება მათი უშუალო ფორმირება; მიწისქვეშა წყლების რესურსების შენარჩუნების ცვლილებები მოიცავს კვებისა და განტვირთვის სხვადასხვა პროცესს. კვების ძირითადი წყაროებია ატმოსფერული ნალექი, მდინარეებიდან, ტბებიდან, სარწყავი სისტემებიდან შევსება, ანალოგიურად, განტვირთვის პროცესები მოიცავს აორთქლებას, ამოტუმბვას, კავშირს მდინარეებთან (სურ. 2).



სურ. 1. მიწისქვეშა წყლების შევსებასთან დაკავშირებული პროცესები



სურ. 2 კვების პროცესების სქემა (ლერნერი, 1997 წ.). „ა“ - ნიშნავს აორთქლებას

წყალმიმღები ნაგებობის ექსპლუატაციისას გრუნტის წყლების ბუნებრივი მარაგები შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ხელოვნური მეთოდების გამოყენებითაც, მაგალითად, ინფლიტრაციული აუზის ან არხების, ე.წ. „გრუნტის წყლების ფაბრიკების“ მოწყობით.

ეს ყველაფერი იმის უდავო მაჩვენებელია, რომ გრუნტის წყლების მარაგების კლასიფიკაციისას შეუძლებელია მხოლოდ იმ სახეობებით შემოფარგვლა, რომლებიც აღწერს მოცემულ წყალშემცველ ფენაში ბუნებრივ მდგომარეობაში არსებული გრუნტის წყლების რაოდენობას. წყალმიმღები ნაგებობების ექსპლუატაციისას კვების ახალი წყაროების გაჩენასთან ერთად თითქოს ახალი მარაგები „იქმნება“, რომლებსაც არ ითვალისწინებენ ბუნებრივ პირობებში, ანუ როდესაც არ ხდება წყალმიმღები ნაგებობის ექსპლუატაცია. ამ დამატებითი მარაგების ზომა და შესაბამისად, საექსპლუატაციო მარაგების სიდიდე განისაზღვრება არა მხოლოდ ჰიდროგეოლოგიური პირობებით, არამედ წყალაღების ტექნიკური პირობებითაც, ე.ი. წყალმიმღები ნაგებობების ტიპითა და კონსტრუქციით და მისი მუშაობის რეჟიმებით.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება, შევჩერდეთ გრუნტის წყლების ქვემოთ მოყვანილ კლასიფიკაციაზე (იხ. ცხრილი).

საექსპლუატაციო მარაგების შეფასებისას წყალმიმღები ნაგებობის ტიპი და განლაგების სქემა შეირჩევა წყალმოხმარების სიდიდის, ჰიდროგეოლოგიური და სხვა ბუნებრივი ფაქტორების და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. ამ განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია დავაყენოთ მოთხოვნა, რაც ხშირად ხდებოდა ბოლო პერიოდამდე, საექსპლუატაციო მარაგები გულისხმობდეს ყველა შემთხვევაში „სტაბილურ ნაკადს“ ან „მუდმივ“, „მდგრად“ წყლის ხარისხსა და წყალმიმღების ექსპლუატაციის რეჟიმს. ასეთი მოთხოვნა უსაფუძვლოა. საუბარი ზოგადად შეიძლება არა დებიტის, წყლის ხარისხისა და ექსპლუატაციის რეჟიმის „მდგრადობაზე“ ან „მუდმივობაზე“, არამედ იმ ცვლილებებზე, რომლებიც მოსალოდნელია კონკრეტულ ბუნებრივ პირობებში. ეს ცვლილებები უნდა აისახოს საექსპლუატაციო მარაგების ანგარიშში და გათვალისწინებული უნდა იქნეს წყალმიმღები ნაგებობის პროექტში. რაც შეეხება წყლის ხარისხს, აღნიშნული ცვლილებები არ უნდა სცდებოდეს მომხმარებლების სტანდარტულ მოთხოვნებს.

წყალმიმღების წყლის ბალანსის ზოგადი განტოლება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$Q_e = Q_{st} + Q_m + Q_{dyn} + \sum Q_{dam} \qquad (1)$$

სადაც Q_e არის საექსპლუატაციო მარაგები (წყალმიმღების დებიტი); Q_{dyn} – გამოყენებული დინამიკური მარაგები (წყალმიმღების მიერ აღებული ფენის ბუნებრივი ხარჯის ნაწილი); Q_{st} და Q_m – გამოყენებული სტატიკური და მოქნილი მარაგები; $\sum Q_{dam}$ – ექსპლუატაციის პროცესში მოზიდული ჯამური დამატებითი მარაგები.

ექსპლუატაციის საწყის ეტაპზე სიდიდეს წყალმიმღების უზრუნველყოფაში აქვს Q_{st} (არადწნევით პლასტებში) და Q_m (დაწნევით პლასტებში) მდგენელები. შემდგომ ეტაპებზე იზრდება Q_{dyn} დინამიკური მარაგებისა და $\sum Q_{dam}$ დამატებით მოზიდული წყაროების როლი.

საექსპლუატაციო მარაგები შეიძლება, შეფასდეს ლოკალურ, წყალშემცველი ფენის მეტ-ნაკლებად შემოზღუდულ უბნებზე ან დიდი უბნების ფარგლებში, რომლებიც მოიცავს მთელ პლასტს ან წყალშემცველი ჰორიზონტების სისტემას [3].

მომსახურების შეუზღუდავი ვადის პირობით, სტატიკური და ელასტიკური მარაგები, რომლებიც გამოხატულია Q_{st} და Q_m წევრებით, თეორიულად სრულად უნდა ამოქმედდეს. ამის შესაბამისად, ბალანსის განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$Q_{e.m.} = \alpha(Q_{W.e} + Q_{W.y}) + \beta(Q_{p.e} + Q_{p.y}) \qquad (2)$$

სადაც $Q_{e.m.}$ მინიმალური საექსპლუატაციო მარაგებია, რომლებიც მუდმივად ივსება ატმოსფერული ნალექებით (Q_W) და ზედაპირული წყალსადინრებისა და წყალსატევების წყლით (Q_p).«e» და «y» ინდექსებით აღნიშნულია მითითებული წყაროებიდან შემომავალი წყლის რაოდენობა ბუნებრივ პირობებში წყალმიმღები ნაგებობების ამოქმედებამდე და მათი ექსპლუატაციის პროცესში (მოცემულ შემთხვევაში, შესაბამისად $Q_{W.y} + Q_{p.y} = \sum Q_{dam}$). α და β კოეფიციენტები ახასიათებს ჰორიზონტის კვების შესაბამისი წყაროების შესაძლო გამოყენების წილს [4].

ცხრილი

მიწისქვეშა წყლების მარაგების კლასიფიკაციის სქემა

მიწისქვეშა წყლები ცალკეული ტერიტორიების, უბნებისა და მთლიანად ქვეყნის საერთო წყლის ბალანსის მნიშვნელოვანი ელემენტია. ამასთან დაკავშირებით, მიწისქვეშა წყლების მარაგების რეგიონალური შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ მათი გამოყენება (1) განტოლებით განსაზღვრული ზომით, გამოყენებული წყლის დაბრუნებული რაოდენობის ანუ ე.წ. „დაბრუნებადი წყლის“ გამოკლებით გამოიწვევს წყალმომარაგების ჯამური ბალანსის შესაბამის ცვლილებას და, კერძოდ, ღია წყლის ჩამონადენის შემცირებას. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული მთლიანად ეხება მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგების იმ ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფილია ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციითა და წყლის მოდინებით ზედაპირული წყაროებიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, რაიონის საერთო ბალანსი შეიძლება გამოვხატოთ შემდეგნაირად:

$$Q_0 = Q_c + Q_a + \alpha Q_{W.y} + \beta Q_{p.y} - Q_{dab}$$

სადაც Q_0 არის ნალექების რაოდენობაა; Q_c – წყლის ჯამური ჩამონადენი (ზედაპირული და გრუნტის); Q_a – აორთქლება; $\alpha Q_{W.y}$ და $\beta Q_{p.y}$ – გრუნტის წყლების საექსპლუატაციო მარაგები, რომლებიც უზრუნველყოფილია ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციითა და წყლის ღია წყაროებიდან ფილტრაციით; Q_{dab} – „დაბრუნებული“ წყალია.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოსახულება (3) მართებულია მხოლოდ დიდი რაიონების წყლის ბალანსის განსაზღვრისას, რომლებიც მოიცავს მთლიანად ერთ ან რამდენიმე მდინარის აუზს. ლოკალური უბნების წყალუზრუნველყოფის შეფასებისას გრუნტის წყლების ექსპლუატაციის გავლენა უნდა განისაზღვროს კონკრეტული ჰიდროგეოლოგიური პირობების, წყალშემკრები ნაგებობების განლაგებისა და მათი ექსპლუატაციის ხანგრძლივობის მიხედვით.

გამოთვლების უფრო მაღალ სიზუსტეს უზრუნველყოფს პირველ რიგში, ის ფაქტი, რომ საანგარიშო მონაცემების სახით გამოიყენება უფრო სარწმუნო ამოსავალი ჰიდროგეოლოგიური პარამეტრები, შემდეგ კი ის ფაქტი, რომ მოცემული გამოთვლები წარმოებს წყალმიმღები ნაგებობების კონკრეტულ უბნებთან და მათ განსაზღვრულ სქემებთან მიმართებით.

მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგების ამა თუ იმ კატეგორიისადმი მიკუთვნება წყდება ყველა ჰიდროგეოლოგიური მონაცემის ერთობლიობით. თუმცა, საბოლოო ჯამში, მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგების სრულად შეფასება დაძიების/კვლევის ყველა ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ გამოთვლების მეშვეობით. კვლევების საწყის ეტაპებზე მარაგების C კატეგორიისადმი მიკუთვნებისას გამოთვლებს მიახლოებითი ხასიათი აქვს, ვინაიდან ისინი ეფუძნება მიახლოებით საწყის ჰიდროგეოლოგიურ პარამეტრებს. შემდგომში დეტალური კვლევებისას, რომელთა მასალების მიხედვითაც ხდება მარაგების A და B კატეგორიებად დაყოფა, გამოთვლები უფრო დიდი სიზუსტით უნდა წარმოებდეს [4, 5].

გამოთვლების უფრო დიდ სიზუსტეს უზრუნველყოფს პირველ რიგში, ის ფაქტი, რომ საანგარიშო მონაცემების სახით გამოიყენება უფრო სარწმუნო ამოსავალი ჰიდროგეოლოგიური პარამეტრები, შემდეგ კი ის ფაქტი, რომ მოცემული გამოთვლები წარმოებს წყალამღების კონკრეტულ უბნებთან და მათ განსაზღვრულ სქემებთან მიმართებით [6] (სურ. 2).



სურ. 2. მიწისქვეშა წყლების შეფასების სქემა

დასკვნა

ჩვენი მიზანი მოცემული საკითხის სრული ბიბლიოგრაფიული შეჯამება არ ყოფილა. დღეს, მზარდი პუბლიკაციების პირობებში, ამ ამოცანის შესრულება თითქმის სრულიად შეუძლებლად გვესახება. ჩვენი მიზანია შეიქმნას საექსპლუატაციო მარაგების შეფასების ერთიანი სისტემა, რომელიც დაარეგულირებს მრავალი წლის განმავლობაში ამოცანების დასახვის საკითხებსა და მიღებულ შედეგებს.

წყლის რესურსების მართვის ისეთი სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას და ინტეგრირებული/სააუზო მართვის პრინციპების შესაბამისად წყლის რესურსების დაცვასა და მდგრად გამოყენებას, რათა მოხდეს წყლის რესურსების აღრიცხვა, ხელმისაწვდომობა, განაწილება და გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისა და შესაბამისად მოსახლეობის სასიკეთოდ.

ჩვენს ქვეყანაში წლების წინ შემუშავდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №42 (2017 წლის 27 ოქტომბერი ქ. თბილისი) - „სასმელი, სამკურნალო მინერალური, სამრეწველო, ტექნიკური და თბოენერგეტიკული მიწისქვეშა წყლების მარაგებისა და პროგნოზული რესურსების კლასიფიკაციის და მარაგების გამოთვლის ანგარიშის შედგენის მეთოდური მითითებების“ ინსტრუქცია [7].

თუმცა, არც კანონპროექტში და არც N42 ბრძანებაში არ არის ნახსენები მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგების შეფასების მეთოდების შესახებ, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლადაა განხილული და სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიაზე ანგარიშის წარდგენისას ავტორები ირჩევენ საექსპლუატაციო მარაგების შეფასების მეთოდებიდან ერთ-ერთ სასურველ მეთოდს. მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგების შეფასება უნდა ხდებოდეს ქვეყანაში არსებული ერთიანი სისტემის მეთოდების გამოყენებით.

ლიტერატურა

1. Zviadadze, U. (2013). *Methods of hydrogeological research*. Tbilisi: Technical University Publishing.
2. Plotnikov, N. I. (1979). *Operational exploration of groundwater*. Moscow: Nedra.
3. Hulme, M., Doherty, R., Ngara, T., New, M., & Lister, D. (2001). African climate change: 1900–2100. *Climate Research*, 17, 145–168. https://doi.org/10.3354/cr017145
4. Healy, R. W., & Cook, P. G. (2002). Using groundwater levels to estimate recharge. *Hydrogeology Journal*, 10, 91–109. https://doi.org/10.1007/s10040-001-0178-0
5. de Vries, J. J., & Simmers, I. (2002). Groundwater recharge: An overview of processes and challenges. *Hydrogeology Journal*, 10, 5–17. https://doi.org/10.1007/s10040-001-0171-7
6. Zviadadze, U., & Mardashova, M. (2013). *Dynamics of groundwater*. In U. Zviadadze (Ed.), *Methods of hydrogeological research*. Tbilisi: Technical University Publishing.
7. Government of Georgia. (2017, October 27). *Order №42: Instruction on classification and methodology for calculating reserves and forecast resources of underground water (drinking, medicinal mineral, industrial, technical and thermal energy)*. Tbilisi.

UDC 556.3 :550.81(0432)
SCOPUS CODE 1907
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-214-223

Evaluation System of Exploitable Underground Water Supplies

Marine Mardashova Department of Applied Geology, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75, M. Kostava str.
E-mail: m_mardashova@gtu.ge

Tamar Mikava Department of Applied Geology, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75, M. Kostava str.
E-mail: t.miqava@gtu.ge

Reviewers:
Z Kakulia; Professor, Faculty of Mining and Geology, GTU
E-mail: zukakulia@yahoo.com
N. Poporadze, Professor, Faculty of Mining and Geology, GTU
E-mail: nodar_poporadze@yahoo.com

Abstract. The issue of groundwater use involves a whole complex of scientific and engineering tasks, which are related to the task of forecasting and hydrogeological calculation of exploitable groundwater resources. On the basis of the evaluation of operational resources and the results of hydrogeological calculations, the productivity of the water intake and the dynamics of the reduction of the groundwater level are established, taking into account the technical and economic parameters of the water intake.

Creation of such legal bases for water resources management, which ensures the implementation of a unified state policy in the field of protection and use of water resources, creation of a safe environment for human health, protection and sustainable use of water resources in accordance with management principles, in order to record, access and distribute water resources.

Keywords: Exploitation stocks; Groundwater; Hydrogeological parametrs; Hydrogeological report; Supplies; Water intake; Water-retaining.

განხილვის თარიღი 18.03.2025
შემოსვლის თარიღი 29.03.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 004.8:378.4. 338.45
SCOPUS CODE 2001
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-224-230

ხელოვნური ინტელექტის (AI)-ის ტექნოლოგიების შესაძლებლობები უმაღლეს განათლებაში და მისი გავლენა ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე

ნინო ბენდიანიშვილი საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: bendianishvili.nino@gtu.ge

რეცენზენტები:

რ. შენგელია, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: r.shengelia@gtu.ge

შ. ვეშაპიძე, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: shota.veshapidze@tsu.ge

ანოტაცია. აღსანიშნავი და ხაზგასასმელია AI-ის ინსტრუმენტების გამოყენების სიხშირე უმაღლეს განათლებაში Covid-19 პანდემიის შემდეგ. იგულისხმება, რომ ნელ-ნელა იხვეწება უმაღლესი განათლების მოთხოვნებთან ადაპტირებული სწავლების უფრო ეფექტიანი მეთოდების ფორმები. ინერგება მასწავლებლების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ აუცილებელი პირობები გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტი, სტუდენტის უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში, რაც ხაზს უსვამს მდგრადობას. ამ პერიოდის განმავლობაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება საგანმანათლებლო ლანდშაფტში, რამაც გამოიწვია ინოვაციური ტექნოლოგიების მიღება უმაღლესი განათლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამ კონტექსტში, ხელოვნური ინტელექტი გამოჩნდა როგორც ინსტრუმენტი არა მხოლოდ სწავლების მეთოდების გასაუმჯობესებლად, არამედ მდგრადობის კონცეფციების ინტეგრირებისთვის. ეს აქცენტი ხაზს უსვამს ამ ტექნოლოგიის ფუნდამენტურ როლს და მის გავლენას ხარისხიანი განათლების ხელშეწყობაში, რაც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას.

ნაშრომში განხილულია თანამედროვე პერიოდის ისეთი აქტუალური საკითხი, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტის (Artificial intelligence – AI) როლი უმაღლეს განათლებაში და ამ კონტექსტის ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე მათი კავშირის წარმოაჩენა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან.

საკვანძო სიტყვები: ინტელექტუალური ქცევა; მდგრადი განვითარების მიზნები; საგანმანათლებლო ლანდშაფტი; ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები; უმაღლეს განათლება; ციფრული წიგნიერება; ხელოვნური ინტელექტი.

შესავალი

ციფრულ ეპოქაში, ხელოვნურ ინტელექტს აქვს უზარმაზარი პოტენციალი მდგრადი განვითარების წარმართვის თვალსაზრისით. მომავლის განათლების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი სწორედ AI-ის ტექნოლოგიებია. ხელოვნური ინტელექტის უმაღლეს განათლებაში ჩართვა არის დიდი საგანმანათლებლო კაპიტალი. ეს ფასდაუდებელი შესაძლებლობაა სასწავლო პროცესის საერთაშორისო ინტეგრაციის მიმართულებით.

ეს ყოველივე ხელს უწყობს პროგრესს 2030 წლის დღის წესრიგში მოცემული 17 მდგრადი განვითარების მიზნის რეალიზაციისკენ. უმაღლეს განათლებაში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს ინოვაციებს, თანასწორობასა და ციფრული წიგნიერების განვითარებას. თუმცა, ის ასევე შეიცავს რისკებს მონაცემთა დაცვისა და თანაბარი წვდომის თვალსაზრისით. რაც საჭიროებს ქმედებებს როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ისე კერძო სექტორის მხრიდან. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ 2023 წელს იუნესკოს გლობალურმა კვლევამ აჩვენა, სკოლებისა და უნივერსიტეტების მხოლოდ 10%-ზე ნაკლებს აქვს შემუშავებული ინსტიტუციური პოლიტიკა ან რეგულაციები AI-ის სწორად და სამართლებრივი ფორმით გამოყენებასთან დაკავშირებით [1].

ძირითადი ნაწილი

გლობალური გამოწვევებისა და ციფრული ტრანსფორმაციის პარალელურად, მდგრადი განვითარების მიზნები აყალიბებს ყოვლისმომცველ პარადიგმას, რომელიც მხარს უჭერს როგორც ეროვნულ სტანდარტებს, ისე საერთაშორისო თანამშრომლობას მდგრადი გლობალური განვითარების მიმართულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მხრივ მიმდინარეობს სამუშაოები. საკუთარი გამოცდილებიდან და მაგალითიდან გამომდინარე შემიძლია აღვნიშნო, რომ მეც მივიღე მონაწილეობა, ძალიან საინტერესო, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის** მიერ შემოთავაზებულ, სამდღიან ვებინარში: „AI Tools Boot Camp for Researchers: Core Essentials course“, რომელიც გათვალისწინებული იყო აკადემიური მკვლევრებისთვის. დავასრულე სრული კურსი, რომელსაც გაუძღვა ავი სტაიმანი. იგი არის Academic Language Experts-ის (ALE)-ის დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი.

ეკონომიკური გავლენის თვალსაზრისით, AI-ის ტექნოლოგიების ინტეგრაციას განათლებაში შეიძლება დიდი წვლილი ჰქონდეს გეოპოლიტიკური და **ეკონომიკური ურთიერთობების** გაღრმავების მხრივ. ქვეყნებისათვის იქმნება განათლების სისტემების სრულყოფის შესაძლებლობა, რაც გამოიწვევს მათი ეკონომიკური პოტენციალის გაზრდას გლობალურ ბაზარზე. ხელოვნური ინტელექტის განათლებაში მასშტაბური დანერგვისას გასათვალისწინებელია, რომ აუცილებელია სტრატეგიული ხედვა საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით გლობალური თანასწორობისათვის, რომ არ მოხდეს რესურსების არათანაბარი განაწილება.

აღნიშნული საკითხი ძალზე **აქტუალურია**, ვინაიდან დაკავშირებულია ისეთი ფუნდამენტური საკითხების განხილვასთან, როგორიცაა **ხელოვნური ინტელექტი (AI)** და **უმაღლესი განათლება,** რომლებიც მიმართულია თანამედროვე გამოწვევების, შესრულების სიზუსტის, დიდი მონაცემების დამუშავების ტექნოლოგიებისკენ, ინოვაციასთან, სტუდენტის საჭიროებებზე მორგებასთან, **ციფრულ ტრანსფორმაციასთან.** ბევრმა კვლევამ ხაზგასმით

აღნიშნა ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გავლენა სტუდენტის სწავლებასა და სწავლაზე. ეს ხაზს უსვამს AI-ის აქტუალობას და მის მნიშვნელობას უფრო ეფექტიანი, სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური გარემოს შესაქმნელად, რომელიც შეესაბამება მდგრადობის მოთხოვნებს. **ციფრულ ტექნოლოგიას** შეუძლია გაზარდოს პროდუქტიულობა, შეამციროს წარმოების ხარჯი, გააუმჯობესოს ბაზარზე შესაბამისობა და საჯარო სერვისები გახადოს უფრო ხელმისაწვდომი, აგრეთვე უზრუნველყოს რესურსების გამოყენების ეფექტიანობა და აქვს სხვა მნიშვნელოვანი როლი, მაგალითად, დააჩქაროს ინოვაციები, შეუძლია ქალაქების გარდაქმნა ურბანული მობილობის სქემების დანერგვით, ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ასევე გააძლიეროს სხვადასხვა სისტემის მდგრადობა, როგორიცაა ჭკვიანი მეურნეობა, ჭკვიანი საგანმანათლებლო საშუალებები. თუმცა, დადებითი ეფექტების გარდა, ხელოვნური ინტელექტის გაძლიერებული ტექნიკა შეიძლება მიუწვდომელი იყოს მცირე მეურნეობისთვის, ანუ ეს რესურსები შეიძლება არ იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში, რამაც შეიძლება გაზარდოს ეკონომიკური უფსკრული.

მდგრადობის თვალსაზრისით, **AI-ის** მიღება **უმაღლეს განათლებაში** შეიძლება დაეხმაროს ქვეყნებს მიაღწიონ **მდგრადი განვითარების მიზნებს,** როგორიცაა სიღარიბის შემცირება, შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლა, კლიმატის მართვა და კონკრეტულად **ხარისხიანი განათლების ხელშეწყობა.** AI-ის ინტეგრაციას პედაგოგიურ პროცესში აქვს უზარმაზარი პოტენციალი. თუმცა, ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უთანასწორობამ და არასაკმარისმა **ციფრულმა წიგნიერებამ,** ასევე კულტურულ ნიუანსებთან გამკლავების გამოწვევებმა შეიძლება შეაფერხოს ხელოვნური ინტელექტის როლი. ხოლო ინფორმაციის სრული ხელმისაწვდომობის პირობებში, არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკეებისთვის საჭირო მეთოდიკაა ენობრივი ბარიერების მოხსნაში და ყველა სტუდენტისთვის თანასწორობის ხელშეწყობაში.

უმაღლეს განათლებაში ხელოვნური ინტელექტის სწორად გამოყენების შემთხვევაში, იზრდება მისი სარგებელი და შესაძლებელი ხდება მასთან დაკავშირებული რისკების ეფექტიანად მართვა. AI-ის აქვს უზარმაზარი პოტენციალი დააჩქაროს განვითარების პროცესი და შეცვალოს საგანმანათლებლო პარადიგმები, ასევე აღჭურვოს სტუდენტები მდგრადი და სამართლიანი მომავლისთვის საჭირო უნარებით.

მეთოდოლოგიური მიდგომის თვალსაზრისით, ნაშრომის მიზანია ხელოვნური ინტელექტისა და მდგრადობის კონტექსტის გაანალიზება უმაღლეს განათლებაში, ასევე მათი ურთიერთობები გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან. ამის მისაღწევად, კვლევის სტრატეგია შედგება ბიბლიომეტრიული ანალიზისა და ლიტერატურის მიმოხილვისგან. შემოთავაზებულია ღირებული შეხედულებები, რაც თანამედროვე მკვლევრებს ეხმარება მომავალ საქმიანობაში.

თემა საკმაოდ აღიარებულია, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია შესასწავლი ამ მიმართულებით. აღნიშნული საკითხების უფრო ღრმად განხილვას შეუძლია დაეხმაროს უნივერსიტეტებს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ეფექტიანად განხორციელებაში. ეს ხელს უწყობს სტუდენტის სწავლის ხარისხის ამაღლებასა და მდგრადობის კონცეფციების უფრო საფუძვლიან ათვისებას. ხელოვნურ ინტელექტს მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის მონაპოვარსაც კი უწოდებენ. **ევროკომისიის** შესაბამი-

სი ექსპერტებით დაკომპლექტებული ჯგუფის შეფასებით, AI ავლენს **ინტელექტუალურ ქცევას** [2].

ზოგადად, უმაღლეს განათლებაში ხელოვნური ინტელექტის არსებობა დაფუძნებულია **მდგრადი განათლებისა და ინოვაციების შერწყმაზე,** რომლის მიზანია სტუდენტის მომზადება მომავალი გამოწვევებისათვის. AI-ის ინტელექტის გავლენის გაანალიზებისას უმაღლეს განათლებაში, აქცენტი უნდა გაკეთდეს სტუდენტის სწავლაზე. წარმოდგენილი მოსაზრებები ხელს შეუწყობს დისკუსიების გაფართოებას ხელოვნურ ინტელექტსა და მდგრადობას შორის ურთიერთობის შესახებ უმაღლეს განათლებაში. პრაქტიკული თვალსაზრისით, ის შეიძლება საინტერესო იყოს და გახდეს საფუძველი უნივერსიტეტის წარმომადგენლებისა და ამ საკითხით დაინტერესებული პირებისათვის, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციას მათ სასწავლო პროცესებში, მდგრადობის კონტექსტის გათვალისწინებით.

ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, როგორც აღვნიშნეთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერო) 2015 წელს შეიმუშავა 17 მდგრადი განვითარების მიზანი – სახელწოდებით Agenda 2030. ის მხარს უჭერს, ზოგადად, მიმდინარე და მომავალი თაობების მდგრად განვითარებას. შემუშავდა ეროვნული გზამკვლევი შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით. მდგრადი განვითარების მიზნებიდან მეოთხეა სწორედ თანასწორი და უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა [3].

თანამედროვე გარემო სულ უფრო მეტად მოითხოვს მდგრად პრაქტიკას. მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, თუ როგორ შეიძლება იყოს ტექნოლოგია ძლიერი მოკავშირე დღევანდელი და მომავალი გამოწვევების დაძლევაში. იგულისხმება მდგრადობაზე ორიენტირებული სწრაფი ქმედებები და **ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების** საჭიროება. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს ხელოვნური ინტელექტის (AI) მზარდი გავრცელება ადამიანის საქმიანობაში და ის, თუ როგორ შეუძლია მას სწრაფად დააკმაყოფილოს ასეთი მოთხოვნილებები. თანამედროვე სამყაროში, ტექნოლოგიური პროცესებით განპირობებული სწრაფი ტრანსფორმაციები იწვევს დიდ ინტერესს ამ ცვლილებების გაგების, მათი ზემოქმედების ანალიზს სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით სფეროებზე.

ხელოვნური ინტელექტი (AI) მოიაზრება, როგორც ტექნოლოგია, რომელსაც შეუძლია დაძლიოს შესაბამისი სიტუაციები, გადაჭრას პრობლემები, უპასუხოს კითხვებს, დაგეგმოს და შეასრულოს სხვადასხვა ფუნქცია, რომელიც მოითხოვს ინტელექტის გარკვეულ დონეს. AI-მ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ორგანიზაციებზე, საზოგადოებებსა და ინდივიდებზე. თავისი ტექნოლოგიური პოტენციალის მეშვეობით, ხელოვნურმა ინტელექტუალმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიიპყრო მკვლევრების ყურადღება. მისი კონცეფციები გამოიყენება ცოდნის სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა კულტურა, ბიზნესი, ფინანსები, პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა და სხვა. ის არის ტექნოლოგია, რომელიც მიზნად ისახავს რთული სიტუაციების გადაჭრას. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რამდენად შეუძლია AI-ის წვლილი შეიტანოს მდგრადი განვითარების მიღწევაში, როგორიცაა ჯანმრთელობა, სამუშაო ადგილების უსაფრთხოება და **ეკონომიკა.**

განათლების კონტექსტში, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ერთ-ერთი მთავარი სარგებელია სტუდენტის სწავლის პერსონალიზების შესაძლებლობა. იგულისხმება უნარები, სწავლის სტილი და

სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება, რაც აძლიერებს მდგრადობის ინტეგრაციას. ამ გაგებით სტუდენტისთვის AI-ის გამოყენების პრიორიტეტად ქცევით, შესაძლებელია პროფესიონალების მომზადება, რომლებიც მზად არიან მომავლის გამოწვევებისთვის. მას შეუძლია ხელი შეუწყოს პერსონალიზებულ სწავლებას სტუდენტის მონაცემების ანალიზით. ამ ინსტრუმენტებს შეუძლია ამოიცნოს სირთულეები და უზრუნველყოს სტუდენტის ჩართულობის სიხშირე. გარდა ამისა, გამოწვევა არის ის ფაქტი, რომ არსებობს შიში, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა შეიძლება შეცვალოს ადამიანის ცოდნა და კრიტიკული აზროვნება. მიუხედავად იმისა, რომ AI-ის შეუძლია უზრუნველყოს საჭირო ინფორმაციის გავრცელება და მდგრადი უმაღლესი განათლების მხარდაჭერა, ის ვერ შეცვლის ადამიანის ღირებულებას.

აუცილებელია ხელოვნური ინტელექტი გამოიყენებოდეს როგორც ინსტრუმენტი ადამიანის გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად და გასაძლიერებლად და არა მის შემცვლელად. მნიშვნელოვანია მონაცემთა უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა. ხელოვნური ინტელექტის სისტემები ეყრდნობა დიდი მოცულობის მონაცემებს, რომლებიც შეიძლება დაუცველი გახდეს კიბერშეტევების ან ბოროტად გამოყენების დროს. საჭიროა მონაცემთა დაცვის მკაცრი ზომების არსებობა სტუდენტისა და ინსტიტუციური მონაცემების კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში განსაკუთრებით აღსანიშნავია კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა. იგულისხმება ყოვლისმომცველი კიბერუსაფრთხოების სტრატეგია, რომ უზრუნველყოფილი იყოს სენსიტიური მონაცემების დაცულობა [4].

უმაღლესი განათლების კონტექსტში, **სწრაფი ტექნოლოგიური ევოლუცია** აყენებს გამოწვევას იმის უზრუნველსაყოფად, რომ განათლების პროფესიონალები და დაწესებულებები ადეკვატურად იყვნენ აღჭურვილი ხელოვნური ინტელექტის უახლეს ტენდენციებში ჩასართავად და ადაპტირებისთვის. ეს პროცესი მოითხოვს მათი შესაბამისი უნარებითა და ცოდნით აღჭურვას, რაც აუცილებელია ამ ინსტრუმენტების ეფექტიანი ინტეგრირებისთვის მათი სწავლების მეთოდებში. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწიეს უმაღლესი განათლების კონტექსტში ტექნოლოგიური მიდგომების ჩასართავად. ეს ხაზს უსვამს ამ ინიციატივების პოზიტიურ გავლენას. სხვა უპირატესობებთან ერთად, პოტენციური წვლილი აქვს უფრო **მდგრადი საზოგადოების განვითარებაში.** მნიშვნელოვანია გვახსოვდეს ეთიკური, უსაფრთხოების და მუდმივი განახლების საკითხები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ამ ტექნოლოგიის პასუხისმგებლობით გამოყენება და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურა ხაზს უსვამს ხელოვნური ინტელექტის უპირატესობებს განათლებაში, უმაღლესი განათლების კონტექსტში, ამ ტექნოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებით ბევრი გამოწვევაა. ერთ-ერთია ის, რომ საგანმანათლებლო საზოგადოებას სჭირდება ახალი უნარების გამომუშავება სწავლების მეთოდების დივერსიფიკაციისა და გაფართოებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს ამ ტექნოლოგიის გამოყენებით სტუდენტებსა და მასწავლებლებში უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას.

ხელოვნური ინტელექტის არსებობა უმაღლესი განათლების სისტემაში ხელს უწყობს ყოვლისმომცველ საგანმანათლებლო რევოლუციას, რომელიც

მყარდება **მდგრადი განათლების, ინოვაციებისა** და **ტექნოლოგიური მიღწევების** სტადიაში. ის ამზადებს სტუდენტს გამოწვევებითა და შესაძლებლობებით სავსე მომავლისთვის, რითაც ხელს უწყობს ინოვაციური პროფესიონალების ჩამოყალიბებას, რომლებიც აცნობიერებენ მდგრადობის მნიშვნელობას გლობალურ კონტექსტში. ეს კი უზრუნველყოფს მათ **საერთო ეკონომიკურ** პროცესებში წარმატებით ჩართვასა და **შრომის ბაზარზე** კონკურენტუნარიან კადრად ჩამოყალიბებას.

დასკვნა

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მეთოდებზე ორიენტირებული განათლება შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მიზნებთან. AI ტექნოლოგიებმა, რომლებიც მორგებულია უმაღლესი განათლების მოთხოვნებზე, შეიძლება მნიშვნელოვანი სარგებელი მოიტანოს განათლების ხარისხისათვის, აგრეთვე გააუმჯობესოს სტუდენტის გამოცდილება და აკადემიური მოსწრება. გარდა ამისა, ამ ტექნოლოგიების გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო სისტემის მდგრადობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების უფრო ეფექტიანად განაწილებას და დროის, ძალისხმევისა და მასალების დაზოგვას.

უმაღლესი განათლების კონტექსტში, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს შეუძლია გაზარდოს შეწავლა-სწავლების გამოცდილება პერსონალიზებული მეთოდებით, ადაპტირებადი საშუალებებითა და მონაცემების დამუშავების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების მიწოდებით, რაც ეხმარება სტუდენტს ისწავლოს უფრო ეფექტიანად, მოტივირებულად და ხარისხიანად. ხოლო, AI-ზე დაფუძნებული საგანმანათლებლო ინსტრუმენტებია ჩატბოტი, ავტომატური შეფასების სისტემა და ვირტუალური ასისტენტები. მათ შეუძლიათ დაზოგონ დრო, ასევე გააუმჯობესონ განათლების ხარისხი სტუდენტისთვის უკუკავშირის სწრაფად მიწოდების მეთოდებით. სწორედ, მათზეა მორგებული ონლაინდისკუსიის, შეფასების სისტემის დახვეწის, AI აგენტების ანუ მასწავლებლის ასისტენტების გამოყენების არეალი [5].

ხელოვნური ინტელექტი ეფექტიანად უზრუნველყოფს სრულყოფილი მონაცემების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზს **რთული ეკონომიკური** და **სოციალური გამოწვევებისთვის.**

ამ მიმართულებით აუცილებელია მუდმივი განვითარება, ტრენინგების ჩატარება. ასევე, აუცილებელია ინვესტიციები ინოვაციურ საგანმანათლებლო რესურსებში, უმაღლეს განათლებაში AI-ის შეუფერხებლად ინტეგრირებისთვის.

ლიტერატურა

1. Higher Education Sustainability Initiative. (2024). *Futures of higher education and artificial intelligence action group – Concept note* (pp. 1–4). Tokyo, Japan: United Nations University. Retrieved July 2, 2024.
2. Goderdzishvili, N. (2021). *Artificial intelligence: Essence, international standards, ethical norms and recommendations* (pp. 10–37). Tbilisi: Institute for the Development of Freedom of Information (IDFI).
3. Chelidze, Z. (2022). *National indicators of Sustainable Development Goals (SDGs) and the 2024 Georgian Population Census* (pp. 25–31). Tbilisi: United Nations Population Fund (UNFPA).
4. Bendianishvili, N. (2024). The role of cybersecurity in the innovative development of digital products and services. *Economics*, *106*(6–8), 23–26.

5. European Union. (2024). *Ethical guide for education professionals on the use of artificial intelligence (AI) and data in teaching and learning* (pp. 15–38). Tbilisi: Education and Research Center, European Union Delegation to Georgia.

UDC 004.8:378.4. 338.45
SCOPUS CODE 2001
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-224-230

The Potential of Artificial Intelligence (AI) Technologies in Higher Education and Its Impact on Sustainable Economic Development

Nino Bendianishvili Department of Engineering Economics, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: bendianishvili.nino@gtu.ge

Reviewers:
R. Shengelia, Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, GTU
E-mail: r.shengelia@gtu.ge
Sh. Veshapidze, Associate Professor, Faculty of Economics and Business, TSU
E-mail: shota.veshapidze@tsu.ge

Abstract. The paper discusses such a pressing issue of the modern period as the role of artificial intelligence (AI) in higher education and based on the interdependence of this context, presents their connection with the UN Sustainable Development Goals.

It is worth noting and emphasizing the frequency of use of AI tools in higher education after the Covid-19 pandemic. This means, that more effective forms of teaching methods adapted to the requirements of higher education are gradually being developed. The necessary conditions for empowering teachers to use artificial intelligence in the development of students' skills and competencies, which emphasizes sustainability, are being introduced. During this period, a significant change has occurred in the educational landscape, which has led to the adoption of innovative technologies to meet the requirements of higher education. In this context, artificial intelligence has emerged as a tool not only for improving teaching methods, but also for integrating sustainability concepts. This focus highlights the fundamental role of this technology and its impact on promoting quality education, which contributes to the implementation of the Sustainable Development Goals.

Keywords: Artificial intelligence; Digital literacy Higher education; Educational landscape; Intelligent behavior; Sustainable development goals; Technological solutions.

განხილვის თარიღი 19.03.2025
შემოსვლის თარიღი 20.03.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 332-1
SCOPUS CODE 2001
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-231-243

The External Relations of the Region and the Role of the Transport Complex in Ensuring their Success

Marina Metreveli Department of Tourism and Marketing, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75, M. Kostava str.
E-mail: metrevelimarina11@gtu.ge

Reviewers:
L. Kochlamazashvili, Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: l.kochlamazashvili@gtu.ge
M. Chechelashvili, Associate Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: m.chechelashvili@gtu.ge

Abstract.

In the second half of the 18th century, A. Smith noted: "Since water transport opens up wider markets for any industry than those accessible only by land transportation, it is on the sea coasts and along the full-flowing rivers that any sphere of production naturally begins to be subdivided and improved, and often it does not take long for these improvements to spread to the interior of the country." In this section, based on theoretical analysis, we will determine the contribution of the transport complex to ensuring the region's external relations. Numerous theories developed by researchers provide theoretical justification for the transport complex's role in regional economic development and the formation of its external economic relations. These theories can be categorized based on their scope of application, initial premises, use of mathematical tools, and other factors. In this study, we will consider the presence of a center of economic activity in the region as the foundation for classification. The first group represents the classical German school of spatial placement, which assumes a particular center of regional economic activity.

Keywords: Cargo movement; Plant location; Relations of the region; Transport complex.

Introduction

The task of this work is to determine the role and place of the transport complex in the region's development of external relations. For this purpose, the following issues were comprehensively discussed and resolved: (i) regional relations, (ii) transport complex, (iii) cargo movement, and (iv) movement of enterprises.

Methodology. During the research, the author was guided by the theoretical provisions and methodological principles of economic science. During the work

process, works by Georgian and foreign scientists, as well as materials from scientific conferences and periodicals, were utilized. As for the research methods, the dissertation uses methods, techniques, and logical techniques of economic analysis, including comparative financial analysis, grouping, observation, correlation, and system analysis.

The author formulates the conclusions and recommendations presented in this work based on an analysis of the research results on the functioning of the transport system in various fields, including engineering, food production, and service provision.

The **significance of the topic** is evident in the fact that even economists from past centuries recognized the crucial role of transport in the smooth functioning of the economy. Today, in an era characterized by advanced transport systems, having a well-developed transport network is essential and profitable for any industry. The contribution of the transport complex to facilitating the region's foreign relations is significant, as it encompasses not only land transport but also rail, water, and air transport.

Main Part

The importance of transport in facilitating the region's economic ties is emphasized in the works of J. Thünen, V. Laundhardt, A. Weber, A. Lesch, and V. Christaller. The formation of the spatial distribution theory, which underpins theories of interregional and international trade, is typically associated with the publication in 1826 of Johann Heinrich von Thünen's book, "The Isolated State in Its Relation to Agriculture and National Economy." This foundational work identifies patterns in the distribution of agricultural production. In his initial studies, J. Thünen posited the existence of a state economically isolated from the rest of the world, within which a central city serves as the sole market for agricultural products. The price of each product at any point varies from its price in the city by the amount of transportation costs, which are considered directly proportional to the weight of the cargo and the distance transported. J. Thünen demonstrated that the optimal scheme for placing agricultural production is a system of concentric circles (belts) of varying diameters around the central city, delineating zones for different types of agricultural activities. The higher the yield (productivity), the closer the production should be to the city. Conversely, the more expensive a product is per unit of weight, the farther it is advisable to place it from the city. Consequently, the intensity of farming decreases with distance from the city. Building on agricultural standards, J. Thünen established the key provisions of the theory of land rent based on location. The German scientist premised that the price of a product is independent of its production location. Therefore, land rent is determined by the savings on transportation costs for farms located closer to the center. The highest rent is found in the first ring, with rent decreasing as the distance from the center increases. The lower the transportation costs for delivering agricultural products, the higher the land rent will be. J. Thünen generalized the study of land rent and used it as a basis for further expanding the prerequisites and including external territories.



Fig. 1. Zones ("rings") of J. Thünen's agricultural "Standort"

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

V. Launhardt builds on J. Thünen's theory of spatial organization in the economy. The primary contribution of the German scientist V. Launhardt, whose notable work "The Practice of Effective Placement of Enterprises" was published in 1882, is a method for determining the optimal location of an industrial enterprise about sources of raw materials and the market for product sales.

This study was not initially restricted to the boundaries of a single state. Transportation costs are the crucial factor in production location for both V. Launhardt and J. Thünen. Production costs are assumed to be uniform across all sites within the study area.

The optimal site for the enterprise is affected by the weight ratios of the transported goods and the distances involved. To tackle this challenge, V. Launhardt developed a method known as the weight (or location) triangle. Among the three proposed sites for the plant, the optimal one is the one that minimizes transportation costs (Fig. 2).



Fig. 2 illustrates the options for placing a metallurgical plant ("Location triangle") as described by Launhardt.

სამუშაო მიზნად ისახავს AI-ის პოტენციალის შესწავლას მდინარის ჩამონადენის პროგნოზირებისთვის, რადგან ისინი შეიძლება იყოს მართებული ალტერნატივა ტრადიციული ჰიდროლოგიური პროგნოზირების მიდგომებისთვის, რომლებიც უფრო ადვილია დასაყენებლად და იაფია მუშაობაში. შედეგები აჩვენებს, რომ AI მოდელები მართლაც პერსპექტიულია. მიუხედავად ამისა, მათი შემდგომი გაუმჯობესება შესაძლებელია რამდენიმე ღონისძიების გატარებით. პირველი არის უკეთესი ხარისხის მეტეოროლოგიური მონაცემების შეყვანა, განსაკუთრებით თოვლში არსებული ინფორმაციის შესახებ. ამ დროს, ჰიდროლოგიური პროგნოზების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, შესაძლებელია ალტერნატიული მეტეოროლოგიური პროგნოზების შესწავლა (მაგ., ECMWF-დან). პარალელურად დაიწყო ენგურის ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის გაძლიერება, რომელიც მალე უნდა შესრულდეს და რომლის ახლად შეგროვებული მონაცემების შესწავლა გვინდა. AI მოდელის პარამეტრების შემდგომი ტესტირება ასევე შეიძლება ჩატარდეს, რაც პოტენციურად გარკვეულ გაუმჯობესებას გამოიწვევს. ზემოთ წარმოდგენილი შედეგებიდან და ენგურის ჰიდროლოგიის გამოცდილებიდან გამომდინარე, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებისა და სავარაუდო მიდგომების გამოყენებას აზრი აქვს ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა მდინარე ენგურის აუზი, რომელიც ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებებს და ხელს უწყობს წყლის რესურსების უკეთ მართვას.

ლიტერატურა

1. Muñoz-Sabater, J., Dutra, E., Agustí-Panareda, A., Albergel, C., Arduini, G., Balsamo, G., Boussetta, S., Choulga, M., Harrigan, S., Hersbach, H., & others. (2021). ERA5-Land: A state-of-the-art global reanalysis dataset for land applications. *Earth System Science Data, 13*(9), 4349–4383. https://doi.org/10.5194/essd-13-4349-2021
2. U.S. National Centers for Environmental Prediction (NCEP). (n.d.). *Global forecasting system documentation*. https://www.emc.ncep.noaa.gov/emc/pages/numerical_forecast_systems/gfs/documentation.php *(Accessed October 1, 2023)*
3. Matos, J. P., Hassan, M. A., Lu, X. X., & Franca, M. J. (2018). Probabilistic prediction and forecast of daily suspended sediment concentration on the Upper Yangtze River. *Journal of Geophysical Research: Earth Surface, 123*(8), 1982–2003. https://doi.org/10.1029/2017JF004240

UDC 627.8:004.8
SCOPUS CODE 2105
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-244-254

Forecasting of River Inflow Using Artificial Intelligence

Gurami Mirinashvili Department of Electrical Power Engineering and Electronics, Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75, M. Kostava str.
E-mail: guram.mirinashvili@gse.com.ge

Reviewers:
I. Gordiashvili, Associate Professor, Faculty of Power Engineering, GTU
E-mail: gordiashviliirakli02@gtu.ge
T. Jikia, Associate Professor, Faculty of Power Engineering, GTU
E-mail: tamar.jikia@gse.com.ge

Abstract. Recently, the role of artificial intelligence has increased dramatically in various areas of human activity. It is especially actively involved in machine activities, where statistical data analysis can be used to predict the future. One such area is river flow forecasting, where statistical analysis is directly related to the correct prediction of the future.

The introduction of artificial intelligence can bring great benefits to water resources. It is worth noting the fact that in most programs, errors in artificial intelligence, that is, incorrect interpretation of its results, do not lead to catastrophic consequences. As long as they meet most of the requirements imposed on them, some failures are not harmful. The issue of water resources is usually more sensitive, especially when it comes to floods and droughts. The paper describes previous experience in the application of artificial intelligence to water resources, highlighting their advantages, limitations and threats.

Keywords: Artificial intelligence; Enguri River; River flow prediction; Tethys.

განხილვის თარიღი 15.04.2025
შემოსვლის თარიღი 15.09.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 627.8(479.22) + 621.311.21
SCOPUS CODE 2105
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-255-259

The Effect of Namakhvani HPP on Rioni Cascade HPPs

Gurami Mirinashvili Department of Electrical Power Engineering and Electronics, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75, M. Kostava str.
E-mail: guram.mirinashvili@gse.com.ge

Akaki Karseladze Department of Electrical Power Engineering and Electronics, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75, M. Kostava str.
E-mail: akaki.karseladze@gse.com.ge

Archil Kokhtashvili Department of Electrical Power Engineering and Electronics, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75, M. Kostava str.
E-mail: archil.kokhtashvili@gse.com.ge

Reviewers:
I. Gordiashvili, Associate Professor, Faculty of Energy, GTU
E-mail: gordiashviliirakli02@gtu.ge
T. Jikia, Associate Professor, Faculty of Energy, GTU
E-mail: tamar.jikia@gse.com.ge

Abstract. The Namakhvani HPP project is the largest station of the "Rioni Hydroelectric Power Plant Cascade", located in the river section between the Oni I Dam Project (1125 m.a.s.l) and the Vartsikhe IV HPP (23 m.a.s.l). There are currently four operating hydropower stations in the lower part of the Rioni River: Gumath HPP 1, Gumath HPP 2, and the Rioni and Vartsikhe HPP Cascade (4 HPPs). The Namakhvani Dam is located upstream of the existing HPPs in the Rioni Cascade and, due to its location, the Namakhvani project can have a significant impact on the generation and spill water managment of the existing HPPs in the Rioni Cascade, as these HPPs are run-of-river plants and do not have any ability of regulating water flow. It can also bring great economic benefits to both the region and the country as a whole.

Keywords: Amakhvani hydro power plant; Rioni cascade; Rioni river basin.

Introduction

Georgia has large water resources. The main rivers on which important hydroelectric power plants are built are Enguri, Rion, Aragvi, Mtkvari, Chorokhi, Acharitskali and Tergi. The largest Hydro Power Plant in Georgia is Enguri, with an installed capacity of 1300 MW, and it is also one of the largest power plant in the region. In this report, we review the hydroelectric cascades located on the Rioni River and the impacts of the Namakhvani project on them. At present, we have Rioni, Gumati 1,2 and Vartsikhe hydroelectric cascades on Rioni river. Some of the mentioned HPPs have dams, but they do not have the means of regulation and work on the flow. In

the main case, the generation of a separate HPP does not interfere with other downstream HPPs. The installed capacity of Namakhvani HPP is 433 MW and its annual generation is 1.514 billion kWh. The foundations of this project were laid during the Soviet Union, but due to the situation in the country at the end of the 80s, this project was no longer implemented. From an economic perspective, the Namakhvan HPP could play a significant role in addressing the future energy challenges of Georgia and the region. One of the most important aspects of the region's energy security is electricity, and the electricity generated by the Namakhvan HPP could increase the region's energy security. The proposed hydroelectric power plant should make a significant contribution to local employment, increase tax revenues, and reduce CO2 emissions.

Based on the available statistical data and design data of Namakhvani HPP, let's analyze what effect Namakhvani will have on other HPPs of Rioni valley.

The analysis was conducted to answer two questions:

- ✓ Will the Namakhvani Dam reduce the amount of water spilled for Rioni's HPPs during floods?
- ✓ What mode of operation of Namakhvani HPP is optimal for other HPPs of Rioni Cascade?

Main Part

1.1 General overview of Namakhvani HPP project

Hydroelectric power plant cascade project on Rioni River, in western Georgia, in the municipalities of Tsageri (Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti region) and Tskaltubo (Imereti region). The hydroelectric power plant project includes the construction of two dams and, accordingly, the creation of two water reservoirs. According to Namakhvani HPP cascade project, it is planned to Utilization of Rioni's hydropower potential between 357 m and 205 m above sea level. The project area includes the part of Rioni River valley, which is located between Alpana village of Tsageri municipality and Zhoneti village of Tskaltubo municipality (lower basin of Lajanuri HPP and upper basin of Gumati 1 HPP). According to the project, the cascade of HPPs will include the Upper Namakhvani HPP (also known as "Tvishi HPP") and the Lower Namakhvani HPP (also known as "Namakhvani-Zhoneti HPP"). The total installed capacity of the cascade is 433 MW, including 333 MW of the Lower Namakhvani HPP and 100 MW of the Upper Namakhvani HPP and this hydroelectric power plant will be able to generate 1.5 billion kilowatt hours of electricity per year.

1.2 Visual layout of Namakhvani HPPs and Rioni Cascade HPPs



1.3 View Lower Namakhvani technical data

- ✓ Type of dam: gravity-arched
- ✓ Dam height: 99 meters
- ✓ Height above sea level: (294.5-311.5 m)
- ✓ Reservoir storage: 154.4 million cubic meters (15.16 million kWh)
- ✓ Live storage: 63.4 million m3
- ✓ Type of turbines: 3+1X - Francis
- ✓ Total installed capacity of the station: 333 MW (3X107+12)
- ✓ Average annual generation: 1.17 billion kWh

1.4 Technical data of hydroelectric power plants in Rioni Cascade

Name of the station	Installed capacity MW	Specific cost of water m^3/MW	rated discharge m^3	Annual generation million kWh
Gumati 1	46,7	4,9	214	256
Gumati 2	22,8	3,2	214	138
Rioni	51	2,08	100	325
Vartsikhe	184	7,6	350	992
Sum	**304,5**			**1711**

2. Let's consider 3 options for operating the Kvemo Namakhvani reservoir

- ✓ Free operation of Namakhvani (negative impact on Rioni Cascade HPPs)
- ✓ Coordinated operation with Rioni Cascade HPP (positive impact on Rioni Cascade HPP)
- ✓ Intermediate operation of the reservoir for Namakhvani and Rioni cascades (10-hour peak mode)

2.1 Free operation of Namakhvani station and energy losses

- ✓ The total annual generation of Rioni Cascade HPPs is 1.432 billion kWh
- ✓ Total generation of Rioni cascade with negative influence of Namakhvani 1.155 billion kWh
- ✓ The difference is -276 million kWh
- ✓ Financial difference - 19,200,000 $$$
- ✓ (The difference is calculated financially at 7 cents/kWh.)
- ✓ The total hydrogeneration of the electric system of Georgia (according to 10-year statistics) is 9.17 billion kWh, the energy lost under the influence of Namakhvani is 3% of this number.
- ✓ In total, the self-generated output of the reservoir + the energy lost in the cascade = 1.5-0.276 = 1.224 billion kWh
- ✓ 1,224/9,170*100=13.3%
- ✓ In total, with the negative influence of Namakhvani on the cascade, the total production of hydrogeneration in Georgia will increase by 13.3%

2.2 Total optimization of electrical energy with the positive influence of Namakhvani HPP on Rioni cascade

- ✓ The total annual generation of Rioni Cascade HPPs is 1.432 billion kWh
- ✓ The total output of the Rioni cascade working as a cascade with Namakhvani is 1.798 billion kWh
- ✓ The difference is +366 million kWh
- ✓ Financial difference +25 620 000 $$$
- ✓ (The difference is calculated financially at 7 cents/kWh.)
- ✓ The total hydrogeneration of Georgia's electricity system (with 10-year statistics) is 9.17 billion kWh, the energy optimized by Namakhvani is 4% percent of this number.

- ✓ In total, own generation of Namakhvani + energy optimized in cascade = 1.5 + 0.366 = 1.866 billion kWh
- ✓ 1,866/9,170*100=20.3%
- ✓ In total, with the positive influence of Namakhvani, the total production of hydrogeneration in Georgia will increase by 20.3%

2.3 Total loss of electrical energy with intermediate operation of Namakhvani HPP

- ✓ The total annual generation of Rioni Cascade HPPs is 1.432 billion kWh
- ✓ The total generation of the Rioni cascade with the intermediate influence of Namakhvani is 1.255 billion kWh
- ✓ The difference is -177 million kWh
- ✓ Financial difference - 12 390 000 $$$
- ✓ (The difference is calculated financially at 7 cents/kWh.)
- ✓ The total hydrogeneration of the electric system of Georgia (with 10-year statistics) is 9.17 billion kWh, the energy loss due to the intermediate influence of Namakhvani is 1.9% of this number.
- ✓ In total, the energy lost in the self-production of Namkhvani-Cascade = 1.5-0.177 = 1.323 billion kWh
- ✓ 1,378/9,170*100=14.4%
- ✓ In total, with the intermediate influence of Namakhvani, the total production of hydrogeneration in Georgia will increase by 14.4%

Conclusion

Let's summarize the results from the three options discussed above:

- ✓ During the free operation of Namakhvani, the generation of Rioni Cascade HPPs decreases by -19%, however, with the help of Namakhvani's own generation, the total hydrogeneration of Georgia increases by +13.3%.
- ✓ In case of agreed operation, the generation of Rioni Cascade HPPs increases by +26%, Namakhvani's own generation is added to it, and the total hydrogeneration of Georgia increases by +20.3%.
- ✓ In the case of the intermediate option, the generation of Rioni Cascade HPPs decreases by -12% in total, and with the addition of Namakhvani's own generation, the total hydrogeneration of Georgia increases by +14.4%.

Based on the summary of this information, we can conclude that the Namakhvani project is one of the largest projects for energy in Georgia and this project can radically change the energy sector of Georgia. Therefore, the operation of Namakhvani and similar scale hydro plants should be agreed with the transmission system operator, in order to take into account, the mode of operation of other hydro plants and optimize the hydro sector as a whole, and not just adjust to the interests of one specific station.

UDC 627.8(479.22) + 621.311.21
SCOPUS CODE 2105
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-255-259

ნამახვანი ჰესის გავლენა რიონის კასკადურ ჰესებზე

გურამი მირინაშვილი ელექტროენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: guram.mirinashvili@gse.com.ge

აკაკი ქარსელაძე ელექტროენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: akaki.karseladze@gse.com.ge

არჩილ კოხტაშვილი ელექტროენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: archil.kokhtashvili@gse.com.ge

რეცენზენტები:

ი. გორდიაშვილი, სტუ-ის ენერგეტიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: gordiashviliirakli02@gtu.ge

თ. ჯიქია, სტუ-ის ენერგეტიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: tamar.jikia@gse.com.ge

ანოტაცია. ნამახვანი ჰესის პროექტი რიონის ჰესების კასკადში ყველაზე დიდი ჰიდროსადგურია, რომელიც განთავსებულია მდინარე რიონის ზედა მონაკვეთზე — ონი I ჰესსა (ზ.დ. 1125 მ) და ვარციხე IV ჰესს (ზ.დ. 23 მ) შორის. ამჟამად რიონის ქვედა დინებაში მოქმედებს ოთხი ჰიდროსადგური: გუმათი I, გუმათი II და რიონისა და ვარციხის ჰესების კასკადი (სულ ოთხი ჰესი). ნამახვანი ჰესის მდებარეობა არსებულ სადგურებზე ზემოთ განაპირობებს მის არსებით გავლენას კასკადში არსებული ჰესების გენერაციისა და წყალგამოშვების მართვაზე, ვინაიდან ეს სადგურები მდინარის გატარების რეჟიმზეა მომართული და წყლის დინების რეგულირების შესაძლებლობა არ გააჩნია. ამასთან, ნამახვანი ჰესის პროექტი მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოიტანს როგორც რეგიონისთვის, ისე ქვეყნის მასშტაბით.

საკვანძო სიტყვები: ნამახვანი ჰესის პროექტი; რიონის ჰესების კასკადი; რიონის აუზი; ჰიდროგენერაცია.

The date of review 23.04.2025
The date of submission 15.04.2025
Signed for publishing 25.09.2025

UDC 624.042.3+539.3+624.046.2+624.041.4
SCOPUS CODE 2201
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-260-269

სხვადასხვა განივკვეთის კოჭების გაანგარიშების საკითხები დრეკად-პლასტიკური რთული დეფორმაციების შემთხვევებში

თამაზ ბაციკაძე საინჟინრო მექანიკისა და მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68[ბ]
E-mail: t.batsikadze@gtu.ge

ნუგზარ მურღულია საინჟინრო მექანიკისა და მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68[ბ]
E-mail: n.murghulia@gtu.ge

ჯუმბერ ნიჟარაძე საინჟინრო მექანიკისა და მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68[ბ]
E-mail: n.murghulia@gtu.ge

რეცენზენტები:

ნ. მსხილაძე, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: n.mskhiladze@gtu.ge

დ. ტაბატაძე, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: d.tabatadze@gtu.ge

ანოტაცია. დრეკად-პლასტიკური დეფორმაციების შემთხვევაში, მართკუთხა განივკვეთის კოჭისათვის, მოცემულია რეალურად მიმდინარე პროცესი სუფთა ღუნვისას ანუ ძაბვასა და დეფორმაციას შორის არაწრფივი დამოკიდებულებაა. როცა $E = 0$, მიღებულია $\frac{M}{I_n} = \frac{F}{R^n} = \frac{\sigma}{y^n}$ პროპორციები, რომლებიც ღუნვის ნამდვილ სურათს გამოხატავს. გამოყვანილია ჩაღუნვის გამოსათვლელი განტოლება და ამოხსნილია კონკრეტული მაგალითი მისი გამოყენებით. სამკუთხა ფორმის განივკვეთის მაგალითზე ნაჩვენებია კოჭის განივკვეთის ფორმის გავლენა მოყვანილ გაანგარიშებებზე.

განხილულია ამოცანა, როცა კოჭს აქვს ერთდროულად რთული მოხაზულობის განივკვეთი და რთული დეფორმაციის პირობებში იმყოფება. ირიბი

ღუნვისას მოყვანილია სრული პლასტიკური მომენტის გამოსახულება და დადგენილია მისი მიმართულება ცენტროიდული ფოკუსების საშუალებით.

საკვანძო სიტყვები: არაწრფივი დამოკიდებულება; დრეკად-პლასტიკური დეფორმაცია; ნეიტრალური სიბრტყე; პლასტიკური ღუნვა; სიმრუდის რადიუსი; ჩაღუნვა; ცენტროიდული ფოკუსები; ძაბვა.

შესავალი

ერთი შეხედვით კოჭის პლასტიკური დეფორმაციების მაგ., ღუნვის ამოცანის გადაწყვეტა თითქოს მარტივად უნდა მოხდეს მათემატიკური ანალიზის საფუძველზე. სინამდვილეში ზუსტი ამონახსნები დღემდე არ არსებობს და ყველა არსებული თეორია გარკვეულ დაშვებებს ეყრდნობა, რომლებიც გარკვეული ხარისხით აზუსტებს ამონახსნებს. ეს თეორიები სასარგებლოა, თუ არ გამოვალთ მიღებული დაშვების საზღვრებიდან და შესაძლებლობების ფარგლებში ექსპერიმენტულად დავაზუსტებთ.



სურ. 1

ეს სირთულეები განვიხილოთ ჯერ კოჭის სუფთა ღუნვის შემთხვევაში (სურ. 1), ე. ი. მღუნავი მომენტი მუდმივია, განივი ძალები არა გვაქვს და დენადობის ზღვარი არ არის მიღწეული, განივკვეთები ბრტყელია. თუ R ნეიტრალური ღერძის სიმრუდის რადიუსია ღუნვის სიბრტყეში, მაშინ მართობულ სიბრტყეში სიმრუდე $\frac{\nu}{R}$ იქნება, სადაც ν პუასონის კოეფიციენტია. დატვირთვის შემდგომი გაზრდით პლასტიკური დეფორმაცია თანდათან გავრცელდება მაქსიმალურად დაშორებული ბოჭკოებიდან შუა სიბრტყისკენ, რის შედეგადაც პუასონის კოეფიციენტი იცვლება განივკვეთის შესაბამისად და დაახლოებით 0,5-ია პლასტიკურ ზონაში. იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ დეფორმაციების აუცილებელი უწყვეტობა დრეკადი და პლასტიკური დეფორმაციების საზღვარზე, უნდა შევინარჩუნოთ ზოგიერთი განივი ძაბვა. ამ სირთულის გადასალახავად ზოგიერთი ავტორი მასალას უკუმშვადად თვლის, ე. ი. $\nu = 0{,}5$ როგორც დრეკადი, ისე პლასტიკური დეფორმაციების პირობებში. ამით მათემატიკური აპარატი მარტივდება, მაგრამ რეალურად ეს დაშვება ნიშნავს განივი ძაბვების

უგულებელყოფას. ამავე დროს დრეკადი სტადიის ფარგლებში კვლავ ძალაში ტოვებენ ბრტყელი კვეთების ჰიპოთეზას (მხები ძაბვები მცირეა ნორმალურთან შედარებით). მაგრამ, ეს ასეა მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა კოჭის სიგრძე გაცილებით აღემატება მისი განივი კვეთის ზომებს. ზუსტად ასეთივეა დაშვებები პლასტიკური ღუნვის დროსაც.



სურ. 2



სურ. 3

როგორც ღუნვის ელემენტარული თეორიიდან ცნობილია, 1-ელ სურ-ზე ნაჩვენებ მართკუთხა კვეთის მქონე კოჭის სუფთა ღუნვის შემთხვევაში, ძაბვები კვეთში ხაზოვნად არის განაწილებული და

$$\sigma_{max} = \frac{M \cdot \frac{h}{2}}{I}, \qquad (1)$$

სადაც I ინერციის ღერძული მომენტია ნეიტრალური ღერძის მიმართ. დავუშვათ, რომ კოჭი დამზადებულია ისეთი მასალისაგან, რომლისთვისაც ძაბვა-დეფორმაციის მრუდები გაჭიმვასა და კუმშვაზე ერთნაირია (სურ. 2).

M მომენტის გაზრდით ძაბვების ხაზოვანი განაწილება შენარჩუნდება, ვიდრე მაქსიმალური ნორმალური ძაბვა არ გაუტოლდება დენადობის ზღვარს $\sigma_{max} = y$ (სურ. 3). M -ის შემდგომი გაზრდით ნეიტრალური ღერძიდან დაშორებულ ბოჭკოებში ძაბვების განაწილება გახდება არახაზოვანი. ფარდობითი დეფორმაცია ნეიტრალური ღერძიდან y მანძილზე მცირე დეფორმაციების დროს არის $e = \frac{y}{R}$. აქ R გაღუნული კოჭის ნეიტრალური ღერძის სიმრუდის რადიუსია. ფარდობითი დეფორმაცია ნეიტრალური ღერძიდან მაქსიმალურად $y = \pm\frac{h}{2}$ დაშორებულ ბოჭკოებში აღვნიშნოთ ε_A, მაშინ მისი შესაბამისი σ_A ძაბვა შეიძლება უშუალოდ ძაბვა-დეფორმაციის დიაგრამიდან ავიღოთ. ამ შემთხვევაში ძაბვების განივკვეთში განაწილების სურათს მივიღებთ, თუ ამ დიაგრამას სიმეტრიულად გადა-

ვიტანთ ჰორიზონტალური ღერძის მიმართ (სურ. 3). ამასთან ერთი ნაწილი (ზედა) შეესაბამება გაჭიმვას, მეორე ქვედა – კუმშვას. აქ მთავარი ის არის, რომ დიაგრამის ე. წ. დადებითი და უარყოფითი ფართობების ტოლობა უზრუნველყოფს კვეთში მოქმედ ნორმალურ ძაბვათა ტოლქმედის ნულთან ტოლობას, ვიდრე კვეთი NN ნეიტრალური ღერძის სიმეტრიულია. ასეთ შემთხვევაში

$$M = \int_{-\frac{h}{2}}^{\frac{h}{2}} \sigma \cdot b \cdot y \cdot dy. \qquad (2)$$

ძირითადი ნაწილი

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამოდინარე, განვიხილოთ რეალურად მიმდინარე პროცესი ანუ ძაბვასა და დეფორმაციას შორის არახაზოვანი დამოკიდებულების შემთხვევა. შემოთავაზებულია შემდეგი დამოკიდებულება ძაბვასა და დეფორმაციას შორის

$$\sigma = E \cdot e + F \cdot e^n; \qquad e = y/R. \qquad (3)$$

მღუნავი მომენტისათვის ვღებულობთ შემდეგ გამოსახულებას:

$$M = \int_{-h/2}^{h/2} \left(\frac{Eby^2}{R} + \frac{Fby^{n+1}}{R^n}\right) dy = \frac{E}{R} I_1 + \frac{F}{R^n} I_n \qquad (4)$$

სადაც

$$I_1 = \int_{-h/2}^{h/2} b \cdot y^2 \cdot dy$$

და

$$I_n = \int_{-h/2}^{h/2} b \cdot y^{2n+1} \cdot dy\ . \qquad (5)$$

შესაბამისი აღნიშვნები მოცემულია მე-4 სურ-ზე. ასე, მაგალითად, I_1 კვეთის ინერციის მომენტია;



სურ. 4

I_n – ინტეგრალი, რომელიც შეესაბამება ძაბვა - დეფორმაციის არახაზოვან დამოკიდებულებას და მღუნავი მომენტის რეალურ სიდიდეს აზუსტებს. ახლა ვთქვათ, რომ (3) - ში $E = 0$, მაშინ ოპერაციებით მივიღებთ შემდეგ დამოკიდებულებას:

$$\frac{M}{I_n} = \frac{F}{R^n} = \frac{\sigma}{y^n}. \quad (6)$$

ეს პროპორციები ღუნვის ნამდვილ სურათს გამოხატავს, რადგან თუ n-ს გავუტოლებთ 1-ს ($n = 1$), მივიღებთ იმ მარტივ კერძო შემთხვევას, რომელსაც იყენებენ კოჭის დრეკადი ღუნვის გაანგარიშებისას. რაც შეეხება I_n -ს, მისი გამოსახულება $b = const$ პირობებში იქნება:

$$I_n = \frac{bh^{n+2}}{2^{n+2}(n+2)}. \quad (7)$$

გაანგარიშების შემდეგი ეტაპი ჩაღუნვების გამოთვლაა. განვიხილოთ ზოგადი შემთხვევა: 1) ღუნვის არაწრფივი თეორია; 2) მასალა, რომლისთვისაც ძაბვა-დეფორმაციების მრუდები კუმშვასა და გაჭიმვის დროს სხვადასხვაა. რადგან სიმრუდის რადიუსი პრაქტიკულად საკმარისად დიდია იმისათვის, რომ ფარდობა $\frac{dy}{dx}$ მცირე იყოს, ამიტომ სიმრუდე

$$\frac{1}{R} = \frac{\frac{d^2y}{dx^2}}{\left[1+\left(\frac{dy}{dx}\right)^2\right]^{3/2}}. \quad (8)$$

ჩაღუნვის გამოსათვლელი განტოლების მისაღებად სიმრუდე (8) -დან შევიტანოთ (6) - ში:

$$\frac{d^2y}{dx^2} = \left(\frac{M}{F\cdot I_n}\right)^{\frac{1}{n}}. \quad (9)$$

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი: ხისტად ჩამაგრებული კონსოლური l სიგრძის კოჭი, რომლის თავისუფალ ბოლოზე მოდებულია P ძალა (სურ. 5). ამ შემთხვევაში მღუნავი მომენტი $M = P(l - x)$ და

$$\frac{dy}{dx} = \frac{-C(l-x)^{\frac{1}{n+1}}}{\left(1+\frac{1}{n}\right)} + B. \quad (10)$$

როცა $x = 0$; $\frac{dy}{dx} = 0$, ამიტომ ინტეგრების მუდმივა

$$B = C \cdot e^{\frac{1}{n+1}} / \left(\frac{1}{n} + 1\right), \quad (11)$$



სურ. 5

სადაც $C = \left(\frac{P}{F\cdot I_n}\right)^{\frac{1}{n}}$. კიდევ ერთხელ გაინტეგრებით მივიღებთ

$$y = \frac{C(l-x)^{\frac{1}{n+2}}}{\left(1+\frac{1}{n}\right)\left(\frac{1}{n}+2\right)} + B \cdot x + D. \quad (12)$$

როცა $x = 0;\ y = 0;\ D = -C \cdot l^{\frac{1}{n+1}} / \left(\frac{1}{n} + 1\right)\left(\frac{1}{n} + 2\right)$.

აქედან გამომდინარე

$$y = \frac{C\cdot l^{\frac{1}{n+2}}}{\left(\frac{1}{n}+1\right)\left(\frac{1}{n}+2\right)}\left[\left(1 - \frac{x}{l}\right)^{\frac{1}{n+2}} + \frac{x}{l}\left(\frac{1}{n} + 2\right) - 1\right]. \quad (13)$$

P ძალით გამოწვეული მაქსიმალური ჩაღუნვა იქნება:

$$W_P = \frac{C\cdot l^{\frac{1}{n+2}}}{\left(\frac{1}{n}+1\right)\left(\frac{1}{n}+2\right)}\left(\frac{1}{n} + 1\right) = P^{\frac{1}{n}} \cdot f. \quad (14)$$

დრეკადი ღუნვის შემთხვევაში $n = 1$ და

$$W_P = \frac{P \cdot l^3}{3EF}.$$

ახლა ვაჩვენოთ, რომ სუპერპოზიციის პრინციპი დასაშვებია მხოლოდ დრეკადი დეფორმაციის შემთხვევაში, ე. ი. როცა $n = 1$. მართლაც, ვთქვათ, კონსოლის თავისუფალ ბოლოზე მოქმედებს კიდევ ერთი P_1 ძალა. მაშინ (14)-დან $W_{P_1} = P_1^{\frac{1}{n}} \cdot f$. ორივე ძალის ერთდროული მოქმედებით გამოწვეული ჩაღუნვა

$$W = (P + P_1)^{\frac{1}{n}} \cdot f.$$

შევნიშნოთ, რომ $W \neq W_P + W_{P_1}$ ანუ $(P + P_1)^{\frac{1}{n}} \neq P^{\frac{1}{n}} + P_1{}^{\frac{1}{n}}$, ვიდრე $n \neq 1$ ანუ სუპერპოზიციის პრინციპი მართებულია მხოლოდ კოჭის ღუნვის დრეკადი დეფორმაციების შემთხვევაში.

ახლა ვნახოთ რა გავლენას ახდენს განივკვეთის ფორმა ზემოთ მოყვანილ გაანგარიშებაზე. როგორც ითქვა, მართკუთხა კვეთის მქონე იდეალურად დრეკად-პლასტიკური მასალისაგან დამზადებული კოჭისათვის $M_{პლ}/M_{დრ} = 1{,}5$. $M_{პლ}$ არის მღუნავი მომენტი, რომელიც მთელ კვეთში იწვევს პლასტიკურ დეფორმაციას; $M_{დრ}$ - მღუნავი მომენტი ამავე კვეთში დრეკადი დეფორმაციების პირობებში, გარდა განაპირა ბოჭკოებისა, რომლებშიც უკვე მიღწეულია დენადობის ზღვარი. ამ შეფარდებას ფორმის კოეფიციენტი ეწოდება.

წრიული კვეთის კოჭისათვის r რადიუსით: $M_{პლ} = \frac{4}{3} r^3 \cdot y$ და $M_{დრ} = \frac{\pi}{4} r^3 \cdot y$. ამ შემთხვევაში ფორმის კოეფიციენტი ტოლი იქნება: $\frac{M_{პლ}}{M_{დრ}} = \frac{16}{3\pi} \approx 1{,}7$ ანუ წრიული კვეთის კოჭის შესაძლებლობა, მთელ კვეთში პლასტიკური დეფორმაციების გავრცელების მომენტში მეტია, ვიდრე სტანდარტული 1,5.

გადავიდეთ არასიმეტრიულ განივკვეთებზე. დრეკადი ღუნვის დროს ნეიტრალური სიბრტყე გადის კვეთის ცენტრზე, მაგრამ პლასტიკური დეფორმაციების გამოჩენის შემდეგ ასე აღარ არის. მისი მდებარეობა იცვლება პლასტიკური ფენის ზრდასთან ერთად, მაგრამ, როცა პლასტიკური დეფორმაციები მოიცავს განივკვეთს მთლიანად, მაშინ ნეიტრალური სიბრტყის პოვნა ადვილი თუ, როგორც დრეკადი დეფორმირების შემთხვევაში, განვიხილავთ ძალთა წონასწორობის პირობას. მოცემულ მაგალითში (სუფთა ღუნვა) გამჭიმავ ძალთა ჯამი ნეიტრალური სიბრტყის ერთ მხარეს ტოლი უნდა იყოს მკუმშავ ძალთა ჯამისა ნეიტრალური სიბრტყის მეორე მხარეს. რადგან ნორმალური ძაბვა კვეთში მუდმივია და y-ის ტოლია, წონასწორობის პირობიდან ვღებულობთ: ნეიტრალური სიბრტყის მდებარეობა ისეთი უნდა იყოს, რომ კვეთის ფართობები მის ზემოთ და ქვემოთ ტოლი იყოს.



ნახ. 6

სურ. 6

განვიხილოთ მაგალითი, როცა კოჭის განივკვეთი არის ტოლფერდა სამკუთხედი (სიმაღლე - h; ფუძე - b) (სურ. 6, ა). ასეთ შემთხვევაში ნეიტრალური სიბრტყე ღუნვის დროს ფუძის პარალელურია. სუფთა დრეკადი ღუნვის დროს ნეიტრალური ღერძი ფუძიდან $\frac{h}{3}$ მანძილზე გადის. ადვილია იმის ჩვენება, რომ იმ მომენტში, როცა ღეროს წვერში ძაბვა დენადობის ზღვარს მიაღწევს – $M_{დრ} = y \cdot \frac{bh^2}{24}$. სრული პლასტიკური ღუნვის მიღწევისას ნეიტრალური ღერძი წვეროდან $h/\sqrt{2}$ მანძილით იქნება დაშორებული. შეიძლება დავამტკიცოთ, რომ გამჭიმავი ძაბვების ტოლქმედი გადის ნეიტრალური ღერძის ზემოთ მდებარე სამკუთხედის სიმძიმის ცენტრზე (G_1 წერტილზე), ხოლო მკუმშავი ძაბვების ტოლქმედი ნეიტრალური ღერძის ქვემოთ მდებარე ტრაპეციის სიმძიმის ცენტრზე (G_2 წერტილზე). მღუნავი მომენტი $M_{პლ} = \left(2 - \sqrt{2}\right)\frac{ybh^2}{6}$, ხოლო ფორმის კოეფიციენტი სამკუთხა კვეთისათვის – $4\left(2 - \sqrt{2}\right) \approx 2{,}34$.

ბოლოს განვიხილოთ ამოცანა, როცა ერთდროულად გვაქვს რთული მოხაზულობის განივი კვეთი და რთული დეფორმაცია (ჩვენი კვლევის საგნის მიხედვით ირიბი ღუნვა). 6, გ სურ-ზე ნაჩვენებია რთული განივი კვეთი, რომლის ფართობია A, ხოლო ნეიტრალურ ღერძს მივცეთ ნებისმიერი NN მდებარეობა. თუ კვეთი მთლიანად არის მოცული პლასტიკური დეფორმაციებით, განივი კვეთის მიმართ ძაბვების მართობულობის გამო, ძალთა წონასწორობის პირობიდან გამომდინარე, კვეთის ფართობის $A_{გაჭ}$ ნაწილი, რომელზეც გამჭიმავი ძაბვები მოქმედებს (ნეიტრალური ღერძის ერთ მხარეს) ტოლი უნდა იყოს კვეთის ფართობის $A_{მკ}$ ნაწილისა, რომელზეც მკუმშავი ძაბვები მოქმედებს (ნეიტრალური ღერძის მეორე მხარე). წონასწორობის პირობაა

$$y \cdot A_{გაჭ} - y \cdot A_{მკ} = 0; \quad \text{ე. ი. } A_{გაჭ} = A_{მკ}.$$

ნეიტრალური ღერძის მდებარეობა, ყოველი მოცემული მიმართულებისათვის, მოიძებნება მოცემული კვეთის ბისექტრისების ჯგუფიდან. როგორც სურათიდან ჩანს, გამჭიმავი ძაბვების ტოლქმედი $y \cdot A_{გაჭ}$ გადის $A_{გაჭ}$ ფართობის $G_{გაჭ}$ ცენტრზე, ხოლო მკუმშავი ძაბვების $y \cdot A_{მკ}$ ტოლქმედი – $A_{მკ}$ ფართობის $G_{მკ}$ ცენტრზე. აქედან გამომდინარე, კვეთში აღძრული სრული პლასტიკური მომენტი $M_{პლ} = r \cdot A \cdot y$. ამ მომენტის მიმართულება $G_{გაჭ}G_{მკ}$ მონაკვეთის მართობულია. სურათიდან $G_{გაჭ}G_{მკ} = 2r$ და ამ მონაკვეთის შუა წერტილი იქნება მთლიანი კვეთის ცენტრი G. $G_{გაჭ}$ და $G_{მკ}$ ფოკუსებს ეწოდება ცენტროიდული ფოკუსები (სურ. 6, გ, დ, ე).



სურ. 7

თუ ისინი ცნობილია, $M_{ჯლ}$ ნებისმიერი ღერძისათვის ადვილად მოიძებნება, რადგან r მონაკვეთი G-დან ფოკუსამდე მომენტის მიმართულების მართობულია. ამის შემდეგ ცენტრალური ფოკუსების მრუდის მხები განსაზღვრავს ნეიტრალური ღერძის მიმართულებას. ეს მსჯელობა იქიდან გამომდინარეობს, რომ ცენტროიდულ ფოკუსებს შორის მონაკვეთი ასევე მღუნავი მომენტის მიმართულების მართობულია.

დასკვნა

შემოთავაზებულია შემდეგი დამოკიდებულება ძაბვასა და დეფორმაციას შორის: $\sigma = E \cdot e + F \cdot e^n$, სადაც $e = y/R$. შესაბამისად, მღუნავი მომენტისათვის მიღებულია გამოსახულება

$$M = \int_{-h/2}^{h/2} \left(\frac{Eby^2}{R} + \frac{Fby^{n+1}}{R^n}\right) dy = \frac{E}{R} I_1 + \frac{F}{R^n} I_n.$$

როცა $E = 0$, მიიღება შემდეგი დამოკიდებულება:

$$\frac{M}{I_n} = \frac{F}{R^n} = \frac{\sigma}{y^n},$$

რომლებიც ღუნვის რეალურ სურათს გამოხატავს, ვინაიდან, როცა $n = 1$, მიიღება მარტივი კერძო შემთხვევა, რომელიც გამოიყენება კოჭის დრეკადი ღუნვის გაანგარიშებისას.

ხისტად ჩამაგრებული კონსოლური l სიგრძის კოჭისათვის, რომლის თავისუფალ ბოლოზე მოდებულია P ძალა, მიღებულია ჩაღუნვების განმსაზღვრელი ფორმულა:

$$y = \frac{C \cdot l^{\frac{1}{n+2}}}{\left(\frac{1}{n}+1\right)\left(\frac{1}{n}+2\right)} \left[\left(1 - \frac{x}{l}\right)^{\frac{1}{n+2}} + \frac{x}{l}\left(\frac{1}{n} + 2\right) - 1\right];$$

მაქსიმალური ჩაღუნვა

$$W_P = \frac{C \cdot l^{\frac{1}{n+2}}}{\left(\frac{1}{n}+1\right)\left(\frac{1}{n}+2\right)}\left(\frac{1}{n} + 1\right) = P^{\frac{1}{n}} \cdot f.$$

დრეკადი ღუნვის შემთხვევაში ანუ როცა $n = 1$, ჩაღუნვა $W_P = \frac{P \cdot l^3}{3EF}$.

კოჭის სამკუთხა ფორმის განივკვეთში სრული პლასტიკური ღუნვის მიღწევისას ნეიტრალური ღერძი წვეროს $h/\sqrt{2}$ მანძილით დაშორდება და მღუნავი მომენტი $M_{ჯლ} = \left(2 - \sqrt{2}\right)\frac{ybh^2}{6}$ იქნება, ე.ი. ფორმის კოეფიციენტი სამკუთხა კვეთისათვის $4\left(2 - \sqrt{2}\right) \approx 2{,}34$ -ის ტოლია.

სხვა რთული მოხაზულობის განივკვეთებისათვის, რთული დეფორმაციის პირობებში, დადგენილია პლასტიკური მომენტის გამოსახულება და მიმართულება ცენტროიდული ფოკუსების გამოყენებით.

ლიტერატურა

1. Malinin, N. N. (1975). *Prikladnaya teoriya plastichnosti i polzuchesti* [Applied theory of plasticity and creep]. Moscow: Mashinostroenie.
2. Hill, R. (1956). *Matematicheskaya teoriya plastichnosti* [The mathematical theory of plasticity]. Moscow: GITTL.
3. Batsikadze, T., Kvaratskhelia, A., & Mazaghua, Z. (2014). *Drekadobis, plastikulobis da tsotsvadobis teoriis mokle kursi* [A short course in theories of elasticity, plasticity and creep]. Tbilisi: Georgian Technical University Press.
4. Batsikadze, T., & Nizharadze, J. (2022). Lit'onis plastikuri denadobis gamomtsvevi tsnevis ganmarteba [Determination of pressure causing plastic flow in metals]. *Sametsniero-teqnikuri zhurnali "Mshenebloba" [Scientific-technical journal "Construction"]*, 3(63), Georgian Technical University.
5. Batsikadze, T., Murgulia, N., & Nizharadze, J. (2022). Denadobis teoriis gantolebebis gamokvana plastikuri potentsialis gamoyenebit [Derivation of the equations of the plasticity theory using the plastic potential]. *Sametsniero-teqnikuri zhurnali "Mshenebloba" [Scientific-technical journal "Construction"]*, 4(64), Georgian Technical University.

UDC 624.042.3+539.3+624.046.2+624.041.4
SCOPUS CODE 2201
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-260-269

Issues of Calculating of Beams With Various Cross - Sections in the Case of Complex Elastic-Plastic Deformations

Tamaz Batsikadze Department of Engineering Mechanics and Technical Expertise of Construction, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[b], M. Kostava str.
E-mail: t.batsikadze@gtu.ge

Nugzar Murghulia Department of Engineering Mechanics and Technical Expertise of Construction, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[b], M. Kostava str.
E-mail: n.murghulia@gtu.ge

Jumber Nizharadze Department of Engineering Mechanics and Technical Expertise of Construction, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[b], M. Kostava str.
E-mail: n.murghulia@gtu.ge

Reviewers:

N. Mskhiladze Professor, Faculty of Civil Engineering, GTU
E-mail: n.mskhiladze@gtu.ge

D. Tabatadze Professor, Faculty of Civil Engineering, GTU
E-mail: d.tabatadze@gtu.ge

Abstract. in the case of elastic - plastic deformations the real process is considered for the beam of rectangular cross section, that is, a nonlinear dependence between stress and deformation at pure bend. When $E = 0$, proportions $\frac{M}{I_n} = \frac{F}{R^n} = \frac{\sigma}{y^n}$ were obtained, which express a real picture of bending.

The calculated equation of deflection is derived, and a concrete example with its use has been resolved.

On the example of a triangular cross section, the effect of the form of the cross section on the given calculations is shown.

The task is considered when the beam at the same time has a cross section of a complex shape and be in conditions of complex deformation. At the oblique bending, an expression of the full plastic moment is given and its direction is established by the centroid focuses..

Keywords: Deflection; Elastic - Plastic deformation; Neutral plane; Plastic bend; Radius of curvature; Stress; nonlinear dependence; The centroid focuses.

განხილვის თარიღი 14.10.2024
შემოსვლის თარიღი 10.02.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 591.4:629.7.02
SCOPUS CODE 2202
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-270-275

მფრინავი არსებებისა და საფრენი აპარატების საფრენოსნო მახასიათებლების მსგავსების ანალიზი

ზურაბ მჭედლიშვილი საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ა
E-mail: zurab.mch@mail.ru

რამინ ზუკაკიშვილი მექანიკის ინჟინერიისა და სამრეწველო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ა
E-mail: ramini.zukakishvili@gmail.com

გიორგი გრატიაშვილი ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ბ
E-mail: g.gratiashvili@gtu.ge

რეცენზენტები:

გ. სანაძე, სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: sanadzegivi05@gtu.ge

თ. ჩხაიძე, სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: t.chxaidze@gtu.ge

ანოტაცია. ადამიანთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ფრინველებისა და თვითმფრინავების, ნემსიყლაპიების, ვერტმფრენებისა და დელტაპლანების ფრენები ერთმანეთის მსგავსია. სპეციალისტები კი მათი სერიოზული ანალიზით თითქმის არ არიან დაკავებულნი. ამის მიუხედავად ჰაერფრენის ფუძემდებლების ნიკოლაი ეგორის ძე ჟუკოვსკისა და ოტო ლილიენტალის ნაშრომები იწყებოდა სწორედ ფრინველების ფრენის შესწავლით. უფრო სწორად, იმის შესწავლით თუ როგორ წარმოიქმნება პლანირებადი ფრთის ამწევი ძალა. ასეთი კვლევების შედეგად 1904 წელს მიიღეს ფრინველის ფრთის მსგავსი საფრენი აპარატების ფრთების ოპტიმალური პროფილები.

საკვანძო სიტყვები: ამწევი ძალა; მასა; პროფილი; ფრინველი; ფრთა.

შესავალი

ასეთ პროფილებს ეწოდება ჟუკოვსკის პროფილები და მათი ამწევი ძალის შეფარდება ჰაერის წინაღობის ძალასთან არის მაქსიმალური, ხოლო ჰაერის წინააღობის ძალა საკმაოდ მცირეა. ისინი მართლაც იდეალურია ფრენის მცირე სიჩქარისათვის (რამდენიმე ათეული მეტრი წამში), რაც ფრინველებისთვისაა დამახასიათებელი და სრულებითაც არ არის ოპტიმალური ზებგერითი სიჩქარით მოძრავი თანამედროვე თვითმფრინავებისათვის.

რაც შეეხება მწერებს, მათ ფრთებს არ გააჩნიათ პროფილი და ბრტყელი ფორმა აქვთ. ზოგიერთი სახეობის მწერს (კერძოდ კრაზანასა და ფუტკარს) არა ორი, არამედ ოთხი ფრთა აქვთ.

სრულიად განსხვავებულია აგრეთვე სხვადასხვა საფრენი ობიექტის ფრთების ზომები. მარტო მწერების ფრთების ზომები შეიძლება განსხვავდებოდეს 1000 - ჯერ. დაახლოებით ამდენჯერვე შეიძლება განსხვავდებოდეს ფრინველების (კოლიბრიდან არწივამდე) ფრთების ზომები და სხვადასხვა თვითმფრინავის ფრთების ზომებიც. ყველაზე მცირე მწერებისა და ყველაზე დიდი საფრენი აპარატები ზომების განსხვავებები აღწევს რამდენიმე ასეულ ათასს.

მასშტაბების ასეთი გაბნევის შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია წარმოიშვას რაოდენობიდან ხარისხში გადასვლის ეფექტი. საფრენ მახასიათებლებს შორის არსებული დამოკიდებულებები, რომლებიც გამოსადეგია მცირე მფრინავი ობიექტებისათვის, შეიძლება სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდეს დიდი მფრინავი ობიექტებისათვის. აქედან გამომდინარე სრულიად დასაშვებია, რომ აქამდე სწორედ ამიტომ არ ხდებოდა ჰაერზე მძიმე მფრინავი ობიექტების ერთიანი მსგავსების კრიტერიუმების ძიება. მაგრამ მაინც, რაღაც საერთო აქვთ. როგორც ბუნებრივ, ისე ხელოვნურ მფრინავ ობიექტებს. ესაა პირველ რიგში წონა, შემდეგ კი გარკვეული ტიპის ფრთების აუცილებელი არსებობა, რომლებიც აუცილებლად ხასიათდება მათი გაქანებით ან ფართობით.

ძირითადი ნაწილი

შევეცადოთ შემოვიტანოთ რაღაც მსგავსების კრიტერიუმი, ის აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამ მახასიათებლებს. კერძოდ ასეთ განუზომელ და ფარდობით კრიტერიუმს შეიძლება წარმოადგენდეს დაყვანილი აფრიანობა:

$$K = S^{1/2} \Big/ (G/\gamma)^{1/3}, \qquad (1)$$

სადაც G არის ობიექტის წონა, S – ფრთების ფართობი, ხოლო γ –აირის სიმკვრივე $^{\partial}/_{\text{სმ}^3}$. ამ კრიტერიუმის გაანგარიშებამ სხვადასხვა მფრინავი ობიექტისათვის, გვაჩვენა საინტერესო შედეგები. კერძოდ აღმოჩნდა, რომ მფრინავი ობიექტების წონების მთელს დიაპაზონში K კრიტერიუმის მნიშვნელობები მდებარეობს მცირე არეში (ზოლში): პეპლებისათვის ეს კრიტერიუმი არ აღემატება – 7,2-ს; პლანერების მოდელებისათვის – 9,0-ს; ხოლო პლანერებისათვის – 8,0-ს. ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად ამ ობიექტების წონებს შორის უზარმაზარი განსხვავებებისა (მილიარდჯერ!), მათი აფრიანობების მნიშვნელობებს შორის რაოდენობრივი სხვაობები საკმაოდ მცირეა. ის იცვლება არაუმეტეს 5-ჯერ. ამასთან ერთად აფრიანობის კრიტერიუმების ცვალებადობის არე შეიძლება დაიყოს რამდენიმე უბნად ისე, რომ ყოველი მათგანი ახასიათებდეს სხვადა-

სხვა მფრინავი ობიექტის ფრენის განსაკუთრებულ სტილს.

ისეთ მფრინავ ობიექტებს, რომელთა აფრიანობის კრიტერიუმები მდებარეობს $1,7 \div 3,0$-მდე დიაპაზონში (ბუზი, ფუტკარი, იხვი და თვითმფრინავი გამანადგურებლები), აქვს ერთი საერთო ნიშანთვისება: მათი ფრენა სწრაფია, ისენი არ იყენებენ ცორვით ფრენას და არ ერიდებიან ფრენას ქარის საწინააღმდეგოდ.

მწერებისა და ფრინველების უმეტესობას მცირედან მოზრდილამდე, აგრეთვე თვითმფრინავების (გამანადგურებლების გარდა), აფრიანობის მნიშვნელობები $3,5 - 5,0$ ფარგლებშია. მათი ფრენა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქარზე და ჰაერის აღმავალ ნაკადებზე. მაგალითად, პლანერების აფრიანობა $K = 4,75$ და უფრო მეტსაც, ნემსიყლაპიებისთვის კი $K = 4,6$, მათ ფრენას ხანდახან აქვს ცორვითი ხასიათი. ცორვით ფრენას იყენებენ ასევე ყორნები რომელთა $K = 4,3$.

ისეთი ობიექტები რომელთა $K = 5,07,3$ (პეპლები, თოლიები, სვავები, არწივები, პლანერები) დაფრინავენ ძირითადად ცორვითი ფრენით და მათი მოძრაობა დამოკიდებულია ქარის მიმართულებასა და სიჩქარეზე.

K-ს ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს პეპლებს, ფრინველებისთვის ის უფრო ნაკლებია, კერძოდ ყველაზე დიდი K-ს მნიშვნელობა აქვს გუგულს $K = 6,6$. ნიშანდობლივია, რომ ტყის ბინადარი ფრინველებისა და მწერების უმეტეს ნაწილს K აქვს გაცილებით დიდი, ვიდრე მათივე წონის ღია სივრცეში ბინადარ მწერებსა და ფრინველებს.

დიდი აფრიანობა აქვს თვითმფრინავების მცირე მფრინავ მოდელებს $K = 9,0$, რომელთა ფრენა მცირე ქარის შემთხვევაშიც რთულდება, ხოლო დიდი ქარის დროს – საერთოდ შეუძლებელია.

ვერტმფრენების აფრიანობის მნიშვნელობა $K = 7,3 - 9,3$, ე.ი. მნიშვნელოვნად დიდი ვიდრე ნებისმიერი ტიპის თვითმფრინავისა და პლანერების. მაგრამ ეს არ ეხება ადრინდელი კონსტრუქციის თვითმფრინავებსა და ვერტმფრენებს, რომლებსაც K-ს მნიშვნელობები აღმოაჩნდათ მნიშვნელოვნად დიდი ვიდრე თანამედროვე თვითმფრინავებს. მაგალითად, მოჟაისკის თვითმფრინავის $K = 19,7$.

ასეთი დიდი აფრიანობის შემთხვევაში თვითმფრინავი შეიძლება გადაყირავდეს მცირე ქარის დროსაც, რაც მოსდიოდა მოჟაისკის თვითმფრინავს (სურ. 1). ამის გამო ის ვერ აფრინდა, ასევე ვერ აფრინდა იურევის ვერტმფრენიც 1913 წელს, რომლის $K = 20$.



სურ. 1

ფრენისათვის გამოდგა ის კონსტრუქციები, რომელთა K იყო მიახლოებული თანამედროვესთან. მათ შორის იყო ოთხძრავიანი სიკორსკის თვითმფრინავი (რუსკი ვიტიაზი) რომელმაც იფრინა 1913 წელს და მისი $K = 6,7$. ამ ავიაკონსტრუქტორის შემდეგი თვითმფრინავი ილია მურომეცი (სურ. 2), აფრინდა 1914 წელს და მისი $K = 6,7$. 1910 წელს შექმნილ დოკუჩევის ბიპლანის $K = 8,3$.

სურ. 2

შეიძლება ითქვას, რომ იმდროინდელი თვითმფრინავებისათვის დამახასიათებელი K-ს მნიშვნელობები დაკავშირებულია თანამედროვე თვითმფრინავებთან შედარებით დაბალ ენერგოშეიარაღებასთან. მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო წლებში უწყვეტად იზრდებოდა მაქსიმალური სიჩქარე, ძრავების კუთრი სიმძლავრე (ერთეულ მასაზე) და ფრთაზე კუთრი დატვირთვა – P/S კბ/მ^2, ამის შედეგად მცირდებოდა K-ს მნიშვნელობები, რომლებმაც ამ მომენტისათვის უკვე მიაღწიეს ოპტიმალურ მნიშვნელობებს.

შესაძლებელია K-ს დიდი მნიშვნელობების მიღება ფრენის განსაკუთრებული პირობების შემთხვევებში. მაქსიმალური აფრიანობა (R=20) აქვს ოთახის მცირე მფრინავ მოდელებს, და რომლებიც მზადდება ზემსუბუქი მასალებისაგან, მათი წონა შეადგენს სულ რამდენიმე გრამს. ღია ცის ქვეშ ასეთი ობიექტების ფრენა შეუძლებელია: მათ ფრენაზე დიდად შეიძლება იმოქმედოს მცირე ნიავმაც კი. მაგალითად, დელტაპლანებისათვის $K = 10$, ხოლო პარაშუტებისათვის $K = 12$. არაა გასაკვირი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პარაშუტისტი ჩამოშვების მაგივრად, ამომავალი ნაკადების ზემოქმედებით მაღლა ადის.

პარადოქსულად შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ კოღოს, რომლის სიჩქარეცაა ნახევარი მეტრი წამში მიწასთან ახლოს და ტვირთმზიდ თვითმფრინავ ილ 76-ს, რომელიც მიფრინავს 900 კმ/წმ სიჩქარით 12000 მეტრ სიმაღლეზე, დაახლოებით ერთი და იგივე აფრიანობის რიცხვი აქვთ. ზებგერითი თვითმფრინავები ანელებენ თავის სიჩქარეს მინიმუმამდე იმისათვის, რომ დაეშვან აეროდრომზე, ამ შემთხვევაში K კრიტერიუმი გამოსახავს შეფარდებას საფრენი აპარატის მასასა და მის მიერ ჰაერის ქვემოთ ჩამოტყორცნილ მასას შორის, რომლის ხარჯზეც იქმნება საფრენ აპარატზე მოქმედი ამწევი ძალა. ამ თვალსაზრისით K სიდიდით განისაზღვრება საფრენი აპარატის ხარისხი.

შეიძლება ითქვას, რომ შემოთავაზებული მფრინავი ობიექტების მსგავსების კრიტერიუმი, როგორიცაა აფრიანობა არ არის ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტი. ცოცხალ ბუნებაში ფრენები შეიძლება ხასიათდებოდეს ფრთების ქნევის სიხშირითაც. ცნობილია ასევე, რომ რაც უფრო პატარაა ფრინველი ან მწერი, მით უფრო მეტია ფრთების ქნევის სიხშირე, მაგალითად კოღო ერთ წამში ფრთებს |500-ჯერ აქნევს, ბუზი 140–190-ჯერ, ბელურა–13-ჯერ, ყვავი–4-ჯერ და ა. შ.

შეიძლება ითქვას, რომ ფრთების ქნევის სიხშირე ფრთების გაქანების უკუპროპორციულია.

დასკვნა

ავიაციის ისტორიაში მოიძებნება საკმარისი მაგალითები, როდესაც ადამიანი ფრენის პრობლემის გადაწყვეტას ახდენდა ფრინველების ფრენის მიბაძვის გზით. აქვს თუ არა აზრი დღეს, როდესაც

ავიაციაში მიღწეულია კოლოსალური წარმატებები, დავუბრუნდეთ ცოცხალი არსებების ფრენის შესწავლას. საქმე ისაა, რომ ფრინველებისა და სხვა მფრინავი არსებების საფრენი აპარატი უფრო ეკონომიურია ვიდრე თვითმფრინავის, იმიტომ რომ ფრინველის ფრთის მიერ შექმნილი გამწევი ძალა საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნეს ფრენის უფრო მეტი მარგი ქმედების კოეფიციენტი თვითმფრინავთან შედარებით. ფრთების ქნევით გამოწვეული ფრენა ძალზე რთული მოვლენაა. მფრინავი არსებების ფრთების დრეკადობა და მასთან დაკავშირებული ჰაერის ნაკადის რხევების გამოყენება ფრენის დროს შეიცავს დამატებით შესაძლებლობებს საფრენი აპარატების საფრენოსნო მახასიათებლების გასაუმჯობესებლად, რისი ანალიზიც გაკეთებულია მოცემულ ნაშრომში.

ლიტერატურა

1. Tikhonravov, M. K. (1949). *The flight of birds and machines with flapping wings*. Moscow: Oborongiz. *(In Russian)*
2. Vinogradov, A. N. (1951). *Aerodynamics of soaring birds*. Moscow. *(In Russian)*
3. Vinokurov, A. A. (1951). *Aerodynamics of soaring birds*. Moscow. *(In Russian)*
4. Kaznevsky, V. P. (1955). *Aerodynamics in nature and in technology*. Moscow. *(In Russian)*
5. Krasnov, N. F. (1984). *Aerodynamics in questions and problems*. Moscow: Mashinostroenie. *(In Russian)*

UDC 591.4:629.7.02
SCOPUS CODE 2202
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-270-275

Analysis of the Similarities Between the Flight Characteristics of Flying Creatures and Aerial Vehicles

Zurab Mchedlishvili Department of Engineering Graphics and Technical Mechanics, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68a, M. Kostava str.
E-mail: zurab.mch@mail.ru

Ramin Zukakishvili Department of Mechanical Engineering and Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68a, M. Kostava str.
E-mail: ramini.zukakishvili@gmail.com

Giorgi Gratiashvili nstitute of Structures, Special Systems and Engineering Maintenance, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[b], M. Kostava str.
E-mail: g.gratiashvili@gtu.ge

Reviewers:
G. Sanadze, Prof. Faculty of Transport Systems and Mechanical Engineering, GTU
E-mail: sanadzegivi05@gtu.ge
T. Chkhaidze, Prof. Faculty of Transport Systems and Mechanical Engineering, GTU
E-mail: t.chxaidze@gtu.ge

Abstract. Most people shield similar flights of birds and airplanes, dragonflies, helicopters and hang gliders, but specialists have little interest in their serious analysis.

Despite this, the work of the founders of aeronautics Nikolai Yegorovich Zhukovsky and Otto Lilienthal began precisely with the study of bird flights. More precisely, from the study of how the lifting force of the gliding wing arises. More precisely, from the study of how the lifting force of the gliding wing arises. As a result of such work in 1904, they obtained optimal profiles similar to the wings of birds.

Keywords: Bird; Lifting force; Mass; Profile; Wing.

განხილვის თარიღი 14.02.2025
შემოსვლის თარიღი 18.03.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 591.4:629.7.02
SCOPUS CODE 2202
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-276-287

მქნევარმფრენის (ორნიტოპტერის) თეორიისა და შექმნის საკითხისადმი

ზურაბ მჭედლიშვილი საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68[ა]
E-mail: zurab.mch@mail.ru

რამინ ზუკაკიშვილი მექანიკის ინჟინერიისა და სამრეწველო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68[ა]
E-mail: ramini.zukakishvili@gmail.com

გიორგი გრატიაშვილი ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68[ბ]
E-mail: g.gratiashvili@gtu.ge

რეცენზენტები:

გ. სანაძე, სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: sanadzegivi05@gtu.ge

თ. ჩხაიძე, სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: t.chxaidze@gtu.ge

ანოტაცია. დედამიწაზე მობინადრე არსებების ორი მესამედი სივრცეში გადაადგილებისას, იყენებს ქნევით ფრთებს. ფრთების ანალოგიური და მასზე აგებული საფრენი აპარატის შექმნა ადამიანისათვის აღმოჩნდა ძალზე რთული ამოცანა. დაფრინავენ მხოლოდ მცირე მოდელები, ხოლო პილოტირებული მქნევარმფრენით ჰაერში აფრენა ჯერჯერობით იშვიათად თუ ვინმემ მოახერხა, მიუხედავად იმისა, რომ ამასთან დაკავშირებით ბევრი მცდელობა იყო. ჩვენს ნაშრომში მოცემულია ადამიანის მიერ შექმნილი ასეთი აპარატების თეორიული ანალიზი და მოყვანილია ქნევითი ფრენის მექანიკის ზოგიერთი საკითხი.

საკვანძო სიტყვები: ამწევი ძალა; მასა; პროფილი; ფრთა; ფრინველი.

შესავალი

ერთი შეხედვით ფრინველისა და მწერის მიერ შესრულებული ქნევითი ფრენის პროცესის წარმო-

სახვა ძალზე მარტივია. როდესაც ადამიანებმა პირველად გადაწყვიტეს ფრენა ისინი აწყობდნენ მოძრავი ფრთების მქონე საფრენ აპარატებს (ორნიტოპტერებს), ფრთები მოძრაობდა ადამიანის კუნთების ძალის მეშვეობით. ამ საქმის პიონერი გახლდათ XV-XVI საუკუნეების მეცნიერი და ხელოვანი: ლეონარდო და ვინჩი, რომელმაც ფრინველებზე დაკვირვების საფუძველზე პირველმა ააგო ორნიტოპტერი და შეეცადა ადამიანი ჰაერში აეფრინა, მაგრამ ეს მცდელობა მარცხით დასრულდა. აეროდინამიკისა და ფრენის დინამიკის კანონების უცოდინარობამ კიდევ მრავალ მეცნიერსა და ენთუზიასტს შეუშალა ხელი ჰაერში აეწია მათ მიერ შექმნილი ჰაერზე მძიმე საფრენი აპარატები.

ჰაერფრენის ფუძემდებლების ნიკოლაი ეგორის ძე ჟუკოვსკისა და ოტო ლილიენტალის თავდაპირველი ნაშრომები ეფუძნებოდა ფრინველთა ფრენაზე დაკვირვებას და მათი ფრთების აგებულების გამოკვლევებს. კერძოდ იმასა თუ როგორ იქმნება პლანირებული ფრთის ამწევი ძალა. ასეთი გამოკვლევების შედეგი გახდა 1904 წელს თეორიულად მიღებული ფრთების ოპტიმალური პროფილები, რომლებიც ახლოსაა ფრინველის ფრთის პროფილთან. ასეთი პროფილების (ჟუკოვსკის პროფილები) ამწევი ძალის ფარდობა ფრონტალური წინაღობის ძალასთან მაქსიმალურია. ისინი იდეალურია შედარებით დაბალი სიჩქარეებისათვის (რამდენიმე ათეული მეტრი წამში), რომლებიც ახასიათებს ფრინველთა ფრენას, ხოლო სრულებითაც არ არის ოპტიმალური დიდი სიჩქარეებისათვის, რომლებითაც დაფრინავენ თანამედროვე თვითმფრინავები. რაც შეეხება მწერებს, მათ ფრთებს არ გააჩნიათ პროფილი და ისინი ბრტყელი ფორმისაა. ზოგიერთ მწერს თითოეულ მხარეს აქვს ორ-ორი, სამ-სამი ცალი ფრთა.

ძირითადი ნაწილი

სრულად განსხვავდება მფრინავი არსებების ფრთების ფორმები და ზომები. მარტო სხვადასხვა სახეობის მწერებისათვის ისინი სიდიდით შეიძლება განსხვავდებოდნენ 1000-ჯერ. მიახლოებით ამდენჯერვე განსვავდება ფრინველებისა (კოლიბრიდან ამერიკულ კონდორამდე და ალბატროსამდე) და სხვადასხვა თვითმფრინავის ფრთების ზომები. ხოლო ფრთების სიდიდეთა სხვაობა ყველაზე მცირე მწერებისა და ყველაზე დიდ თვითმფრინავებს შორის შეიძლება შეადგენდეს რამდენიმე ასეულ ათასს.



სურ. 1. სხადასხვა სახეობის ფრინველების ფრთების კონსტრუქცია

აეროდინამიკური დამოკიდებულებები რომლებიც მართებულია მცირე მფრინავი ობიექტებისათვის, შეიძლება საერთოდ არ გამოდგეს დიდებისათვის. სრულიად აშკარაა რომ დღევანდლამდე არ არსებობდა მსგავსების ერთიანი კრიტერიუმები ჰაერზე მძიმე ყველა მფრინავი ობიექტისათვის, რაც თავისთავად აფერხებდა ეფექტური პილოტირებული ორნიტოპტერის შექმნას.

საქმე ისაა, რომ ორნიტოპტერმა უნდა განახორციელოს ფრინველის ფრენის იმიტირება. ფრინველის ფრენა ემყარება იმავე აეროდინამიკურ პრინციპებს, რასაც ხელოვნური საფრენი აპარატის ფრენა. ფრინველი არის არსობრივად ცოცხალი თვითმფრინავი, იგი იყენებს ფრთის, პროპელერის, ფრთაწინა და ფრთაუკანას მსგავს მოწყობილობებს, რომლებიც მას მისი ევოლუციის 150- მილიონწლიანმა პროცესმა შესძინა და რომლებიც მას ეხმარება აფრენისა და მიწაზე დაჯდომის დროს.

დაჩქარებული კინოგადაღებების მეშვეობით დადგინდა, რომ ფრინველი არ უბიძგებს თავის თავს წინ, ფრთების საწინააღმდეგო მიმართულებით ჰაერის მასებზე მიწოლის მეშვეობით. როდესაც ის ფრთებს უშვებს ქვემოთ ერთდროულად ის მათ გადააადგილებს წინ, ფრენის მიმართულებით და არა უკან. იმ დროს, როცა ფრინველი მაღლა სწევს ფრთებს, იგი არ კარგავს ფრენის სიმაღლეს, არამედ მდოვრედ გადაადგილდება ერთ დონეზე. ფრთა ამ შემთხვევაში მუშაობს არა მარტო თვითმფრინავის ფრთასავით, არამედ ვერტმფრენის ნიჩაბივითაც (სურ. 1).



სურ. 2. ფრინველის ფრთების მოძრაობის სქემა

ნებისმიერი საფრენი აპარატის ფრენისათვის საჭიროა ამწევი და წევის ძალები. როგორც ცნობილია, თვითმფრინავისათვის ეს ძალები იქმნება ერთმანეთისაგან განცალკევებულად: ამწევი ძალა ფრთების, ხოლო წევის ძალა ხრახნის ან რეაქტიული ძრავების მეშვეობით.

ფრინველი და მწერი, ამწევ და წევის ძალებს წარმოშობს ერთობლივად, მქნევარა ფრთების მეშვეობით. ნახსენები ძალების შესაქმნელად ფრინველი (მწერი) აქნევს ფრთას და ერთდროულად აბრუნებს მას მისი გრძივი ღერძის გარშემო. ეს მობრუნება ფრინველს სჭირდება იმისათვის, რომ შექმნას ჰაერის ნაკადის მიმართ ფრთის სხვადასხვა შეტევის

კუთხეები. ფრთის სრული ქნევა იყოფა ორ ფაზად: ქნევა ზევით და ქნევა ქვევით.

იყო გავრცელებული მცდარი აზრი, რომ ფრინველის ფრთა სასარგებლო მუშაობას ასრულებს მხოლოდ ქვემოთ დაქნევისას, ხოლო ზემოთ აქნევა ენერგეტიკული თვალსაზრისით უსარგებლოა. ჩვენ დავინახავთ, რომ ზემოთ აქნევითაც სრულდება სასარგებლო მუშაობა და წარმოიქმნა ამწევი ძალა.

ჰორიზონტალური ფრენის დროს ფრთების ქნევა ახლოსაა ვერტიკალურთან. ფრთის მოძრაობა ჰაერის მიმართ განიხილება როგორც ორი მიმართულებით მოძრაობის ტოლქმედი: ფრთის მოძრაობა ვერტიკალურ სიბრტყეში და ფრთის წინსვლითი მოძრაობა ფრინველის კორპუსთან ერთად ჰორიზონტალურ სიბრტყეში.



სურ. 3

მე-3 სურ-ზე გამოსახულია ფრინველის ფრთის პროფილი. პროფილი დახრილია ჰორიზონტალური სიბრტყის მიმართ დადებითი β კუთხით. ფრთას აქვს ვერტიკალური $\overrightarrow{V_y}$ სიჩქარე, რომელიც პერპენდიკულარულია HH ჰორიზონტალური სიბრტყის და ჰორიზონტალური $\overrightarrow{V_x}$ სიჩქარე, რომელიც ამავე სიბრტყის პარალელურია. ჯამური სიჩქარის ვექტორი და მოდული გამოისახება ფორმულებით:

$$\vec{V} = \overrightarrow{V_y} + \overrightarrow{V_x} \qquad (1)$$

$$V = \sqrt{V_x^2 + V_y^2} \qquad 2)$$

ფრთის შეტევის კუთხე სრული სიჩქარის ვექტორის მიმართ აღვნიშნოთ α-თი. შეტევის კუთხე შეიძლება იყოს ისეთი, რომ ფრთას ჰქონდეს ნაკადისადმი დადებითი რეაქცია ან ისეთი, რომ რეაქცია იყოს უარყოფითი. შეტევის ნულოვან კუთხედ ითვლება ისეთი, როდესაც $C_y = 0$. კუთხის ამისთანა ათვლისას ცხადია, დადებითი შეტევის კეთხის შემთხვევაში ჰაერის მიმართ ფრთის რეაქცია დადებითია, ხოლო უარყოფითი α-ს შემთხვევაში – ყოველთვის უარყოფითია.

ვაჩვენოთ ის შემთხვევები, როცა თუ შეტევის კუთხე უარყოფითია, მაშინ ფრთა წარმოქმნის გამწევ ძალას, ხოლო თუ ეს კუთხე დადებითია, მაშინ ის წარმოქმნის წინაღობის ძალას.



სურ. 4

1-ელი შემთხვევა, როდესაც α კუთხე უარყოფითია (სურ. 4) .

ამ შემთხვევაში გვექნება

V_y – ფრთის ქნევის სიჩქარე.

V_x – ფრინველის ფრენის სიჩქარე.

V – ფრთის სრული სიჩქარე.

R – ფრთაზე მოქმედი ჯამური აეროდინამიკური ძალა.

თუ ამ ძალას დავშლით ორ მდგენელად, სიჩქარის ვექტორის მიმართულებით და მის პერპენდიკულარულად, მივიღებთ:

$$R = \sqrt{P^2 + Q^2} \quad (3)$$

სადაც P არის ფრინველის ფრთის ამწევი ძალა, ხოლო Q – ჰაერის წინააღმდეგობის ძალა.

თუ დავშლით სრულ ჯამურ ძალას x' ღერძის მიმართულებით, რომელიც პარალელურია V_x-ის და y'-ის მიმართულებით, რომელიც ამ სიჩქარის პერპენდიკულარულია, მივიღებთ:

$$R = \sqrt{N^2 + T^2} \quad (4)$$

სადაც T არის ფრინველზე მოქმედი წინ გამწევი ძალა, ხოლო N – ნორმალური ძალა, რომელიც უშვებს ფრთას ქვემოთ.

მე-2 შემთხვევა, როცა α კუთხე არის დადებითი (სურ. 5). ამ დროს N ძალა ეწევა ფრთას ზემოთ, ხოლო T ძალა – უკან.



სურ. 5

ქნევა ქვემოთ

ამ დროს ფრთის პროფილი ჰორიზონტალური სიბრტყის მიმართ ორიენტირებულია უარყოფითი კუთხით და V_x ქნევის სიჩქარე მიმართულია ქვემოთ (სურ. 6). აქაც შესაძლებელია ფრთის მოძრაობის ორი შემთხვევა:



სურ. 6

1-ელი შემთხვევა, როცა შეტევის α კუთხე არის უარყოფითი (სურ. 7). თუ დავშლით ძალას წინა შემთხვევაში არჩეული ღერძების მიმართულებით, მივიღებთ N ძალას, რომელიც ჩამოუშვებს ფრთას, და T ძალას, რომელიც ფრთას ეწევა უკან.



სურ. 7

მე-2 შემთხვევა როცა α კუთხე არის დადებითი (სურ. 8). თუ დავშლით ძალას წინა შემთხვევაში არჩეული, ფრინველზე ბმული ღერძების მიმართულებით (სურ. 10), მივიღებთ $\vec{N}$ ძალას, რომელიც ეწევა ფრთას ზემოთ, და $\vec{T}$ ძალას, რომელიც უბიძგებს ფრთას წინ.



სურ. 8

განხილულიდან ჩანს, რომ ფრინველი იღებს ამწევ ძალას როგორც ფრთის ქვემოთ დაშვების, ისე მისი ზემოთ აწევის შემთხვევაში.



სურ. 9. ფრინველის ფრთის პროფილის გარსდენა ჰაერის ნაკადით



სურ. 10. ფრინველზე ბმული საკოორდინატო სისტემა

ახლა გავაკეთოდ იმ ორნიტოპტერების კონსტრუქციების მოკლე მიმოხილვა, რომლებიც შეიქმნა სხვადასხვა დროს.

მე-11 სურათზე გამოსახულია ბ. ი. ჩერნავსკის მიერ 1921 წელს აგებული ორნიტოპტერი. მქნევარ-მფრენი წარმოადგენდა ბიპლანს, რომელიც მოძრაობდა პილოტის ფეხების კუნთების ძალის მეშვეობით. ამ აპარატის საფრენოსნო გამოცდისას, მნიშვნელოვანი შედეგები მიღწეული ვერ იქნა. კონსტრუქტორმა დროებით მიანება თავი პროექტზე მუშაობას და მას დაუბრუნდა 13 წლის შემდეგ, როდესაც შექმნა ორნიტოპტერი БИЧ-16 (სურ. 12).

სურ. 11

სურ. 12



სურ. 13

ეს მოდელი წარმოადგენდა მონოპლანს, რომლის ფრთებიც მოძრაობდა წინას ანალოგიურად ფეხის პედლების მეშვეობით. ამ აპარატის კონსტრუქციამაც ვერ გაამართლა და ჩერნავსკი 1937 წელს შეუდგა შემდეგი ორნიტოპტერის БИЧ-18-ის შექმნას (სურ.13). აპარატს ჰქონდა ისეთივე, როგორც პლანერს, ფიუზელაჟი, მაგრამ ფრთების კონსტრუქცია იყო სულ სხვანაირი, ისინი წყვილ-წყვილად იყო შეერთებული საერთო საკისარზე, რომლებიც ფეხის პედლებს მოჰყავდა ქნევით მოძრაობაში. ეს აპარატი გამოსცადეს და გამოცდებმა აჩვენა დამაკმაყოფილებელი შედეგები, რის შემდეგაც კონსტრუქტორი გაურკვეველი მიზეზების გამო მქნევარაფრთიანი აპარატების შექმნას აღარ დაბრუნებია.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ჩვენი თანამემამულის ალექსი ვლადიმერის ძე შიუკოვის საკონსტრუქტორო შემოქმედებას. იგი იყო სამხედრო მფრინავი და ეკავა მაღალი სამხედრო თანამდებობები, მან 1908 წელს თბილისში მახათას მთიდან განახორციელა რამდენიმე გაფრენა მისივე კონსტრუქციის სხვადასხვა პლანერის მეშვეობით, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენდა მქნევარმფრენს (ორნიტოპტერს). ფრენებმა წარმატებით ჩაიარა. მახათას მთაზე ფრენებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ,

მოსკოვთან ახლოს ტუშინოს აეროდრომზე ა. ვ. შიუკოვმა წარმოადგინა თავისი ახალი კონსტრუქციის მოტორული ორნიტოპტერი დასახელებით: ША-1. საფრენი აპარატი დაპროექტებული იყო „იხვის“ სქემით, მისი სიმაღლის საჭე მდებარეობდა 6 მ სიგრძის ფრთების წინ ხოლო მიმართულების საჭე და მარეგულირებელი – მათ უკან. აპარატი იწონიდა 300 კგ-ს. საცდელი ფრენისას იგი ავიდა ჰაერში რამდენიმე მეტრით, მაგრამ მისი ძალოვანი სქემის რამდენიმე დეტალი გატყდა არასაკმარისი სიმტკიცის გამო, რის შედეგადაც აპარატმა ფრენა ვეღარ განაგრძო. ამის შემდეგ, ერთ დღეს, თვითმფრინავების სადგომ ანგარში გაჩნდა ხანძარი და ა. ვ. შიუკოვის ორნიტოპტერი დაიწვა. კონსტრუქტორმა ვეღარ მოახერხა ამ საფრენი აპარატის აღდგენა და ორნიტოპტერით ფრენა მას მხოლოდ ოცნებად დარჩა. ასევე წარუმატებლად დასრულდა სხვა კონსტრუქტორების მიერ შექმნილი პილოტირებული ორნიტოპტერების ფრენებიც (სურ. 14). წარმატებით დაფრინავენ მხოლოდ მცირე ზომის უპილოტო ექსპერიმენტული ორნიტოპტერები (სურ. 15), რომლებზედაც ატარებენ ისეთი აპარატების საფრენოსნო ექსპერიმენტებს, რაც დიდი საპილოტო მოდელების შექმნისათვისაა აუცილებელი.



სურ.14

სურ. 15. ექსპერიმენტული უპილოტო ორნიტოპტერი



სურ. 16. ვერტმფრენის ნიჩბების მუშაობის აქტიური ზონა



სურ. 17. ფრინველის ფრთების მუშაობის აქტიური ზონა

საპილოტო მოდელისა და რეალური ორნიტოპტერის დაპროექტების მიზნით აუცილებელია გაკეთდეს ასეთი საფრენი აპარატის ფრენის ენერგეტიკული შეფასებები. როგორც ცნობილია ძალა, რომელიც მოქმედებს საფრენ აპარატზე ჰაერის მხრიდან, შეიძლება დაიყოს ორ მდგენელად: F_y ამწევ ძალად, რომელიც საფრენი აპარატის მოძრაობის v სიჩქარის პერპენდიკულარულია და F_x ჰაერის წინაღობის ძალად რომელიც ამ სიჩქარის პარალელურია. ცხადია, რომ რაც უფრო მეტია ამწევი ძალა, მით უფრო ნაკლებია ჰაერის წინაღობის ძალა და მით უფრო კარგად ასრულებს საფრენი აპარატი თავის ფუნქციას ტვირთის აწევისა და გადატანისას, ე. ი. მით უფრო ხარისხიანია საფრენი აპარატი. ხარისხი გამოისახება შემდეგი დამოკიდებულებით: $K = F_y/F_x$. მუდმივი სიჩქარით ჰორიზონტალური ფრენისას ამწევი ძალა აწონასწორებს სიმძიმის ძალას, ხოლო ძრავას წევის ძალა – ჰაერის წინაღობის ძალას.

თანაბარი ჰორიზონტალური ფრენისას $F_x v = N\eta_{ამწ}$. თუ გამოვსახავთ F_x წინაღმდეგობის ძალას

$F_y = mg$ ამწევი ძალისა და K ხარისხის მეშვეობით, მივიღებთ:

$$\frac{mgv}{K} = N \cdot \eta_{ამძ.} \quad (5)$$

სიდიდე $N \cdot \eta_{ამძ.}$ არის სიმძლავრე, ანუ ამძრავის მიერ ერთ წამში წინააღმდეგობის ძალების საპირისპიროდ შესრულებული მუშაობა. წარმოვიდგინოთ, რომ დროის ნებისმიერ ერთეულში ამძრავი ხარჯავს საწვავის ერთსა და იმავე რაოდენობას ($[\mu] = კგ/წმ$). მაშინ dt დროის შუალედში საწვავის მასის ცვლილება იქნება $dm = -\mu \cdot dt$ კგ. თუ გავყოფთ (5) განტოლების ორივე ნაწილს $\mu = -dm/dt$ -ზე გვექნება:

$$-\frac{mgv}{K} \cdot \frac{dt}{dm} = \frac{N \cdot \eta_{ამძ}}{\mu} \quad (6)$$

თუკი $dx = v \cdot dt$ არის უსასრულოდ მცირე გადაადგილება ჰორიზონტალური მიმართულებით, მაშინ განტოლებას, რომელიც ასახავს საწვავის მასის ელემენტარულ ცვლილებას ტრაექტორიის გასწვრივ, ექნება შემდეგი სახე:

$$dx = -\frac{K \cdot N \cdot \eta_{ამძ}}{\mu \cdot g} \cdot \frac{dm}{m} \quad (7)$$

თუკი ამ განტოლებას გავაინტეგრირებთ სტარტის წერტილიდან ($x = 0, m = m_0$) ფრენის ბოლომდე ($x = L, m = m_0 - m_{საწ.}$), მივიღებთ:

$$L = -\frac{K \cdot N}{\mu \cdot g} \cdot ln\left(1 + \frac{m_{საწ.}}{m_0}\right) \quad (8)$$

დროის ერთეულში ფრთის მიერ ჩამოტყორცნილი ჰაერის მასის კინეტიკური ენერგიის ცვლილება იქნება:

$$N = m_s\left(\frac{v_2^2}{2} - 0\right) = m_s \cdot \frac{v_2^2}{2} \quad (9)$$

ორნიტოპტერის მუშა ორგანო შეიძლება განვიხილოთ როგორც ვენტილატორი, რომელიც გადალახავს წნევის ცვლილებას და ქმნის ამწევ ძალას. ეს წნევის ცვლილება განდევნის ზემოდან შემოწოვილ ჰაერს ძირს v_1 სიჩქარით რისთვისაც საჭირო სიმძლავრე:

$$N = G \cdot v_1 \quad (10)$$

იმის გათვალისწინებით, რომ

$$G = m_s \cdot v_2 \quad (11)$$

ენერგიის ორივე გამოსახულებიდან შეგვიძლია მივიღოთ:

$$m_s \cdot \frac{v_2^2}{2} = m_s \cdot v_1 \cdot v_2 \quad (12)$$

აქედან გამომდინარე:

$$v_2 = 2v_1 \quad (13)$$

შემდეგ შეგვიძლია განვსაზღვროთ თუ როგორ გამოითვლება სიმძლავრე, რომელიც აუცილებელია საფრენი აპარატის N/G წონის ერთეულის ჰაერში დასაჭერად.

განტოლებიდან

$$G = 2\rho s v_1^2 \quad (14)$$

გამოვსახავთ $v_1 - s$

$$v_1 = \sqrt{G/2\rho s}. \quad (15)$$

ჩავსვამთ ამ განტოლებას N/G გამოსახულებაში და მივიღებთ:

$$\frac{N}{G} = \frac{1}{2\rho} \cdot \sqrt{\frac{G}{s}} \quad (16)$$

დასკვნა

ორნიტოპტერის ფრენის ტექნიკა შედგება მისი ფრთების აწევისა და დაშვებისაგან, რაც ხორციელდება სხვადასხვა სიჩქარითა და ქნევის ამპლიტუდით. ფრთის რხევითი მოძრაობის სიჩქარეები და ამპლიტუდები იცვლება საფრენი აპარატის ფრენის რეჟიმის მიხედვით. ცხადია, რომ ნებისმიერი რხევითი მოძრაობა არ ხდის შესაძლებელს განხორციელდეს საფრენი აპარატის ფრენა. თითქმის ორნიტოპტერის ყველა კონსტრუქტორი ცდილობს მოი-

გონოს თავისი აზრით ფრთის ქნევის საუკეთესო რეჟიმი. ორნიტოპტერის კონსტრუირებისას საჭიროა უპირველესად გაკეთდეს ფრინველის ფრთის მოძრაობის ანალიზი და შემდეგ გეზი იყოს აღებული ამ მოძრაობების სრულყოფისაკენ. ჩვენს ნაშრომში გაკეთებულია ფრთის მოძრაობის სიჩქარეებისა და მასზე მოდებული ძალთა სისტემის ანალიზი და შემდეგ მიღებულია საჭირო ფორმულები, რომლებიც განსაზღვრავს ორნიტოპტერის ფრენისას მისი ამძრავის ენერგეტიკულ დანახარჯებს.

ლიტერატურა

1. Tikhonravov, M. K. (1949). *The flight of birds and machines with flapping wings*. Moscow: Oborongiz. *(In Russian)*
2. Vinogradov, A. N. (1951). *Aerodynamics of soaring birds*. Moscow. *(In Russian)*
3. Vinokurov, A. A. (1951). *Aerodynamics of soaring birds*. Moscow. *(In Russian)*
4. Kaznevsky, V. P. (1955). *Aerodynamics in nature and in technology*. Moscow. *(In Russian)*
5. Krasnov, N. F. (1984). *Aerodynamics in questions and problems*. Moscow: Mashinostroenie. *(In Russian)*

UDC 591.4:629.7.02
SCOPUS CODE 2202
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-276-287

To the question of theories and the creation of a mahalet (ornithopter)

Zurab Mchedlishvili Department of Engineering Graphics and Technical Mechanics, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68a, M. Kostava str.
E-mail: zurab.mch@mail.ru

Ramin Zukakishvili Department of Mechanical Engineering and Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68a, M. Kostava str.
E-mail: ramini.zukakishvili@gmail.com

Giorgi Gratiashvili nstitute of Structures, Special Systems and Engineering Maintenance, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[b], M. Kostava str.
E-mail: g.gratiashvili@gtu.ge

Reviewers:
G. Sanadze, Prof. Faculty of Transport Systems and Mechanical Engineering, GTU
E-mail: sanadzegivi05@gtu.ge
T. Chkhaidze, Prof. Faculty of Transport Systems and Mechanical Engineering, GTU
E-mail: t.chxaidze@gtu.ge

Abstract. Two-thirds of creatures living on earth use flapping wings. Creating similar wings and aircraft based on them for humans has proven to be a very difficult task. Only small models fly, but rarely anyone managed to fly into the air with manned machalets. Despite he fact that many attempts have been made to this end. In our work, a theoretical analysis of such devices created by man was made and some issues of flapping flight were considered.

Keywords: Bird; Lift; Mass; Profile; Wing.

განხილვის თარიღი 26.02.2025
შემოსვლის თარიღი 31.03.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 625.712.65
SCOPUS CODE 2205
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-288-294

Selection of Optimal Road Pavement Design Methods Based on the Quality of Road Construction Materials

Petre Nadirashvili Department of Roads, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[b], M. Kostava str.
E-mail: p.nadirashvili@gtu.ge

Nugzar Rurua Department of Roads, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[b], M. Kostava str.
E-mail: n.rurua@gtu.ge

Khvicha Iremashvili Department of Roads, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[b], M. Kostava str.
E-mail: iremashvilikhvicha05@gtu.ge

Reviewers:
M. Shishinashvili, Associate Professor, Faculty of Civil Engineering, GTU
E-mail: m.shishinashvili@gtu.ge
G. Cubinidze, Assistant Professor, Faculty of Civil Engineering, GTU
E-mail: g.chubinidze@gtu.ge

Abstract.

The main objectives of improving the reliability of roads and highways are to increase the durability of the road pavement structure, as well as its wear resistance. During design, it is important to determine the quality of the road construction materials used to ensure the required strength of the road pavement structure, which are resistant to plastic deformation and wear. In terms of operational reliability criteria, It is necessary to pay attention to the bearing capacity in relation to the impact of transport loads and the maintainability of road structures. Depending on the quality of road construction materials, it is recommended to use them selectively in the structural layers of the road pavement, so as to maximally take into account, on the one hand, the requirements of strength and reliability, and on the other hand, economic affordability.

Based on the above, the article presents the principles for selecting optimal road pavement design methods that provide the necessary operational characteristics and reliability over the service life under predetermined traffic volume conditions at a minimum cost.

Keywords: Road Pavement; Service Life; Structural layer; Structure.

Introduction

Pavement design is essentially an empirical science based on practical experience. The empirical-mechanical and engineering design system provides a unified pavement analysis procedure for evaluating existing pavements and predicting deterioration. The design procedure explained here is an empirical-mechanical one, combining elements of modeling with performance observations in determining the required pavement thickness for a set of design conditions. The empirical-mechanical and engineering design system is based on elementary physics and determines the stressed-deformed state of the pavement in terms of the normal and shear strength indicators under the impact of wheel loads. The empirical part of the design uses pavement operational reliability criteria to predict service life based on actual field performance observation. The layer thickness obtained from the above procedures should be considered as a minimum requirement and should not take into account construction tolerances. This is especially important in the case of layers of modified material.

Main Part

Design of Road Materials

For existing road pavements, test pits represent one of the common investigation methods to determine the thickness and type of the various pavement layers and to assess the condition of the sub-grade. Samples from each layer of the pavement and sub-grade can be taken for visual inspection and collected for subsequent laboratory testing. As a guideline, it is recommended to make two control pits every one KM, alternately on both sides of the roadway.

The Dynamic Cone Penetrometer (DCP) test is designed to provide the rapid in-situ measurement of the structural properties of existing road pavements and sub-grades. The DCP test results can be compared with laboratory test results. The DCP testing frequency is usually every 100 meters, but a testing interval of 200 meters can be sufficient.

Practitioners are encouraged to refer to the „TRL's Overseas Road Note 8, A User's Manual for A Program to Analyse Dynamic Cone Penetrometer Data", for a detailed discussion of DCP data analysis obtained from testing. Using data obtained from DCP and CBR tests, it is possible to determine the pavement thickness and quality of road construction materials. An example of dynamic cone penetrometer analysis is shown below in Figure 1.



Fig. 1: Dynamic Cone Penetrometer Analysis Sample

In general, the use of improved sub-grade layers has the following advantages: provides additional protection during heavy axle loads; protects underlying earthworks; provides a running surface for traffic; promotes compaction of upper pavement layers; provides a homogenous sub-grade strength; acts as a drainage filter layer and is available for more economical use of materials.

Performance Characteristics of Road Pavement Layers

The thickness of unbonded base, sub-base, capping layer and sub-grade material specified in the design shall provide sufficient normal and shear strength, as shown in Figure 2, to support the expected load during the design service life of the pavement.

Surface design is based on providing a surfacing that is adequately durable to deformation under traffic loads, is resistant to atmospheric influences, has adequate skid resistance, is adequately smooth and is sufficiently wear-resistant during the design life of the pavement.

The optimal number of layers depends on the required stability, smoothness, and economy. Road pavements can come in a multitude of configurations and variations. For road design purposes, it is sufficient to consider some of the generally accepted solutions used to provide major all-weather access roads in the area. Roads can be categorized according to the main construction materials used in the pavement: earth; gravel or aggregate; bituminous mixes; concrete, and stone or brick.



Fig. 2: Normal and shear strength characteristics of pavement layers

The main steps to be followed in carrying out a design for a road pavement include:

- Estimating the volume of traffic and the cumulative number of standard axles that will use the road during the selected design life;
- Estimating the strength of the sub-grade soil over which the road is to be built;
- Selecting the most economical combination of pavement materials and layer thicknesses that will provide satisfactory service over the design life of the pavement.

Vehicle classification is an important aspect of traffic volume assessment (as well as equivalent axle load assessment). Vehicle types are typically defined according to the following breakdown (For reporting purposes, the breakdown can be further simplified and expressed in vehicle classes):

- Cars;
- (2) 4-Wheel Drive Vehicles;
- Small Buses;
- Medium and Large-size Buses;
- Small Trucks and Pickups;
- Medium Trucks; and
- Large, 2-Axle Truck.

Most often, traffic data will initially be available to the designer in terms of volumes, i.e., Average Annual Daily Traffic (AADT) for each vehicle class. It is noted that motorcycles and small cars do not contribute significantly to structural damage to roads. The AADT is defined as the total annual traffic summed in both directions and divided by 365. It is usually obtained by recording actual traffic volumes over a shorter period, from which the AADT is then estimated. Adjustments are usually required between the AADT based on recent traffic counts and the AADT during the first year of service. These adjustments can be made using growth factors. It is recommended that traffic counts to establish an average annual traffic figure for a particular site comply with the following practices:

The count is conducted over seven consecutive days. Some days are counted for a full 24 hours, preferably with at least one 24-hour count on a weekday and one on a weekend. A sixteen-hour count should be sufficient for the remaining days. Counting should be avoided during periods when the intensity of travel for short periods of time is abnormal due to wage payments, public holidays, etc. If possible, the seven-day count should be repeated several times throughout the year.

Future traffic volume is divided into the following three categories: traffic that would pass along an existing road or route even if no pavement improvements or rehabilitation works were provided; additional traffic caused by road improvements; Traffic that is changed from another route (or mode of transportation) due to improvements to the project road, but still travels between the same origin and destination.

The cumulative traffic for each class of vehicle is multiplied by the average number of equivalent standard axles of vehicles in that class to calculate the cumulative total number of equivalent standard axles over the life of the road. The Equivalence Factor (per axle) is defined as the pavement damaging effect of an axle in relation to the damage created by a standard axle which has a load of 10 tonnes. ESA (equivalent standard axle) is a standard axle load of 10 metric tons (or 100 kN). All axle loads are converted to equivalent standard axle loads (ESA) and pavement design is usually based on the total combined ESA value that the pavement will be expected to support over its design life.

The number of equivalent standard axles is related to the axle load as follows:

ESA = (P/10000)n (for loads in kg) or ESA = (P/100)n (for loads in kN) Where ESA = number of equivalent standard axles;

P=axle load (in kg or kN) and n = damage exponent.

The accumulated ESAs for each class for the design period are obtained by multiplying the cumulative traffic. The total cumulative standard axle load of all vehicle classes is obtained by adding the values for all classes.

Traffic on narrow roads is more channelized than on wide two-lane roads. In such cases, the effective traffic load is greater than for wide roads. Design traffic volume

can also be a significant proportion of total traffic on roads, sometimes 20 to 40% of total traffic, and should be taken into account in the design of the wearing course. For high-volume roads detailed traffic analysis is warranted because environmental and traffic loading factors generally determine the performance of roads.

The main steps that must be taken when implementing a road pavement design include the following:

- estimating the amount of traffic and the cumulative number of standard axles that will use the road over the selected design life;
- assessing the strength of the sub-grade soil over which the road is to be built;
- selecting the most economical option of pavement materials and layer thicknesses that will provide satisfactory service over the design life of the pavement, taking into account local conditions of climate, traffic, available local materials and other environmental factors.

Based on the above, the main objective is to design an appropriate pavement structure with sufficient load-bearing capacity to accommodate the expected traffic during its design life at a given end-of-life service level.

Conclusion

The suitability of road pavement design methods can be assessed by taking into account the following factors:

The design traffic must be accurately determined to ensure the Equivalent Standard Axle (ESA) load range;

The design of the sub-grade should take advantage of a number of durable construction materials that are prevalent in large areas of the region;

Material classes should be represented in sufficient quantity to cover the full range and variety of properties of naturally occurring residual weathered rocks that occur extensively in the region;

Materials specifications should be based on proven field performance characteristics in relation to such factors as traffic volume, sub-grade design class, pavement design class and geo-climatic zone;

Depending on the quality of road construction materials, their selection should be made for optimal use in the structural layers of the road pavement, in order to maximally meet the requirements of durability and reliability, while remaining economically affordable.

References

1. AASHTO. (2001). *Standard method of test for moisture-density relations of soils* (AASHTO T 180). American Association of State Highway and Transportation Officials.
2. Austroads. (1992). *Pavement design guide* (Publication No. AP-17/92). Australia.
3. International Labour Organization (ILO). (2008). *Building rural roads*. Bjorn Johannessen.
4. Kluwer Academic Publishers. (1998). *Pavement management for airports, roads and parking lots*. Shain, MY, USA.
5. Overseas Road Note 8: A user's manual for program to analyse dynamic cone penetrometer data. (1990). TRL Limited. Crowthorne, United Kingdom.
6. Shell International Petroleum Company, Ltd. (1978). *Shell pavement design manual: Asphalt pavements and overlays for road traffic*. London, England.
7. Transport Research Laboratory (TRL), Ministry of Public Works and Transport. (2009). *Low volume rural road environmentally optimized design manual*.
8. TRL Overseas Road Note 16: Principles of low-cost road engineering in mountainous regions. (1997).

9. TNZ Publications, TRANSIT. (1997). *Pavement design guide*. New Zealand.
10. U.S. Department of Transportation Federal Highway Administration (FHWA), Office of Asset Management. (1999). *Asset management primer*.
11. TRB. (1996). *Stabilization of slope by removal and repairing the potential unstable blocks*.

UDC 625.712.65
SCOPUS CODE 2205
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-288-294

საგზაო სამოსის დაპროექტების ოპტიმალური მეთოდების შერჩევა გამოყენებული საგზაო-სამშენებლო მასალების ხარისხის გათვალისწინებით

პეტრე ნადირაშვილი საგზაო დეპარატმენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ა
E-mail: p.nadirashvili@gtu.ge

ნუგზარ რურუა საგზაო დეპარატმენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ა
E-mail: n.rurua@gtu.ge

ხვიჩა ირემაშვილი საგზაო დეპარატმენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ა
E-mail: iremashvilikhvicha05@gtu.ge

რეცენზენტები:

მ. შიშინაშვილი, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: m.shishinashvili@gtu.ge
გ. ჩუბინიძე, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი
E-mail: g.chubinidze@gtu.ge

ანოტაცია. საგზაო სამოსის კონსტრუქციის სიმტიცე და ცვეთისადმი მდგრადობა არის საავტომობილო მაგისტრალებისა და გზების საიმედოობის გაზრდის ძირითადი ამოცანა. საგზაო სამოსის დაპროექტებისას კონსტრუქციის საჭირო სიმტკიცის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია გამოყენებული საგზაო-სამშენებლო მასალების ხარისხის განსაზღვრა, რომლებიც მდგრადია პლასტიკური დეფორმაციისა და ცვეთის მიმართ. საექსპლუატაციო კრიტერიუმების თვალსაზრისით, ასევე აუცილებელია ყურადღება მიექცეს სატრანსპორტო დატვირთვების ზემოქმედების მიმართ მდგრადობას და გზის კონსტრუქციების მოვლა-შენახვის პირობებს. საგზაო-სამშენებლო მასალების ხარისხის შესაბამისად მი-

ზანშეწონილია საგზაო სამოსის კონსტრუქციულ ფენებში მათი შერჩევით გამოყენება ისე, რომ მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული, ერთი მხრივ, სიმტკიცის და საიმედოობის, ხოლო, მეორე მხრივ ეკონომიურობის მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე სტატიაში წარმოგდგენილია საგზაო სამოსის ისეთი ოპტიმალური კონსტრუქციების შერჩევის პრინციპები, რომელიც მოძრაობის მოცემული ინტენსივობის პირობებში უზრუნველყოფს საჭირო საექსპლუატაციო თვისებებს და საიმედოებას მომსახურების ვადის პერიოდში მინიმალური ღირებულების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: კონსტრუქციული ფენა; მომსახურების ვადა; საგზაო სამოსი; სტრუქტურა.

The date of review 04.04.2025
The date of submission 10.04.2025
Signed for publishing 25.09.2025

UDC 697
SCOPUS CODE 2210
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-295--302

ახალი კონტეინერი ხილისა და კენკრის ცივად ტრანსპორტირებისათვის

ამირან ლაზარაშვილი
მექანიკის ინჟინერიისა და სამრეწველო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ა
E-mail: aka.lazarashvili@gmail.com

გივი გოლეთიანი
მექანიკის ინჟინერიისა და სამრეწველო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ა
E-mail: g.goletiani@yahoo.com

ზურაბ ლაზარაშვილი
მექანიკის ინჟინერიისა და სამრეწველო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ა
E-mail: z.lazarashvili@gtu.ge

გივი გუგულაშვილი
მექანიკის ინჟინერიისა და სამრეწველო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ა
E-mail: givi.gugulashvili@gmail.com

თენგიზ რუხაძე
მექანიკის ინჟინერიისა და სამრეწველო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ა
E-mail: rukhadzetengo@gmail.com

რეცენზენტები:

ნ. ნათბილაძე, სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: n.natbiladze@gtu.ge

ნ. ბუთხუზი, სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: n.butkhuzi@gtu.ge

ანოტაცია. სასურსათო პროდუქტების დამამზადებლიდან მომხმარებლამდე მიწოდების აუცილებელი რგოლი ტრანსპორტირებაა. სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ტრანსპორტირების პროცესში გადასაზიდი პროდუქტის ხარისხის გაუარესების ძირითადი მიზეზი ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეო-

რეში გადატვირთვაა, რა დროსაც ირღვევა ამ პროდუქტის შენახვის ოპტიმალური კლიმატური გარემო. აღნიშნული მოვლენის თავიდან აცილების მიზნით შემოთავაზებულია სასურსათო პროდუქტების მოთავსება ინდივიდუალური სამაცივრო დანადგარით აღჭურვილ სპეციალურ სატრანსპორტო კონტეინერში. ტრანსპორტირების ნებისმიერი სქემის გამოყენების მიუხედავად, დამამზადებელი საწარმოს მიერ კონტეინერში ჩატვირთული და დაკეტილი პროდუქტი განუწყვეტლივ იმყოფება დადგენილი ოპტიმალური რეჟიმის პირობებში, რომელსაც მოხმარებელი გახსნის ტრანსპორტირების სრული ციკლის დასრულების შემდეგ.

საკვანძო სიტყვები: კონტეინერი; მაცივარი; მომხმარებელი; მწარმოებელი; სასურსათო პროდუქტი.

შესავალი

თანამედროვე პირობებში სასურსათო პროდუქტების ტრანსპორტირება საკმაოდ ფართოდ გამოიყენება [1]. გადასაზიდ ძირითად სასურსათო პროდუქტებს მიეკუთვნება: ხორცი და ხორცპროდუქტები, თევზი და თევზპროდუქტები, რძისა და ძეხვეულის პროდუქცია, ხილი, ბოსტნეული, კენკრა და მწვანილი. სხვა სახის სატრანსპორტო ტვირთისაგან განსხვავებით, სასურსათო პროდუქტები გამოირჩევა სინაზით, რბილი კონსისტენციით, არომატით, სუნით, სუსტი მედეგობით გარემოს პირობების ცვლილებისადმი და სხვა. ამიტომ ასეთი პროდუქტების ტრანსპორტირება, მათი ხარისხის შენარჩუნებისათვის, განსაკუთრებული პირობების დაცვას მოითხოვს, როგორიცაა ტრანსპორტირებისას განსაკუთრებული კლიმატური პირობების შექმნის აუცილებლობა (განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტემპერატურას, ტენიანობას, ჰაერის მოძრაობის სიჩქარეს) [2]. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ყოველი განსხვავებული პროდუქტისათვის კლიმატის განმსაზღვრელი პარამეტრების მნიშვნელობები უმეტეს შემთხვევაში განსხვავებულია [3, 4]. მნიშვნელოვანია ასევე განსხვავებული პროდუქტების ცალ-ცალკე შენახვის აუცილებლობა. სასურსათო პროდუქტების უმრავლესობა ერთმანეთისაგან განსხვავდება სუნით და არომატით. წარმოიქმნება იმის საფრთხე, რომ ტრანსპორტირების პროცესში სუნი და არომატი ერთი პროდუქტიდან მეორეს გადაეცემა, რაც, უმეტეს შემთხვევაში, დაუშვებელია. ამიტომ აუცილებელი ხდება სხვადასხვა კატეგორიის პროდუქტების სატრანსპორტო საშუალების სხვადასხვა, ერთმანეთისაგან ჰერმეტულად გამოყოფილ სექციებში მოთავსება. მნიშვნელოვანია სასურსათო პროდუქტების შეფუთვა ტრანსპორტირებისას. ეს აუცილებელია პროდუქტის გარემოს ზემოქმედებისაგან (მექანიკური, სითბური, ბიოლოგიური, ქიმიური და სხვა) დასაცავად [5].

სასურსათო პროდუქტების ტრანსპორტირებისათვის დღეს პრაქტიკულად ყველა სახის სატრანსპორტო საშუალება გამოიყენება.

საავიაციო ტრანსპორტი სასურსათო პროდუქტების გადაზიდვის ყველაზე სწრაფი საშუალებაა, რომელიც ხდება დიდ მანძილზე ქალაქებს, ქვეყნებსა და კონტინენტებს შორის. ამ ტრანსპორტის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მინი-

მალურია პროდუქტზე მოქმედი ბიძგები და რყევები, არ არსებობს დენით მომარაგების პრობლემა, რაც ტრანსპორტირების პროცესში მაცივრების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

აღსანიშნავია, რომ თვითმფრინავის ტვირთამწეობა შეზღუდულია, თუმცა სასურსათო პროდუქტების საავიაციო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ძირითადი უარყოფითი მხარეა სასურსათო საწარმოდან აეროპორტამდე და მიმღები აეროპორტიდან მომხმარებლამდე დამატებითი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების აუცილებლობა. ეს ართულებს და აძვირებს ისედაც ძვირი საავიაციო ტრანსპორტის გამოყენებას და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, აუარესებს სასურსათო პროდუქტების ხარისხს.

კონტინენტებს შორის ტვირთის დიდი მასების ტრანსპორტირების საუკეთესო საშუალება საზღვაო ტრანსპორტია. აქ არ არსებობს დენით მომარაგების პრობლემა, რაც, გემების დიდი ტვირთამწეობის გათვალისწინებით, დიდი სამაცივრო დანადგარების განლაგების საშუალებას იძლევა, რომლებშიც სასურსათო პროდუქტები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინახება. მნიშვნელოვანია, რომ მაცივრების კონდენსატორების გასაცივებლად შესაძლებელია ზღვის წყლის გამოყენება.

საზღვაო გადაზიდვების უარყოფითი მხარეა დრო, რომელიც დაკავშირებულია გემების მცირე სიჩქარესთან. პროდუქტი ხანგრძლივად იმყოფება დედამიწის ცხელი ან ცივი განედების პირობებში, რაც დამატებით მოთხოვნებს აყენებს გემებზე განლაგებული მაცივრების მუშაობის ოპტიმალური რეჟიმის მიმართ. ზღვის ღელვის ან შტორმის შემთხვევაში ხშირია პროდუქტზე მოქმედი ბიძგები და რყევები, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული კვების პროდუქტების ხომალდზე განლაგებისას. საზღვაო გადაზიდვების უარყოფითი მხარეა ასევე დამატებითი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების აუცილებლობა სასურსათო საწარმოდან საზღვაო პორტამდე და პორტიდან მომხმარებლამდე. ეს აძვირებს ტრანსპორტირებას და ადიდებს პროდუქტის თვითღირებულებას და ამასთან სასურსათო პროდუქტის ხარისხის შენარჩუნების პირობებს მნიშვნელოვნად აუარესებს.

სარკინიგზო ტრანსპორტის გამოყენება მხოლოდ ხმელეთზეა შესაძლებელი და ისიც რკინიგზის არსებობის შემთხვევაში. სასურსათო პროდუქტების გადაზიდვისათვის ტრანსპორტირების ეს სახეობა მოხერხებულია, რადგან აქ არ არსებობს ელექტროენერგიით მომარაგების პრობლემა და, შესაბამისად, მაცივრების გამოყენება შესაძლებელია.

სარკინიგზო ტრანსპორტის უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს მოძრაობის, განსაკუთრებით დაძვრისა და გაჩერების დროს პროდუქტზე მოქმედი ბიძგები და რყევები, რაც ცუდად აისახება სურსათის ხარისხზე. უარყოფითი მხარეა აგრეთვე დამატებითი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების აუცილებლობა ტვირთის საწარმოდან რკინიგზის სადგურამდე და სადგურიდან მომხმარებლამდე გადატანისათვის, რაც სურსათის შემთხვევაში მისი ხარისხის გაუარესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია.

სასურსათო პროდუქტების გადაზიდვისათვის მოხერხებული და იაფი საშუალებაა საავტომობილო ტრანსპორტი. მისი გამოყენებით შესაძლებელია ტვირთის გადატანა ქალაქის შიგნით, ქალა-

ქებსა და ქვეყნებს შორის. ტრანსპორტის ეს სახეობა არ გამოირჩევა განსაკუთრებული ტვირთამწეობით და სიჩქარით. უარყოფითი მხარეა ავტომობილის მოძრაობის, გაჩერების და დაძვრისას წარმოქმნილი ბიძგები და რყევები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს გადასაზიდი პროდუქციის ხარისხზე [6].

საავტომობილო ტრანსპორტის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იგი არაა დამოკიდებული სპეციალური გზის (მაგალითად, რკინიგზის) არსებობაზე. მას თავისუფლად შეუძლია გადაადგილება სხვადასხვა ხარისხის გზაზე და, საჭიროების შემთხვევაში, უგზოობის პირობებშიც კი. მაგრამ საავტომობილო ტრანსპორტის უმნიშვნელოვანესი უპირატესობაა ის გარემოება, რომ მას შეუძლია ტვირთის ტრანსპორტირება უშუალოდ დამამზადებელი საწარმოდან მომხმარებლამდე, შუალედური გადატვირთვების გარეშე. ეს ძალზე მნიშვნელოვანი უპირატესობაა, რადგან ტრანსპორტის ერთი სახეობიდან მეორეზე გადატვირთვის შემთხვევაში ყოველთვის ადგილი აქვს სასურსათო პროდუქტის შენახვის რეჟიმული პარამეტრების (კლიმატური გარემოს) დარღვევას, რაც ყოველთვის უარყოფითად მოქმედებს პროდუქტის ხარისხზე. ისიც აღსანიშნავია, რომ საავიაციო, საზღვაო და სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებებამდე ტვირთის მიტანა სწორედ ავტომობილით ხორციელდება.

როგორც ვხედავთ, სატრანსპორტო საშუალების შერჩევა ძირითადად ტექნიკურ პირობებზეა (გადაზიდვის მანძილი და სიჩქარე, ღირებულება) დამოკიდებული, ხოლო პროდუქტის ხარისხის შენარჩუნების ძირითადი პირობა ამ სასურსათო პროდუქტების ოპტიმალურ მდგომარეობაში ტრანსპორტირებაა.

ძირითადი ნაწილი

პროდუქტი დამამზადებლიდან მომხმარებელს მიეწოდება, რისი აუცილებელი შუალედური რგოლია სატრანსპორტო საშუალება. დამამზადებელი და მომხმარებელი მარტივად უზრუნველყოფენ ნედლეულისა და პროდუქტის ხარისხის შენარჩუნებისათვის საჭირო ყველა პირობას, რისთვისაც აღჭურვილი არიან ყველა სათანადო მოწყობილობით. ამიტომ ტრანსპორტირების პროცესში პროდუქტის ხარისხის გაუარესების მიზეზი ძირითადად არის ტრანსპორტის ერთი სახეობიდან მეორეში გადატვირთვა ან ტრანსპორტირების არასათანადო პირობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტრანსპორტირების პროცესში პროდუქტის ხარისხის შენარჩუნებისათვის შემოთავაზებულია პროდუქტის განთავსება და ტრანსპორტირების მთელი დროის განმავლობაში დატოვება სპეციალურ კონტეინერში, რომლის პრინციპული სქემა წარმოდგენილია 1-ელ და მე-2 სურათებზე.

სასურსათო პროდუქტების სატრანსპორტო კონტეინერი შეიცავს კორპუსს 1 და მის სახურავს 2. კორპუსიც და სახურავიც 2 დამზადებულია თბოსაიზოლაციო მასალისაგან, რაც უზრუნველყოფს შიგა მოცულობის გარემოსთან თბოგადაცემის მაქსიმალურად შემცირებას. კორპუსში ხდება გადასაზიდი პროდუქტის ჩატვირთვა. ამისათვის კორპუსში ჩაიდგმება ორი ან მეტი ქვედი 3, 4, 5, 6. ყოველი ქვედი შესრულებულია პერფორირებული ძირის მქონე ვერტიკალური კედლების სახით, რომლებსაც ზედა ნაწილში აქვს ნახვრეტებიანი თათები 7. ყველაზე ქვედა ქვესადები 3 ჩაიდგმება კორპუსის 1 შიგნით, ხოლო ყოველი მომდევნო ქვედი (მაგალითად 4) ჩაიდგმება მის ქვეშ განლაგებულ ქვედში (ამ შემთხვევაში 3).



სურ. 1. ხილისა და კენკრის სატრანსპორტო კონტეინერის განივკვეთი

ქვესადებების ერთმანეთში ჩადგმის უზრუნველყოფისათვის მათ შორის დატოვებულია მინიმალური ზომის ღრეჩოები, რომლებიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ზედა ქვესადების ქვედაში მარტივად და თავისუფლად ჩასმას და, მეორე მხრივ, გამორიცხავს გრძივი ან განივი მიმართულებით მათ თავისუფალ გადაადგილებას ერთმანეთის მიმართ. ყველაზე ქვემოთ განლაგებული ქვესადების 3 გარდა, ყოველი მომდევნო ქვესადები დასმულია კორპუსის 1 გვერდით კედლებზე განლაგებულ ოთხ ცალ დგარზე 8, 9. დგარებზე ქვესადების თათებს 7 შეუძლია თავისუფალი გადაადგილება ვერტიკალური მიმართულებით, ხოლო მათი სასურველ ადგილზე ფიქსირება ხდება თათებზე გაკეთებული ფიქსატორების 10 დახმარებით. თათების და მათზე დამაგრებული ქვესადების გვერდითი კედლების გადაადგილებით დგარების 8, 9 გრძივი მიმართულებით შესაძლებელია ნებისმიერი ქვესადების ვერტიკალური გადაადგილება და მეზობელ ქვესადებებს შორის მანძილის (ღეჩოს) რეგულირება.



სურ. 2. ხილისა და კენკრის სატრანსპორტო კონტეინერის გვერდხედი

კონტეინერის კორპუსსა და სახურავს შორის განლაგებულია გამამკვრივებელი საფენი 11, რომელიც მათ ჰერმეტულ შეერთებას უზრუნველყოფს.

კონტეინერის სახურავი 2 ისეთი ფორმისაა, რომ გარედან სრულად ფარავს დგარებს 8, 9 მთელ სიმაღლეზე, ხოლო განივი მიმართულებით მისი ცენტრალური ნაწილი 12 ჩაზნექილია ისეთი ზომით, რომ ყველაზე ზემოთ განლაგებულ ქვესადებთან 6 ინარჩუნებს ოპტიმალურ ღრეჩოს 13. აღნიშნულ ღრეჩოში 13 განლაგებულია სამაცივრო დანადგარის საორთქლებელი 14. სახურავის 2 ჩაზნექილ ნაწილზე 12 განლაგებულია სამაცივრო დანადგარის კომპრესორი 15 და კონდენსატორი 16. სამაცივრო დანადგარის საორთქლებელი 14 მილით 17 დაკავშირებულია კომპრესორთან 15, ხოლო კაპილარული მილით 18 – კონდენსატორთან 16. ამასთან, სამაცივრო დანადგარის ყველა აღნიშნული ელემენტი მთლიანად ჩაფლულია სახურავის 2 ჩაზნექილ ნაწილში 12, რაც იძლევა წარმოდგენილ კონტეინერზე მეორე, მსგავსი კონტეინერის დადგმის შესაძლებლობას.

კონტეინერის ზომები შეირჩევა კონსტრუქციულად იმ პირობის გათვალისწინებით, რომ მოხერხებული იყოს მისი განლაგება როგორც ავტომობილის პლატფორმაზე, ისე მატარებლის ვაგონში, საზღვაო ან საავიაციო ტრანსპორტში.

მოწყობილობა შემდეგნაირად მუშაობს:

გადასაზიდი პროდუქტი ჩაიტვირთება კონტეინერის კორპუსში. ამისათვის ჯერ კორპუსში 1 ჩაიდგმება ყველაზე ქვედა ქვესადები 3, რომელშიც წინასწარ უკვე ჩაყრილია გადასაზიდი პროდუქტის (მაგალითად, კენკრა) ერთი ან რამდენიმე ფენა. შემდეგ კორპუსში ჩაიდგმება ქვემოდან მეორე ქვესადები 4 ისე, რომ სულ ქვედა ქვესადებზე 3 დაყრილ პროდუქტსა და მის ზემოდან განლაგებული ქვესადების 4 ქვედა ზედაპირს შორის დარჩეს მინიმალური ღრეჩო, რომელიც ხელს შეუშლის სატრანსპორტო საშუალების ბიძგებით გამოწვეულ პროდუქტის ნაყოფების გადაადგილებას და, ამასთან, არ მოახდენს მათ დაჭყლეტას. ქვესადების 4 ვერტიკალური გადაადგილება და საჭირო სიდიდის ღრეჩოს რეგულირება მიიღწევა დგარებზე თათების სათანადო გადაადგილებით, რის შემდეგ ხდება მიღწეული მდებარეობის ფიქსირება, აღნიშნულ თათებზე გაკეთებული ფიქსატორების 10 დახმარებით.

ამის შემდეგ გადასაზიდი პროდუქტის ახალი ულუფა იყრება მეორე ქვესადებზე 4 რამდენიმე ფენად (საჭიროების მიხედვით). პროდუქტის აღნიშნული ფენების თავზე კვლავ განლაგდება ახალი ქვესადები 5, რომელიც გამორიცხავს ქვესადებზე 4 დაყრილი პროდუქტის თავისუფალ მოძრაობას ან დაჭყლეტას. თუ საჭიროა კონტეინერში პროდუქტის მესამე ფენის მოთავსება, მაშინ უკვე ამ ქვესადებზე 5 ხდება პროდუქტის საჭირო რაოდენობის მოთავსება და მის თავზე მოძრაობისაგან დამცავი შემდეგი ქვესადების 6 განლაგება.

როდესაც პროდუქტი კონტეინერში მთლიანად ჩაიტვირთება, კორპუსს სახურავი ჰერმეტულად დაეხურება. შემდეგ სამაცივრო დანადგარი ჩაირთვება, რომელიც ჩვეულებრივი სამაცივრო ციკლის განხორციელების ხარჯზე კორპუსის შიგნით მოთავსებულ პროდუქტს აცივებს და გაცივებულ მდგომარეობაში ტოვებს: კომპრესორი 15 დაჭირხნის მაცივარ-აგენტის ორთქლს კონდენსატორში 16, საიდანაც კონდენსირებული მაცივარ-აგენტი კაპილა-

რული მილის 18 გავლით მოხვდება კორპუსის შიგნით განლაგებულ საორთქლებელში 14. აქ ხდება მაცივარ-აგენტის აორთქლება კორპუსის შიგნით არსებული პროდუქტის სითბოს ხარჯზე. წარმოქმნილი ორთქლი მილის 17 გავლით შეიწოვება კომპრესორის 15 მიერ, რომელიც მას კვლავ დაჭირხნის კონდენსატორში 16. საორთქლებელში მაცივარ-აგენტის აორთქლება ხდება იმ სითბოს ხარჯზე, რომელიც ართმეულია კორპუსის შიგნით მოთავსებული პროდუქტიდან, რაც უზრუნველყოფს ამ პროდუქტის გაცივებას. საზომ-საკონტროლო ხელსაწყოები უზრუნველყოფს სამაცივრო დანადგარის მუშაობის ისეთ რეჟიმს, რომ კორპუსში არსებული პროდუქტი მუდმივად ინარჩუნებს მისთვის საჭირო ოპტიმალურ ტემპერატურას.

დასკვნა

პროდუქტის დამამზადებელ საწარმოში ხდება ნედლეულის გასუფთავება, დახარისხება, დაკალიბრება და სატრანსპორტო კონტეინერში ჩატვირთვა. ამის შემდეგ კონტეინერის სამაცივრო აგრეგატი უზრუნველყოფს ჩატვირთული პროდუქტის გაცივებას და გაცივებულ მდგომარეობაში შენახვას ტრანსპორტირების მთელი დროის განმავლობაში. დამამზადებელი საწარმოდან კონტეინერი შეიძლება ჩაიტვირთოს ავტომობილში, სარკინიგზო, საზღვაო ან საავიაციო ტრანსპორტში. ტრანსპორტირების მთელი დროის განმავლობაში გამორიცხულია პროდუქტის ერთი კონტეინერიდან მეორეში გადატვირთვის საჭიროება. პროდუქტი განუწყვეტლივ იმყოფება ერთ კონტეინერში საკუთარი სამაცივრო აგრეგატის ზემოქმედების პირობებში, რაც უზრუნველყოფს მისი ხარისხის მაქსიმალურ შენარჩუნებას. ამ შემთხვევაში ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეორეში გადატანისას მოითხოვება მხოლოდ ელექტრული კვების წყაროს შეცვლა, სატრანსპორტო საშუალების ცვლილების შესაბამისად. ელექტრული კვების წყაროს შეცვლის ხანგრძლივობა კი გაცილებით მცირეა იმ დროსთან შედარებით, რა დროის განმავლობაშიც სამაცივრო აგრეგატი ინარჩუნებს კორპუსის შიგა მოცულობაში მიღწეული ტემპერატურის მნიშვნელობას.

ლიტერატურა

1. Megrelidze, T., Ghvachliani, V., Gugulashvili, T., Megrelidze, G., Gugulashvili, L., & Gugulashvili, G. (2010). *Vehicle refrigeration equipment* (Georgian Patent No. GE P 5075 B). F25B 27/02, B60P 3/20.
2. Megrelidze, T., Japaridze, Z., Goletiani, G., Gugulashvili, G., Beruashvili, G., & Isakadze, T. (2016). *Basics of designing a refrigeration unit.* Tbilisi: Technical University.
3. Japaridze, Z., & Gugulashvili, G. (2022). *Technological devices of food enterprises: Electronic version of the lecture course* [CD-6986]. Tbilisi: Technical University, Central Library of GTU.
4. Isakadze, T., Lazarashvili, Z., & Gugulashvili, G. (2023). Motor transport with refrigeration equipment. *Proceedings of Georgian Technical University*, (2), 528.
5. Goletiani, G., Isakadze, T., & Gugulashvili, G. (2019). Hydro aerosol technology of cold processing of fruits and vegetables. *Proceedings of Georgian Technical University*, (3), 513.
6. Megrelidze, T., Isakadze, T., & Gugulashvili, G. (2017). Universal cabinet refrigerator-conditioner. *Proceedings of Georgian Technical University*, (1), 503.

UDC 697
SCOPUS CODE 2210
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-295--302

New Container for Refrigerated Transportation of Fruits and Berries

Amiran Lazarashvili Department of Mechanical Engineering and Industrial Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[a], M. Kostava str.
E-mail: aka.lazarashvili@gmail.com

Givi Goletiani Department of Mechanical Engineering and Industrial Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[a], M. Kostava str.
E-mail: g.goletiani@yahoo.com

Zurab Lazarashvili Department of Mechanical Engineering and Industrial Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[a], M. Kostava str.
E-mail: z.lazarashvili@gtu.ge

Givi Gugulashvili Department of Mechanical Engineering and Industrial Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[a], M. Kostava str.
E-mail: givi.gugulashvili@gmail.com

Tengiz Rukhadze Department of Mechanical Engineering and Industrial Technologies, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[a], M. Kostava str.
E-mail: rukhadzetengo@gmail.com

Reviewers:

N. Natbiladze, Professor, Faculty of Transport Systems and Mechanical Engineering, GTU
E-mail: n.natbiladze@gtu.ge

N. Butkhuzi Professor, Faculty of Transport Systems and Mechanical Engineering, GTU
E-mail: n.butkhuzi@gtu.ge

3	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი / ეკოლოგია - მეცნიერების მაგისტრი ეკოლოგიაში	პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მკვლევრები ეკოლოგიის დარგში, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანნი როგორც დასაქმების ბაზარზე, ისე სწავლის შემდგომ საფეხურზე: მსმენელები შესაბამის ხარისხს იღებენ თუ სავალდებულო საგნებთან ერთად აითვისებენ ცხოველთა ეკოლოგიის, მცენარეთა ეკოლოგიის და მდგრადი განვითარების ბლოკების მიმართულებით, მინიმალური კრედიტების გარკვეულ რაოდენობას. კურსდამთავრებულები შეძლებენ თანამედროვე მეთოდების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას და განხორციელებას ცხოველთა ეკოლოგიის, მცენარეთა ეკოლოგიის ან გარემოსდაცვითი მიმართულებით; ეფექტურ კომუნიკაციას პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებასთან; და აღჭურვილი იქნებიან ანალიტიკური და გადაწყვეტილებების მიღების უნარებით	ახორციელებს ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამასაც
4	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი / გარემოს დაცვის ტექნოლოგიები - მეცნიერების მაგისტრი	პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტი გარემოს დაცვის ტექნოლოგიის სფეროში, რომლებსაც - ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა: ა)გარემოსდაცვითი ტექნოლოგიის სხვადასხვა სფეროში (ჰაერის დაცვა, წყლის მენეჯმენტი, ნარჩენების მართვა, შრომის უსაფრთხოება და სხვა), ბ)გარემოს დაცვის პოლიტიკურ-სამართლებრივი და საზოგადოებრივი ღონისძიებების შესახებ.	ახორციელებს ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამასაც

	გარემოს ინჟინერიაში	- შეძლებენ: ა)კომპლექსური პრობლემების გადაჭრასა და დასაბუთებული დასკვნების გამოტანას, ბ)გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების ახალი და ორიგინალური იდეების შემუშავებას, გ)საკუთარი პროფესიული ცოდნის გაზიარებას და სხვების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას	
4	შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი / 1. ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება - ფიზიკური გეოგრაფიის მაგისტრი 2. ეკოლოგია - ეკოლოგიის მაგისტრი	პროგრამის მიზნები: 1. ღრმა და სისტემური ცოდნის შეძენა გეოგრაფიულ გარსში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ბუნებრივ-გეოგრაფიული პროცესების სივრცით-დროითი თავისებურებების, ბუნებრივ გარემოში მიმდინარე ცვლილებებისა და არსებული გეოეკოლოგიური პრობლემების გაცნობიერება; ✓ თეორიული ცოდნის საფუძველზე, ველზე მუშაობისას შეეძლება ბუნებრივ გარემოში მიმდინარე ფიზიკურ-გეოგრაფიულ პროცესებზე დაკვირვება, ხელსაწყოების გამოყენება, მასალების შეგროვება-გაანალიზება, ბუნებრივ გარემოზე მონიტორინგი და მიღებული მონაცემების საფუძველზე დასკვნის გაკეთება. აგრეთვე შეძლებს ჩაატაროს კვლევები ველზე, მასალების დამუშავებისას შეაფასოს ლანდშაფტის პოტენციალი, გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების ხარისხი და დაადგინოს ეკოლოგიური მდგრადობა საზოგადოების განვითარების უზრუნველსაყოფად; ✓ ეთიკური პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად შეძლებს შეაფასოს თავისი და სხვების დამოკიდებულება რაციონალური ბუნებათსარგებლობის ძირითადი პრინციპების დამკვიდრებაში, ასევე მიღებული ცოდნის საფუძველზე კომპლექსური ან მულტიდისციპლინური სამუშაო გარემოს მართვას და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღებას 2. ✓ თანამედროვე ეკოლოგიური განათლების მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და საფუძვლიანი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული ჩვევების მქონე კადრების მომზადება, რომელიც შეძლებს, მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში; ✓ მაღალი ეთიკური ღირებულებების მქონე სპეციალისტის აღზრდა, რომელიც შეძლებს კოლეგებთან ეფექტურ თანამშრომლობას, ურბანულ, სოციალურ, თანასაზოგადოებებისა და პოპულაციების ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში საკუთარი წვლილის შეტანას; ✓ თანამედროვე სრულფასოვანი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც შეძლებს საკვლევი სინჯების აღებას,	ახორციელებს ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამასაც

		საანალიზოდ მომზადებას, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ანალიზების ჩატარებას და მიღებული შედეგების განზოგადებას	
5	GIPA ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი / გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკა - გარემოს დაცვის მაგისტრის აკადემიური ხარისხი	პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვის მენეჯმენტის საკითხების სისტემურ შესწავლას და მართვის ინსტრუმენტების ათვისებას მენეჯერული, სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით; უზრუნველყოფს სიღრმისეული ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის გამომუშავებას გარემოს დაცვისა და კონსერვაციის, გარემოსდაცვითი მართვის სისტემისა და მისი ინსტრუმენტების, მწვანე და ცირკულარული ეკონომიკის, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების მიმართულებით. შეიქმნა 2016 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის თანამშრომლობით	არ აქვს

ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ვებგვერდებზე მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით

მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის პროგრამები ინტერდისციპლინული ფორმატისაა და აერთიანებს სწავლებას როგორც მთისმცოდნეობის და მდგრადი განვითარების კუთხით, ისევ მისანიჭებელი ხარისხისთვის აუცილებელი კომპეტენციების მიმართულებით. სწავლება მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, სასწავლო-საველე გასვლებს, პრაქტიკის კომპონენტებს. სასწავლო კურსების ერთი ნაწილი გამჭოლია და რამდენიმე პროგრამაზე ისწავლება. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის სტუდენტთა კონტიგენტი მუდმივად მზარდია; აბიტურიენტებს შორის განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს პროგრამა: „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“.

ახალგაზრდა ფაკულტეტზე ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაზე; უკვე მომზადებულია და აკრედიტაციის ეტაპზეა სამაგისტრო პროგრამა „გარემოს მდგრადი განვითარების მენეჯმენტი“ (სწავლების ენა ქართული, 120 კრედიტი), პროგრამის მიზანია მოამზადოს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად არსებული თეორიებისა და ინოვაციების ღრმა, სისტემატური, დიდაქტიკური და ინტერდისციპლინური ცოდნის მქონე სტუდენტი, რომელსაც შეუძლია მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები და იმოქმედოს პასუხისმგებლობით გარემოს მდგრადობის, ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და სამართლიანი საზოგადოების უზრუნველსაყოფად, რომელიც დააკმაყოფილებს დღევანდელი და მომავალი თაობების საჭიროებებს.

მკვლევართა ჯგუფი CIF საგრანტო დაფინანსების ჩარჩოში მუშაობს პროექტზე ,,საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვი-

თარება“ შექმნა მთის უნივერსიტეტთან (მილანის უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრი) თანამშრომლობით“, რომელიც ინგლისურენოვანი პროგრამის მომზადებაზეა ორიენტირებული. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ჰიბრიდულ რეჟიმში საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის ორგანიზება "მთის მდგრადი განვითარების სწავლება - მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ინოვაციური მიდგომები აკადემიურ სივრცეში" და საერთაშორისო სტუდენტური სკოლის "მთის მდგრადი განვითარების სწავლება" ორგანიზება. ამ ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყოფილია მდგრადი განვითარების ცენტრის შექმნით, უახლესი მოდელის დრონსა და გეოსაინფორმაციო სისტემებზე წვდომის შესაძლებლობით.

ასევე, სახელმწიფოს დაკვეთით მომზადებულია მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების ქართულენოვანი პროგრამა „ტყის დაცვა რეინჯერებში“ და „გეოსაინფორმაციო სისტემების სპეციალისტი“.

ფაკულტეტის საქმიანობა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის საქმიანობასთან. უახლოეს ხანებში მათთან ერთად სადოქტორო პროგრამის შემუშავებაც იგეგმება. აღსანიშნავია ფაკულტეტის ჩართულობა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსებში.

უმნიშვნელოვანესია გლობალურ და რეგიონალურ დონეებზე საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლობის გაძლიერება, რათა კვლევების შედეგებისა და დასკვნების გაანალიზებით შემუშავდეს სამოქმედო გეგმები საერთაშორისო, რეგიონალურ და ეროვნულ დონეებზე.

გაფორმებული მემორანდუმების ჩარჩოში აქტიურად თანამშრომლობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, მოსწავლე-ახალგაზრდობას იწვევს სხვადასხვა კონკურსსა და კონფერენციაზე. ამჟამად ფაკულტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი სტუდენტებთან ერთად წალკის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფელ ახალშენის საჯარო სკოლაში ახორციელებს პროექტს: სამეცნიერო კვლევითი კლუბის „უმცროსი მეცნიერები მთის მდგრადი განვითარებისათვის“ დაარსება. პროექტი დააფინანსა შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა.

ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებთან ერთად მუშაობს მდგრადი განვითარების პრობლემაზე. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ეწყობა რეგიონული სემინარები. პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ჩართული არიან სასოფლო-სამეურნეო ექსტენციებსა და სხვადასხვა ექსპერიმენტში, რაც გამიზნულია ინოვაციური და კლიმატგონივრული ტექნოლოგიების დანერგვის, წარმოების მოცულობის და კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და მთაში ცხოვრების საერთო დონის ამაღლებისთვის.

ფაკულტეტი 2024 წლიდან გაეროს სასურსათო ორგანიზაციის მოხალისეობრივი ალიანსის „მთის პარტნიორობის“ წევრია, რაც ფაკულტეტს მრავალფეროვან შესაძლებლობებს სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ ალიანსი პარტნიორების ერთადერთი ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს მთის მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას და მთის გარემოს დაცვას მთელ მსოფლიოში. მთის პარტნიორობას შემუშავებული აქვს მთიანი

რაიონების მდგრადი განვითარების დღის წესრიგი და სამოქმედო გეგმა 2030 წლამდე პერიოდისათვის.

დასკვნა

მდგრადი განვითარება მომავლის ვექტორია, რომელსაც მხარს უჭერს საერთაშორისო საზოგადოება. მთიანი ტერიტორიების მდგრადი მომავალი უკავშირდება მათ გარდაქმნას ინოვაციური და ამბიციური მიდგომებით. ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის კომბინაციით შეგვიძლია შევინარჩუნოთ მომავლის მთების უნიკალური გარემო, განვავითაროთ ახალი პერსპექტიული სექტორები და გავაუმჯობესოთ მთის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი.

მდგრადი განვითარებისათვის განათლება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ძირითადი ინსტრუმენტია. განათლების შესაძლებლობები მთის მდგრადი განვითარებისთვის ფრიად აქტუალური და აუცილებელია. გარემოსმცოდნეობის და მთის სწავლების მიმართულებით ჩვენ მიერ გაანალიზებული ქართული და უცხოური გამოცდილება ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანია როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლება. საქართველოში ფორმალური განათლება უზრუნველყოფილია სამთავრობო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ონლაინპლატფორმების საშუალებით. გარემოსმცოდნეობის მიმართულებით ფორმალურ განათლებას უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. საგანმანათლებლო სივრცეში გამორჩეული და უნიკალურია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო პროგრამები, სადაც სწავლა სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება. ამასთანავე, ფაკულტეტი აქტიურად მოღვაწეობს არაფორმალური განათლების კუთხითაც. უცხოური გამოცდილების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი ვალდებულებებიდან და საზოგადოების გაზრდილი ინტერესებიდან გამომდინარე, ფაკულტეტი მუშაობს ახალი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამების შემუშავებასა და პროფესიული გადამზადების/სასერტიფიკატო კურსების შექმნაზე გარემოსმცოდნეობის მიმართულებით. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გლობალურ და რეგიონალურ დონეებზე საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლობის გაძლიერებას, რათა კვლევების შედეგებისა და დასკვნების გაანალიზებით შემუშავდეს სამოქმედო გეგმები საერთაშორისო, რეგიონალურ და ეროვნულ დონეებზე.

ლიტერატურა

1. Elizbarashvili, N., Meeseni, H., Khoetsiani, A., & Meladze, G. (2018). *Sustainable development and resource management in mountain regions*. Danik.
2. Environmental Information and Education Centre. (2015). *Environmental education for sustainable development: Cross-cutting standard*. https://eiec.gov.ge/Ge/Search?text=%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AD%E1%83%9D%E1

%83%9A%E1%83%98+%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98

3. Independent Institute for Environmental Issues (UfU e.V.). (2021). *Civil space for participation in climate policy in Georgia*. https://rec-caucasus.org/publication/samoqalaqo-sivrtse-klimatis-politikashi-monatsileobisthvis-saqarthveloshi/
4. UNESCO. (n.d.). *Education for sustainable development 2030*. https://www.unesco.org/en/sustainable-development/education/toolbox
5. United Nations. (2022, December 14). *Sustainable mountain development: Resolution adopted by the General Assembly on 14 December 2022, 77/172*. https://www.un.org/en/ga/77/resolutions.shtml
6. Ueno, K., Balsiger, J., & Price, M. F. (2020). Education for sustainable mountain development: Preliminary insights from a web-based survey of opportunities. *Mountain Research and Development, 40*(4). https://doi.org/10.1659/MRD-JOURNAL-D-20-00026.1
7. Food and Agriculture Organization. (n.d.). *Mountain education database*. https://www.fao.org/mountain-partnership/our-work/capacity-development/mountain-education-database/en
8. UNIMONT. (n.d.). *Master's degree course*. https://www.unimontagna.it/en/education/masters-degree-course/
9. Grassroots Institute. (n.d.). *Homepage*. https://grassrootsinstitute.ca/
10. Georgian Technical University. (n.d.). *Bachelor's program – Geography*. https://gtu.ge/apply/bachelor/mtis/geo.php
11. Georgian Technical University. (n.d.). *Master's program – Climate change and sustainable development*. https://gtu.ge/apply/masters/ctmf/geo.php
12. Tbilisi State University. (n.d.). *Faculty of Exact and Natural Sciences*. https://www.tsu.ge/ka/faculty/%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98/2:contentReference[oaicite:50]
13. Ilia State University. (n.d.). *Ecology program*. https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/sainjinro-fakulteti-270/programebi-310/sabunebismetyvelo-fakultetis-samagistro-programebi/ekologia:contentReference[oaicite:53]
14. Batumi State University. (n.d.). *Program: Environmental management and policy*. https://bsu.edu.ge/sub-11/program/3/index.html:contentReference[oaicite:56]
15. Georgian Institute of Public Affairs. (n.d.). *Program: Environmental management and policy*. https://gipa.ge/geo/program/show/garemosdatsviti-menedjmenti-da-politika:contentReference[oaicite:59]

UDC 504
SCOPUS CODE 2301
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-317-330

Education For Sustainable Mountain Development - International Context and Georgian Experience

Tamar Koblianidze Faculty of Sustainable Mountain development, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: tamar.koblianidze@gtu.ge

Reviewers:

M. Janikashvili, Professor, Institute of Buildings, Special Systems and Engineering Support, CTU
E-mail: m.firanashvili@gtu.ge

M. Piranishvili, Associate Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: mikheiljanikashvili@gmail.com

Abstract. Mountains play a vital role in human life, and the study of mountain-related issues has become increasingly important. Over the past two decades, scientific interest in this area has grown significantly, with particular attention to the sustainability of mountain regions. The Sustainable Development Goals (SDGs) have emphasized the importance of studying mountain areas, further highlighted by the UN General Assembly resolution of December 14, 2022, which addresses the sustainable development of mountains and places responsibility on states.

A sustainable future for mountain regions is linked to their transformation through innovative and ambitious approaches. This article explores the UNESCO Framework Programme "Education for Sustainable Development 2030" and examines educational opportunities that support the sustainable development of mountain areas. The analysis includes Georgian and international teaching experiences in both environmental sciences and mountain studies, covering both formal and non-formal education throughout Georgia.

Special attention is given to the activities and current educational programs of the Faculty of Sustainable Mountain Development at Georgian Technical University.

Keywords: Education; Educational programs; international experience; Sustainable development goals.

განხილვის თარიღი 14.04.2025
შემოსვლის თარიღი 15.04.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 624:693.54
SCOPUS CODE 2501
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-331-335

მხურვალმედეგი ბეტონები დაბალი და მაღალტემპერატული აგრეგატებისთვის

თამარ ესაძე სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68[ბ]
E-mail: t.esadze@gtu.ge

ხათუნა ლეჟავა სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68[ბ]
E-mail: kh.lejava@gtu.ge

რეცენზენტები:

ზ. ქარუმიძე, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: z.karumidze@gtu.ge

რ. ჟღენტი, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: rjgenti@yahoo.com

ანოტაცია. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება მეტად აქტუალური ამოცანაა საშენი მასალების წარმოების დარგში, რაც ითვალისწინებს ახალი ტექნოლოგიებისა და პერსპექტიული მასალების დანერგვას, ადგილობრივი ნედლეულისა და წარმოების ნარჩენების ფართო გამოყენებას; სამშენებლო მასალების წარმოებისას თბოენერგეტიკული და მატერიალური რესურსების ეკონომიას; პროდუქციის ხრისხის გაზრდას.

ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმალობაში, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, თბური აგრეგატების ექსპლუატაციისას ფართოდ გამოიყენება მხურვალმედეგი ბეტონები არსებული ძვირად ღირებული და დეფიციტური ცეცხლგამძლე მასალების ნაცვლად.

მიღებულ იქნა მხურვალმედეგი ბეტონები (დაბალ- და მაღალტემპერატურული თბური აგრეგატებისთვის) – მაღალეფექტური ამოსაგები მასალა, სადაც გამოყენებული იყო ადგილობრივი ნედლეული (წიდები) და საწარმოო ნარჩენები (მინის ლეწი, შამოტის ლეწი), რაც შესაძლებელს ხდის მასალების ტრანსპორტირებისთვის აუცილებელი მნიშვნელოვანი თანხების ეკონომიას. ვულკანური წიდები კი გამოიყენეს, როგორც მჭიდაში ასევე ბეტონში, რამაც გამოიწვია მასალის მცირეკომპონენტიანობა, ტექნოლოგიის გამარტივება და ნაკეთობის თვითღირებულების შემცირება.

საკვანძო სიტყვები: მხურვალმედეგი ბეტონი; სილიკონ-ნატრიუმიანი კომპოზიციური მჭიდა; სილიკატ-ლოდი.

შესავალი

სამშენებლო სექტორი ერთ-ერთი დინამიკური და სწრაფად მზარდია. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარება ძალზე აქტუალური ამოცანაა საშენი მასალების წარმოების დარგში. იგი ითვალისწინებს ახალი ტექნოლოგიებისა და პერსპექტიული მასალების დანერგვას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, ადგილობრივი ნედლეულისა და წარმოების ნარჩენების ფართო გამოყენებას, სამშენებლო მასალების წარმოებისას თბოენერგეტიკული და მატერიალური რესურსების ეკონომიას. მასალების ახალი, უფრო დახვეწილი თვისებები საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ ისინი არა როგორც ტრადიციული მასალების შემცვლელი, არამედ როგორც მშენებლობის ხარისხის ასამაღლებელი საშუალება, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მაღალი ფიზიკურ-მექანიკური და მხატვრულ-დეკორატიული თვისებები.

ძირითადი ნაწილი

ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, თბურ აგრეგატებსა და ექსპლუატაციის საქმეში წარმატებით გამოიყენება მხურვალმედეგი ბეტონები არსებული ძვირად ღირებული და დეფიციტური ცეცხლგამძლე მასალების ნაცვლად. მათ გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეტალურგიული, ცემენტის, მინისა და კერამიკის მრეწველობისათვის. ცეცხლგამძლე ცალობითი გამომწვარი ნაკეთობისგან შესრულებული ამონაგი (ჩვეულებრივ ეს არის შამოტის აგური) 4–5 თვის განმავლობაში გამოდის მწყობრიდან ე.ი. წარმოებაში მუდმივად მიმდინარეობს ვაგონეტების ამონაგის აღდგენაზე ძვირად ღირებული და დიდი მოცულობის სამუშაოები; მცირდება საწარმოს მწარმოებლობა; იზრდება ძვირად ღირებული და დეფიციტური ცეცხლგამძლე მასალების ხარჯი, რომელთა შემოტანა საქართველოში სხვა რეგიონებიდან ხდება, რაც პროდუქციას მნიშვნელოვნად აძვირებს.

ჩვენ დავამზადეთ მხურვალმედეგი ბეტონები დაბალტემპერატურული და მაღალტემპერატურული ღუმლების ამოსაგებად ადგილობრივი ნედლეულისა და მინის ნარჩენების ბაზაზე, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მათ ღირებულებაზე. ასეთი ბეტონების ტექნოლოგია არ საჭიროებს ყველაზე ძვირად ღირებულ და რთულ პროცესს – გამოწვას; საექსპლუატაციო თვისებებს იძენს მუშაობის პროცესში მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებისას; არის დიდგაბარიტიანი ფასონური ნაკეთობების დამზადების საშუალება, რაც ნაკერების რაოდენობას მინიმუმამდე ამცირებს; ასევე – საშუალებაა მივიღოთ წინასწარ დაგეგმილი თვისებების ბეტონები ყოველგვარი თბური აგრეგატისა და მათი ცალკეული ნაწილებისათვის აგრესიული გარემოს მახასიათებლების და მუშაობის პირობების მიხედვით; შემკვრელად სილიკატ-ლოდის გამოყენება თხევადი მინის ნაცვლად გამორიცხავს ისეთ ენერგოტევად ოპერაციას, როგორიცაა სილიკატ-ლოდიდან თხევადი მინის მიღება; საშუალებას იძლევა შემცირდეს სადუღაბო წყლის რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს შემკვრელის კოჰეზიური სიმტკიცის მნიშვნელოვან მომატებას, ამცირებს სილიკატ-ლოდის ხარჯს, რის გამოც მატულობს ბეტონის გამოყენების ტემპერატურა, შესაძლებელია ბეტონის

მშრალი ნარევის ცენრალიზებულად დამზადება, მისი ტრანსპორტირება ნებისმიერ მანძილზე და ბეტონის მომზადება უშუალოდ მომხმარებელთან; შემკვრელის შემადგენლობაში გამოყენებული ადგილობრივი ვულკანური წიდები ასევე გამოყენებულ იქნა როგორც შემვსები, რამაც გამოიწვია მასალების მცირეკომპონენტიანობა, ტექნოლოგიის გამარტივება და ნაკეთობის თვითღირებულების შემცირება, ხოლო მჭიდის და შემვსების ერთნაირი შედგენილობა იძლევა გარანტიას, რომ ტემპერატურის ცვლილებისას შინაგანი დაძაბულობები არ იქნება დიდი, განსაკუთრებით საკონტაქტო ფენებში, რაც იწვევს მასალის თერმომდგრადობის მომატებას; ერთი მხრივ წიდის მაღალი ფორიანობა აუმჯობესებს მასალის თბოფიზიკურ მაჩვენებლებს და მეორე მხრივ კომპონენტები – Al_2O_3, CaO, MgO და სხვა, რომლებიც შედიან წიდაში მაღალ ტემპერატურებზე აქტიურ კაჟმიწასთან წარმოქმნიან ცეცხლგამძლე ნაერთებს: $3Al_2O_3 \cdot 2SiO_2$; $CaO \cdot 2SiO_2$; და $MgO \cdot 2SiO_2$; ცეცხლგამძლეობის გაზრდის მიზნით გამოყენებულ იქნა შამოტის ლეწი (საწარმოო ნარჩენი) რომელიც, ზრდის სიმტკიცეს, ცეცხლგამძლეობას, ამცირებს ჩაჯდომას. იგი წარმოდგენილია მულიტის კრისტალური ფაზით და კრისტობალიტით. შამოტის შედგენილობაში არსებული სილიკატური მინა ქიმიურად არამდგრად მდგომარეობაშია, რომელიც ტუტე გარემოში აქტიურდება და მონაწილეობს უფრო მეტად მდგრადი ალუმინსილიკატური კრისტალების წარმოქმნაში რასაც მიჰყავს სისტემა ცეცხლგამძლეობის გაზრდამდე.



სურ. 1. მჭიდას რენტგენოგრამა თერმოდამუშავების შემდეგ

ბეტონის შედგენილობისა და შემვსების გრანულომეტრიის ოპტიმიზაციისათვის გამოვიყენეთ მათემატიკური სტატისტიკის მეთოდი. მტკიცე წებვადი კონტაქტები სილიკატნატრიუმიან კომპოზიციურ მჭიდაში შეიძლება შეიქმნას შემდეგ პირობებში: სილიკატ-ლოდის წვრილად დაფქული ნაწილაკების თანაბარი განაწილება; ამ ნაწილაკების დასველება წებვადი აფსკის წარმოსაქმნელად მათ ზედაპირზე; გამკვრივება დაყალიბებისას; თერმოდამუშავება (200^{0}C), რაც უზრუნველყოფს სილიკატ-ლოდის გალღობას, გაუწყლოებას და სისტემის გამყარებას; დადგინდა ბეტონში წყლის რაოდენობა; თერმოდამუშავების რეჟიმი, დაყალიბების მეთოდი და რეჟიმი გამოიცადა საწარმოო პირობებში.



სურ. 2. აგურის გამოსაწვავი ღუმლის ვაგონეტი

დასკვნა

მიღებული იქნა მსუბუქი და მძიმე მხურვალმედეგი ბეტონები – მაღალეფექტური ამოსაგები მასალა ადგილობრივი ნედლეულისა და საწარმოო ნარჩენების გამოყენებით, რაც ამცირებს მათ თვითღირებულებას, მასალების ტრანსპორტირებისათვის საჭირო თანხების ეკონომიის ხარჯზე.

ლიტერატურა

1. Nadiradze, (2014). *Building materials and products*. Technical University Publishing House.
2. Esadze, T., & Lezhava, Kh. (2021). *Building materials and products: Laboratory works*. Technical University Publishing House.
3. Chikovani, (2017). *Concretes, technical requirements, test methods in compliance with European construction standards*. Technical University Publishing House.
4. Gorlov, Yu., Merkin, A., Zeifman, M., & Toturbiev, B. (1986). *Heat-resistant concretes based on compositions of natural technogenic glasses*. Moscow: Stroyizdat.
5. Bardy, K., & Ghoenim, N. (1982). How temperature affects viscosity of some alumino-sodium silicate glasses. *Glass and Ceramics Research Bulletin*, *vol/issue if available*, *page numbers if available*.

UDC 624:693.54
SCOPUS CODE 2501
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-331-335

Heat-resistant Concretes for Low and High-temperature Aggregates

Tamar Esadze Department of Civil and Industrial Construction, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[b], M. Kostava str.
E-mail: t.esadze@gtu.ge

Khatuna Lejava Department of Civil and Industrial Construction, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68[b], M. Kostava str.
E-mail: kh.lejava@gtu.ge

Reviewers:
Z. Karumidze, Professor, Faculty of Civil Engineering, GTU
E-mail: z.karumidze@gtu.ge
R. Zhghenti, Professor, Faculty of Civil Engineering, GTU
E-mail: rjgenti@yahoo.com

Abstract. Accelerating scientific and technical progress is a very urgent task in the field of building materials production,

in the field, which includes the introduction of new technologies and promising materials, the widespread use of local raw materials and production waste; the saving of thermal energy and material resources during the production of building materials; and the increase in the cost of products.

Over the past few decades, in many countries around the world, refractory concretes have been widely used in the operation of thermal aggregates instead of existing expensive and scarce refractory materials.

Heat-resistant concretes (for low and high-temperature thermal aggregates) were obtained, which are highly efficient building materials, using local raw materials (slag) and industrial waste (glass cullet, chamotte cullet).

This makes it possible to save significant amounts of money on the transportation of materials. Volcanic slag was used as an admixture in concrete, which resulted in a smaller component of the material, simplification of the technology, and a reduction in the cost of the product.

Keywords: Refractory concrete; Silicate-stone; Silicon-sodium composite mortar.

განხილვის თარიღი 31.03.2025
შემოსვლის თარიღი 11.04.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 2.2.1
SCOPUS CODE 2503
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-336-343

მეტალ-პოლიმერული კომპოზიტების მიღება ვაკუუმური ინფუზიის ტექნოლოგიით, მაღალენტროპიული ფხვნილებითა და ბოჭკოებით გაძლიერებული მატრიცით

დავით წვერავა პოლიმერული კომპოზიტების და მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორია, გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0186, თბილისი, ე. მინდელის 7
E-mail: datotsverava@gmail.com

რეცენზენტები:

მ. ჯანიკაშვილი, სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის პროფესორი
E-mail: mjanikashvili@gmail.com

ს. კვინიკაძე, სტუ-ის გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის პოლიმერული კომპოზიტებისა და მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
E-mail: sophi.kvinikadze@gmail.com

ანოტაცია. მეტალ-პოლიმერული კომპოზიტური მასალების კლასი თხელი ალუმინის ფურცლებისა და ეპოქსიდური კომპოზიტური ფენებისგან შედგება. მათი ერთ-ერთი გავრცელებული ნაირსახეობაა ბოჭკოვანი ქსოვილებით (არამიდი და სხვა) დაარმატურებული მეტალ-პოლიმერული კომპოზიტი. ამ მასალებს, სხვა ანალოგებთან შედარებით, აქვს დაბალი კუთრი წონა, გაუმჯობესებული ანტიკოროზიული თვისებები, დაღლილობასა და დარტყმის მიმართ წინააღმდეგობა. ამასთან ერთად, აქტიურად მიმდინარეობს კვლევები მათი თვისებების სრულყოფისა და გაუმჯობესების მიმართულებით. კომპლექსური ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაუმჯობესების ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც აქტიური კვლევის ფაზაშია, არის სტრუქტურაში ფუნქციური მეტალური ნანოფხნილების დამატება. მეტალური ნანოფხვნილების შემავსებლებს შორის განსაკუთრებით პერსპექტიულად მიიჩნევა მაღალენტროპიული ნანოფხვნილები.

განხილულია ალუმინისა და ეპოქსიდური ფისის ბაზაზე, არამიდით გაძლიერებული და FeWNiTiAl მაღალენტროპიული ფხვნილებით შევსებული, მეტალ-პოლიმერული კომპოზიტების, ვაკუუმურ-ინ-

ფუზიური მეთოდით მიღების ტექნოლოგია და მიღებული ნიმუშების ზოგიერთი მექანიკური მახასიათებელი.

საკვანძო სიტყვები: მეტალ-პოლიმერული კომპოზიტი; დამაარმატურებელი ქსოვილი; მაღალენტროპიული ფხვნილი; ვაკუუმ-ინფუზია; დარტყმამედეგობა.

შესავალი

კომპლექსური ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მქონე ახალ მასალებზე მზარდი მოთხოვნები განაპირობებს სამეცნიერო კვლევების ინტენსიურობას, მათი თვისებების დაპროექტებისა და წარმოების ტექნოლოგიების შექმნის მიმართულებით. მასალების ფართო სპექტრში განსაკუთრებული თვისებების გამოვლინების შესაძლებლობებით მოწინავე ადგილი უკავია კომპოზიტებს, რომელთა წარმოების მოცულობა სულ უფრო იზრდება. კომპოზიტურ მასალებს შორის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა მეტალ-პოლიმერული კომპოზიტები. მათ შორის ბოლო 25 წლის განმავლობაში მსოფლიო მასშტაბით ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევები, რომლებიც დაკავშირებულია მრავალფენოვანი მეტალ-პოლიმერული კომპოზიტის შექმნასთან [1-13]. ასეთი კომპოზიტები სხვადასხვა მასალისგან დამზადებული, თხელი ფირფიტების კონსოლიდირებული სტრუქტურაა (ლამინატი). ლამინატის ზედა და ქვედა ფენა (შრე) მეტალისგან მზადდება. უმეტეს შემთხვევაში იყენებენ ალუმინს, ტიტანს, მაგნიუმს ან/და მათი შენადნობების თხელ ფირებს (დაახლოებით 0.5 მმ სისქით). შუა ფენების სახით კი წარმოდგენილია პოლიმერები, რომელთა მატრიცა გაძლიერებულია სხვადასხვა სახის ბოჭკოებით/ფიბრებით. დამაარმატურებელ სტრუქტურებად ხშირად იყენებენ არამიდისა და მინის ბოჭკოებისგან დამზადებულ ქსოვილებს. არამიდით დამაარმატურებელი კომპოზიტები ცნობილია Arall-ის, ხოლო მეორე სახის კომპოზიტები – Glare-ს სახელწოდებით. მეტალ-პოლიმერული კომპოზიტები გამოირჩევა მუშაობის მაღალი უნარით დინამიკურ დატვირთვებზე, დარტყმითი ენერგიის მაღალი ჩახშობის უნარით და ბალისტიკური ზემოქმედების მიმართ კარგი მედეგობით. ეს კომპოზიტები ძირითადად გამოიყენება თვითმფრინავთმშენებლობაში. ინფორმაცია მეტალ-პოლიმერული კომპოზიტების, როგორც მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების, საჯავშნე მასალად გამოყენების შესახებ, შედარებით მწირია, დღეისათვის დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც დაკავშირებულია ორგანოპლასტიკების შექმნასა და მათ გამოცდასთან დარტყმამედეგობაზე.

ამასთან ერთად, ლიტერატურაში არსებობს მრავალი შრომა, პოლიმერული მატრიცის ნანოფხვნილებით გაძლიერების შესახებ [14-16], მათ შორის აღსანიშნავია ბაზალტის ულტრადისპერსიული ფხვნილებით პოლიმერული მატრიცის გაძლიერების სამუშაოები, რომლებიც ჩატარებულია საქართველოში, სამთო ინსტიტუტში [17-18]. აღნიშნული კვლევების შედეგადაც დადასტურდა ულტრადისპერსიული ფხვნილებით კომპოზიტის სტრუქტურის მოდიფიცირება-გაუმჯობესების კარგი პოტენციალი. ულტრადისპერსიული მასალების კვლევების მიმართულებით, ბოლო პერიოდში, განსაკუთრებული ინტერესის საგანია მაღალენტროპიუ-

ლი შენადნობების ფხვნილები. ამ მიმართულებით კვლევები მიმდინარეობს აგრეთვე სამთო ინსტიტუტში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის #FR-21-6556 პროექტის სამუშაო გეგმით. აღნიშნული კვლევის მიზანია FeWNiTiAl მაღალენტროპიული ფხვნილებისა და მოცულობითი კომპოზიტების მიღება მაღალენერგეტიკულ წისქვილში, მექანიკური ლეგირებით და აფეთქებით კომპაქტირებით. ამდენად, არსებული რესურსებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, აღწერილი სამუშაოს მიზანია არამიდის ქსოვილით დაარმატურებული მეტალ-პოლიმერული კომპოზიტური ლამინატების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაუმჯობესება (ან ახალი თვისებების მინიჭება): FeWNiTiAl ულტრადისპერსიული მაღალენტროპიული ფხვნილების შეყვანით პოლიმერულ მატრიცაში; ულტრადისპერსიული ფხვნილებითა და ბოჭკოებით გაძლიერებული მატრიცის მქონე მეტალ-პოლიმერული კომპოზიტების სატესტო ნიმუშების დამზადება და დარტყმამედეგობაზე მათი გამოცდა „ჩარპის ურნალზე“. ამგვარად, დასმული პრობლემა შეიძლება ფორმულირდეს შემდეგნაირად: ულტრადისპერსიული FeWNiTiAl მაღალენტროპიული ფხვნილებით გაძლიერებული მატრიცის მქონე ახალი თაობის მეტალ-პოლიმერული ლამინატის შექმნა ორიგინალური ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებით.

ძირითადი ნაწილი

კვლევაში საწყის კომპონენტებად შერჩეულ იქნა: მეტალურ ფუძედ – ალუმინის 0.5მმ სისქის ფურცელი; არამიდის ქსოვილი, სხვადასხვა სტრუქტურით და ზედაპირული სიმკვრივით (200 და 350 გ/მ^2, Kelvar s 800d-P145 A200 და Kelvar s 800d-T160 A350); პოლიმერულ მატრიცად (ფენების ძირითად შემაკავშირებლად (ადჰეზივი) – ორკომპონენტიანი ეპოქსიდური ფისი; შემავსებლად – Fe-W-Ni -Ti -Al სისტემის მაღალენტროპიული ფხვნილების მიკრომექანიკური ნარევი.

მაღალენტროპიული ფხვნილების მიღება

მაღალენტროპიული ფხვნილების სინთეზი განხორციელდა მაღალენერგეტიკულ პლანეტარულ ნანოწისქვილში. ამ მიზნით მომზადდა 15%Fe-45%W7%Al-12%Ti-15%Ni-3%C-3%B (მასური კონცენტრაციით) კომპოზიციის მიკრომექანიკური ნარევი, რომელიც დამუშავდა FRITSH-ის მაღალენერგეტიკულ პლანეტარულ ნანოწისქვილში (სურ.1). დამუშავების რეჟიმი: მასა - 6 გ; ბრუნთა რიცხვი - 500 ბრ/წთ; ბურთულებისა და ფხვნილის მასების თანაფარდობა: 10:1; ჯამური დრო – 36 სთ (30 წთ უწყვეტი დაფქვა; 10 წთ დაყოვნება; რევერსიულად). დამუშავების პროცესში განხორციელდა ჰომოგენიზაცია და მაღალენტროპიული ნანოკომპოზიტის სინთეზი.

ა) ბ)

სურ.1. მაღალენტროპიული კაზმი, 15%-Fe; 45%-W; 7%-Al; 12%-Ti; 15%-Ni; 3%-C; 3%-B

ა) ნანოწისქვილი, ბ) დოლურაში ჩატვირთული კაზმი ბურთულებთან ერთად

შემკვრელი მასალა

ვაკუუმური ინფუზიის გამოყენებისას მთავარი მნიშვნელობა შემკვრელ მასალას ენიჭება. ამისთვის, როგორც წესი, გამოიყენება დაბალი სიბლანტის ფისები (100-250 მპა·წ), ვინაიდან კომპოზიტში (ბოჭკოებში) ფისის დენადობის უზრუნველყოფა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ქსოვილის გაჯერებული გაჟღენთისთვის. ამდენად, სიბლანტის მცირე ცვლილებამ (ზრდის მიმართულებით) შეიძლება გამოიწვიოს ინფუზიის შეფერხება. კვლევებით დადგინდა, რომ მატრიცაში მაღალენტროპიული ფხვნილის შეყვანით იზრდებოდა ფისის სიბლანტე, ამიტომ მნიშვნელოვანია ფისის მოდიფიცირებისას განისაზღვროს ფხვნილის ის ოპტიმალური შემცველობა, რაც არ გამოიწვევს პოლიმერული მატრიცის სიბლანტის მნიშვნელოვან მატებას. ექსპერიმენტებში გამოყენებულ იქნა მატრიცა, რომლის სიბლანტე მოდიფიცირებამდე იყო 120 მპა·წმ (თურქული წარმოების ეპოქსიდური ფისი - PREMIUM Epoxy Resin AB Glue). მოდიფიცირების შემდეგ იგი სრულად აკმაყოფილებდა წაყენებულ ტექნოლოგიურ მოთხოვნებს.

ვაკუუმ-ინფუზიის ტექნოლოგია

ტექნოლოგიური მოსაზრებების გათვალისწინებით საწყის ეტაპზე დამზადდა პოლიმერული მატრიცა, რომელსაც ემატებოდა მაღალენტროპიული ნანოფხვნილი, 2%-იანი მასური შემცველობით. პარალელურად ხორციელდებოდა ნარევის ჰომოგენიზაცია. 60 მმ დიამეტრისა და 4მმ სისქის დისკოს ფორმის ნიმუშების დასამზადებლად გამოყენებულ იქნა ვაკუუმური ინფუზიის მეთოდი, რომლის სქემა ნაჩვენებია მე-2 სურ-ზე. ვაკუუმური ინფუზიის ტექნოლოგია საჭიროებს შემდეგ მოსამზადებელ სამუშაოებს: ვაკუუმური კამერის მომზადება – წებოვანი ლენტებით შეკრული ორი გლუვზედაპირიანი პლატფორმა, რომელთა შორის მოთავსებულია ბოჭკოვანი ქსოვილი. კამერის ერთი ბოლო მილით უკავშირდება თხევად/ბლანტ მდგომარეობაში მყოფ პოლიმერ/ნანოფხვნილის სუსპენზიას,

ხოლო მეორე ბოლო ვაკუუმურ კამერას, რომელიც, თავის მხრივ, მიმდევრობით ჩართულია ვაკუუმურ ტუმბოსთან. პირველ სტადიაზე ტუმბოს მეშვეობით ხდება სუსპენზიის დეგაზაცია. მეორე ეტაპზე ვაკუუმის ხარჯზე უარყოფითი წნევის შედეგად (10^{-3} ტორი) ხდება კამერაში ქსოვილის შეკუმშვა და მიმდინარეობს დაკვირვება ნახევარი საათის განმავლობაში, ვაკუუმის შენარჩუნების ხარისხის დასადგენად. კამერაში სტაბილური ვაკუუმის მიღწევისას, იხსნება ონკანი და რეზერვუარიდან სუსპენზია გადაედინება კამერაში განთავსებული მილის მეშვეობით, რომელიც მთელ სიგრძეზე დასერილია სპირალურად და გარს უვლის ქსოვილების ფენას. ფისი/სუსპენზია შეედინება კამერაში ისე, რომ სრულიად ითვისებს შიგა სივრცეს, რაც საშუალებას იძლევა ფისის/სუსპენზიის მიერ ქსოვილის გაჟღენთის კარგ ერთგვაროვნებას მთელ ქსოვილში.

ნანოფხვნილებით შევსებული პოლიმერული მატრიცა გაჟღენთავს ქსოვილს და შეასრულებს შემკვრელის ფუნქციას, ერთმანეთთან დააკავშირებს ალუმინს და დამაარმატურებელი არამიდის ბოჭკოებს. სრული გამყარების შემდეგ კი მიიღება მეტალ-პოლიმერული კომპოზიტი.



სურ. 2. ვაკუუმური ინფუზიის სქემა

არამიდის ქსოვილით დამაარმატურებელი და მაღალენტროპიული შენადნობების ულტრადისპერსიული ფხვნილებით გაძლიერებული მეტალ-პოლიმერული კომპოზიტები, რომლებიც დამზადდა ვაკუუმურ-ინფუზიური ტექნოლოგიით წარმოდგენილია მე-3 სურ-ზე.

სურ. 3. ვაკუუმურ-ინფუზიური ტექნოლოგიით დამზადებული კომპოზიტები

დასკვნა

ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ ვაკუუმური ინფუზიის ტექნოლოგიით შესაძლებელია დამზადდეს ჰიბრიდული ბოჭკოებით გაძლიერებული მეტალ-პოლიმერული კომპოზიტი, მაღალენტროპიული ნანოფხვნილებით შევსებული მატრიცით.

ნანოფხვნილებით პოლიმერული მატრიცის შევსებისას საჭიროა წინასწარ დადგინდეს მყარი შემავსებლის გავლენა სუსპენზიის სიბლანტეზე და, საჭიროების მიხედვით, განხორციელდეს მატრიცის მოდიფიცირება.

საჭიროა ჩატარდეს კვლევები კონკრეტულ პოლიმერულ მატრიცაში მყარი მაღალენტროპიული შემავსებლის ოპტიმალური კონცენტრაციის დასადგენად და ფუძეშრესთან (ალუმინი) ადჰეზიის გავლენის შესასწავლად.

მადლიერება!

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული ფონდის“ (SRNSFG) მხარდაჭერით [გრანტი FR-21-6556]

ლიტერატურა

1. Das, R., Chanda, A., Brechou, J., & Banerjee, A. (n.d.). *Dynamic deformation, damage and fracture in composite materials and structures*. https://doi.org/10.1016/B978-0-08-100080-9.00017-8
2. Sinmazçelik, T., Avcu, E., Bora, M. O., & Çoban, O. (2011). A review: Fibre metal laminates, background, bonding types and applied test methods. *Materials & Design, 32*(7), 3671–3685. https://doi.org/10.1016/j.matdes.2011.03.035
3. Vlot, A., & Gunnink, J. W. (2011). *Fibre metal laminates: An introduction*. Springer Science & Business Media.
4. Sadighi, M., Alderliesten, R. C., & Benedictus, R. (2012). Impact resistance of fiber–metal laminates: A review. *International Journal of Impact Engineering, 49*, 77–90. https://doi.org/10.1016/j.ijimpeng.2011.10.009
5. Vaghoubi, A. S., & Liaw, B. M. (2012). Thickness influence on ballistic impact behaviors of GLARE5 fiber-metal laminated beams: Experimental and numerical studies. *Composite Structures, 94*(8), 2585–2598. https://doi.org/10.1016/j.compstruct.2012.03.026
6. Hoo Fatt, M. S., Ouyang, E. Y., & Castagna, A. (2003). Ballistic impact of GLARE™ fiber-metal laminates. *Composite Structures, 61*(1–2), 73–88. https://doi.org/10.1016/S0263-8223(03)00031-3
7. Langdon, G. S., Nurick, G. N., Jacob, N., & Simmons, V. (2009). Response of GLARE panels to blast loading. *Engineering Structures, 31*(12), 3116–3120. https://doi.org/10.1016/j.engstruct.2009.07.006
8. Starikov, R. (2013). Assessment of impact response of fiber metal laminates. *International Journal of Impact Engineering, 59*, 38–45. https://doi.org/10.1016/j.ijimpeng.2013.03.008
9. Langdon, G. S., Nurick, G. N., Karagiozova, D., & Cantwell, W. J. (2010). Fiber–metal panels subjected to blast loading. In B. Dattaguru & E. S. Dwarakadasa (Eds.), *Dynamic failure of materials and structures* (pp. 269–296). Springer. https://doi.org/10.1007/978-1-4419-0332-4_12
10. Langdon, G. S., Nurick, G. N., Jacob, N., & Simmons, V. (2007). Localized blast loading of fibre-metal laminates with polyamide matrix. *Composites Part B: Engineering, 38*(7–8), 902–913. https://doi.org/10.1016/j.compositesb.2006.11.002

11. Vo, T. P., Guan, Z. W., Cantwell, W. J., & Schleyer, G. (2013). Modeling of the low-impulse blast behavior of fibre metal laminates based on different aluminum alloys. *Composites Part B: Engineering, 44*(1), 141–151. https://doi.org/10.1016/j.compositesb.2012.06.003
12. Soutis, C., Hodzic, A., & Fairlie, R. (2011). Modeling the structural response of GLARE panels to blast load. *Composite Structures, 94*(1), 267–276. https://doi.org/10.1016/j.compstruct.2011.07.010
13. Das, R., Chanda, A., Brechou, J., & Banerjee, A. (n.d.). Impact behavior of fibre–metal laminates. In *Dynamic deformation, damage and fracture in composite materials and structures*. https://doi.org/10.1016/B978-0-08-100080-9.00017-8
14. Moses, A., Karthikeyan, K., & Balamurugan, K. (2023). Ball milling process variables optimization for high-entropy alloy development using design of experiment and genetic algorithm. *Powder Technology, 427*. https://doi.org/10.1016/j.powtec.2023.118810
15. Venkatesh Murthy, R., & Shantharaja, M. (n.d.). Influence of FeCoNiMnCr high-entropy alloy particulate fillers on morphology and mechanical behaviour of epoxy composites. *[Journal name missing—add if known]*
16. Chen, Z., Ren, X., Wang, P., & Ge, C. (2023). Design and experimental investigation of the high-entropy alloys AlCrFeNiCu and AlCrFeNbMo. *Journal of Materials Research and Technology, 26*, 3118–3135. https://doi.org/10.1016/j.jmrt.2023.01.076
17. Chikhradze, N., Marquis, F. D. S., & Abashidze, G. (2015). Hybrid fiber and nanopowder reinforced composites for wind turbine blades. *Journal of Materials Research and Technology, 4*(1), 60–67. https://doi.org/10.1016/j.jmrt.2015.01.002
18. Chikhradze, N., Abashidze, G., Tsverava, D., & Kvinikadze, S. (2024). Fabrication of protective composite structures by infusion technology to resist the blast wave. *Inżynieria Mineralna, 1*(1), 287–292. https://doi.org/10.29227/IM-2024-01-31

UDC 2.2.1
SCOPUS CODE 2503
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-336-343

Production of Metal-Polymer Composites Using Vacuum Infusion Technology weith High-Entropy Powders and Fiber-Reinforced Matrix

Davit Tsverava Laboratory of Polymeric Composites and High-Tech Materials, Grigol Tsulukidze Mining Institute, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia, 0186, E. Mindeli 7
E-mail: datotsverava@gmail.com

Reviewers:
M. Janikashvili, Professor, Institute of buildings, Special Systems and Engineering Support, GTU
E-mail: mjanikashvili@gmail.com
S. Kvinikadze, Head of the Laboratory of Polymeric Composites and High-Tech Materials, Chief Researcher, Grigol Tsulukidze Mining Institute, GTU
E-mail: sophi.kvinikadze@gmail.com

Abstract. The class of metal-polymer composite materials consists of thin aluminum sheets and epoxy composite layers. One of the widely used types is fiber-reinforced metal-polymer composites, reinforced with fabrics such as aramid and others. Compared to similar materials, these composites offer lower specific weight, improved anti-corrosion properties, and enhanced resistance to fatigue and impact. Additionally, ongoing research aims to refine and improve their properties further.

One of the methods currently under active investigation for enhancing the complex physical-mechanical properties of these materials is the incorporation of functional metallic nanoparticles into their structure. Among various metallic nanoparticle fillers, high-entropy nanoparticles are considered particularly promising.

This paper discusses the vacuum infusion technology used for producing metal-polymer composites based on aluminum and epoxy resin, reinforced with aramid fibers and filled with FeWNiTiAl high-entropy powders. Furthermore, it examines certain mechanical properties of the obtained samples.

Keywords: High-entropy powder; Impact resistance; Metal-polymer composite; Reinforcing fabric; Vacuum infusion.

განხილვის თარიღი 03.03.2025
შემოსვლის თარიღი 05.03.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 008
SCOPUS CODE 2604
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-344-351

წრიული ფოროვანი დისკოს ბრუნვით წარმოქმნილი გამტარი სითხის დინების სტაციონარული ამოცანა მაგნიტური ველის გათვალისწინებით

ლევან ჯიქიძე საინჟინრო მექანიკისა და მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68[ბ]
E-mail: l.jikidze@gtu.ge

ვარდენ ცუცქირიძე მათემატიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: b.tsutskiridze@mail.ru

ლიანა ქვარცხავა საინჟინრო მექანიკისა და მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68[ბ]
E-mail: kvartskhavaliana01@gtu.ge

რეცენზენტები:

ტ. კვიციანი, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: tarielk@mail.ru

ზ. ციცქიშვილი, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: z.tsitskishvili@gtu.ge

ანოტაცია. ნაშრომში შესწავლილია ელექტროგამტარ სითხეში წრიული ფოროვანი დისკოს ბრუნვით წარმოქმნილი დინების სტაციონარული ამოცანა დისკოში იმავე სითხის შეჟონვის სიჩქარის მუდმივი მნიშვნელობისათვის, ერთგვაროვანი მაგნიტური ველის გათვალისწინებით.

ამოცანის შესასწავლად გამოყენებულია მიმდევრობითი მიახლოების მეთოდი, რომელიც ცნობილია გრინის ფუნქციისა და მცირე პარამეტრის მეთოდის სახელწოდებით. განხილულ შემთხვევაში მცირე პარამეტრი რეინოლდსის რიცხვია. მაგნიტურ ველში ელექტროგამტარი სითხის მოძრაობის ნავიე-სტოქსის კერძოწარმოებულებიანი არაწრფივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემა კარმანის განზოგადებული ჩასმების გამოყენებით დაყვანილია ჩვეულებრივ არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე, რომელთა ამოხსნებს ვეძებთ უსასრულო მწკრივების სახით რეინოლდსის რიცხვის მცირე მნიშვნელობებისათვის.

ამოცანის ამოხსნა გრინის ფუნქციის გამოყენებით დაყვანილია ინტეგრალურ-დიფერენციალური განტოლებების ამოხსნაზე. აგებულია შესაბამისი ამოცანის გრინის ფუნქცია და მიღებულია რეკურენტული ფორმულები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია გამოვთვალოთ ამონახსნები ნებისმიერი მიახლოებით. ცხადი სახით გამოთვლილია პირველი ორი მიახლოება.

გამოთვლილია სითხის დინების ფიზიკური მახასიათებლები და მიღებულია გამოსახულებები სითხის სიჩქარის კომპონენტებისათვის, ასევე მიღებულია გამოსახულება დისკოზე წნევის განაწილებისათვის. გამოთვლილია ფირფიტის ბრუნვის წინაღობის მომენტი.

საკვანძო სიტყვები: გრინის ფუნქცია; დინება; დიფერენციალური განტოლება; ელექტროგამტარობა; კარმანის ჩასმები; მაგნიტური ველი; ფორიანობა; შეჟონვის სიჩქარე.

შესავალი

მბრუნავი დისკოს მახლობლობაში სითხის სტაციონარული დინება შესწავლილი იყო კარმანის [1] მიერ, რომელმაც დასმული ამოცანის ამოსახსნელად გამოიყენა თავისი ცნობილი გარდაქმნები, რომელთა საშუალებითაც სითხის მოძრაობის ნავიე-სტოქსის არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა დაიყვანა ჩვეულებრივ არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე. მოგვიანებით კოკრენის [2] მიერ მიღებული იყო კარმანის ამოცანის ასიმპტოტური ამოხსნები, რომელთა ანალიზი იყო ბევრად უფრო მარტივი და მიღებული იყო მეტად ღირებული ინფორმაცია. ყოველივე ამან კი განხილულ ამოცანას შესძინა მნიშვნელოვანი თეორიული ღირებულება. ბენტონმა [3] გააუმჯობესა კოკრენის მიერ მიღებული შედეგები და ამოხსნა არასტაციონარული ამოცანა. მან ასევე დაასაბუთა, რომ სტაციონარული ამოცანის ამოხსნა შეიძლება მიღებული იყოს დროზე დამოკიდებული პროცესების დახმარებით.

ნებისმიერი ნივთიერება (სხეული), რომელსაც აქვს ხვრეტები ან ფორები, რომელიც სითხეს საშუალებას აძლევს გაიაროს მასში, წარმოადგენს ფოროვან გარემოს. ეს მასალები შეიძლება დამზადებული იყოს ხელოვნურად კონკრეტული მიზნებისათვის (კერამიკა, ქაფი), ან შეიძლება იყოს ბუნებრივი, როგორიცაა ნიადაგები, ქანები და ბიოლოგიური ქსოვილები. მრავალი დისციპლინა, მათ შორის გეოლოგია, ჰიდროლოგია, ნავთობის ინჟინერია, გარემოსდაცვითი მეცნიერება და ბიოსამედიცინო ინჟინერია, დიდწილად დამოკიდებულია ფოროვან გარემოში სითხის ნაკადის მოძრაობის შესწავლაზე. აქედან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესოა ისეთი ამოცანების შესწავლა, რომლებიც დაკავშირებულია სითხით გარსდენადი ფოროვანი სხეულების მოძრაობასთან. სტიუარტი [4] იყო ერთ-ერთი პირველი იმ მეცნიერთაგან, რომელმაც შეისწავლა ფოროვანი წრიული დისკოს ზედაპირიდან სითხის გამოჟონვის (შეჟონვის) სიჩქარის გავლენა დისკოს ბრუნვით წარმოქმნილ სითხის ნაკადზე. კუიკენმა [5] შეისწავლა ფოროვან დისკოში სითხის თანაბარი შეჟონვის გავლენა დისკოს ბრუნვით წარმოქმნილ სითხის დინებაზე. ოკენდონმა [6] ასიმპტოტური მეთოდის გამოყენებით შეისწავლა მბრუნავი ფოროვანი

დისკოს ბრუნვით წარმოქმნილი სითხის დინება გაჟონვის სიჩქარის მცირე მნიშვნელობებისათვის.

მრავალი მეცნიერის ინტერესის საგანია ელექტროგამტარი სითხის დინებასთან დაკავშირებული ისეთი სტაციონარული და არასტაციონარული ამოცანების შესწავლა, როცა გარსდენადი ფოროვანი სხეულების ზედაპირების მახლობლობაში გათვალისწინებულია სუსტი ან ძლიერი მაგნიტური ველის ზემოქმედება. რაომ და გუპთამ [7] განაზოგადეს სტიუარტის ამოცანა მაგნიტური ველის შემთხვევაში გაჟონვის რეინოლდსის რიცხვის დიდი მნიშვნელობებისათვის. ამ მიმართულებით მრავალი შრომა აქვს გამოქვეყნებული ჯ.შარიქაძეს [9], ლ. ჯიქიძეს, ვ.ცუცქირიძესა და ე. ელერდაშვილს. [10], [11].

ძირითადი ნაწილი

წინამდებარე ნაშრომში მიმდევრობითი მიახლოების მეთოდით (გრინის ფუნქციისა და მცირე პარამეტრის მეთოდი) შესწავლილია წრიული ფოროვანი დისკოს ბრუნვით წარმოქმნილი ელექტროგამტარი სითხის დინების სტაციონარული ამოცანა მაგნიტური ველის გათვალისწინებით, დისკოში იმავე სითხის შეჟონვის სიჩქარის მუდმივი მნიშვნელობისათვის.

ვთქვათ R რადიუსის ფოროვანი წრიული დისკო ბრუნავს ელექტროგამტარ სითხეში დისკოს O ცენტრზე მის მართობულად გამავალი Oz ღერძის გარშემო ω კუთხური სიჩქარით, დისკოში ხდება იმავე სითხის შეჟონვა მუდმივი $\vec{\upsilon}_w$ სიჩქარით და დისკოს მართობულად მოქმედებს ერთგვაროვანი $\vec{B}$ მაგნიტური ველი. ამოცანის მიზანია დისკოს მახლობლობაში სითხის დინების ხასიათის შესწავლა და სითხის ყველა ფიზიკური მახასიათებლის განსაზღვრა.

ვისარგებლოთ მაგნიტურ ველში გამტარი სითხის სტაციონარული მოძრაობის ნავიე-სტოქსის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემით, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

ინტერიერიზაცია ასევე არის რესოციალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც იწვევს მოქმედების გარე ფორმების, სოციალური გამოცდილების, კულტურული ფასეულობებისა და გარემო ფაქტორების ტრანსფორმაციასა და გადატანას ინდივიდის ცნობიერებაში. ის საშუალებას აძლევს ინდივიდს რესოციალიზაციის პროცესში ჩართოს ახალი ცოდნა, რწმენა, პრაქტიკა, ქცევის ნორმები თავის შინაგან სამყაროში, გადააქციოს ისინი პიროვნულ ღირებულებათა სისტემად. რესოციალიზაციის პროცესში ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ინდივიდის უნარი გამოიყენოს რეფლექსიისა და თვითრეფლექსიის უნარები, ანუ უნარი გამოიკვლიოს რა ხდება მის გარშემო, საკუთარი აზრები, ცნებები და ღირებულებითი ორიენტაციები. ეს საშუალებას აძლევს ინდივიდს დაზოგოს და გამოიყენოს თავისი გამოცდილების ყველა ასპექტი, განსაზღვროს თავისი აზროვნება, შეინარჩუნოს და

გააუმჯობესოს იგი რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია. რეფლექსია და თვითრეფლექსია მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია პრობლემების დაძლევაში, რომლებიც წარმოიქმნება პიროვნების რესოციალიზაციის შედეგად.

ზემოაღნიშნული პროცესები მიმდინარეობს ერთდროულად და აღიარებულია როგორც მნიშვნელოვანი ასპექტები სრული რესოციალიზაციისთვის – წარმატებული ინტეგრაცია ახალ სოციალურ და კულტურულ გარემოში, ახალი „მე-კონცეფციის“ პიროვნების ჩამოყალიბება, ინდივიდუალური კონფლიქტებისა და იმედგაცრუებების დაძლევა.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევრები ხაზგასმით აღნიშნავენ საკმარისად დიდ მიზეზებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს რესოციალიზაციის პროცესი. ზოგიერთი მათგანი შეიძლება იყოს გარე, მათ შორის: სოციალური ცვლილებები, რომლებიც, მაგალითად, ხდება პოლიტიკური რეჟიმის ცვლილებისას, ეკონომიკური კრიზისის ან სოციალური შოკის დროს; კულტურული ცვლილებები, რომლებიც ხდება სხვა კულტურებთან ურთიერთობისას; ცვლილებები განათლებასა ან პროფესიულ კარიერაში, მაგალითად, განათლების ახალ საფეხურზე გადასვლისას ან პროფესიის შეცვლისას, რასაც თან ახლავს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენა; მიგრაციის შედეგად, როდესაც საჭიროა ახალ საზოგადოებასთან და კულტურასთან, ასევე კანონმდებლობასთან ადაპტაცია.

თანამედროვე უცხოური და საშინაო სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ, რომ რესოციალიზაციის პროცესს მკვლევრები ძირითადად სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის კონტექსტში განიხილავენ, როგორც ინდივიდის სოციალური როლისა და ქცევის შეცვლის პროცესს. თუმცა ამ ფენომენს ფილოსოფიური ასპექტიც აქვს.

რესოციალიზაციის შესწავლა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ-ანთროპოლოგიური მიდგომის პერსპექტივიდან შეიძლება განისაზღვროს, როგორც პროცესი, ინდივიდის პიროვნების ტრანსფორმაცია, ახალი მსოფლმხედველობის, ღირებულებების სისტემის და ცხოვრების ახალი შეხედულებების ჩამოყალიბება, რომლებიც ჩამოყალიბდა ადამიანის მიერ ახალი სოციალური ნიმუშების დაუფლების შედეგად, მაქსიმალური თვითგამორკვევის მიღწევის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ სწორედ მსოფლმხედველობა, შეხედულებები ცხოვრებასა და ფასეულობებზე არის ინდივიდის მიზნების საფუძველი, რაც შემდგომ განსაზღვრავს მის ქცევას და ცხოვრების წესს, ასევე არის მისი განვითარების მამოძრავებელი ძალა და მიმართულება. ამიტომ, წარმატებული რესოციალიზაციისთვის სავალდებულოა ახალი მსოფლმხედველობის კონცეფციების, ღირებულებების გადახედვა და ჩამოყალიბება, ასევე ახლის შეძენა ან ცხოვრების დაკარგული აზრის აღდგენა.

რესოციალიზაცია, გარდა სოციალური და კულტურული ადაპტაციისა, ასევე შეიძლება მოიცავდეს ფსიქოლოგიური აკულტურაციის ფაზას, რის შედეგადაც წარმოიქმნება ახალი კულტურული რაობა.

ფსიქოლოგიური აკულტურაციის, ახალ კულტურაში ინტეგრაციისა და მისი დაუფლების პროცესში, ინტერიერიზაციის გზით ფართოვდება პიროვნების სულიერი გამოცდილება, ყალიბდება პი-

როვნების ახალი თავსებადობა სხვა კულტურასთან, გადაიაზრება მშობლიურის ძირითადი მახასიათებლები, რაც ხელს უწყობს ბიკულტურული პიროვნების ჩამოყალიბებას.

ბიკულტურალიზმი გულისხმობს ორი კულტურული იდენტობის არსებობას, რომლებიც შეიძლება თანაარსებობენ და ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, ახდენენ გავლენას პიროვნების ჩამოყალიბებაზე, ახალ რწმენაზე, დამოკიდებულებებზე, ღირებულებებზე, ქცევის ნორმებზე და ა.შ.

ბიკულტურალიზმთან დაკავშირებული კონცეფცია არის ხელოვნური ბილინგვიზმი, რომელიც განისაზღვრება როგორც ადამიანის უნარი დაეუფლოს ორ ენობრივ და კულტურულ კოდს, რომელთაგან ერთი შეძენილია ბუნებრივი ენობრივი გარემოს გარეთ, განიხილება ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ფარგლებში, ის ასევე არის ფენომენი, რომელშიც ხდება პიროვნების ჩამოყალიბება – მისი ახალი მსოფლმხედველობა, შეხედულებები ცხოვრებისა და ღირებულებების შესახებ.

დასკვნა

ამჟამად რესოციალიზაციის პროცესის კვლევა ძირითადად სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის და პედაგოგიკის კონტექსტში ტარდება. თუმცა, ამ პროცესის შესწავლა ფილოსოფიური მეცნიერებების ფარგლებში, განსაკუთრებით ფილოსოფიური ანთროპოლოგიის კონტექსტში, აუცილებელია ვიდრე ფსიქოლოგიური აკულტურაციის, ინტერიერიზაციის, რეფლექსიის, თვითრეფლექსიის, ბიკულტურალიზმისა და ბილინგვიზმის შესწავლა. რესო–ციალიზაციის პროცესის ფილოსოფიური გაგებისა და ინტერპრეტაციის წყალობით შესაძლებელია პიროვნების არსის უფრო სიღრმისეული შესწავლა, მისი პიროვნული ტრანსფორმაცია პიროვნების ახალი „მე-კონცეფციის“ ფორმირებით, როგორც ინდივიდის ადგილი და როლი ცვალებადი სამყაროსა თუ რეკონსტრუქციული რეალობის სოციალურ და კულტურულ პირობებში.

ლიტერატურა

1. Neiterman, E., & Bourgeault, I. (2015). Professional integration as a process of professional resocialization: Internationally educated health professionals in Canada. *Social Science & Medicine, 131*, 74–81. https://doi.org/10.1016/j.socscimed.2014.09.023

2. Sam, D. L. (2015). Acculturation. In J. D. Wright (Ed.), *International Encyclopedia of the Social & Behavioral Sciences* (2nd ed., Vol. 1, pp. 1–6). Elsevier. https://doi.org/10.1016/B978-0-08-097086-8.23031-4

UDC 316.6
SCOPUS CODE 3321
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-395-400

Resocialization- Concepts and Essence in Social and Philosophical Sciences

Nino Kavtaradze Department of Public Administration Electronic Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: ninokavtaradze0481@yahoo.com

Nodar Mataradze Department of Public Administration Electronic Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: n.mataradze@prevention.gov.ge

Reviewers:

Sh. Metreveli, Professor, PHD Doctor, faculty of Business Technologies, GTU
E-mail: metrevelish@gmail. com

T. Lagvilava, Associate Professor, PHD Doctar,Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: t.lagvilava@gtu.ge

Abstract. In the modern society, the value-normative system is important, as well as the orientation of a person to this system. The study of the resocialization process is aimed at studying the mechanisms and methods that help a person adapt to new living conditions, master new norms, values, attitudes and patterns of behavior. Within the framework of this article, a comparative analysis of the scientific concepts of resocialization is carried out, its place in the problematic sphere of modern foreign and Russian sciences is determined, and the essence of this phenomenon in a changing world is considered. The problem of resocialization should be raised not only in the social sciences, but also in the philosophical sciences. The transformation of the individual's personality, his perception of the world and his attitude to society and culture.

Keywords: Biculturalism; Bilingualism; Self-reflection; Social Adaptation; Socialization; Sociocultural Adaptation.

განხილვის თარიღი 26.02.2025
შემოსვლის თარიღი 18.03.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

UDC 351.74:005.95
SCOPUS CODE 3321
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-401-408

კადრების მართვის უმნიშვნელოვანესი ასპექტები საჯარო მმართველობის სისტემაში

შორენა შელია საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: shorenas84@gmail.com

რეცენზენტები:
შ. დოღონაძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: Sh.dogonadze@gtu.ge
ბ. გოდერძიშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: b.goderdzishvili@gtu.ge

ანოტაცია. კადრების სწორი მართვა საჯარო (სახელმწიფო) სამსახურებში კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეფექტიანი და გამჭვირვალე მმართველობისთვის. თანამედროვე მმართველობითი უწყებები აწყდებიან უამრავ გამოწვევას პერსონალის მართვის ნაწილში. აღიარებულია, რომ კადრების მართვა ზოგადად გულისხმობს პირის სამსახურში მიღებისა და ადაპტაციის პროცესის მართვას.

თანამედროვე მიდგომები და ფუნდამენტური ღირებულებები, რომლებიც გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებენ სახელმწიფო მომსახურების მართვის სისტემების ეფექტური და გამჭვირვალე ფუნქციონირებისათვის, წარმოადგენს საფუძველს მდგრადი და სამართლიანი მმართველობის ასაშენებლად. სტატიაში მოცემულია საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემაში კადრების მართვის უმნიშვნელოვანესი პრინციპების, საკადრო პოლიტიკის ძირითადი ასპექტების, გამოწვევების ანალიზი, ახალი ტენდენციებისა და თანამედროვე მართვის სისტემების შესწავლა და მათი დანერგვის უზრუნველყოფა. განხილულია მმართველობით სისტემაში არსებული პრობლემები (როგორიცაა დაბალი ეფექტიანობა, პროცესების გამჭვირვალობის ნაკლებობა, თანამშრომელთა დაბალი მოტივაცია და პროფესიონალიზმის დეფიციტი), მათი გადაჭრის გზები და მეთოდები, მათ შორის ინოვაციური მიდგომების დანერგვა, ციფრული ტექნოლოგიების განვითარება. კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და შედეგებზე დაფუძნებული შეფასების მექანიზმების დანერგვა. ხაზგასმულია საჯარო სექტორის გამჭვირვალობის, კადრების მართვის პროფესიონალიზმის, რესურსების სამართლიანი განაწილებისა და შედეგზე ორიენტირებული მოტივაციის სისტემის შექმნის საფუძვლები.

საკვანძო სიტყვები: კადრების მართვა; კარიერული წინსვლა; მოტივაცია; პროფესიონალიზმი; სამეცნიერო კვლევა; საჯარო სამსახური.

შესავალი

ტერმინი ,,ადამიანური რესურსები“ ფართო ცნებაა და მასში იგულისხმება, როგორც დაბალი რგოლის პერსონალი, ისე მმართველი მენეჯერები, რომლებიც მთლიანობაში – ერთობლივად აღწევენ ორგანიზაციის წარმატებებს. გარდა ამისა, კადრების მართვის მიზანი უნდა იყოს ორგანიზაციის განვითარებისკენ სწრაფვა, ასევე ადამიანებს შორის ნდობის ჩამოყალიბება და ამ ნდობაზე დაფუძნებული პირადი შესაძლებლობების რეალიზაციის ხელშეწყობა.

ამ ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით 2017 წელს ძალაში შევიდა 2015 წელს მიღებული საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ [3]. კანონში ჩამოყალიბებული ნორმები და სტანდარტები შემუშავებულია წლების განმავლობაში მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტებისა და დარგის მკვლევრების მიერ გამოქვეყნებული დასკვნების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ეს მოცემულობები თანაბრად ხელშესახები და მისაღებია როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორისთვის, რადგან მათი ქმედებების განმსაზღვრელი წყარო ყველა შემთხვევაში ადამიანია (დასაქმებული).

ძირითადი ნაწილი

ადამიანური რესურსების მართვის მიზანი

კადრების მართვა არის ცოდნის, ძალისხმევის შესაძლებლობების გამოყენება შრომითი ურთიერთობების ნაწილში, ამოცანაა ისე გამოიყენოს ეს შესაძლებლობები, რომ ორგანიზაცია გახდეს წარმატებული. ადამიანური რესურსების მართვის მეთოდიკა ორგანიზაციას, პერსონალს განიხილავს როგორც მართვის ობიექტს, ის მოიცავს ორგანიზაციის ფუნქციონირებას კონკრეტულ პირობებში, რეალიზაციის, მექანიზმის ფორმირების, ორგანიზაციულ და პრაქტიკულ მიდგომებს.

ადამიანური რესურსების მართვის **მიზანია**: 1) დაეხმაროს ორგანიზაციას დასახული ამოცანების გადაჭრაში, 2) უზრუნველყოს ორგანიზაციაში ნიჭიერი და მონდომებული თანამშრომლების მოზიდვა, 3) შექმნას სანდო და კარგი გარემო დასაქმებულ პირებსა და ხელმძღვანელებს შორის, 4) განავითაროს მართვის სფეროში ეთიკური მიდგომა.

თანამედროვე საკადრო პოლიტიკის ძირითადი მიზანია კვალიფიციური, მოტივირებული კადრების მოზიდვა და შენარჩუნება, რაც აუცილებლად გააუმჯობესებს სამსახურის საქმიანობას. კარიერული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მოხელეების პროფესიული გადამზადება, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, ასევე კონფლიქტების მართვა, მათი გადაჭრის გზების შემუშავება და სისრულეში მოყვანა.

მმართველობით სისტემაში არსებობს გარკვეული გამოწვევები და პრობლემები როგორიც არის, მაგალითად:

- კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;
- საჯარო სამსახურში დაბალი ანაზღაურება, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს პერსონალის დემოტივაციას;
- კადრების არასაკმარისი პროფესიული განვითარება;

- ხელმძღვანელი რგოლის მხრიდან საკადრო გადაწყვეტილებები ხშირად ფასდება არა პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, არამედ კორუფციული და პირადი მოტივებით.

ცნობილი მკვლევარი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში **დევიდ გესტი (David Guest** მოღვაწეობდა 2000-იანი წლების დასაწყისში) მიუთითებდა, რომ **„ადამიანური რესურსების მართვა**" ძირითადად ემყარება მოტივაციას და ერთგულების თეორიებს, ასევე იმ სხვა იდეებს, რომლებიც ორგანიზაციული წესრიგის სფეროდან მომდინარეობს. დ. გესტის სტრატეგიით [5], ადამიანური რესურსების მართვის მიზანი უნდა იყოს ორგანიზაციის და თანამშრომელთა კეთილდღეობის ბალანსი. უნდა მოხდეს თანამშრომლების მოტივაცია და ერთგულების გაღვივება, კვალიფიციური და კომპეტენტური კადრების განვითარება, მოქნილი სამუშაო პრაქტიკის შექმნა, ამ მეთოდის განხორციელების შემდეგ ერთობლივ სარგებელს მიიღებენ როგორც დასაქმებულები, ისე ორგანიზაციები. კერძოდ, დამსაქმებელი აღწევს მართვის უფრო მაღალ სტანდარტს, ხოლო თანამშრომლები იღებენ უკეთეს პირობებში საქმიანობის გააგრძელების შესაძლებლობას. დ. გესტის ეს მიგნება ხშირად განიხილება როგორც უმაღლესი შესრულების მოდელი. ზუსტად ასეთი მართვის დანერგვა განაპირობებს მომავალში იმ მიზნების რეალიზების შესაძლებლობას, რასაც ჰქვია ადამიანური რესუსრების სწორად მართვა.

მოტივაციის გავლენა ადამიანური რესურსების მართვაში

მოტივაციის თეორია, განსაკუთრებით კი მოლოდინისა და მიზნების თეორიები, პირდაპირპროპორციულად მოქმედებს იმ ფაქტორებზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მართვის ხარისხზე, ემსახურებიან მუშაკთა პროგრესს, მათ წახალისებას, რათა თანამიმდევრულად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები. მოტივაციის იდეაფიქსი არის დასაქმებულთა პირველადი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების ჯეროვანი დაკმაყოფილება, რაც უზრუნველყოფს ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეს და პიროვნული თვისებების სრულყოფილებას.

მეცნიერმა **დევიდ მაკლელანდმა** (David McClelland) [6] XX საუკუნის 60-იან წლებში შემოგვთავაზა სამსაფეხურიანი თეორია. იგი მიუთითებდა ადამიანის განსხვავებული მოტივაციის წყაროებზე. მკვლევარი გამოყოფს სამ ძირითად ფაქტორს:

1) **დიდი მიღწევების მოტივაციას** (Need for Achievement), ეს არის მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის სურვილს წარმატების მისაღწევად. ასეთი ადამიანი გამოირჩევა წარმატებისკენ სწრაფვით, იგი მუდმივად იღვწის თვითგანვითარებისკენ, უპირატესობას ანიჭებს საშუალო სირთულეებს, მათი გადაჭრით უფრო რეალური შანსი ეძლევა დასახული მიზნის მისაღწევად. გამოირჩევა კრეატიული აზროვნებით და ცდილობს ახალი იდეების შემუშავებას. ასეთი ადამიანი უფრო გვხვდება მეწარმეებს, მეცნიერებსა და მენეჯერებს შორის.

2) **თანამშრომლური ურთიერთობების მოტივაცია** (Need for Affiliation) ასეთი ადამიანი ორიენტირებულია ადამიანურ ურთიერთობებზე, მისთვის მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობის პრინციპი, ერიდება კონფლიქტურ სიტუაციებს. ამ ჯგუფს მიეკუთვნება პედაგოგები, სპეციალისტები და მუშაკები.

3) **ძალის მოტივაცია** (Need for Power) ასეთი ადამიანი მოტივირებულია ძალის დემონსტრირებით, მას ამოძრავებს ლიდერობის და ძალაუფლების წყურვილი, სიამოვნებს ადამიანების მართვა. ასეთი

ადამიანი გვხვდება პოლიტიკოსებს, მენეჯერებსა და სამხედრო პირებს შორის. (სახელმძღვანელო **The Achieving Society - მიღწევების საზოგადოება** 1961 წელი).

ზემოხსენებული ფაქტორები მიუთითებს, რომ ყველა ადამიანს სახვადასხვა მოტივაცია აქვს, თუმცა ეს ყოველივე მის მისწრაფებებზეა დამოკიდებული.

კონფლიქტების მართვა თანამედროვე საჯარო მმართველობის სისტემაში

კონფლიქტური სიტუაციები წარმოიშობა საჯარო სამსახურში მაშინ, როდესაც ღირებულებები უპირისპირდება ერთმანეთს. კონფლიქტების მართვა ითხოვს არა მხოლოდ პრობლემის მოგვარებას, არამედ სისტემური ხერხის გამოყენებას, რომელიც შემდგომ ხელს შეუწყობს გრძელვადიან სტაბილურობას. არსებობს კონფლიქტის მართვის მრავალი სტრატეგია, მათ შორის ისეთი, როგორიცაა:

- **პრობლემის გამოვლენა** და **დახმარება** – ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზს, რათა მოინახოს საჭირო გადაჭრის ხერხები.
- **თანამშრომლური მიდგომა** – გულისხმობს სხვადასხვა მხარეს მოლაპარაკებების წარმოებას, რომლის დაკმაყოფილება და განხორციელება მიიღწევა ურთიერთშეთანხმების ხარჯზე.
- **განსხვავებული აზრის პატივისცემა** – კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ ერთმანეთის მოსმენა, შეხედულებებისა და მოსაზრებების გაცვლა და განსხვავებული აზრის პატივისცემა არის პრობლემის გადაჭრის საფუძველი.

თანამშრომლების პროდუქტიულობა ორგანიზაციაში დამსაქმებლის მხრიდან ღირსეული მოპყრობის პირდაპირპროპორციულია. ეს თეორია 1976 წელს შემოგვთავაზა **ჯორჯ გრენმა** [4]. თეორია იკვლევს ლიდერებსა და ხელქვეითებს შორის ურთიერთობას. ჯ. გრენმა შექმნა თეორია სახელწოდებით ,,**LMX**'' და ის ორ ჯგუფად ჩამოაყალიბა :

1) **ინ** (**IN**) ჯგუფი – ამ თეორიის მიხედვით ჯგუფის წევრებს მჭიდრო და კარგი ურთიერთობები აქვთ ლიდერებთან, ისინი ჩართულები არიან გადაწყვეტილების მიღებაში.

2) **აუთ** (**OUT**) ჯგუფი – ამ თეორიის მიმდევრებს აქვთ ფორმალური ურთიერთობა ლიდერებთან, მათი ჩართულობა მინიმალურია გადაწყვეტილების მიღებაში, აქვთ ბევრად მცირე შესაძლებლობები ვიდრე **ინ** (**IN**) ჯგუფის წევრებს.

ჯორჯ გრენი მიუთითებს ასევე **დამოკიდებულებების მართვაზე** – აქ გრენი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლიდერები უნდა იყენებდნენ ისეთ სტრატეგიებს, რომელიც ადამიანური რესურსების ანუ ლიდერების და თანამშრომლების ურთიერთდამოკიდებულების შედეგად მიიღწევა.

გუნდურობა და გადაწყვეტილების მიღება – გულისხმობს საჯარო მმართველობის სისტემაში გუნდური მუშაობის პრინციპის დანერგვას და ამ მეთოდიკის საშუალებით თანამშრომელთა პოტენციალის სრულ და ეფექტიან გამოყენებას.

ლოკალური ურთიერთობები – ამ მეთოდის მიხედვით ლიდერები და ხელქვეითები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გუნდის განვითარებაში, როდესაც მათ შორის არსებობს ღია კომუნიკაცია. ჯ. გრენი ასევე გამოყოფს ლიდერობის სტილსაც (ავტორიტარული – დემოკრატიული) და მიუთითებს, რომ მმართველები თავად ირჩევენ თუ რომელი მუშაობის სტილზე გააკეთებენ არჩევანს და რომელი მეთოდი იქონიებს გავლენას თანამშრომ-

ლებზე. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლიდერი რომელიც იყენებს სწორ მეთოდებს, სამსახურში თავიდან იცილებს კონფლიქტებს ან არსებობის შემთხვევაში, მალევე ეფექტურად აგვარებს მათ, ჯ. გრენის თეორია ზოგადად მიზნად ისახავს ხელქვეითებისა და ლიდერების ურთიერთობის გაუმჯობესებას, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციის სტაბილური საქმიანობისთვის. (**New Frontiers of Leadership** – ლიდერობის ახალი საზღვრები, წიგნი გამოიცა ახალი რედაქციით 2004 წელს)

ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის ასპექტები

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ადამიანური რესურსების მართვა შეგვიძლია განვმარტოთ როგორც ორგანიზაციაში დასაქმებულ პირთა წინსვლისკენ, განვითარებისკენ მიმართული სტრატეგიული მწყობრი მიდგომა. ზოგადად სტრატეგიული მართვა არის მართვის ისეთი მეთოდი, რომელიც შეირჩევა კონკრეტული მიზნის მისაღწევად. ძირითადი ყურადღება ექცევა ორგანიზაციის სტრატეგიის განსაზღვრას. სტრატეგიულად მოაზროვნე ხელმძღვანელი პირი გამოირჩევა შორეული ხედვის ნიჭით. უნდა ითქვას, რომ სტრატეგიული მართვა გულისხმობს მიზნის განსაზღვრას, საშუალებების მიგნებას და მათ შორის კავშირებს.

ზოგადად სტრატეგიას აქვს სამი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი:

1. **მომავლის ხედვა** – რა მიმართულებით სურს სვლა ორგანიზაციას და როგორ უნდა მივიდეს დანიშნულების წერტილამდე. ანუ წინასწარ იგეგმება დასახული მიზნების შესასრულებელი საშუალებები და გზები.

2. **რესურსებზე დაფუძნებული ხედვა,** ანუ ორგანიზაციაში არსებული რესურსების პოტენციალის განსაზღვრა, ანალიზი და მათი რეალიზაციის შესაძლებლობები.

3. **სტრატეგიული თანხვედრა** გულისხმობს კადრებსა და ორგანიზაციას შორის საქმიან სტრატეგიებთან თანხვედრას, როდესაც დამსაქმებელთა გეგმები და მათი თანამშრომლების ურთიერთდამოკიდებულება ჰარმონიულია. ზოგადად მსგავსი საერთო გადაკვეთის წერტილის პოვნა საკმაოდ რთული საკითხია, აღნიშნულ თემას არაერთმა მეცნიერმა მიუძღვნა თავისი ნაშრომი. ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი და სტრატეგიული მენეჯმენტის ექსპერტი არის **დერეკ აბელი** (Derek Abell) [1]. მან 1980 წელს გამოსცა სახელმძღვანელო ,,ბიზნესის განსაზღვრა, სტრატეგიული დაგეგმვის საწყისი წერტილი“ (**Defining the Business: The Starting Point of Strategic Planning**) სადაც შემოთავაზებულია სტრატეგიის სამი მოდელი.

1. (WHAT) გულისხმობს კომპანიასა და მომხმარებელს შორის ორმხრივი კმაყოფილების ხარისხს.

2. (WHO) მომხმარებელი ანუ ვინ არის მომხმარებელი (ე.წ. მიზნობრივი ჯგუფი).

3. (HOW) ტექნოლოგიები რომლითაც აკმაყოფილებს ბიზნესი მომხმარებლის მოთხოვნებს, კონკრეტულად რა ფორმით ხორციელდება პროდუქციის გაცემა და მომსახურება.

დერეკ აბელი იკვლევდა თუ როგორ უნდა შეერჩიათ კომპანიებს სწორად ბაზარი და გაეფართოებინათ მათი ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის შრომითი საქმიანობის სფერო. მის სტრატეგიებს დღემდე აქტიურად იყენებენ კომპანიები, როგორიცაა თავის სფეროში მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ფლაგმანი ,,**Netflix**“-ი. ეს კომპანია თავდაპირველად ორიენტირებული იყო ,,**DVD**''-ის გაქირავების სერვისზე, შემდეგ კი ის გაფართოვდა და

გავიდა უმსხვილეს ბაზარზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოხსნებულმა კომპანიამ გამოიყენა აბელის მეთოდი, კერძოდ კი გაითვალისწინა და შეისწვლა მომხმარებლის საჭიროებები, განსაზღვრა მომხმარებელთა ჯგუფი (ფილმების მაყურებელთა და გართობის მოყვარულთა ჯგუფი) და ტექნოლოგიური სისტემების გამოყენებით შექმნა დეფინირების (რომელი ჟანრის ფილმების ყურება სურთ) და სტრიმინგის (ონლაინსერვისი გადმოწერის გარეშე) პლატფორმა.

ადამიანური რესურსების მართვის ფილოსოფია

ადამიანური რესურსების მართვის ფილოსოფია (Humanistic Management Philosophy) არის მენეჯმენტის მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია ადამიანზე, როგორც ორგანიზაციის მთავარ ღირებულებაზე და წარმატების წყაროზე. ადამიანური რესურსების მართვის ფილოსოფიის ძირითადი პრინციპებია: ღირსების პატივისცემა, კეთილდღეობის პრიორიტეტი, სოციალური პასუხისმგებლობა, განვითარების ხელშეწყობა.

ადამიანური რესურსების მართვის ფილოსოფია დღეისთვის საკმაოდ მოთხოვნადია, რადგან ის დიდ როლს ასრულებს საჯარო სამსახურის განვითარებაში, რაც თავისთავად გულისხმობს გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივას.

ადამიანური რესუსრების მართვის ფილოსოფიის განვითარების ერთ-ერთი ცნობილი თეორიტიკოსია ამერიკელი მეცნიერი **პიტერ დრუკერი (Peter Drucker) [2].** მისი სახელმძღვანელოები როგორც წარსულში, ისე დღესაც აქტუალურია და ფართოდ გამოიყენება კერძო თუ საჯარო დაწესებულებებში. მისი ნაშრომებიდან შეგვიძლია გამოვარჩიოთ **„მენეჯმენტის პრაქტიკა**'' (**The Practice of Management**), რომელიც გამოიცა 1954 წელს. ეს წიგნი იყო პირველი რომელიც მენეჯმენტს განიხილავდა დისციპლინად.

პ. დრუკერის აზრით, ადამიანური რესურსების ფილოსოფიის არსს განსაზღვრავს ორგანიზაციაში მომუშავე თანამშრომლები, რომლებიც არ უნდა განიხილებოდნენ როგორც ,,**დანახარჯები**'' ისინი უნდა აღიქმებოდნენ ორგანიზაციის მნიშვნელოვან ნაწილად, რადგან მათი კეთილდღეობა პირდაპირ კავშირშია კომპანიის წარმატებასთან. (**Managing in a Time of Great Change** მართვა დიდი ცვლილებების ეპოქაში 1995 წელი). იგი ასევე მიუთითებდა ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობაზე, მიზნებზე დაფუძნებულ მენეჯმენტზე, განიხილავდა ლიდერობის ცნებას როგორც მოტივატორს. ასევე მნიშვნელოვანს უწოდებდა სოციალურ და ეთიკურ პასუხისმგებლობას. პ. დრუკერის თქმით, თუ კომპანია არის წარმატებიული, ის აუცილებლად უნდა აისახოს მათ თანამშრომლებზეც. მოკლედ რომ ვთქვათ, მენეჯერები არ უნდა იყვნენ ორიენტირებულნი მხოლოდ კომპანიის მოგებაზე, პერსონალის კონტროლზე, მითითებების გაცემაზე, არამედ ისინი უნდა ზრუნავდნენ დასაქმებულთა კეთილდღეობაზე და უნდა იყვნენ მათთვის მთავარი მოტივატორები. თუ ლიდერების მხრიდან მოტივაცია მომუშავე პერსონალს თავს აგრძნობინებს დაფასებულად, თავისთავად მათი შრომისუნარიანობის და თვითშეფასების კოეფიციენტი გაიზრდება.

ცხადია, ადამიანური რესურსების ფილოსოფია აღიქვამს და განიხილავს თანამშრომლებს როგორც ყველაზე ღირებულ რესურსს, თუმცა პ. დრუკერი თვლიდა, რომ კომპანიები და მთავრობები შეჩვეული არიან გუშინდელი წარმატების ჩაბღაუჭებას,

არ აღიარებენ არსებულ შეცდომებს, რუტინულად ტრიალებენ ჩაკეტილ წრეზე და თვალს არ უსწორებენ თანამედროვე გამოწვევებს, რაც აისახა კიდეც პიტერ დრუკერის ცნობილ ფრაზაში – „თუ თქვენ გსურთ რაიმე ახალი, მაშინ დაანებეთ თავი ძველის კეთებას“(if you want something new, you have to stop doing something old).

დასკვნა

სტატიაში ჩამოყალიბებულია ადამიანური რესურსების ფილოსოფიის სხვადასხვა პრინციპი და მიდგომა. ისინი ნათლად მიუთითებენ, რომ საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი კვალიფიციური, მოტივირებული კადრების მოზიდვა და შენარჩუნებაა, რაც აუცილებლად გააუმჯობესებს სამსახურის საქმიანობას, მნიშვნელოვანია კარიერული განვითარებისთვის მოხელეების პროფესიული გადამზადება, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა. სწორედ ამაზეა ორიენტირებული საქართველოს მოქმედი კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ“.

მნიშვნელოვანია არსებული პრობლემების გამოვლენა, გაანალიზება და აღმოფხვრის გეგმის შემუშავება, ხოლო შემდგომში მათი სისრულეში მოყვანა, აუცილებელია საკადრო პოლიტიკის განვითარება, სიახლეების დანერგვა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თანამედროვე მიდგომების ჩამოყალიბება, ორიენტირება სხვადასხვა წახალისების სახეებზე, კადრების გადამზადება, ჯანსაღი სამუშაო გარემოს შეთავაზება, პატივისცემა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ინოვაციური და თანამედროვე სისტემის დანერგვა რაც პროფესიონალი კადრების შენარჩუნებისთვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. ეს არის მცირე ჩამონათვალი იმ საშუალებებისა რითიც შესაძლებელია ეფექტური, გამჭვირვალე და ჯანსაღი მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბება.

ლიტერატურა

1. Abel, D. (1980). *Defining the business: The starting point of strategic planning*.
2. Drucker, P. (1954). *The practice of management*.
3. Georgia, Parliament of. (n.d.). *Law of Georgia on public service*. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=58
4. Graen, G. B. (2004). *New frontiers of leadership*.
5. Guest, D. (2017). Human resource management and employee well-being: Towards a new analytic framework. *Human Resource Management Journal*.
6. McClelland, D. (1961). *The achieving society*.

UDC 351.74:005.95
SCOPUS CODE 3321
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-401-408

Principles of Personnal Management in the System of Public Administration

Shorena Shelia Department of Public Administration and Electronic Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: shorenas84@gmail.com

Reviewers:
Sh. Dogonadze, Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: Sh.dogonadze@gtu.ge
B. Goderzishvili, Associate Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: b.goderdzishvili@gtu.ge

Abstract. The article analyzes the most important principles of personnel management in the system of public administration of Georgia, the main aspects of personnel policy and problems. Studying new trends and modern management systems and ensuring their implementation. Modern approaches and fundamental values, which are crucial for effective and transparent functioning of public service management systems, form the basis for building sustainable and equitable governance. The article identifies the problems existing in the management system (such as low efficiency, non-transparent processes, low motivation of employees, unprofessionalism), as well as ways and methods of their solution, including through the introduction of innovative approaches and the development of digital technologies. Staff development and introduction of results-oriented evaluation mechanisms. The basics of creating a system of public sector transparency, professionalism in human resource management, equitable distribution of resources and result-oriented motivation .

Keywords: Career advancement; Motivation; Personnel management; Professionalism; Public service; Scientific research.

განხილვის თარიღი 10.04.2025
შემოსვლის თარიღი 15.04.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025

ავტორთა საძიებელი

Author's index

აბრალავა ა. 96
ანაზღაიძე ა. 28
ბაციკაძე თ. 260
ბებიაშვილი ნ. 73
ბენდიანიშვილი ნ. 224
ბიბიჩაძე დ. 51
ბუაჩიძე თ. 11
ბუჩუკური თ. 123
გაბაძე ე. 51
გაფრინდაშვილი გ. 196
გოგიაშვილი ჟ. 134
გოლეთიანი გ. 295, 303
გორდულაძე თ. 157
გრატიაშვილი გ. 270, 276
გრიგალაშვილი ჯ. 169, 180
გრძელიშვილი ნ. 103
გუგულაშვილი გ. 295, 303
ესაძე თ. 331
ვარაზაშვილი ზ. 196
ზუკაკიშვილი რ. 270, 276
ისაკაძე თ. 157
კაკულია ზ. 196, 206
კანთელაძე ნ. 123
კაპანაძე ი. 11
კვარაცხელია ლ. 103
კოპაძე მ. 206
კუპრაშვილი მ. 43
ლაზარაშვილი ა. 295
ლაზარაშვილი ა. 303
ლაზარაშვილი ზ. 295, 303
ლეჟავა ხ. 331
მარდაშოვა მ. 214
მატარაძე ნ. 395
მირინაშვილი გ. 244
მიქავა თ. 214
მურღულიან . 260
მჭედლიშვილი ზ. 270, 276
ნამიჩეიშვილი ო. 134
ნანაძე ი. 206
ნიკოლეიშვილი ნ. 38
ნიჟარაძე ჯ. 260
ოთინაშვილი რ. 43
პაპასკირი ვ. 352
რაზმაძე ნ. 309
რამიშვილი ი. 196
რატიანი ნ. 309
რუხაძე თ. 295
სადრაძე ვ. 28
სამადაშვილი ა. 61
სიმაევი ნ. 61
სონღულაშვილი ა. 206
ტლაშაძე გ. 196
ტუღუში გ. 96
ტყაბლაძე ზ. 365
უგრეხელიძე ი. 157
ფიფია ა. 73
ქავთარაძე ნ. 395
ქვარცხავა ლ. 344
ქობლიანიძე თ. 317
ქოქიაური ლ. 73
ღლონტი ლ. 206
ღურწკაია თ. 56
ღურწკაია კ. 56
შავერდაშვილი ნ. 309
შელია შ. 401
ჩახაია გ. 196
ჩუტკერაშვილი დ. 196
ცერცვაძე თ. 123
ცუცქირიძე ვ. 344
ძნელაძე ნ. 114
წვერავა დ. 336
წიკლაური ს. 114
წილოსანი თ. 123
ხარხელაური ხ. 114
ხვიჩია ლ. 206
ჯიქიძე ლ. 344
Dzidziguri M. 18
Iremashvili Kh. 288
Karseladze K. 255
Kazanjy L. 148
Kokhtashvili K. 255
Magalashvili G. 190
Metreveli M. 231
Mirinashvili M. 255
Nadirashvili P. 288
Rurua N. 288
skhvitaridze A. 18
Tsatsanashvili M. 148

რეცენზენტთა საძიებელი

Reviewer's index

აბრალავა ა. 38, 73
არჩვაძე ი. 103
ბახტაძე ლ. 56
ბებიაშვილი ნ. 61
ბუთხუზი ნ. 295
ბუცხრიკიძე დ. 309
გოდერძიშვილი ბ. 51, 96, 114, 401
გორდიაშვილი ი. 244
გრიგალაშვილი ლ. 43
დონაძე მ. 123
დოღონაძე შ. 401
ვარაზაშვილი ზ. 206
ვეშაპიძე შ. 224
თავდიშვილი ო. 134
თოფურია ლ. 11
კაკულია ზ. 214
კვინიკაძე ს. 336
კვიციანი ტ. 344
კიკნაძე თ. 365
კიკნაძე მ. 134
კოჭლამაზაშვილი ლ. 96
კუნჭულია თ. 309
კურატაშვილი ა. 56
ლაგვილავა თ. 395
ლეჟავა თ. 123
მაზიაშვილი ნ. 114
მალანია ე. 51
მანჩხაშვილი მ. 365
მარდაშოვა მ. 197, 206
მაღლაკელიძე ნ. 169, 180
მეტრეველი შ. 395
მსხილაძე ნ. 260
მჭედლიშვილი ზ. 303
ნათბილაძე ნ. 295
ნაჭყებია გ. 61
ჟღენტი რ. 331
სანაძე გ. 270, 276
სიჭინავა ა. 38, 43
სულაძე ს. 157
ტაბატაძე დ. 260
ფირანაშვილი მ. 317
ფოფორაძე ნ. 214
ქათამაძე ლ. 352
ქარუმიძე ზ. 331
ქებაძე ნ. 11
ქირია ვ. 303
ქუთათელაძე რ. 73
ღლონტი ლ. 197
შელეგია მ. 352
შენგელია რ. 224
ჩხაიძე თ. 270
ჩხაიძე თ. 276
ციცქიშვილი ზ. 344
ძნელაძე მ. 28
ჭითანავა ნ. 103
ხოშტარია ს. 169, 180
ჯავახიშვილი ნ. 28
ჯანიკაშვილი მ. 317, 336
ჯაფარიძე ზ. 157
ჯიქია თ. 244
Berekashvili K. 18
Chechelashvili M. 231
Chigogidze T. 18
Cubinidze G. 288
Gordiashvili I. 255
Japaridze N. 190
Jikia T. 255
Kochlamazashvili L. 231
Lipartia T. 190
Shishinashvili M. 288
Tatishvili G. 148
Tsintsadze A. 148

ავტორთა საყურადღებოდ

სტატიის მიღების წესი:

- სტატია (მიიღება ქართულ და ინგლისურ ენებზე) ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.
- ავტორს შეუძლია კრებულში პუბლიკაციისათვის სტატიები და თანდართული დოკუმენტაციის ფაილები მოგვაწოდოს საგამომცემლო სახლში, ან გამოგვიგზავნოს ელექტრონული ფოსტით მისამართებზე publishing@gtu.ge ან sagamomcemlosakhli@yahoo.com.
- კრებულის ერთ ნომერში გამოქვეყნდება ავტორის მაქსიმუმ ორი სტატია.

ელ. ფოსტით სტატიის გამოგზავნის შემთხვევაში გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი მოთხოვნები:

- თემის ველში (Subject) მიუთითეთ კრებულის დასახელება და ავტორის (ავტორების) გვარი.
- მეილს მიამაგრეთ (Attach files) სტატია ვორდის ფორმატში და შესაბამისი დოკუმენტაციის PDF ფაილი;
- დიდი მოცულობის ფაილის შემთხვევაში გამოიყენეთ არქივატორი (ZIP, RAR ან Google Drive).

სტატიის გამოქვეყნებისთვის საჭირო დოკუმენტაცია:

- ორი რეცენზია;
- აქტი - ორგანიზაციის სამეცნიერო საბჭოს მიმართვა სტატიის სტუ-ის შრომების კრებულში გამოქვეყნების შესახებ (ბეჭდით დადასტურებული);
- ინვოისი (არა სტუ-ის თანამშრომლებისთვის)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის _____ ფაკულტეტის

სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის _____ დარგობრივი კომისიის

ა ქ ტ ი №_____

,,_____,,_____,,

სხდომას ესწრებოდნენ:

დარგობრივი კომისიის წევრები:

(მიუთითეთ კომისიის შემადგენლობა) _____

_____

_____

_____

განსახილველი სტატიის ავტორი/ავტორები: *(მიუთითეთ სახელი და გვარი სრულად, სამუშაო ადგილი და სამეცნიერო წოდება, აკადემიური ხარისხი სრულად, ელ. ფოსტა, საკონტაქტო ტელეფონი)*

1. _____

_____

2. _____

_____

3. _____

_____

რეცენზენტები: *(მიუთითეთ სახელი და გვარი სრულად, სამუშაო ადგილი და სამეცნიერო წოდება, აკადემიური ხარისხი სრულად, ელ. ფოსტა, საკონტაქტო ტელეფონი)*

1. _____

_____

2. _____

_____

დარგის მოწვეული სპეციალისტები:

_____

_____

_____

_____

1. **ნაშრომის განხილვა**

_____

2. (მიუთითეთ ფაკულტეტის დასახელება)

სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივ კომისიაში განსახილველად შემოვიდა ავტორის/ავტორების მიერ მომზადებული სამეცნიერო სტატია

_____

(მიუთითეთ სტატიის სრული დასახელება)

სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის მიერ გამოყოფილია რეცენზენტები:

1. _____

2. _____

2. ნაშრომის საჯარო განხილვა

1. მოისმინეს: ავტორის/ავტორების ***(მიუთითეთ)*** ინფორმაცია განსახილველად წარმოდგენილი სტატიის შესახებ. _____
_____
_____

ნაშრომის ანოტაცია

_____
_____
_____

3. მოისმინეს: რეცენზენტის/რეცენზენტების ***(მიუთითეთ)*** არგუმენტირებული შეფასება სტატიის აქტუალურობის, სიახლის და გამოცემის მიზანშეწონილობის შესახებ. _____
_____
_____

4. მოისმინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა-რეკომენდაცია ***(მიუთითეთ მომხსენებლის ვინაობა)*** _____სტატიის გამოცემის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

_____
_____
_____

დაადგინეს:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის
_____

(მიუთითეთ ფაკულტეტის დასახელება)

სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივ კომისიაში განსახილველად შემოვიდა ავტორის/ავტორების მიერ მომზადებული სამეცნიერო სტატია
_____

(მიუთითეთ სტატიის სრული დასახელება)

რეკომენდაციას უწევს სტატიის გამოქვეყნებას სტუ-ის შრომათა კრებულში.

ფაკულტეტის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი

კომისიის წევრები:

ფაკულტეტის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერის სინამდვილეს ვადასტურებ
ფაკულტეტის დეკანი ***(ხელმოწერა)***

რეცენზია

1. ნაშრომის დასახელება სრულად
2. ავტორის/ავტორების სამეცნიერო წოდება, სამუშაო ადგილი, საკონტაქტო ინფორმაცია, ელ. ფოსტა
3. ნაშრომში დასმული ამოცანის მოკლე მიმოხილვა
4. გამოსაქვეყნებლად მომზადებული ნაშრომის აქტუალურობა
5. ძირითადი ასპექტები, რომლებიც განხილულია ავტორის მიერ
6. რეკომენდაცია ნაშრომის გამოქვეყნებისათვის (იმ შემთხვევაში თუ სარეცენზიო ნაშრომი სამეცნიერო სტატიაა, აუცილებელია სამეცნიერო ჟურნალის დასახელების მითითება)
7. რეცენზენტის გვარი და სახელი სრულად, სამუშაო ადგილი, სამეცნიერო წოდება, საკონტაქტო ინფორმაცია, ელ. ფოსტა (სტატიის რეცენზირების შემთხვევაში რეცენზენტის მონაცემები გამოქვეყნებული იქნება სტატიასთან ერთად)

სტატიის გამოქვეყნების საფასური:

- ვინაიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების კრებული არის არაკომერციული გამოცემა, ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომლებისა და დოქტორანტებისთვის სტატიის გამოქვეყნება **უფასოა.**
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს #200 დადგენილებით (22.01.2010), ფიზიკურმა პირმა, რომელიც არ არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი, შრომების კრებულში სტატიის გამოქვეყნებისთვის წინასწარ უნდა შეიტანოს ან გადმორიცხოს საჭირო თანხა (1 გვერდი - 10 ლარი) და დაურთოს გადახდის ქვითარი. გრაფაში *„გადახდის დანიშნულება“* უნდა ჩაიწეროს *„სტატიის გამოქვეყნების ღირებულება“*.
- **სტუ-ის საბანკო რეკვიზიტებია:** სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საიდენტიფიკაციო კოდი 211349192; მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი: TRESGE22; მიმღების ანგარიში: სახაზინო კოდი 708977259.

სტატიის გაფორმების წესი

სტატია:

- შედგენილი უნდა იყოს მართლმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით. ავტორი (ავტორები) და რეცენზენტები პასუხს აგებენ სტატიის შინაარსსა და ხარისხზე.
- წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით A4 ფორმატის ფურცელზე, არანაკლებ 5 გვერდისა (არეები - 2 სმ, ინტერვალი - 1,5).
- შესრულებული უნდა იყოს doc ან docx ფაილის სახით (MS Word) და ჩაწერილი – ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე;

გამოიყენეთ:

- შრიფტი Sylfaen, ზომა 12

სტატიას უნდა ერთვოდეს შემდეგი ინფორმაცია:

- უაკ (UDC) - უნივერსალური ათობითი კლასიფიკაციის კოდი;
- საერთაშორისო ბაზა SCOPUS-ის კლასიფიკატორის კოდი;
- ცნობები ავტორის (ავტორების) შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე - ყველა ავტორის სახელი და გვარი სრულად, E-mail-ი და საკონტაქტო ტელეფონი, დეპარტამენტის დასახელება, ორგანიზაციის სრული სახელწოდება, მუშაობის ადგილი, ქვეყანა, ქალაქი, ზუსტი მისამართი, მომსახურე ფოსტის ინდექსი;
- ცნობები რეცენზენტების შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე - რეცენზენტთა გვარები და სახელები სრულად, ელექტრონული ფოსტის მისამართი, სამეცნიერო წოდება, ფაკულტეტის ან სამუშაო ადგილის დასახელება.

სტატია უნდა შეიცავდეს:

- ანოტაციას ქართულ და ინგლისურ ენებზე (100-150 სიტყვა).
- საკვანძო სიტყვებს, დალაგებულს ანბანის მიხედვით (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- შესავალს;
- ძირითად ნაწილს;
- დასკვნას;
- სურათების ან ფოტოების კომპიუტერულ ვარიანტს, შესრულებულს ნებისმიერი გრაფიკული ფორმატით, გარჩევადობა - არანაკლებ 150 dpi-სა;
- ლიტერატურას ინგლისურ ენაზე, გაფორმებულს APA სტილის მიხედვით;

სტატიაში გამოყენებული ლიტერატურის გაფორმების წესი

ჟურნალი „შრომები“ ეყრდნობა სტატიაში გამოყენებული ლიტერატურის სიის გაფორმების APA-ს (ამერიკული ფსიქოლოგიური ასოციაცია) სტილს. ლიტერატურის სია უნდა გაფორმდეს ინგლისურ ენაზე. თუ წყარო არ არის ინგლისურენოვანი, მიუთითეთ ორიგინალის ენა.

მაგალითები:

წიგნი:

Miller, D., & Le Breton-Miller, I. (2005). *Managing for the long run: Lessons in competitive advantage from great family businesses.* Boston: Harvard Business School Press.

Cialdini, R. B. (2001). *Influence: Science and practice* (4th ed.). Boston: Allyn & Bacon.

ჟურნალი:

Stuart, F. I. (2006). Designing and executing memorable service experiences: Lights, camera, *experiment, integrate*, action! *Business Horizons, 49*(2), 149-159.

Ketchen, D., & Hult, G. T. (2007). Bridging organization theory and supply chain management: The case of best value supply chains. *Journal of Operations Management, 25*(2), 573-580.

ვებგვერდი:

Berry, L. L., & Seltman, K. D. (2007). Building a strong services brand: Lessons from Mayo Clinic. *Business Horizons, 50*(3), 199-209. Retrieved May 10, 2007, Retrieved from https://www.sciencedirect.com.

Lewis, P. H. (2007). *How Apple kept its iPhone secrets.* Retrieved January 31, 2008, from:
http://money.cnn.com/2007/01/10/commentary/lewis_fortune_iphone.fortune/index.htm

Guidelines for Authors

Submitting a journal manuscript

- The article (accepted in Georgian and English languages) is published in the original language;
- The author can bring articles and documentation files for publication in the journal to the publishing house office, or submit them via e-mail: publishing@gtu.ge or sagamomcemlosakhli@yahoo.com;
- A maximum of two articles written by an author will be published in one issue of the journal.

When sending an article by an e-mail, please note the following requirements:

- In the subject field indicate the journal title and author(s) last name; to
- Attach an article in MS Word-compatible file format and PDF files of relevant documentation to the email;
- For large files use an archiver (ZIP, RAR) or send them by Google Drive.

Documentation required for article publication:

- Two reviews;
- Act – appeal to the scientific council of the organization about the publication of the article (confirmed with a seal);
- Invoice (not for GTU employees).

Pricing policy:

- Since the journal *Works* of the Georgian Technical University is a non-commercial publication, publication of the article is free of charge for scientific employees and students of all levels of our university.
- Pursuant to the Resolution #200 of the Academic Council of the Georgian Technical University (22.01.2010), publication fee for authors who are not employees or students of the Georgian Technical University is **10 GEL per page.** These authors must pay in advance and attach the payment receipt to a mail when submitting a manuscript.
- The banking requisites of GTU are: LEPL Georgian Technical University; organization's identification number 211349192; beneficiary bank: State Treasury; beneficiary: joint treasury account; bank code: TRESGE22; Account number: treasury code 708977259. In the column *Purpose of Payment* write *"Cost of article publication".*

The Guidelines to Form an Academic Article: Manuscripts should be prepared consistent with the following guidelines.

The article

- should be written in accordance with the correct language and terminology. The author(s) and reviewers are responsible for the content and quality of the article.
- Must be presented in printed form on A4 format paper, no less
- 5 pages (areas - 2 cm, spacing - 1.5).
- must be executed in the form of a doc or docx file (MS Word) and recorded _ on any magnetic carrier;

Please, use:

- Sylfaen font, size 12 (for Georgian text);

The article should include the following information:

- UDC - universal decimal classification code;
- International base SCOPUS classifier code;
- Information about the author (authors) in Georgian and English languages – full name and surname of all authors, e-mail and contact phone number, name of the department, full name of the organization, place of work, country, city, exact address, postal service index;
- About reviewers in Georgian and English languages – full names and surnames of reviewers, e-mail address, scientific title, name of faculty or workplace.

The article should include:

- Abstract in Georgian and English languages (100-150 words).
- Keywords, sorted alphabetically (in Georgian and English);
- Introduction;
- Main part;
- Conclusion;
- Computer version of images or photos, made in any graphic format, resolution - not less than 150 dpi;
- Literature in English language, formatted according to APA style;

Style of Referencing and Citations

The journal *Works* relies on the APA (American Psychological Association) style of referencing and citations. Authors should carefully document their work while at the same time judiciously select references. Only works cited

in the manuscript should be included in the references section. The list of references should be written in English. If the source is not in English, indicate the language of the original.

Examples:

Reference to a Book:

Miller, D., & Le Breton-Miller, I. (2005). *Managing for the long run: Lessons in competitive advantage from great family businesses.* Boston: Harvard Business School Press.

Cialdini, R. B. (2001). *Influence: Science and practice* (4th ed.). Boston: Allyn & Bacon.

Reference to a journal publication:

Stuart, F. I. (2006). Designing and executing memorable service experiences: Lights, camera, experiment, integrate, action! *Business Horizons, 49*(2), 149-159.

Ketchen, D., & Hult, G. T. (2007). Bridging organization theory and supply chain management: The case of best value supply chains. *Journal of Operations Management, 25*(2), 573-580.

Web source:

Berry, L. L., & Seltman, K. D. (2007). Building a strong services brand: Lessons from Mayo Clinic. *Business Horizons, 50*(3), 199-209. Retrieved May 10, 2007, Retrieved from https://www.sciencedirect.com.

Lewis, P. H. (2007). *How Apple kept its iPhone secrets.* Retrieved January 31, 2008, Retrieved from http://money.cnn.com/2007/01/10/commentary/lewis_fortune_iphone.fortune/index.htm

https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3

რედაქტორები: მ. ბაზაძე, ლ. მამალაძე, შ. მიქაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა ე. ქარჩავასი

გადაეცა წარმოებას 23.06.2025. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 26.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

- დაარსებულია 1924 წელს
- ESTABLISHED IN 1924

SCAN ME

BY NC

3.792
(2023-2024)